

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

შრომები X



გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2014

**BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE**

TRANSACTIONS

X

Publishing House
„Batumi Shota Rustaveli State University“
Batumi – 2014

БАТУМСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ШОТА РУСТАВЕЛИ
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

ТРУДЫ X

Издательство
«Батумский Государственный университет Шота Руставели»
Батуми – 2014

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების X ტომში შესულია ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომისა და სამეცნიერო სესიის (2013 წლის 2–3 დეკემბერი) მასალები (წაკითხული მოხსენებები, მილოცვები), აგრეთვე, სამეცნიერო სტატიები, რომლებშიც გაშუქებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მათ შორის, აჭარის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, ენათმეცნიერების, განათლებისა და კულტურის, სოციოლოგიის, ტურიზმის საკითხები.

ნაშრომს ერთვის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება.

ნაშრომი სასარგებლო სამსახურს გაუწევს საკვლევი რეგიონების მეცნიერული პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევრებს, მკითხველთა ფართო წრეს.

სარედაქციო საბჭო:

ბიჭიკო დიასამიძე (რედაქტორი), **ოთარ თურმანიძე**, **ნინო ინაიშვილი**, **თამილა ლომთათიძე**, **ნოდარ კახიძე** (მთავარი რედაქტორი), **როინ მაღაყმაძე** (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე), **შუშანა ფუტკარაძე** (რედაქტორი), **ელზა ფუტკარაძე**, **ნაილა ჩელებაძე**, **ნანა ხახუტაიშვილი**

რეცენზენტები:

ჯემალ ვარშალომიძე – ისტორიის აკადემიური დოქტორი

ოლეგ ჯიბაშვილი – ისტორიის აკადემიური დოქტორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ეთერ ხეცოიძე

ტომი ეძღვნება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსების 55 და ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ დავით ხახუტაიშვილის დაბადების 90 წლისთავს

ISSN 1512-4991

© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2014

შინაარსი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 55 წლისთავი

საიუბილეო სხდომა და სამეცნიერო სესია	9
ალიოშა ბაკურიძე (მისასალმებელი სიტყვა)	11
როინ მაღაყმაძე, ნოდარ კახიძე	
ქართველოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი კერა (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავის გამო)	16
ნოდარ კახიძე	
ეთნოლოგიური კვლევა—ძიება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში	31
შუშანა ფუტკარაძე	
ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება	39
ბიჭიკო დიასამიძე	
ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის ანგარიში	48

მილოცვები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან	53
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის	
საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებისაგან	54
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის	
ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრისაგან	54
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან	55
გურამ ლორთქიფანიძე, 55 წელი მეცნიერების სადარაჯოზე	56
ავთანდილ ნიკოლეიშვილი. ქართველოლოგიური მეცნიერების მძლავრი კერა	57
როზეტა გუჯეჯიანი. სახელოვანი იუბილე	58
რამაზ სურმანიძე. სამეცნიერო ტაძარი	59
სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლისა და კულტურათაშორისი	
დიალოგის ასოციაციისაგან	
სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრისაგან	60
საჩუქრად გადმოცემული წიგნები	61
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სიგელით დაჯილდოება	61

ისტორია

შუშანა ფუტკარაძე / Shushana Putkaradze	
კონსტანტინე ოდიშარიას ცნობები ტაო-კლარჯეთის ისტორიის შესახებ	62
Historical Notes About Tao-klarjeti By K. Odisharia	70
უჩა ოქროპირიძე	
პეტრე იბერის მართლმადიდებლური (ქალკელონური) აღმსარებლობისათვის	71
კონსტანტინე ღლონტი/ Константин Глonti	
უტოპიური სოციალიზმის ისტორიიდან საქართველოში	75
Из истории утопического социализма в Грузии	80

ეთნოლოგია, ფოლკლორი

თამილა ლომთათიძე, ნანული ნოღაიდელი/Тамила Ломтатиძე, Нанули Ногაидели	
საბავშვო გართობა–თამაშობათა ხალხური საწყისები	82
და ლექსიკა აჭარაში	95
Ритуальное начало в народных играх Аджарии	
ნაილა ჩელებაძე/Naila Chelebadze	
ეთნო-კულტურული პარალელები (აჭარისა და ჭოროხ-არტაანის მხარეთა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)	96
Ethnocultural parallels (According to ethnographic materials of Adjara and Chorokhi – Artaani sides)	103
ჯემალ ვარშალომიძე/Джемал Варшаломидзе	
ქვის საწნახლები შავშეთ–იმერხვიდან	104
Каменные давильни (винограда) из Шавшет-Имерхевии	113
ნაილე მიქელაძე/Naile Mikeladze	
დიდ წარღვნასთან დაკავშირებული გადმოცემები აჭარულ ფოლკლორში	114
Legends about the Great Flood in Ajarian Folklore	118
ციალა ნარაკიძე/Tsiala Narakidze	
გამოცანები (ლაზური მასალების მიხედვით)	119
Riddles (According to the Laz materials)	127
ჯემალ მიქელაძე/Джемал Микеладзе	
კურორტი „ბეშუმი“ დასვენებისა და გაჯანსაღების მნიშვნელოვანი კერა	128
Курорт Бешуми – Важный центр отдыха и оздоровления	131

ენათმეცნიერება

ელზა ფუტკარაძე/Elza Putkaradze	
ლექსიკური ერთეულები ტაო–კლარჯეთში	134
Archaic Lexical Units in Tao-Klarjetian	141
ომარ მემიშიში/Omar Memishishi	
ბრუნვათა ფუნქციები ლაზურში	142
The Functions of Declension in Lazuri	144

კულტურა და განათლება

მაია ჭიჭილეიშვილი/Maia Chichileishvili	
აბუსერისძეთა კვალი ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში	145
Traces of the Abuserisdzes in Georgian Cultural Heritage	153
მერაბ მეგრელიშვილი/Merab Megrelishvili	
ქართული კულტურის ისტორიული საფუძვლები	154
Historical Basis of Georgian Culture	158
ნანი გუგუნავა	
დედის ფენომენი აჭარაში შვილების ღვთაებრივი აღზრდის საკმეში	159
ნანი გუგუნავა/ Nani Gugunava	
განათლების რეფორმის მეცნიერული მართვის საფუძვლები	165
The scientific management problems of educational reform	172

სოციოლოგია, ტურიზმი

კონსტანტინე გლონტი/ Константин Глonti	
შრომის სოციოლოგიის ზოგიერთი ასპექტი ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებთან	173

Некоторые аспекты социологии труда у представителей английской классической политической экономии	179
ნუგზარ ჩხაიძე/ Nugzar Chkhaidze	
ტერმინების „ტურისტის“, „ვიზიტორის“ და „დამსვენებლის“ დაზუსტებისათვის	180
On the more precise definition of the terms “a tourist”, “a visitor”, “a holidaymaker”	182

სამეურნეო მშენებლობა

ოთარ თურმანიძე / Otar Turmanidze	
სახელმწიფო მეურნეობების მშენებლობა აჭარაში (1921–1940 წლები)	183
Construction of State agriculture in Ajara (1921-1940)	193

შურნალისტიკა

იოსებ სანიკიძე/ Иосеб Саникидзе	
პროცესი, როგორც ასახვის საგანი	194
Процесс как предмет отражения	206

პირველი მსოფლიო ომის გამოცხადება

უჩა ოქროპირიძე	
ღალატი, რომელიც არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო...	207

რელიგიური ორგანიზაციები

რუსლან ბარამიძე/ Ruslan Baramidze	
რელიგიური ორგანიზაციებთან დაკავშირებული 2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებების ასახვა ელექტრონულ მედიაში	212
Reflection of the Legislative Changes Process about Religious Organizations in 2011	226

სამეცნიერო მუშაობა

როინ მაღაყმაძე	
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის კომპლექსური ექსპედიცია შავშურ-იმერხეში	228
ნარგიზ ახვლედიანი / Nargiz Akhvlediani	
შავშური მარგალიტები (2013 წლის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით)	234
Shavshuri Pearls (According to the Materials of Folklore-Dialectological-Ethnographic Expedition in 2013)	238

პრიტიკა და პიბლიოგრაფია

ირაკლი ბარამიძე, ჯემალ კარაღიძე	
ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების (აჭარა) გამოცემის გამო	239
პაატა ცხადაია	
საჭირო ნაშრომი აჭარაში მცხოვრებ ახვლედიანთა საგვარეულოზე (რეცენზია ნარგიზ ახვლედიანის წიგნზე „ახვლედიანნი აჭარაში“. თბ., 2012)	243

შოთა ზოიძე წიგნი-პოემა, რომელსაც ნოდარ ტაბიძის გარდა ვერავინ დაწერდა.	246
იუბილე	
ალიოშა ბაკურიძე, რონი მაღაყმაძე, ნოდარ კახიძე, ბიჭიკო დიასამიძე ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი (ოთარ თურმანიძის დაბადების 80 წლისთავის გამო)	253
როინ მაღაყმაძე, ბიჭიკო დიასამიძე, თამაზ ფუტყარაძე მეცნიერისა და პედაგოგის სახელოვანი გზა (პროფესორ ნოდარ კახიძის დაბადების 85 წლისთავის გამო)	260
ბახხუნუა	
ნანა ხახუტაიშვილი, ნოდარ კახიძე ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის – პროფესორ დავით ხახუტაიშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო)	267

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 55 წლისთავი

საიუბილეო სხდომა და სამეცნიერო სესია

2013 წლის 2–3 დეკემბერს აღინიშნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავი, რომელსაც მიეძღვნა საიუბილეო სხდომა და სამეცნიერო სესია.

საიუბილეო სხდომა გაიმართა უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში 2 დეკემბერს. იგი გახსნა და დამსწრეთ შესავალი სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ. მან ვრცლად ისაუბრა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსებისა და მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ (პროფესორ ალიოშა ბაკურიძის გამოსვლის ტექსტი აქვე იბეჭდება).

სხდომას ფართო საზოგადოებრიობა ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლები ბათუმიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან, თურქეთიდან.



ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს 55 წლისთავი მიულოცეს და სამახსოვრო ადრესები და საჩუქრები გადასცეს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ, აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ სულიკო თებიძემ, საქართველოს

თველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორებმა დოდო ჭუმბურიძემ, ნუნუ მინდაძემ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, საქართველოს ანდრია პირველწოდებულის საპატრიარქოს უნივერსიტეტის პროფესორმა როზეტა გუჯეჯიანმა, სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის დირექტორმა გიორგი ირემაძემ, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორმა, ემერიტუს-პროფესორმა ამირან კახიძემ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორმა აკაკი ბერიძემ. სიტყვით გამოვიდნენ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის დოქტორი როინ მაღაყმაძე, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ემერიტუს-პროფესორი შუშანა ფუტკარაძე.



სხდომის დასასრულს, გაიმართა უნივერსიტეტის შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტი.

მეორე დღეს, 3 დეკემბერს, უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის დარბაზში ჩატარდა საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელზეც მთავარი მოხსენება: „ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავი“ წაკითხა ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის დოქტორმა როინ მაღაყმაძემ. თანამოხსენებები გააკეთეს ინსტიტუტის ფოლკლორის,

დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის, ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის, ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილებათა უფროსებმა, მთავარმა მეცნიერმა თანამშრომლებმა, მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა – შუშანა ფუტყარაძემ, ნოდარ კახიძემ, ბიჭიკო დიასამიძემ. სამეცნიერო სესიაზე სიტყვით გამოვიდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, ემერიტუს-პროფესორი იური ბიბილეიშვილი.

სესიის დასასრულს, გაიმართა კრებულის – „ჭარული საუნჯე“, I – პრეზენტაცია და ნაჩვენები იქნა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „საქართველოს ეროვნული გმირი სელიმ ხიმშიაშვილი“ (ავტორი გივი ნახუცრიშვილი).

საიუბილეო სხდომასა და სამეცნიერო სესიაზე მადლიერებით აღინიშნა უნივერსიტეტის რექტორატისა და ადმინისტრაციის განსაკუთრებული წვლილი ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავის წარმატებულად ჩატარების საქმეში.

საიუბილეო სხდომასა და სამეცნიერო სესიაზე კიდევ ერთხელ მტკივნეულად დაისვა საკითხი ინსტიტუტისათვის წართმეული იმ შენობის (ქალაქ ბათუმი, ნინოშვილის ქ. № 23) დაბრუნებისა, სადაც იგი დაფუძნდა და 50 წელზე მეტი ხნის მანძილზე ფუნქციონირებდა. ინსტიტუტი იმედოვნებს, რომ ამ მხრივაც აღსდგება სამართლიანობა და მას დაუბრუნდება კუთვნილი შენობა, რომელიც უცხოურ კომპანიაზე გასხვისდა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მისასალმებელი სიტყვა

2013 წლის 2 დეკემბერი სადღესასწაულო დღედ გვიქცია ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. დღეს მთელი უნივერსიტეტი ზეიმობს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავს. საზეიმოდ განწყობილებას აძლიერებენ მოწვეული სტუმრები, რომლებიც მხურვალე გულით უერთდებიან ჩვენს სიხარულს, ჩვენს ზეიმს.



შეიძლება მაგანმა იკითხოვს: რა ზეიმია ეს? რა გვაქვს საზეიმოდ? პასუხი ასეთია: დიას, ვზეიმობთ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 55-ე წლისთავს იმიტომაც, რომ მის მიერ გაწეული სამეცნიერო საქმიანობა აჭარისა და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაგალითზე ჩვენი ქვეყნის წარსულისა და აწმყოს შესწავლას ემსახურებოდა. იუბილარი ინსტიტუტის სახელს უკავშირდება იმ კუთხის ისტორიის, სულიერი და მატერიალური კულტურის წარმოჩენა, რომელიც სამ საუკუნეზე მეტი დროის მანძილზე მოწყვეტილი იყო დედის უბეს, დედის კალთას, დედის ენას, დედის ალერსს. მიმდინარე წელს სწორედ 135 წელი შესრულდა ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებისა. ამიტომაც ძლიერია საზეიმოდ განწყობილება დღეს უნივერსიტეტში. ჩვენ ვზეიმობთ აჭარის გამოსხნის 135 წლის იუბილესაც და ამ მხარის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ყოფისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 55 წლისთავს. ჭეშმარიტად საზეიმოდ გვაქვს საქმე, რადგან ამ ინსტიტუტის საქმიანობით, აქ ჩატარებული მეცნიერული დაკვირვებებითა და კვლევებით დამტკიცდა, რომ



აჭარამ გაუძლო სამასწლიან ბატონობას, ღირსეულად შეინარჩუნა მშობლიური დედაენა, კულტურა და წელგამართული, მუხლჩაუხრელი, წარბშეუხრელი დაუბრუნდა დედასამშობლოს. ამ მხარემ ჭეშმარიტად შეძლო წინაპართა კეთილშობილური ტრადიციების შენარჩუნება და ჩვენამდე მოიტანა იგი. გამართლდა დიდი ილიას სიტყვები, ნათქვამი 1877 წელს, ოსმალის საქართველოზე – აჭარისა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის შესახებ: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქევნია; ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა. თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი... სწავლა, განათლება, მამულისთვის თავგამებებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროს“.

იუბილარი ინსტიტუტი კომპლექსური, მრავალდარგობრივი საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა. იგი სამართლებრივი მემკვიდრეა 1930 წელს ბათუმში დაარსებული მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიუროსი, რომელიც შემდეგ მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტად გადაკეთდა, მომდევნო წლებში კი მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მოექცა. ამჟამად ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია და ვცდილობთ ყურადღება და დახმარება არ მოვაკლოთ მას. იუბილარი ინსტიტუტის დაფუძნებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს – **დავით მამულაძეს**, აკადემიკოსებს – **ნიკო ბერძენიშვილს**, ანგია ბოჭორიშვილსა და სხვებს. მათ მიერ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ **„განმარტებით ბარათში“** ჩამოყალიბებული იყო ის დებულებები და პრინციპები, რომელთა საფუძველზე გადაწყდა ბათუმში ჰუმანიტარული მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების აუცილებლობა. ბარათში ნათქვამი იყო: „სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნა ბათუმში საჭიროცაა და შესაძლებელიც. მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც შეეხება აჭარის ასსრ ისტორიას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას და ეკონომიკას, საჭიროებენ საფუძვლიან მეცნიერულ შესწავლას. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სხვა სამუშაოებით გადატვირთულობის გამო, ვერ აიღებენ თავის თავზე აღნიშნული პრობლემების შესწავლას. ეს მოითხოვს ახალი ძალების ჩაბმას აჭარის ასსრ ტერიტორიაზე. ასეთი მუშაობა დიდ როლს შეასრულებს, აგრეთვე, **აჭარის ასსრ ადგილობრივი კადრების მომზადების საქმეში, რაც ამჟამად გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს“**.

მართლაც, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1958 წლის 23 იანვრის სხდომაზე გადაწყდა **ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსება**. დირექტორის მოვალეობის შესრულება დროებით დაეკისრა ასლან ინაიშვილს. ინსტიტუტმა მუშაობა დაიწყო 18 თანამშრომლით, რომელთაგან მხოლოდ სამი იყო მეცნიერებათა კანდიდატი. 1982 წელს, მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ინსტიტუტს მი-

ენიჭა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელი. ინსტიტუტმა თავისი მუყაითი საქმიანობით, საერთაშორისო დონის სამეცნიერო ნაშრომებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით მალე დაამტკიცა მისი არსებობის აუცილებლობა. ინსტიტუტის დირექტორების – **ასლან ინაიშვილის** (1958–1977), **ვახტანგ შამილაძის** (1977–78), **დავით ხახუტაიშვილის** (1978–1999), **გურამ ჩაგანავას** (1999), **იური ბიბილეიშვილის** (1999–2004), **ვახტანგ შამილაძის** (2004–2006) ხელმძღვანელობით, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში გაკეთდა არაერთი საშვილიშვილო საქმე. შეიქმნა მრავალი გამოკვლევა, შრომების, მონოგრაფიების, დარგობრივი კრებულებისა და სხვათა სახით, რომელთა საშუალებით ნათლად წარმოჩნდა აჭარისა და, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, ეკონომიკის, ყოფისა და კულტურის აქტუალური საკითხები. ინსტიტუტს დღეს წარმატებით უძღვება როინ მაღაყმაძე. ამ წარმატებაზე მეტყველებს საიუბილეოდ მოწყობილი სტენდები და გამოფენები. აქვე მინდა მადლიერების გრძნობა გამოვხატო იმ სახელოვანი მეცნიერი მეკვლევრების მიმართ, რომლებიც დღევანდელ საიუბილეო ზეიმს ვეღარ მოესწრნენ, მაგრამ მე, თქვენთან ერთად, დარწმუნებული ვარ, რომ მათი ნათელი სულები ჩვენთან არიან და იზიარებენ ამ საზეიმო განწყობილებას. ისინი ბევრნი არიან. მე მხოლოდ ზოგიერთს შეგახსენებთ. ბატონი **ჯემალ ნოღაიდელი** მინდა განსაკუთრებული პატივისცემით გავიხსენო. იგი იყო ჩვენი მხარის პირველი მერცხალი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მუხლჩაუხრელი ემსახურა აჭარის ზეპირსიტყვიერებას, მუსიკალური ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, აჭარული კილოს ძველქართული საუნჯისა და მისი დიალექტური თავისებურებების შესწავლას. განუზომლად დიდია მისი ნაშრომების მეცნიერული ღირებულება. დიდი ივანე ჯავახიშვილის მითითებებით მის მიერ შეკრებილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები თაობიდან თაობაში გადავა და უკვდავოფს ხალხურ სიბრძნესაც და მის შემქმნელ ავტორსაც.

ასევე განუზომელია ბატონ **დავით ხახუტაიშვილის** დვაწლი აჭარის არქეოლოგიური კუთხით შესწავლის საქმეში. ფასდაუდებელია ბატონების – **ასლან ინაიშვილის**, **ვახტანგ შამილაძის**, **ზურაბ თანდილავას**, **ალი მსხალაძის**, **ნეჯათ ჩიჯავაძის**, **ვლადიმერ მგელაძის**, **კასიანე ბაბილოძის**, **სერგო გოგიტიძის**, **ჯემალ ჩხეიძის** და სხვათა სახელები.

ამ სახელოვანმა ადამიანებმა მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნეს და გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში. მეცნიერება კი, როგორც ცნობილია, ცივილიზებული კაცობრიობის ჩამოყალიბების საფუძველთა საფუძველია. ამიტომაც ჯერ კიდევ უხსოვარ დროში შექმნილ **ბიბლიურ წიგნებში** შექებულია **მეცნიერება, მეცნიერი, მეცნიერული საქმიანობა**. „ზირაქის წიგნში“ ნათქვამია: „იყავ მტკიცე მეცნიერებასა შინა შენსა და ერთი ოდენ იყოს სიტყვა შენი (ზირაქი, 5,12). „იგავთა წიგნი“ კი გვაგაღებულებს: „მეცნი-

ერება ეძიე ხმითა დიდითა და ვითარცა საუნჯეთა, გამოიკვლევედე მას“ (იგავთა წიგნი, 2,4).

1958 წლიდან მოყოლებული, დღემდე ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტში მოღვაწე მეცნიერ-მკვლევარები, მართლაც, „**ხმითა დიდითა**“ იკვლევდნენ და დღესაც იკვლევენ ჩვენი რეგიონის სინამდვილეში ხალხში შემონახულ მატერიალურ და სულიერ საუნჯეს, ქმნიან საინტერესო ნაშრომებს, წიგნებს, ამდიდრებენ ეროვნულ მეცნიერებას. თუ 1958 წელს 18 თანამშრომლით დაიწყო საქმიანობა ამ ინსტიტუტმა და მათ შორის მხოლოდ სამი იყო მეცნიერებათა კანდიდატი, 1970-1980-იან წლებში მათი რიცხვი 70-ზე მეტი იყო. სამწუხაროდ, მათი რიცხვი დღეს შემცირდა. დღეისათვის ინსტიტუტში მუშაობს 23 მეცნიერი თანამშრომელი, რომელთა შორის 7 მთავარი მეცნიერი თანამშრომელია, 10 – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 5 – მეცნიერი თანამშრომელი. მათგან ხუთი მეცნიერებათა დოქტორია, 13 – აკადემიური დოქტორი. ფუნქციონირებს სამი განყოფილება: 1. ეთნოლოგიის (განყოფილების უფროსი, მეცნიერებათა დოქტორი ნ. კახიძე); 2. ისტორიისა და არქეოლოგიის (განყოფილების უფროსი, მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი ბ. დიასამიძე); 3. ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება (განყოფილების უფროსი, მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი შ. ფუტყარაძე).

აღმოსავლური სიბრძნის თანახმად, **დიდი ადამიანები მოდიან, მაგრამ არ მიდიან**. იუბილარი ინსტიტუტის დღევანდელ კოლექტივს ვუსურვებ ახალ შემოქმედებით წარმატებებს, ისეთი ნაშრომების შექმნას, რომლებსაც მკითხველი არ მოაკლდება და მუდამ მოემსახურება ეროვნული ცნობიერების გაძლიერებას. ინსტიტუტის მეცნიერულ კოლექტივს კი გულწრფელად ვუსურვებ გაეზიარებინოთ ამ დიდი ადამიანების ბედი.

დღევანდელ საიუბილეო საზეიმო სხდომას ალამაზებენ დედაქალაქიდან ჩამობრძანებული ძვირფასი სტუმრები, რომლებიც არიან ჩვენი ეროვნული მეცნიერების გამოჩენილი და ღირსეული წარმომადგენლები. მათ მინდა მივმართო დიდი პატივისცემით და მადლობა მოვასხენო ბათუმში – საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქსა და ულამაზეს მხარეში – აჭარაში ჩამობრძანებისათვის.

თქვენ, ძვირფასო სტუმრებო, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ მეცნიერების, წიგნების ღვაწლი კაცობრიობის ისტორიაში. ცნობილია, რომ **ბრიტანეთის მუზეუმში** ინახება ძველი წელთაღრიცხვით 1300 წელს შესრულებული **ჩესტერ ბიტის პაპირუსი**, რომლის მოკლე ტექსტი განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურაში, რადგან აქ პირველადაა განდიდებული **მეცნიერის, მწერლის ღვაწლი**, პირველადაა საუბარი **ნაწერის**, როგორც **ხელთუქმნელი ძეგლის, თაობაზე**. აქ ნათქვამია: „საუკუნოდ უკვდავყოფილია სახელები მეცნიერთა, ბერძენ მწერალ-

თა. მათი ხსოვნა უკვდავია... ისინი ცოცხლობენ თავიანთ ნაწერებში და კაცობრიობის ხსოვნაში“.

ძვირფასო სტუმრებო, უფალმა გაჩუქოთ ჯანმრთელი, დღეგრძელი სიცოცხლე და შეგაძლებინოთ მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომებისა და ისეთი წიგნების შექმნა, რომლის შესახებაც მოგვითხრობს ჩესტერ ბიტის პაპირუსი. დიდი მადლობა ყველას დღევანდელ საიუბილეო სხდომაზე მობრძანებისა და მონაწილეობისათვის, ჩვენი საზეიმო განწყობილების გაზიარებისათვის.

ალიოზა ბაგურიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

როინ მაღაყმაძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
დირექტორი, ისტორიის დოქტორი

ნოდარ კახიძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ქართველოლოგიური მაცნეების მნიშვნელოვანი კერა (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავის ბამო)

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი არის სამართალმემკვიდრე ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა, რომელიც 1958 წელს დაარსდა. 2006 წლამდე ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაქვემდებარებაში იყო. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ისე, როგორც აკადემიის სისტემაში შემავალი სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხოლო 2011 წლიდან – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადავიდა, სადაც დღემდე ფუნქციონირებს.



ინსტიტუტის დაარსებით მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ჯერ აჭარის, შემდეგ კი მისი მომიჯნავე რეგიონების, მათ შორის, თურქეთის სახელ-

მწიფოს საზღვრებში (ართვინის ვილაიეთი) მოქცეული ძირძველი და მუჰაჯირი ქართველებით დასახლებული რაიონების გეგმაზომიერ, პრობლემურ მეცნიერულ შესწავლას. ინსტიტუტის განვლილი 55 წელი – ეს არის მისი სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის ჩამოყალიბების, მეცნიერთა კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების და ქართველოლოგიურ მეცნიერებათა პროფილის მიმართულებით მიღწეული წარმატებების წლები.

ინსტიტუტის დაარსებას წინ უსწრებდა ნაყოფიერი მოსამზადებელი მუშაობა. ყველაფერი ეს იმით დაიწყო, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში მაშინ მცირერიცხოვანმა აჭარის მეცნიერულმა ინტელიგენციამ პირველი რიგის ამოცანად დაისახა აჭარაში მეცნიერული საქმიანობის გაშლა და ამ მიზნით სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებების შექმნა ისურვა. ინტელიგენციის აზრს გამოხატავდა აჭარის მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელობა, პირადად მისი თავკაცი დავით მამულაძე, რომელმაც 1956 წლის გაზაფხულზე ამის შესახებ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას. აქედან გამომდინარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს დაევალა შეექმნა კომპეტენტური კომისია, რომელიც შეისწავლიდა აჭარაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნის შესაძლებლობასა და აუცილებლობას.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა საკითხის შესასწავლად 1956 წლის მაისში აჭარაში მოაგვლინა აკადემიკოსები – ნიკო ბერძენიშვილი და ანგია ბოჭორიშვილი. მოკლე დროში, ამავე წლის 2 ივნისს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში აკადემიის პრეზიდიუმიდან გაიგზავნა „განმარტებითი ბარათი“, რომელშიც ეწერა: „სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნა ბათუმში საჭიროცაა და შესაძლებელიც“. ბარათში შემდეგ ვკითხულობთ, რომ აჭარის ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ეკონომიკა საფუძვლიან მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს, მაგრამ იმის გამო, რომ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები გადატვირთულობის გამო თავის თავზე ვერ აიღებდნენ აჭარის აღნიშნული მეცნიერული პრობლემების შესწავლას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ადგილობრივი სამეცნიერო კადრების გადაუდებელი მომზადება და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა. საკითხი მალე დადებითად გადაწყდა.

1958 წლის 21 იანვარს საქართველოს მთავრობამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს დაავალა შეექმნა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ეთნოგრაფიის, ფოლკლორის და ეკონომიკის განყოფილებებით, ხოლო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მისი პრეზიდენტის, აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილისა და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს სერგი ღურმიშიძის ხელმოწერით (1958 წლის 23 იანვარი) დაადგინა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსება. ინსტიტუტის ღირებულების მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ასლან ინაიშვილი, რომე-

ლიც ინსტიტუტს 20 წელი ედგა სათავეში. იგი თავადაც იყო ერთ-ერთი ინიციატორი ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნისა.

სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ბინა დაიდო ნინოშვილის ქუჩის 23-ში მდებარე სახლში, რომელიც, სპეციალური დადგენილებით, მობინადრეებისაგან იქნა განთავისუფლებული სხვაგან ბინების გადაცემის ხარჯზე. ამ სახლში ფუნქციონირებდა ინსტიტუტი 2010 წლის ბოლომდე.

ალბათ, კარგი იქნებოდა ინსტიტუტის 55 წლისთავის იუბილეც იმ შენობაში გადაგვეხადა, სადაც იგი დაფუძნდა 1958 წელს და 53 წლის მანძილზე ფუნქციონირებდა. მაგრამ ასე არ მოხდა. 2011 წლიდან ინსტიტუტს აღნიშნული შენობა დაატოვებინეს და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადაიყვანეს, ადგილსამყოფელიც აქ მიუჩინეს. ამ ფაქტმა საგონებელში ჩააგდო ინსტიტუტის თანამშრომლები, რადგან ამის შესახებ მათ არაფერს ეკითხებოდნენ. იმხანად ზოგადად მეცნიერებაში შექმნილი ვითარება საჯაროდაც კარგად იყო ცნობილი – ე. წ. სამეცნიერო საქმიანობის რეორგანიზაციისა და ოპტიმიზაციის საფარქვეშ უქმდებოდა თუ მცირდებოდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები თავიანთი სამეცნიერო კადრებით, იყიდებოდა და სხვისდებოდა სამეცნიერო დაწესებულებათა შენობა-ნაგებობანი.

დაინტერესებულ საზოგადოებას აქვე გვინდა შევახსენოთ ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდი, როდესაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მათ შორის საქართველოშიც, კერძოდ კი ბათუმში სააკადემიო პროფილისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ყოფნა-არყოფნის საკითხიც საფრთხის ქვეშ იდგა. მაგრამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და თვით ინსტიტუტების კოლექტივების, აგრეთვე, ფართო საზოგადოებრიობის მკვეთრი პოზიციის, ძალისხმევისა და მხარდაჭერის შედეგად, ინსტიტუტები შენარჩუნებული იქნა.

ეს საფრთხე განმეორდა საქართველოში ნაციონალთა ხელისუფლების მმართველობის დროსაც. ინსტიტუტმა პირველად მასშტაბის საშუალებით გაიგო 2009 წლის ბოლოს, რომ განიხილებოდა საკითხი 2010 წლის იანვრიდან მისი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ. ვგრძნობდით, რომ ამას ინსტიტუტის შენობიდან ჩვენი გამოსახლება მოჰყვებოდა, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა 1958 წელს დაწყებულ სამეცნიერო საქმიანობას. ამ ფაქტს ინსტიტუტი გულისტკივილით გამოეხმაურა. აჭარის ხელმძღვანელობისაგან მოვითხოვდით, რომ თავად დაინტერესებულიყო და ეზრუნა იმისათვის, რომ აჭარაში, როგორც ავტონომიურ წარმონაქმნში, დამოუკიდებელი ფუნქციონირება არ შეეწყვიტა ინსტიტუტს, რომელმაც ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რეგიონის ყოველმხრივ მეცნიერულ შესწავლაში და თავის ადგილას დამოუკიდებლად დარჩენილიყო. ღია წერილითაც კი მივმართეთ მაშინდელ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, აჭარის ავტო-

ნომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს. წერილი დაიბეჭდა გაზეთ „24 საათში“ (2009, 17 ნოემბერი), რომელიც შემდეგ გადმობეჭდა გაზეთმა „აჭარამ“. ჩვენი თხოვნა-საჩივარი უშედეგო აღმოჩნდა. დასანანია, რომ ასეთივე ბედი გაიზიარეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში შემავალმა სხვა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა.

2011 წლის იანვრიდან, როგორც აღინიშნა, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადავიდა და ბინა დაიდო სტუდენტთა ყოფილი საერთო საცხოვრებლის ახლად გარემონტებულ შენობაში. რექტორატი, ადმინისტრაცია მხარდაჭერასა და დახმარებას არ აკლებენ ინსტიტუტს თავის ფუნქციონირებაში, მაგრამ, კარგი იქნებოდა, ამ სტატუსის ქვეშ ინსტიტუტი თავის ძველ შენობაში დარჩენილიყო, რაც უნივერსიტეტსაც შეუმსუბუქებდა მდგომარეობას სასწავლო და სამუშაო აუდიტორიების სიმცირის პირობებში. მოგვიანებით, 2012 წლის 3 თებერვალს, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ პირდაპირი მიყიდვის ფორმით ინსტიტუტის ეს შენობა საკუთრებაში გადასცა უცხოურ კომპანიას – „შპს Tam Geo“-ს.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 55 წლისთავი მისი რიგით მესამე წლისთავია, რომელიც საზეიმოდ აღინიშნა. ინსტიტუტმა პირველად 25 წლისთავი იხეიმა, რომელიც 1983 წლის 25 ნოემბერს ფართო წარმომადგენლობით ჩატარდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გაერთიანებული სხდომისა და სამეცნიერო სესიის სახით. სხდომა გახსნა და მას შესავალი სიტყვით მიმართა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ. სხდომას ესწრებოდნენ მეცნიერებათა აკადემიის სხვა წევრები, ასევე, აჭარის მთავრობის, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ეს წლისთავი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ მეცნიერების განვითარებისა და სამეცნიერო კადრების აღზრდაში დიდი წვლილისა და დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 17 თებერვლის ბრძანებულებით, ინსტიტუტი დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. ასეთივე სიგელებით დაჯილდოვდნენ: ინსტიტუტის დირექტორი დავით ხახუტაიშვილი, დირექტორის მოადგილე ვახტანგ შამილაძე, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის განყოფილებათა ხელმძღვანელები: ნოდარ კახიძე, ამირან კახიძე, ზურაბ თანდილაძე, მეცნიერი თანამშრომელი კონსტანტინე ღლონტი; აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 25 მარტის ბრძანებულებით, ინსტიტუტისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და მისი მეცნიერული მუშაობის ორგანიზაციის საქმეში გაწეული დამსახურებისათვის, აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ანდრია აფაქიძე, ავთანდილ გუნია, პაატა გუგუშვილი, შოთა ძიძიგური,

პროფესორები: ალექსი რობაქიძე, მიხეილ ჩიქოვანი, დოცენტები: დურსუნ დიასამიძე, დომენტი მოურავიძე. 25 წლისთავის აღნიშვნამდე, ადრე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1982 წლის 20 აპრილის დადგენილებით, ინსტიტუტს მიენიჭა აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელი. ასე დაფასდა ინსტიტუტის მიერ 25 წლის მანძილზე გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. მეორე, 50 წლისთავი ინსტიტუტისა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის სახით იმ შენობაში ჩატარდა, სადაც იგი დაფუძნდა. 50 წლისთავს მიეძღვნა ინსტიტუტის შრომების VI ტომი (2008), მეცნიერ თანამშრომელთა ნაშრომების ბიბლიოგრაფია (2008), ბუკლეტი „ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი“ (2008).

ინსტიტუტის წინა ორი და მესამე წლისთავები, მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ამსახველი ისტორიაა, რომელიც ავსებს და ამდიდრებს ქართული ეროვნული მეცნიერების ისტორიას ქართველოლოგიური მეცნიერების კვლევაში.

1958 წელს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტმა ფუნქციონირება დაიწყო 18 მეცნიერი თანამშრომლით, რომელთაგან მხოლოდ სამი იყო მეცნიერების ხარისხის მქონე კანდიდატი და არცერთი დოქტორი. 1983 წელს, ინსტიტუტის 25 წლისთავზე კი მეცნიერ თანამშრომელთა რიცხვი 45 იყო, 1970–1980-იან წლებში იგი 70 თანამშრომლით გაიზარდა, რომელიც შემდეგ თანდათანობით მცირდებოდა. 70 თანამშრომლიდან 42 ხარისხის მქონე იყო (მათ შორის, 15 მეცნიერებათა დოქტორი, 27 მეცნიერებათა კანდიდატი). ინსტიტუტს ჰყავდა ასპირანტები, ხარისხის მაძიებლები, პრაქტიკანტები და სტაჟორები.

შემდგომ წლებში, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ე. წ. რეორგანიზაციისა და ოპტიმიზაციის საფარქვეშ მოხდა სამეცნიერო კადრების შემცირება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, რაც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტსაც მტკივნეულად შეეხო. 2009–2010 წლებში, ე. ი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეერთებამდე, ინსტიტუტში იყო 45 მეცნიერი თანამშრომელი, შეერთების შემდეგ მათი რიცხვი 22-მდე შემცირდა, გაუქმდა ეკონომიკის განყოფილება, რამაც უარყოფითი დაღი დაასვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. მეცნიერ თანამშრომელთა ნაწილმა ინსტიტუტში დაბალი შრომითი ანაზღაურების გამო სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვა თანამდებობებზე მუშაობა არჩია. რაც მეტად სამწუხაროა, ინსტიტუტს ჩამოერთვა ის შენობა, რომელშიც იგი დაფუძნდა და ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ფუნქციონირებდა. ინსტიტუტმა ასევე დაკარგა საკუთრების უფლება ფიჭვნარისა და ბეშუმის საექსპედიციო ბაზებზე.

ინსტიტუტის არსებობის 55 წლის მანძილზე გაწეულ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას თუ შევაჯამებთ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ცვლილებებისა და სიძნელეების, მეცნიერ თანამშრომელთა შემცირების მიუხედავად, ინსტიტუტის საქმიანობა დამაკმაყოფილებელ

შედგებს იძლევა ყველა მიმართულებით. ამ ხნის მანძილზე ინსტიტუტი გადაიქცა ქართველოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძირითად კერად საქართველოში. განვლილ პერიოდში ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეისწავლეს აჭარისა და მისი მეზობელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეული რეგიონების არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ისტორიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის, სოციოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემები. კვლევის შედეგები შთამბეჭდავ სურათს იძლევა.

ეთნოგრაფიის (ეთნოლოგიის) მიმართულებით შესწავლილია აჭარისა და მისი მეზობელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების მოსახლეობის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა მახასიათებლები: მთური ტიპის მიწათმოქმედება ტერასული და სარწყავი მიწათმოქმედების ჩათვლით, აღპური მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მრავალდარგოვანი ხელოსნობა და შინამრეწველობა, დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხები, ეთნიკური და დემოგრაფიული პროცესები, ახალი ყოფის საკითხები. კვლევის შედეგები ნათლად ადასტურებს აჭარის მოსახლეობის უწყვეტ და აქტიურ მონაწილეობას საერთო ზოგადქართულ ეროვნულ კულტურულ-ისტორიულ ღირებულებათა შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესში, რომელსაც ღირსეული ადგილი უჭირავს ქართულ-კავკასიურ კულტურათა საგანძურში.

ეთნოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები 55 წლის მანძილზე გაშუქებულია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების: ალექსი რობაქიძის, ვახტანგ შამილაძის, ნოდარ კახიძის, ნუგზარ მგელაძის, თამაზ ფუტკარაძის, მზია ბექაიას, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატების: ნეჯათ ჩიჯავაძის, იზოლდა სამსონიას, ლევან კალანდარიშვილის, ნაილა ჩელებაძის, ჯემალ ვარშალომიძის, ჯემალ მიქელაძის, მაყვალა თავაძის, თემურ ტუნაძის, მეცნიერი თანამშრომლების: ვლადიმერ მგელაძის, ცისანა ჯოხიას, ლარისა დემუროვას, იური ბორიკის და სხვათა გამოკვლევებში, განყოფილების დარგობრივ კრებულებში („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა (I-XVII)“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები (I-III)“, ინსტიტუტის შრომებში (გამოიცა 9 ტომად).



ინსტიტუტის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გამოკვლევები მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა-განვითარების, ანტიკურ სამყაროსთან კოლხეთის ურთიერთობისა და კოლხური ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ისტორიაში მიხნეულია ქართულ-კავკასიური არქეოლოგიის მნიშვნელოვან შენაძენად. ამას ადასტურებს ფიჭვნარ-ქობულეთის, პეტრაციხისძირისა და გონიო-აფსაროსის ძეგლებზე ჩატარებული კვლევა-ძიების საყურადღებო მონაცემები. აჭარის ტერიტორიაზე (ჭოროხისა და ჩოლოქოჩხამურის აუზები) გამოვლენილი ლითონის დამუშავების კერები კავკასიურ-წინააზიური ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის წამყვან ცენტრებს წარმოადგენდა.

ამითაც აიხსნება უცხოელ, მათ შორის, ოქსფორდის უნივერსიტეტის, მეცნიერთა დაინტერესება ამ ძეგლების შესწავლით, რაც, ნაწილობრივ, მათი დაფინანსებით განხორციელდა.

წარმატებებია მოპოვებული ძველი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების, დიუნური დასახლების, აჭარისწყლის ხეობის ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლების, ისტორიული გეოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის საკითხების კვლევაში.

არქეოლოგიური კვლევის შედეგები ასახულია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების: დავით ხახუტაიშვილის, ამირან კახიძის, ბიჭიკო რამიშვილის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატების: ნინელი ვაშაკიძის, ნინო ინაიშვილის, სერგო გოგიტიძის, ნანა ხახუტაიშვილის, ირაკლი ჩავლეიშვილის, გიორგი თავამაიშვილის, მაია ჭიჭილეიშვილის, ირინე ვარშალომიძის და სხვათა ნაშრომებში, კრებულებში („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, I-XXVII), სხვა გამოცემებში.

ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების ხაზით შესწავლილია შრომის პოეზია, საწესჩვეულებო და საისტორიო სიტყვიერება, მუსიკალური ფოლკლორის ძირითადი ჟანრები, ლირიკული პოეზია, ლაზური სიტყვიერების ჟანრები, გაბაასება-გაშაირების ტრადიციები, ხალხური დრამის საკითხები, პროზაული ჟანრები, ონომასტიკა, თქმულება-

გადმოცემები, აჭარული კილოს თავისებურებანი, ზღაპრულ-მითოლოგიური პერსონაჟები, თანამედროვე ხალხური პოეზია.

დიდ შეფასებას იმსახურებს აჭარის მუსიკალური ფოლკლორის დღემდე უცნობი თუ ნაკლებად ცნობილი ნიმუშები, მათ შორის, მრავალხმიანი სიმღერები, რომლებიც შუქს ჰფენს ქართული პოლიფონიური მუსიკის ორიგინალურ ხასიათს, მკვიდრ ადგილს რომ იმკვიდრებს მსოფლიოს ხალხთა მუსიკალურ კულტურაში. პირველ რიგში, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს განყოფილების მიერ მუსიკალურ ფოლკლორში ჩატარებული მუშაობა. 1958–1966 წლებში რამდენიმე სპეციალური ექსპედიცია მიემდგვნა მუსიკალური ფოლკლორის მასალების შეკრებას. საგულისხმოა, რომ აჭარაში გავრცელებული ნადური (ყანური) სიმღერები ქართული მუსიკალური კულტურის უძველეს საფეხურებს განეკუთვნება. აქაური სიმღერების უმეტესობა ოთხხმიანია, ისინი ქართული მუსიკის უმნიშვნელოვანეს მონაპოვარსა და მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური კულტურის უნიკალურ ნიმუშებს წარმოადგენს.

ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევის შედეგები დახასიათებულია დოცენტ ჯემალ ნოღაიდელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორების: ზურაბ თანდილაგას, მიხეილ ქამადაძის, თინა შიოშვილის, შუშანა ფუტკარაძის, დოცენტ ჯემალ ნოღაიდელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატების: აზიზ ახვლედიანის, ნელი ცქიტიშვილის, ნარგიზ სურმაგას, ნარგიზ ახვლედიანის, მარინე გიორგაძის, ჯემალ ჯაყელის, მეცნიერი თანამშრომლების: ნანული ნოღაიდელის, ეთერ ზოიძის, ციალა ნარაკიძის, მიხეილ ფარტენაძის და სხვათა ნაშრომებში, დარგობრივ კრებულებში („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“ (I-XIII), „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“ (I-XI), სხვა გამოცემებში.

აჭარის ეკონომიკური პრობლემების მეცნიერულად შესწავლა ინსტიტუტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იყო დასახული, რომელსაც მოგვიანებით დაემატა სოციოლოგიური საკითხების კვლევა. კვლევა-ძიება წარმართული იყო მრეწველობისა და მშენებლობის სოფლის მეურნეობის დარგების შესასწავლად. ეკონომისტებმა აჭარის მაგალითზე შეისწავლეს მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მევენახეობა-მეხილეობის, მებოსტნეობის განვითარებისა და ამ დარგებში მოსავლიანობისა და რენტაბელობის გადიდების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების, აჭარის ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ფორმირების პრობლემები და სხვა საკითხები. პირველად ინსტიტუტში დამუშავდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საშენი მასალებისა და კონსტრუქციების წარმოების განვითარების წინადადება-რეკომენდაციები ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე.

აჭარის ეკონომიკური კვლევა-ძიების პრობლემები ასახულია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატების კასიანე ბაბილოძის, თამაზ მიქელაიშვილის, დომენტი მოურავიძის, ჟანი მიქაშავიძის, ბესიკ ბოლქვაძის, ას-

ლან მახადის, მეცნიერი თანამშრომლების – კოტე ღლონცის, ლამარა მიქელაიშვილის, შუქრი ართმელაძის, ნოდარ ვერულიძის, ნინო ჩუბინიძის, ომარ ჯიჯავაძის და სხვათა გამოკვლევებში, ეკონომიკურ დარგობრივ კრებულებში.

1969 წლიდან ინსტიტუტში დაიწყო სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარება. 1975 წელს კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ჯგუფიც ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით. 1979 წელს ჯგუფი ეკონომიკის განყოფილებას შეუერთდა. ამ მიმართულებით შესწავლილია აჭარის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, ეროვნული თვითშეგნების განვითარების, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების, აგრეთვე განწყობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები.

კვლევის შედეგები ასახულია ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის გურამ ჩაგანავას, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატების ნუგზარ ჩხაიძის, გიორგი მასალკინის, მეცნიერი თანამშრომლების რომან აბუსერდიძის, ნოდარ ვერულიძის, იმედო მუხაშავერიასა და სხვათა ნაშრომებში.

1986 წლიდან ფუნქციონირებს ინსტიტუტში ისტორიის განყოფილება, რომელიც 2011 წელს არქეოლოგიის განყოფილებასთან ერთად გაერთიანდა და იწოდება ისტორია-არქეოლოგიის განყოფილებად. არქეოლოგიური კვლევის ძირითად შედეგებზე ზემოთ ვისაუბრეთ. ისტორიული კვლევა-ძიების მიმართულებით შესწავლილია აჭარის ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ძვ. I ათასწლეულის სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ადრეული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ბერძნული და რომაული კოლონიზაციის საკითხები, საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება, ტბელ აბუსერდიძის ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურა, ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ვითარება, 1877–1878 წლების რუსეთ-თურქეთის და პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული აჭარის ისტორიის ცალკეული ეტაპები, ბათუმის საბაჟოსა და პორტო-ფრანკოს ისტორია, 1921–1990-იან წლებში განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები სახალხო მეურნეობის დარგებში, აჭარის ავტონომიის პრობლემები და ა. შ.

კვლევის შედეგები დახასიათებულია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების: აბელ სურგულაძის, ბიჭიკო დიასამიძის, მაღხაზ სიორიძის, ოთარ თურმანიძის, მეცნიერებათა კანდიდატების: სიმონ გოგიტიძის, ნანა ხახუტაიშვილის, უჩა ოქროპირიძის, ოლეგ ჯიბაშვილის ნაშრომებში, განყოფილების დარგობრივ კრებულებში, სხვა გამოცემებში.

ჩამოთვლილ პრობლემებზე განვლილ პერიოდში სულ გამოქვეყნებულია 2300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 80-ზე მეტი მონოგრაფია, 90-ზე მეტი 8 დასახელების დარგობრივი კრებული. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო 2008 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა მიხედ-

ვით, ინსტიტუტმა მეორე ადგილი დაიკავა აკადემიის სისტემაში შემავალ ყოფილ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის. ნაშრომების ნაწილი გამოცემულია ქართულ და უცხოურ (რუსულ, ინგლისურ, თურქულ) ენებზე. ნაშრომებმა ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის დარგებში სპეციალისტთა ფართო აღიარება და მოწონება დაიმსახურა საქართველოს საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. ყოფილ საკავშირო გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის კომიტეტის 1978 წლის 4 მაისის საერთაშორისო ინსტიტუტში გამოცემულ კრებულებს მიენიჭა საერთაშორისო სტანდარტის ნომერი. ისინი შეტანილია ოქსფორდის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ გამოცემაში.

აღსანიშნავია ის სამეცნიერო გამოცემები, რომლებიც ბოლო წლებში შესრულდა და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობაში.

პირველია „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ აჭარის ოთხტომეულის მომზადება და გამოცემა, რაც ინსტიტუტის მრავალწლიანი მეცნიერული მუშაობის შედეგია. აჭარის ოთხტომეულში, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი ხანიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე, შესულია როგორც ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა, ისე თბილისისა და ბათუმში მომუშავე სხვა მეცნიერთა ნაშრომებიც. მთელი სიმძიმე ოთხტომეულის მომზადებასა და გამოცემაზე ინსტიტუტმა იტვირთა და მაღალ მეცნიერულ დონეზე განხორციელდა. მასზე მუშაობა დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში და დასრულდა 2012 წელს.

ოთხტომეულმა მაღალი მეცნიერული შეფასება დაიმსახურა პრეზენტაციებზე, რომლებიც გაიმართა ბათუმსა და თბილისში (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი). შეხვედრებზე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ ოთხტომეული წარდგენილი იქნეს საქართველოს სახელმწიფო პრემიაზე. ამის შესახებ პირველი განცხადება გააკეთა ფილოსოფიის მეცნ. დოქტორმა, პროფესორმა მიხეილ მახარაძემ მეორე ტომის განხილვისას, რომელიც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში შედგა 2009 წელს. შემდეგ ასეთივე განცხადება გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ ნარკვევების II-III-IV ტომების პრეზენტაციებზე, რომლებიც ჩატარდა საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

მეორეა მრავალტომეულის ოთხი ტომი – „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, რომელსაც საფუძვლად უდევს ამავე სახელწოდებით ინსტიტუტში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალები. მრავალტომეულის მომზადება-გამოცემას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილება (უფროსი, პროფესო-

რი ბიჭიკო დიასამიძე). ბათუმის წარსულისა და თანამედროვეობის საკითხებზე ჩატარებულმა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციებმა, როგორც მის მონაწილეთა შეფასებებიდან ჩანს, ბათუმი აქცია სხვადასხვა დარგის ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შეკრების ქალაქად. ბათუმი სხვა მეცნიერული ფორუმების შესხვედრების ქალაქიც არის და ამ საქმეში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მისი ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის წვლილი ძალზე დიდია.

მესამეა ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილებაში (უფროსი – პროფესორი შუშანა ფუტკარაძე) მომზადებული და 2013 წელს გამოცემული წიგნი „აჭარული საუნჯე, I“. იგი შეიცავს იმ საექსპედიციო მასალებს, რომლებიც აჭარაშია შეკრებილი 1958 წელს. უკვე სამჯერ ჩატარდა ამ გახმაურებული წიგნის პრეზენტაცია ხულოში, სხალთა-ხიხაძიშში, შუახევში, რამაც პირველ რიგში ისინი გაახარა, რომელთა მამები, პაპები და ბებიები „საუნჯეში“ შესული ზღაპრების, ლეგენდების, ლექსების, ანდაზებისა და გამოცანების ავტორ-მთქმელები არიან. გამოსაცემად მზადდება „აჭარული საუნჯის“ მეორე ტომი. მუშაობა გაგრძელდება საუნჯის მომდევნო წიგნების გამოცემაზე.

სპეციალისტთა სამეცნიერო წრეებში ფართო გამოსხმარება ჰპოვა პროფესორ შუშანა ფუტკარაძის წიგნმა „სტამბოლის ქართული სავანე“, რომელიც გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა ქართულ და თურქულ ენებზე (თბილისი, 2012). მასში მოთხრობილია სავანეში დაცულ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაზე, რომლის დაცვასა და შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა გამოჩენილმა მოღვაწემ, ცნობილმა ქველმოქმედმა, სავანის დიდმა ქომაგმა სიმონ ზაზაძემ. წიგნის ავტორმა თავადაც დიდი შრომა და ენერგია შეაღწია სავანის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, რომელსაც მკითხველი მალე იხილავს.

2011–2013 წლებში ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ მომზადდა და გამოიცა სხვა ისეთი საყურადღებო მონოგრაფიებიც როგორიცაა: სიმონ გოგიტიძის „ფარნავაზი და არიან-ქართლის ლოკალიზაცია“ (2011), „დიდაჭარა I-II საუკუნეებში“ (2013), ოთარ თურმანიძის „აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921–1940)“ (2012), ნოდარ კახიძის „ეტრატზე ამეტყველებული ისტორია (ტბეთის სულთა მატთანე (XII–XIII საუკუნეები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლის წყარო“ (2013), უჩა ოქროპირიძის „აჭარის ავტონომიის შექმნა“ (2011), უჩა ოქროპირიძისა და ოლეგ ჯიბაშვილის ერთობლივი „ფოტოალბომი“ (2013), გიორგი თავამაიშვილის „ძველი სადგომები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასებზე“ (2012), ნარგიზ ახვლედიანის „ახვლედიანნი აჭარაში“ (2012), ნანული ნოღაიდელის „ლექსიკური ძიებანი აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკის მიხედვით“ (2013). გამოსაცემად მომზადდა „აჭარა. ტურისტულ-მხარეთ-

მცოდნეობითი რესურსები“ (დამხმარე სახელმძღვანელო ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის).

ეს გამოცემები, სხვა ბეჭდურ პროდუქციასთან ერთად, ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საფუძვლად უდევს მდიდარი საარქივო და წერილობითი წყაროები, ძირითადად, სამეცნიერო-საექსპედიციო და მივლინებების პერიოდში მოპოვებული მასალები. განვლილ პერიოდში ინსტიტუტმა ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მიმართულებით ჩაატარა 120-მდე ექსპედიცია როგორც აჭარაში, ისე მეზობელ და სხვა რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, იმერეთი, ქართლი, კახეთი, ფშავ-ხევსურეთი), თურქეთის რესპუბლიკაში (ართვინის ვილაიეთი) მცხოვრებ ძირძველი და მუჰაჯირი ქართველებით დასახლებულ რაიონებში. მეტად სასარგებლო აღმოჩნდა ინსტიტუტის კომპლექსური ექსპედიცია ეთნოლოგთა, ფოლკლორისტთა, ისტორიკოსთა და არქეოლოგთა მონაწილეობით შავშეთ-იმერხევში, რომელიც 2013 წლის ზაფხულში გაიმართა. 2010 წლის ზაფხულში ეთნოგრაფიული ექსპედიცია ჩატარდა ორად გაყოფილი მაჭახლის ხეობის ზედა ნაწილში – ზედა მაჭახელში, რომელიც ართვინის ვილაიეთის ბორჩხის ილჩეში შედის.

1958-2013 წლებში ინსტიტუტის მიერ ჩატარებული საექსპედიციო მასალები, რომლებიც განყოფილებათა ფონდებში ინახება, ფასდაუდებელი საუნჯეა. დიდია მისი მეცნიერული ღირებულება. ამ მასალების გამოყენებით დაიწერა დისერტაციები, სტატიები, წერილები, საკონფერენციო თემები. შექმნილია ამ მასალების დიდი ნაწილის კომპიუტერულ მონაცემთა ბაზა, რაც მათი მუდმივი და ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში შენახვის გარანტიაცაა. ბაზინებზე ჩაწერილია ექსპედიციებში მოპოვებული უნიკალური ხალხური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები და ისინი ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

ინსტიტუტი სისტემატურად მართავდა ან მასპინძლობდა სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებს, მონაწილეობდა სხვადასხვა სახის რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მონაწილეობა განსაკუთრებით აღსანიშნავია 2001-2007 წლების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებიც ჩატარდა ნალჩიკში (2001), თბილისში (2002, 2007), ერევანში (2003), ბათუმში (2006-2007), მახაჩკალაში (2007).

ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში შედეგად მოჰყვა მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტების დამყარება როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერებთან. ასეთი კონტაქტები მომავალშიც გაგრძელდება, რაც უფრო ფართო მასშტაბით წარმოაჩენს ჩვენს სამეცნიერო საქმიანობას.

ინსტიტუტის არსებობის 55 წლისთავის მანძილზე მის სამეცნიერო საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს სა-

მეცნიერო კადრების მომზადება, რომელიც ხორციელდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის როგორც მიზნობრივი, ისე დაუსწრებელი ასპირანტურის გზით. რამდენიმე მეცნიერმა თანამშრომელმა სტაჟირება და მომზადება გაიარა მოსკოვის შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებში. სულ დაცულია 11 სადოქტორო და 38 საკანდიდატო თუ აკადემიური დოქტორის მოსაპოვებელი დისერტაცია. მათ შორის, ეთნოლოგიის ხაზით – 4 სადოქტორო და 13 საკანდიდატო, ისტორია-არქეოლოგიის ხაზით – 2 სადოქტორო და 13 საკანდიდატო, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის ხაზით – 3 სადოქტორო და 8 საკანდიდატო, ეკონომიკისა და სოციოლოგიის ხაზით – 1 სადოქტორო და 5 საკანდიდატო დისერტაცია. ინსტიტუტის დაარსების დროისათვის კი, როგორც აღინიშნა, ხარისხის მქონე მეცნიერების მხოლოდ 3 კანდიდატი იყო. ეს უდავოდ დიდი მიღწევაა.

აქვე დიდი მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ყველა ის მეცნიერი ხელმძღვანელი და სამეცნიერო დაწესებულება, ვისთანაც და სადაც ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა სამეცნიერო კვალიფიკაცია აიმაღლეს, მეცნიერებათა კანდიდატისა თუ დოქტორის ხარისხი დაიმსახურეს. ამ მხრივ ინსტიტუტს ფასდაუდებელი მხარდაჭერა და დახმარება გაუწიეს ივანე ჯავახიშვილის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ეკონომიკის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის, ენათმეცნიერების ინსტიტუტებმა, რომლებიც მოთავე ინსტიტუტებად ითვლებოდნენ. საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ აკადემიკოსები: ნიკოლოზ ბერძენიშვილი, გიორგი მელიქიშვილი, სერგი დურმიშიძე, ანდრია აფაქიძე, გიორგი ჯიბლაძე, გიორგი ჩიტაია, პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია, შოთა ძიძიგური, პროფესორები: ალექსი რობაქიძე, მიხეილ გეგეშიძე, მიხეილ ჩიქოვანი, თეიმურაზ მიქელაძე, ოთარ ღორთქიფანიძე და სხვები, რომელთა დახმარებამ დიდი როლი ითამაშა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმატებულ სამეცნიერო საქმიანობაში, მისი მეცნიერული კადრების მომზადებაში. ძალზე დიდი იყო საერთოდ ის დახმარება, რასაც ინსტიტუტს უწევდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, პირადად მისი პრეზიდენტები ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, ალბერტ თავხელიძე, თამაზ გამყრელიძე, აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება. ისინი ყოველთვის ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობას, გულისყურით ეკიდებოდნენ მის თხოვნას სამეცნიერო კადრების ზრდისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში.

ინსტიტუტის ამ სამეცნიერო წარმატებებში დიდია მისი ხელმძღვანელების (დირექტორების), განსაკუთრებით, ასლან ინაიშვილისა და დავით ხახუტაიშვილის დამსახურება. ასლან ინაიშვილი ინსტიტუტს, როგორც ითქვა, დაარსებიდან ოცი წლის განმავლობაში ედგა სათავეში. 21 წლის განმავლობაში განაგებდა ინსტიტუტს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

წევრ-კორესპონდენტი დავით ხახუტაიშვილი. შემდეგ წლებში (1999–2004) ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას ასრულებდნენ პროფესორები გურამ ჩაგანავა (1999 წლის აპრილი-დეკემბერი), იური ბიბილეიშვილი (1999–2004), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვახტანგ შამილაძე (2004), 2006 წლის მაისიდან ინსტიტუტის დირექტორია ისტორიის აკადემიური დოქტორი როინ მაღაყმაძე.

ინსტიტუტი მადლიერია ზოგადად იმ ქართული მეცნიერული ინტელექტუალური, გამოჩენილი ქართველი მეცნიერებისა, რომელთა მხარდაჭერა არ აკლდა და რომელთა მიერ შემოწირულმა წიგნებმა დიდად გაამდიდრა ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მეცნიერების სხვადასხვა დარგში იშვიათი გამოცემებით. ინსტიტუტს წინა წლებში საჭირო ფინანსური შესაძლებლობაც გააჩნდა წიგნების შესაძენად. ამჟამად ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ოცი ათასზე მეტი ერთეულისაგან შედგება. რამდენიმე ათასი წიგნი ინსტიტუტში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადაეცა.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, თავისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კვლავაც ნაყოფიერად გააგრძელებს მუშაობას აჭარისა და მისი მეზობელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების კომპლექსური მეცნიერული შესწავლისათვის. ინსტიტუტმა თავის სადღეისო ამოცანად დაისახა აჭარის ცალკეული რაიონების (მუნიციპალიტეტების) მონოგრაფიული შესწავლა. იგი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ჩვენი ვალია არ შევანელოთ მუშაობა იმ ცვლილებების მეცნიერული შესწავლისათვის, რაც დღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სინამდვილეში ხდება.

ჯერ კიდევ ინსტიტუტის დაარსების დღიდან იყო ცდები აჭარის იმ მეზობელი კუთხეების მეცნიერული შესწავლისათვის, რომლებიც დღეს თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია მოქცეული და შემთხვევით როდი იქნა შერჩეული საკვლევი პრობლემა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაგალითზე. ამ მიმართულებით, როგორც აღინიშნა, გარკვეული მეცნიერული მუშაობა ჩატარდა, მაგრამ საკმარისი არ არის. ჭოროხის ხეობის და ლაზეთის, თურქეთში მცხოვრები ძირძველი და მუჰაჯირი მოსახლეობის პრობლემური, კომპლექსური და ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის და დიალექტოლოგიური კვლევის მიმართულებით კვლავაც გაგრძელდება. ალბათ, ჩანაფიქრი განხორციელდება და დაიწერება სრულყოფილი მეცნიერული გამოკვლევები ნარკვევების სახით ჭოროხის ხეობასა და ლაზეთზე. ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, სხვა უახლოეს ამოცანებს შორის, რომელიც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტმა უნდა გადაწყვიტოს. საამისოდ საჭირო იქნება მისი თანამედროვე აპარატურით აღჭურვა,

ახალგაზრდა, მეცნიერულად გაწაფული და კვალიფიციური კადრებით შევსება.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს, რათა წარმატებით გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ამოცანები.

დასასრულ, ინსტიტუტის კოლექტივის სახელით, ერთხელ კიდევ დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ ყველას, ვინც დახმარების ხელს გვიწვდიდა ინსტიტუტის შექმნისა და მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ვინც წყვეტდა ინსტიტუტის საკადრო და მატერიალური უზრუნველყოფის პრობლემას. მადლობა უნდა გადავუხადოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, იმ დაინტერესებისა და მხარდაჭერისათვის, რასაც იჩენენ ინსტიტუტის სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტაში.

ნოდარ კახიძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის
განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ეთნოლოგიური კვლევა-ძიება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში (ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავის ბაზო)

განყოფილება ინსტიტუტის დაარსების წლიდან (1958) ფუნქციონირებს. 2006 წლამდე მას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის



ეთნოგრაფიის განყოფილება ეწოდებოდა, 2006–2010 წლებში ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილება, ხოლო 2011 წლიდან, როდესაც იგი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა, მას ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება ეწოდა.

განყოფილებაში დღეისათვის შეიძლება მეცნიერი თანამშრომელი ითვლება, რო-

მელთაგან ხუთი ეთნოლოგია (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ კახიძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომლები, ისტორიის აკადემიური დოქტორები: ჯემალ ვარშალომიძე, ნაილა ჩელებაძე, თამილა ლომთათიძე, რუსლან ბარამიძე), ორი სოციოლოგი (ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნუგზარ ჩხაიძე, მეცნიერი თანამშრომელი კონსტანტინე დლონტი).

სხვადასხვა წლებში განყოფილებაში მუშაობდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: ალექსი რობაქიძე (1958–1979) (განყოფილების გამგე), ვახტანგ შამილაძე (1964–2010), აბელ სურგულაძე (1960–1966), ნუგზარ მგელაძე (1980–2006), თამაზ ფუტყარაძე (2007–2010), მზია ბეჭაია (1960–1967), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები: ნეჯათ ჩიჯავაძე (1959–1980), იზოლდა სამსონია (1965–2005), ლევან კალანდარიშვილი (1965–2002), ჯემალ მიქელაძე (1970–2010), მაყვალა თავაძე (1974–1995), თემურ ტუნაძე (2005–2006), მეცნიერი თანამშრომლები: ვლადიმერ მგელაძე (1960–1966), ცისანა ჯოხია (1980–1995), ლარისა დემუროვა (1976–1995), პი-

რიმზე რურუა, იური ბორიკი (1983–1986), ლაბორანტები: ნანა ბაჯელიძე (1980–1995), დალი კახიძე (1995–1996), ლელა კახიძე (1997–1999).

განყოფილების დაარსების დღიდან ძირითად ამოცანად დაისახა აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების პრობლემური, მიზნობრივი შესწავლა, რაც მანამდე ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა.

ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების პირველ ათწლეულში (1958–1968) შეისწავლებოდა აჭარის ტრადიციული და თანამედროვე ყოფისა და კულტურის საკითხები, რაც იმ პერიოდისათვის საქართველოს ეთნოგრაფიულ (ეთნოლოგიურ) კვლევა-ძიებაში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა. შესაბამისად დამუშავდა ორი პრობლემური თემა: „დასახლების ფორმები აჭარაში“ და „აჭარის სოფელი ძველად და ახლა“. შემდგომ ათწლეულში (1969–1979) ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება გაფართოვდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით და შეისწავლებოდა აჭარის მომიჯნავე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და სხვა რეგიონების ყოფისა და კულტურის უმთავრესი საკითხები. შემდგომი წლებიდან კვლევაც გრძელდებოდა მუშაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურული და დემოგრაფიული პრობლემების შესასწავლად, რომელიც 1980 წლიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება. აჭარის ეთნოლოგიის სხვადასხვა ასპექტით შესწავლას კვლევაც წამყვანი ადგილი უჭირავს.

ამ პრობლემების მიხედვით შესწავლილია აჭარის სოფლის მოსახლეობის გვარობრივი შემადგენლობა, დასახლების უძველესი და მომდევნო ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი (ალ.რობაქიძე, ვ.შამილაძე, ვ.მგებლაძე, ჯ.მიქელაძე). სუბალპური და ალპური დასახლებების ზონაში დადგინდა საცხოვრებელ ნაგებობათა ორი ტიპი: ძირითადი, ანუ ერთსართულიანი ჯარგვალური და ორსართულიანი, ანუ ზედშედგმული ჯარგვალური სახლები, რომლებიც ადრე დამახასიათებელი ყოფილა სოფლური დასახლებებისათვისაც. ჯარგვალური სახლებიდან განვითარდა აჭარული ერთ და ორ-სამსართულიანი ფიცრული სახლები. საცხოვრებელი სახლის განსხვავებულ ტიპს ქმნის ლაზური სახლები.

საფუძვლიანადაა შესწავლილი აჭარის მთური ტიპის მიწათმოქმედება (ნ.ჩიჯავაძე), აჭარის ალპური მესაქონლეობა, საქართველოს მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ვ.შამილაძე), მეფუტკრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა, ხელოსნობის ტრადიციები აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით (ნ.კახიძე), სამიწათმოქმედო იარაღები, სახელოსნო იარაღ-ხელსაწყოები (ნ.ჩიჯავაძე, ნ.კახიძე). ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ერთ-ერთ მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს აჭარული ოჯახისა და საოჯახო ყოფის, ნათესაური, საზოგადოებრივი და საქორწინო ურთიერთობების (ვ.მგებლაძე, მ.ბექაია, ნ.მგებლაძე), აჭარელი ქალის სტატუსის, მისი საზოგადოებრივი და ქონებრივ-უფლებრივი ნორმების (ნ.ჩელვაძე) შესწავლა. შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ ოსმალთა სამსაუკუნო-

ვანმა ბატონობამ აჭარაში თავისი მუსლიმანური კანონმდებლობით გარკვეული დიდი დაასვა საოჯახო და საზოგადოებრივ ყოფით ურთიერთობას, განსაკუთრებით კი აჭარელი ქალის საზოგადოებრივ და უფლებრივ მდგომარეობას. მაგრამ აჭარულმა ოჯახმა, აჭარის მოსახლეობამ ამ მიმე განსაცდელის პერიოდში, როდესაც მას ეროვნული გადაგვარების საფრთხეც ემუქრებოდა, შეინარჩუნა ყოფისა და კულტურის თვითმყოფადი ელემენტები – ქართული ენა, ქართული ზნე-ჩვეულებები. ამაში დიდი როლი სწორედ აჭარელმა ქალმა ითამაშა.

მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგებია მოპოვებული მატერიალური და სულიერი კულტურის ისეთი საკითხების კვლევაში, როგორიცაა ხალხური ორნამენტი აჭარაში (ჯ.ვარშალომიძე), ტრადიციული კერა და მისი ელემენტები გურიასა და აჭარაში (ჯ.ვარშალომიძე, თ.ტუნაძე), ხალხური ტრანსპორტი (ნ.კახიძე), ტანსაცმელი და ხალხური კულინარია (ი.სამსონია), ხალხური დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები (ვ. შამილაძე, ნ. კახიძე, ნ. ჩეღებაძე, თ. ლომთათიძე).

XX საუკუნის 80–90-იან წლებში განყოფილების სამეცნიერო საქმიანობის მთავარ თემად დაისახა აჭარაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა (ბერძნები, აფხაზები, აისორები, სომხები, რუსები, ქართველი და რუსი ებრაელები) ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში შესწავლა (ლ.დუმუროვა, თ.აჩუგა, ი.ბორიკი, მ.თაყაძე, მ.ლორია). საქართველოს ისტორიკოსთა ბორჯომის შეხვედრების პროგრამის ფარგლებში, რომლებიც XX საუკუნის 70-იან წლებში იმართებოდა, შესწავლილია ქართულ-აფხაზური პარალელები მესაქონლეობაში, ხელოსნობასა და ხალხურ ორნამენტში (ვ. შამილაძე, ნ.კახიძე, ჯ.ვარშალომიძე).

დასახელებული პრობლემების ეთნოლოგიურმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ აჭარაში არ არის ყოფისა და კულტურის არც ერთი სფერო, რომლის შესწავლა არ გვაძლევდეს დამაჯერებელ საბუთს ამ კუთხის აქტიური და უწყვეტი მონაწილეობის შესახებ საერთოდ ქართველი ხალხის სამეურნეო, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების განვითარების საერთო პროცესში.

1. ასეთია აჭარის მთური ტიპის ტერასული მიწათმოქმედება, რომელიც ხალხური ტექნიკის განვითარების დონით, მრავალფეროვნებითა და ეკონომიკური ეფექტურობით საქართველოს არცერთ კუთხეს ტოლს არ დაუდებს.

2. ასეთია აჭარის ალპური ტიპის მესაქონლეობა, რომელიც კუთხის გეოგრაფიული პირობების შესაბამისად და თავისი ფორმების დახვეწილობით პრაქტიკულად ყველაზე ოპტიმალური ფორმა აღმოჩნდა. აჭარის ალპურ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას, რომელიც სიმბიოზური ფორმით ვითარდებოდა, გამორჩეული ადგილი უჭირავს საერთოდ ალპური მეურნეობის ისტორიაში ქართულ-კავკასიური მასშტაბით.

3. ასეთია აჭარის მევენახეობა-მეღვინეობა მაღლარი ვახის ჯიშების სიმრავლით, კლდეში ნაკვეთი და კლდეზე მიშენებული, ასევე დახურუ-

ლი ტიპის მარან-საწნახლებით, მიწაში უხვად ჩამარხული სხვადასხვა ტევადობისა და ფორმის ქვევრებით.

4. ასეთია აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები: ციხე-კოშკები, ქვის თაღიანი ხიდები, რომელთა სიმრავლითაც რეგიონი გამოირჩეულია.

5. ასეთია ხელოსნობა, რომლის ცალკეულმა დარგებმა (ხით ხურობა, შალის ქსოვილების დამზადება, ცეცხლსასროლი იარაღების – თოფისა და დამბახის დამზადება მაჭახელას სახელწოდებით) საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაითქვა სახელი.

6. ასეთია ხის სახლებსა თუ საკულტო ნაგებობებზე, ქვის ბუხრებზე გამოსახული ხალხური ორნამენტი (მცენარეული, გეომეტრიული, ასტრალური თუ ზომორფული, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ვაზისა თუ ჯვრის სახეებით). ვაზისა და ჯვრის გამოსახულება დასახელებულ ნაგებობათა და საგნების ორნამენტზე, რომელთა ნაწილი შექმნილია ოსმალთა ბატონობის პერიოდში, განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტია და მიჩნეულია ქართველობისათვის (ქრისტიანობისათვის) აჭარელთა პასიური ბრძოლის გამოსატყულებად.

7. ასეთია აჭარელი ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი, რომლებმაც ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში გაუძლო უცხო ელემენტებისა და ტერმინოლოგიის მომძლავრებას და მტკიცედ შეინარჩუნა ქართული ეროვნული სახე და ნიშნები.

8. ბოლოს, ასეთია აჭარული და ლაზური ტიპის საცხოვრებელი სახლი, ფაცხა-სახლიდან, ძირითადი და ზედშედგმული ჯარგვალიდან – თანამედროვე ოდა-სახლის ტიპის ჩათვლით, რომლის ცალკეული ელემენტები მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ხის საცხოვრებელი სახლის გენეზისისა და განვითარების საკითხების შესასწავლად.

XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე კვლევის სფეროში მოექცა ქალაქ ბათუმისა და მისი შემოგარენის ქართველი მოსახლეების ყოფისა და კულტურის საკითხები (ი. სამსონია), არქიტექტურული საფორტიფიკაციო და საეკლესიო ნაგებობანი (ჯ. მიქელაძე), ტრადიციული საზოგადოების სტრუქტურის საკითხები აჭარის, გურიის, სვანეთის, რაჭის, სამეგრელოსა და ლაზეთის მაგალითზე (ნ. მგელაძე, პ. რურუა), მეგრულ-ლაზური ტრადიციული საზოგადოების სტრუქტურა (პ. რურუა). 2000–2001 წლებში პირველად განხორციელდა თურქეთის საზღვრებში მოქცეული ლიგანის ხეობის ქართველი მოსახლეების ეთნოგრაფიული შესწავლა, რასაც მიეძღვნა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლიგანის ხეობა. ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა“ (რ. მაღაყმაძე).

თურქეთში მცხოვრები ძირძველი ქართველი და მუჰაჯირი ქართველების ეთნოლოგიური შესწავლა მომავალ წლებშიც გაგრძელდება. ამ მოსახლეობის შესწავლა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის პირველი რიგის ამოცანაა, რომელიც, სამწუხაროდ, გვიან დაიწყო, მაგრამ მომავალში წარმატებით განხორციელდება.

მესამე წელია განყოფილებაში მუშავდება სოციოლოგიური მიმართულების თემები, რასაც საფუძვლად უდევს ბათუმის ტურისტული ინდუსტრიის განვითარების კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები (ნუგზარ ჩხაიძე, კონსტანტინე ღლონტი). გამოკითხვებში მთავარი ყურადღება გამახვილდა ბათუმელთა დამოკიდებულებაზე საერთოდ ტურიზმის განვითარებაზე, ბინების ტურისტებზე მიქირავებაზე, მომსახურების ფორმებზე, ტურისტთა მოზიდვის ფაქტორებზე.

ეთნოლოგიის განყოფილებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოს შექმნაში (გ.შამილაძე), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულისა და უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოს („აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“) ეთნოგრაფიული სტატიების მომზადებაში (ნ.კახიძე, ვ.შამილაძე, ნ.მგელაძე, ჯ.ვარშალომიძე, ჯ.მიქელაძე, ნ.ჩელებაძე, თ.ლომთათიძე, რ.მაღალაყმაძე, რ.ბარამიძე).

განყოფილებაში ჩატარებული ეთნოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს საფუძვლად უდევს მრავალწლიანი სამეცნიერო საექსპედიციო და სამიწვლინებო მუშაობა. აჭარაში, მის მომიჯნავე (სამცხე-ჯავახეთი, გურია), აგრეთვე, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში მოეწყო 40-ზე მეტი ექსპედიცია. აქედან მარტო აჭარაში – 35. ექსპედიციებში მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს სხვა სამეცნიერო ცენტრებში მომუშავე ეთნოლოგები, აგრეთვე, ეთნოლოგი კოლეგები მოსკოვიდან. საექსპედიციო ჩანაწერები დღიურების სახით ინახება განყოფილების ფონდებში. აქვე დაცულია დიდძალი ფოტო და სხვა საინფორმაციო მასალები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდშია შესრულებული.

2010 წელს განყოფილების სამკაცრიანი ჯგუფი (ნ.კახიძე, რ.მაღალაყმაძე, ჯ.მიქელაძე) პირველად ეწვია ორად გაყოფილი მაჭახლის ხეობის ზემო ნაწილს, რომელიც მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში (ართვინის ვილაიეთი, ბორჩხის ილჩე). ჩაიწერა და გამოქვეყნდა მეტად საინტერესო საკითხები ზედა მაჭახლელთა ყოფის, აგრეთვე, გვარსახელების, ტოპონიმების შესახებ. მიმდინარე, 2013 წლის ზაფხულში ეთნოგრაფები როინ მაღალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, თამილა ლომთათიძე, ჯემალ ვარშალომიძე მონაწილეობდნენ შავშეთ-იმერხევში მოწვობილ საინსტიტუტო კომპლექსურ ექსპედიციაში.

საექსპედიციო საარქივო მასალების, წერილობითი წყაროების საფუძველზე განყოფილებაში დაიწერა 600-ზე მეტი ნაშრომი, გამოქვეყნდა 21 მონოგრაფია (სამი რუსულ ენაზე), 23 კრებული შემდეგი სახელწოდებებით: „აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები“ (1966–1967); „აჭარის სოფელი“ (1969); „აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები“ (1971), „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“ (I-XVII) (1973-1990); „Очерки этнографии Аджарии“ (1982); „სამხრეთ-

დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები“ (I-III) (2007, 2010). დაიბეჭდა სოციოლოგიური ხასიათის ორი კითხვარი. 2009 წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით მომზადდა და ათასიანი ტირაჟით გამოიცა ფოტოალბომი „აჭარა“. გამოსაცემად გადაცემულია აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ალბომი. 2010 წელს გამოიცა ფერადი ილუსტრირებული ბუკლეტი „აჭარის ალპური დასახლება“, რომელიც ისტორიულ-ეთნოლოგიური მასალების საფუძველზე დაიწერა. 2010 წელს მომზადდა აჭარის პირველი ეთნოგრაფიული გამოფენის სტენდი ფოტო და სხვა ილუსტრაციების სახით. კრებულების სერიას „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“ ყოფილი საკავშირო გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის კომიტეტის 1978 წლის 4 მაისის ბრძანებით მიენიჭა საერთაშორისო სტანდარტის ნომერი ISSN №0135–0676. კრებულები იგზავნებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ინგლისში და იგი შეტანილია ოქსფორდის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ გამოცემაში.

მეცნიერთა ნაწილი აქტიურად მონაწილეობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეულის შედგენაში, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან 1990 წლამდე.

განყოფილების წევრები სისტემატიურად და აქტიურად მონაწილეობდნენ ეთნოგრაფთა, არქეოლოგთა და ანთროპოლოგთა ადგილობრივ (ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი), საქართველოს რესპუბლიკურ (თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ცხინვალი, ახალციხე, ზუგდიდი) თუ საერთაშორისო სამეცნიერო სესიებში, კონფერენციებში, სადაც წაიკითხეს ასზე მეტი მოხსენება ეთნოლოგიური კვლევა-ძიების სხვადასხვა საკითხებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია განყოფილების წევრთა მონაწილეობა 2001–2007 წლების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებიც ჩატარდა ნალჩიკში (2001), თბილისში (2002, 2007, 2011), ერევანში (2003), ბათუმში (2006, 2007, 2011, 2012), მახაჩკალაში (2007). მოხსენებები წაიკითხეს ვ. შამილაძემ, ნ. კახიძემ, ნ. ჩელებაძემ, თ. ღომთათიძემ, რ. მაღაყმაძემ, რ. ბარამიძემ და სხვებმა. ამათგან ვ. შამილაძე ადრეც მონაწილეობდა ყოფილ საკავშირო (სოხუმი, ბაქო, ყაზანი, უფა, კიშინიოვი, ჩერნოვიცი) და საერთაშორისო (ჩიკაგო, ვაშინგტონი, ლონდონი, თეირანი, ვლადიკავკაზი და სხვა) კონფერენციებზე, სემინარებსა და ბრიფინგებში. იყო მომხსენებელი ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა კონგრესებზე (მოსკოვი – 1964, დელი – 1976). მას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა დამყარებული კავკასიის რესპუბლიკების, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის შესაბამის სამეცნიერო ცენტრებთან, რომლის მიზანი იყო ერთობლივი სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების ჩატარება, პუბლიკაციების მომზადება და დაბეჭდვა.

ეთნოგრაფიის განყოფილების ორგანიზებით 1981 წელს ჩატარდა საქართველოს ეთნოგრაფთა რესპუბლიკური სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა საქართველოში 1980 წელს ჩატარებული საველე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგებს. მეორე ასეთი რესპუბლიკური სესია მიეძღვნა 1933 წლის აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის 70 წლისთავს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გ. ჩიტაია. ექსპედიციამ სათავე დაუდო აჭარის მომავალ საველე ეთნოგრაფიულ შესწავლას, რომელსაც იუბილარი განყოფილება 1958 წლიდან დღემდე წარმატებით აგრძელებს. განყოფილებამ 2013 წლის 31 ოქტომბერს ამ ექსპედიციის 80 წლისთავიც აღინიშნა სამეცნიერო სესიის ჩატარებით აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმთან ერთად.

55 წლის მანძილზე ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ეთნოგრაფთა (ეთნოლოგთა) სამეცნიერო კადრების მომზადებაში. განყოფილების გახსნის დროს, ვიდრე 1965 წლამდე, აქ ხარისხის მქონე არცერთი ეთნოგრაფი არ იყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიზნობრივი თუ დაუსწრებელი ასპირანტურის გზით 2007 წლამდე ეთნოგრაფიის ხაზით საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თორმეტმა თანამშრომელმა (გ. შამილაძე, მ. ბექაია, ნ. კახიძე, ნ. ჩიჯავაძე, ჯ. ვარშალომიძე, ჯ. მიქელაძე, ი. სამსონია, თ. აჩუგბა, ლ. კალანდარიშვილი, თ. ტუნაძე, რ. მაღაყმაძე, პ. რურუა), ხოლო სადოქტორო – ოთხმა (გ. შამილაძე, ნ. მგელაძე, ნ. კახიძე, თ. ფუტყარაძე). მათ სამეცნიერო კვალიფიკაცია აიმაღლეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი). აღსანიშნავია ის დიდი წვლილი, რაც ამ საქმეში შეიტანეს აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ, პროფესორებმა ვერა ბარდაველიძემ, მიხეილ გეგეშიძემ, ალექსი რობაქიძემ და სხვებმა. ისინი გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდნენ ინსტიტუტიდან პირველად წარგზავნილ ასპირანტთა და ხარისხის მაძიებელთა მუშაობას და მათი უშუალო ხელმძღვანელობით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ისინი ყოველთვის თვალყურს ადევნებდნენ ეთნოგრაფიის განყოფილების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მხარდაჭერას და დახმარებას არ აკლებდნენ მას. პროფესორი ალ. რობაქიძე დაარსებიდან 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა ეთნოგრაფიის განყოფილებას, ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს. მისი რედაქტორობითა და ხელმძღვანელობით მომზადდა და დაიბეჭდა განყოფილების ეთნოგრაფიული კრებულების და მონოგრაფიების ნაწილი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურული და დემოგრაფიული პრობლემის კვლევა დღესაც აქტუალურ მნიშვნელობას იძენს აჭარის და მისი მეზობელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეული რეგიონების ტრადიციული და თანამედროვე ყოფისა და კულტურის საკითხების ისტორიულ-ეთნოლოგიურ ჭრილში შესწავლის თვალსაზრისით.

ამ მიზნით განყოფილება ჩართულია საერთო-საინსტიტუტო პროგრამაში, რომლის მიზანია, 2013-2017 წლებში ეთნოლოგიურ, ისტორიულ-არქეოლოგიურ და ფოლკლორულ-დიალექტოლოგიურ ჭრილში, მონოგრაფიულად იქნეს შესწავლილი აჭარის მუნიციპალიტეტები (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი). ამგვარ კვლევა-ძიებას, არსებულთან ერთად, საფუძვლად დაედება ახალი საექსპედიციო მასალები. პარალელურად, გაგრძელდება დაწყებული მუშაობა თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში (ართვინის ვილაიეთი) მოქცეული ძირძველი და მუჰაჯირი ქართველი მოსახლეობის კომპლექსური მეცნიერული შესწავლისათვის, მომზადდება ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის ბუკლეტები და მოკლემეტრაჟიანი ვიდეოფილმები აჭარის ცალკეული ხეობების მიხედვით.

დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო იქნება ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელთა ერთი საშტატო ერთეულით ყოველწლიური ზრდა.

შუშანა ფუტყარაძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის,
დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის
კვლევის განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი
თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება

ფოლკლორის განყოფილება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის და-
არსებისთანავე (1958) ჩამოყალიბდა. ასეთი სამეცნიერო განყოფილების
შექმნა, პირველ ყოვლისა, ნაკარნახევი იყო აჭარის მდიდარი და მრავალფეროვანი
ზეპირსიტყვიერების მეცნიერული შესწავლით. ამასთან, სხვა გარემოებანიც იყო
გათვალისწინებული, კერძოდ, ამჟამინდელი აჭარა საქართველოს ძირძველი
კუთხეა, სადაც თავს იყრის კოლხური და იბერიული კულტურები, ზანური ფენა,
ტაო-კლარჯული და მესხურ-ჯავახური ტრადიციები, თავს იჩენს, აგრეთვე,
ბერძნული და სხვა უცხოური ელემენტები. ყოველივე ეს სისტემურ მეცნიერულ
კვლევას მოითხოვდა.



აღნიშნული პრობლემები ფოლკლორის განყოფილებას რთული და
საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე აყენებდა. პირველ ეტაპზე საჭირო
იყო ზეპირსიტყვიერი შემოქმედებით დაინტერესებული და პერსპექტიუ-
ლი კადრების შერჩევა-მომზადება, ასევე აუცილებელი იყო სამეცნიერო-
კვლევითი თემატიკის შერჩევა-დამუშავება.

ფოლკლორის განყოფილებას 1958-1966 წლებში სათავეში ედგა გა-
მოჩენილი მეკვლევარი ჯ. ნოღაიდელი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლი-
ლი შეიტანა აჭარის ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის, აჭარული
კილოს შესწავლის საქმეში.

ფოლკლორის განყოფილების სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანე-
ლობდა პროფესორი მ. ჩიქოვანი. მისი უშუალო მონაწილეობით 1958
წელს შემუშავდა განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერ-
სპექტიული გეგმა. დაიწყო მუშაობა თემაზე „აჭარის ზეპირსიტყვიერების
ქანრები“. მ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა აჭარაში

ფოლკლორული კვლევა-ძიება და სათანადო სამეცნიერო კადრების მომზადება.

აჭარაში ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ გაშლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის აწ განსვენებულ ცნობილ მკვლევარს ა. ინაიშვილს, რომელიც დაარსებიდან გარდაცვალებამდე (1977წ.) სათავეში ედგა ინსტიტუტს. ა. ინაიშვილი სისტემატურად მონაწილეობდა ფოლკლორულ ექსპედიციებში. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუსიკალური ფოლკლორის მასალის შეკრება-დამუშავების საქმეში. მკვლევარს გამოთქმული აქვს საყურადღებო მოსაზრებები ზეპირსიტყვიერებისა და მუსიკალური ფოლკლორის საკითხებზე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერებისა და აჭარული კილოს მეცნიერულ შესწავლას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აწ განსვენებული გამოჩენილი მეცნიერი დ. ხახუტაიშვილი, რომელიც 1978-1999 წლებში იყო ინსტიტუტის დირექტორი. მისი უშუალო დახმარებით მოეწყო არაერთი ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური სამეცნიერო ექსპედიცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში. დ. ხახუტაიშვილის ხელშეწყობით გამოიცა განყოფილებაში მომზადებული ნაშრომები, რომლებშიც შესწავლილია ქართული ფოლკლორისა და აჭარული კილოს დარგობრივი ლექსიკის აქტუალური საკითხები.

ფოლკლორის განყოფილება იმთავითვე შეუდგა საველე-შემკრებლობით მუშაობას. სხვადასხვა დროს ექსპედიციებში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, თბილისის, სოხუმის, თელავისა და ბათუმის სხვა სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და მუზეუმების მეცნიერი თანამშრომლები, ლექტორ-მასწავლებლები, ასპირანტები და სტუდენტები, აჭარის სოფლებში მომუშავე მასწავლებლები და კულტურის მუშაკები.

განყოფილებას მუდამ ჰქონდა და აქვს მჭიდრო მეცნიერული კონტაქტები ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან, განსაკუთრებით – შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან და არნ. ჩიქოვას ენათმეცნიერების ინსტიტუტთან. განყოფილებას მუდამ გვერდში ედგნენ და საქმიან მეცნიერულ დახმარებას უწევდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: ქ. ლომთათიძე, შ. ძიძიგური, გრ. ჩხიკვაძე, ი. მეგრელიძე, ალ. ღლონტი, ვ. მაცაბერიძე, ჯ. ბარდაველიძე და სხვ.

საერთოდ, აჭარის ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრება-შესწავლას თითქმის საუკუნენახევარი ისტორია აქვს. აჭარაში პირველი ფოლკლორული ჩანაწერი („სოლოლას ლექსი“) 1859 წლით თარიღდება. ამ საქმის პიონერი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქართული კულტურის დიდი მოამაგე პეტრე უმიკაშვილი.

XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან, განსაკუთრებით, აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, ამ მხარის წარსულისა და აწმყოს მიმართ ინტერესი გაიზარდა. ქართველი მოწინავე ინტელიგენციის წარ-

მომადგენლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ საუკუნეთა განმავლობაში უცხო სოციალურ-პოლიტიკურ გარემოცვაში მყოფ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კუთხეებს, მათ შორის, აჭარას. ფოლკლორული მასალების შეკრება მათ მიაჩნდათ დიდ ეროვნულ საქმედ. ამ მხრივ ფასდაუდებელია პ.უმიკაშვილის, ზ.ჭიჭინაძის, გ.წერეთლის, გრ.გურიელის, ნ.მარის, ი.ყიფშიძის, აპ.წულაძის, თ.სახოკიას, ი.ჯაიანის, ი.ანთაძის, დ.წერეთლის და სხვა ქართველ მოღვაწეთა წვლილი. მათი ჩანაწერები (ლექს-სიმღერები, ზღაპრები, ლეგენდა-თქმულებები, გადმოცემები, ანდაზები...) სათანადო კომენტარებით ქვეყნდებოდა იმდროინდელ პრესაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრება-შესწავლის საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო. ამ მიმართულებით აჭარაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აჭარის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიურომ (შემდგომში აჭარის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), რომელმაც გასული საუკუნის 30-იან წლებში შემოიკრიბა სათანადო სპეციალისტები აჭარის ეთნოგრაფიის, ზეპირსიტყვიერი შემოქმედებისა და აჭარული კილოს შესასწავლად. დაიწყო შემკრებლობითი მუშაობა და მასალების გამოქვეყნება. მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიუროს ინიციატივით 1932 წელს გამოიცა მ. ხუბუას ნაშრომი „ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა“, რომელსაც ერთვის ავტორის მიერ 1922–1926 წლებში ზემო აჭარაში ჩაწერილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშებიც. 1935 წელს გამოქვეყნდა ჯ. ნოღაიდელის „ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან“, ხოლო 1936 წელს – „აჭარა დიალექტოლოგიურად“, რომელსაც ერთვის ფოლკლორული ტექსტებიც. 1936 წელს გამოიცა ჯ. ნოღაიდელის „აჭარის ხალხური სიტყვიერება“ – წიგნი პირველი, ხოლო 1940 წელს – წიგნი მეორე.

აჭარაში ხალხური სიტყვიერების მასალების შეკრება-პუბლიკაციის საქმეში გარკვეული მუშაობა ჩატარდა გასული საუკუნის 50-იან წლებში. 1956 წელს გამოქვეყნდა შ. ძიძიგურის „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ“, ხოლო 1957 წელს – შ. ნიჟარაძის „ზემოაჭარელის თავისებურებანი“, რომლებსაც ერთვის ზემო აჭარაში ჩაწერილი ფოლკლორული ტექსტები.

საბჭოთა პერიოდის ხალხური პოეზიის ნიმუშები ძირითადად წარმოდგენილია 1956 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „აჭარის ხალხური მთქმელები“. 1959 წელს გამოიცა ნაზი ნოღაიდელის მიერ შედგენილი კრებული „აჭარის ზეპირსიტყვიერება“.

ასეთია მოკლედ აჭარაში ჩატარებული ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებამდე.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებისა და აქ ფოლკლორის განყოფილების ჩამოყალიბების დღიდან აჭარის ხალხური სიტყვიერების შესწავლას ორგანიზებული, სისტემური ხასიათი მიეცა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განვლილი 50 წლის მანძილზე ინსტიტუტში აღზრდილმა ფოლკლორისტებმა დამსახურებლად მოიპოვეს მეცნიერული ავტორიტეტი როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, ისე ფართო საზოგადოებაში.

1958–1959 წლებში ფოლკლორის განყოფილებაში მუშაობა დაიწყო: ჯ. ნოღაიდელმა, ჯ. ჩხეიძემ, ა. მსხალაძემ, ნ. ცქიტიშვილმა, ა. ახვლედიანმა, ზ. თანდილაშვილმა. სწორედ მათი მონაწილეობით ფართოდ გაიშალა საველე-შემკრებლობითი მუშაობა. აჭარის რაიონებში ეწეობოდა სამეცნიერო ექსპედიციები. ზეპირსიტყვიერი და მუსიკალური ფოლკლორის მასალები იკრიბებოდა, აგრეთვე, ინდივიდუალური მივლინებების დროს. შემდგომში ანალოგიური მუშაობა ტარდებოდა საქართველოს სხვა რეგიონებშიც (გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, მესხეთ-ჯავახეთი, ქართლი და სხვ.). ამგვარმა მუშაობამ დღის წესრიგში დააყენა მეცნიერული თემატიკის გაფართოების საკითხი. 1976 წლიდან განყოფილება მუშაობს თემაზე „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“.

შემკრებლობითი მუშაობის პროცესში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების თანამშრომლები ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ ფოლკლორულ ტექსტებს ენათმეცნიერული ღირებულებაც აქვს. აქედან გამომდინარე, ზეპირსიტყვიერი მასალების ჩაწერისას მთქმელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებების დაცვა ფოლკლორისტთა მუშაობის ერთ-ერთ ძირითად და პრინციპულ ამოცანას წარმოადგენდა. ამდენად, განყოფილების ხელნაწერ ფოლკლორულ არქივში დაცული მასალა დიალექტოლოგიურადაც სანდოა. იკრიბებოდა, აგრეთვე ონომასტიკური მასალაც.

ქართული ენის კილოური განშტოება – აჭარული დიალექტი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ქართულ დიალექტოლოგიაში. მისი ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა ფრიად ფასეულია ქართული ენის ისტორიის კვლევა-ძიებისათვის. აჭარული მეტყველება ერთ-ერთი მსხვილი კილოური ერთეულია, რომელიც “ცოცხალი მოწმეა” ქართული ენის სამხრული დიალექტური ჯგუფის ისტორიული ვითარებისა, მესხეთის მეტყველების სტრუქტურის მაჩვენებელი, მესხეთი კი ერთ დროს ქართული კულტურის ავანგარდს წარმოადგენდა.

საერთოდ, აჭარულ კილოსთან დაკავშირებით ჩანაწერები (ლექსიკური ერთეულები, ტოპონიმები, ანთროპონიმები...) გვხვდება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოგზაურ-მკვლევართა (გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე, ზ. ჭიჭინაძე, თ. სახოკია...) შრომებში, ხოლო აჭარულის მეცნიერული შესწავლა მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან მოყოლებული გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი ნაშრომები, კერძოდ: მ. ხუბუა. „ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა“, ბათუმი, 1932; ჯ. ნოღაიდელი. „აჭარა დიალექტოლოგიურად“, ბათუმი, 1936; – „აჭარული კილოს თავისებურებანი“, ბათუმი, 1960; შ. ნიჟარაძე. „ქართული ენის ზე-

მოატარული დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ”. ბათუმი, 1961; – „ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა”. ბათუმი, 1971; – „აჭარული დიალექტი, ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა”. ბათუმი, 1974.

ჩატარებული მუშაობის მიუხედავად, აჭარული კილოს გრამატიკული თავისებურებანი და ლექსიკური ფონდი ჯერ კიდევ იქცევს მეკვლევართა დიდ ყურადღებას.

აჭარული კილოს სისტემური შესწავლის მიზნით 1969 წელს ფოლკლორის განყოფილებაში შეიქმნა დიალექტოლოგიური უჯრედი, რომელმაც აკად. შ. ძიძიგურის ხელმძღვანელობით მუშაობა დაიწყო თემაზე „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“. ამან განაპირობა განყოფილების შემდგომი სახელწოდებაც: 1976 წლიდან იგი იწოდება ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებად, 2006 წლიდან კი – ფოლკლორისა და ლინგვისტიკის განყოფილებად.

განყოფილების არსებობის მანძილზე ჩატარდა სამ ათეულზე მეტი ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ექსპედიცია, რომელიც მიზნად ისახავდა ზეპირსიტყვიერი ტექსტების, მუსიკალური ფოლკლორისა და დიალექტური მასალების შეკრებას. ამგვარი მუშაობის შედეგად შეიქმნა ინსტიტუტის ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ ხელნაწერთა ფონდები, რომელთა მეცნიერული ღირებულება ფასდაუდებელია ქართული ზეპირსიტყვიერი შემოქმედების, მუსიკალური ფოლკლორისა და დიალექტოლოგიური კვლევა-ძიებისათვის.

2003–2006 წლებში განყოფილებაში შექმნილი იყო აგრეთვე ქართული ლიტერატურის აქტუალური საკითხების შემსწავლელი ჯგუფი (მუშაობდნენ: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი – შ. ზოიძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომლები – მ. გიორგაძე და ნ. მიქელთაძე) და თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შემსწავლელი ჯგუფი (მუშაობდნენ: პროფ. შ. ფუტყარაძე, მეცნიერი თანამშრომლები: ელზა და იამზე ფუტყარაძეები, სტაჟიორი ტ. ნაკაიძე).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს განყოფილების მუსიკალურ ფოლკლორში ჩატარებული მუშაობა. 1958-1966 წლებში 15-მდე სპეციალური ექსპედიცია მიემდგვნა მუსიკალური ფოლკლორის მასალების შეკრებას. საგულისხმოა, რომ აჭარაში გავრცელებული ნადური (ყანური) სიმღერები ქართული მუსიკალური კულტურის იმ უძველეს საფეხურებს განეკუთვნება, რომლებიც სათავეს იღებენ ხელოვნების თავდაპირველ სინკრეტიზმში. აქაური სიმღერების უმეტესობა ოთხხმიანია, ისინი ქართული მუსიკის უმნიშვნელოვანეს მონაპოვარსა და მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური კულტურის უნიკალურ ნიმუშებს წარმოადგენენ.

ზოგადქართული ხალხური მრავალხმიანობის პრინციპსა და მისი განვითარებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებაზეა დამყარებული ყანური (ნადური) სიმღერების მთელი ციკლი, რომელიც ყველაზე უკეთ ქობულეთის რაიონშია შემონახული. ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ ამ

სიმღერების გამოვლენასა და მეცნიერული შესწავლის საქმეში პრიორიტეტი ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ეკუთვნის. ჯ. ნოღაიდელს ოთხხმიანობა შენიშნული ჰქონდა ჯერ კიდევ XX საუკუნის ოცდაათიან წლებში. მისი ცნობის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა კაპიტალურ ნაშრომში („ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, თბ., 1938) საგანგებოდ აღნიშნა ამ თავისებური მოვლენის არსებობა. შემდეგში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა აღნიშნულ პრობლემას (ა. ინაიშვილი, ჯ. ნოღაიდელი, გრ. ჩხიკვაძე, „აჭარული მუსიკალური ფოლკლორის მასალები“. ბათუმი, 1961).

ბოლო პერიოდში ყურადღება მიექცა ზნეობრივი საკითხების ასახვას ქართულ ფოლკლორში. ამ პრობლემას მიუძღვნა ფილოლ.მეცნ.დოქტ. პროფ. თ. შიოშვილის ორტომიანი მონოგრაფია (ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო. წიგნი I, ბათუმი, 2002; წიგნი II, ბათუმი, 2004), რომელშიც შესწავლილია სიკეთისა და ბოროტების პრობლემა, სიკვდილ-სიცოცხლის ღირებულება, ჰუმანიზმის იდეები, სტუმარმასპინძლობის ტრადიცია, პატრიოტიზმი, სასულიერო ფოლკლორის ზნეობრივ-აღმშრდებლობითი იდეალები და სხვ. ავტორი ზნეობრივ პრობლემატიკას განიხილავს ქრისტიანულ მორალთან მიმართებით. თ. შიოშვილმა გამოსცა აგრეთვე სამი ფოლკლორული კრებული: ქართული ხალხური შელოცვები, ბათუმი, 1994; ვინც ამას ვერ გამოიცნობს (ქართული ხალხური გამოცანები), ბათუმი, 1996; პირი ხისკენ მიქნია (ქართული ხალხური წყევლა), თბ., 2006.

განვლილ პერიოდში შესწავლილია, აგრეთვე, საბჭოური პერიოდის ზეპირსიტყვიერი შემოქმედება, რომელიც, ძირითადად, პოეზიის სახით არის წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ თანამედროვე ქართული ხალხური პოეზიის აჭარაში შექმნილ ნიმუშებში შეინიშნება ტრადიციული სიუჟეტური ტექსტების ახლებური გაფორმებისა და ახალი ვარიანტების შექმნის ტენდენცია, რაც ფოლკლორული შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ტრადიციული და სპეციფიკური ნიშანია. ადრინდელ ეპოქებში შექმნილი ტექსტების ახლებური გადამუშავება, მასში ახალი აზრის შეტანა ქმნის ეპოქისათვის ნიშანდობლივ პლასტებს და ასე გადაეცემა ფოლკლორული ნაწარმოები მომდევნო თაობებს.

დიდი შრომაა გაწეული ხალხური პროზის მასალების შეკრება-შესწავლის საქმეში. შეკრებილი მასალების კლასიფიკაცია გვიჩვენებს, რომ აჭარაში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, გვხვდება ხალხური პროზის შემდეგი ძირითადი ჟანრები: ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება. მათ შორის ზღაპარი ყველაზე გავრცელებული ჟანრია და დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

აჭარის ზეპირსიტყვიერებასთან ერთად, შესწავლილია ლაზური ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი ჟანრი (პოეზია, მუსიკალური ფოლკლორი, პროზა). ლაზურ ფოლკლორში ინტერესს იწვევს სამიწათმოქმედო (ყანუ-

რი) შრომის ლექსები და სიმღერები. სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს ზღვაოსნობის ლექს-სიმღერები, სპეციფიკურია, რომ ლაზურ მუსიკალურ ფოლკლორში “პელესსა” მეზღვაურთა სიმღერაა. მეთევზეობა-ზღვაოსნობის ამსახველი ლაზური ლექს-სიმღერები თვალსაჩინო ადგილს იჭერს ქართული ხალხური პოეზიის ძირძველ საგანძურში.

ზემოთ აღნიშნული მასალების შეკრებასა და ცალკეული საკითხების შესწავლაში, სამეცნიერო სტატიების, მონოგრაფიების, თემატიკური კრებულების მომზადება-გამოცემაში დიდი წვლილი მიუძღვით განყოფილებაში მომუშავე ენათმეცნიერებს: მთავარ მეცნიერ თანამშრომლებს მ. ქამადაძეს (1979 წლიდან) და შ. ფუტკარაძეს (2003 წლიდან), უფროს მეცნიერ თანამშრომლებს: ნ. ცქიტიშვილს (1969–1972), ნ. ახვლედიანს (1996 წლიდან), ე. ფუტკარაძეს (2003 წლიდან), მეცნიერ თანამშრომლებს ნ. სურმაგას (1972–1988), თ. კუკულაძეს (1974 წლიდან), ც. ნარაკიძეს (1975 წლიდან), ნ. ნოღაიდელს (1969 წლიდან).

აჭარული დიალექტური ლექსიკის შეკრებისა და მეცნიერული შესწავლის შედეგები საშუალებას იძლევა გამოვამხეუროთ ჩვენი დედაენის ლექსიკური ფონდის საუკეთესო მარგალიტები, რომლებიც ისტორიულ-პოლიტიკური პირობების გამო წარსულში ერთგვარ ჩრდილში მოქცეულა ან თანდათან დავიწყებას ეძლევა სამეურნეო-კულტურული ყოფის განვითარებასა და თაობათა ცვლასთან ერთად.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ქართული ენის სამხრული კილოების შესწავლის საქმეში. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ქართველი ენათმეცნიერებისათვის ცნობილი იყო მხოლოდ აკად. ნ. მარის მიერ ჩაწერილი იმერხეული მეტყველების ამსახველი მასალები. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული შ. ფუტკარაძე სისტემატურად იკვლევდა ქართული ენის სამხრულ კილოებს. პირველმა შეკრიბა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ტაოს, ნიგალის, კლარჯეთის ქართული მეტყველების ნიმუშები. სათანადო დიალექტური მასალების ენათმეცნიერული ანალიზის საფუძველზე საკვლევ რეგიონში გამოყო სამი დიალექტი: იმერხეული, ნიგალური და ტაოს ქართული.

შ. ფუტკარაძემ შემკრებლობითი მუშაობა ჩაატარა სამხრეთ საქართველოს შემდეგ მხარეებში: იმერხევი, ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, ერუშეთი, კოლა, ფოცხოვი, ჩილდირი. მასალები ჩაწერილი აქვს, აგრეთვე, შუა ანატოლიის ზეგნის იმ სოფლებში, სადაც ცხოვრობენ ისტორიული ზემო ქართლიდან გადახვეწილი (მუჰაჯირი) ქართველები. ავტორის მიერ მოპოვებული უაღრესად საინტერესო დიალექტური მასალები მოცემულია მის წიგნში „ჩვენებურების ქართული“ (ბათუმი, 1993), რომელიც ქართული ენათმეცნიერების დიდი შენაძენია. არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა აჭარული დიალექტის დარგობრივ ლექსიკასთან დაკავშირებითაც.

შ. ფუტკარაძის გამოკვლევების საფუძველზე საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდმა 2002 წლის ნოემბერში წმინდანად შერაცხა

წმიდა მოწამე თევდორე აჭარელი, რომელიც 1822 წელს ეწამა. მკვლევარი სწავლობს, აგრეთვე, სტამბოლის არქივებში დაცულ საქართველოს შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებს. 1998 წელს სტამბოლის გენერალურ არქივში მან მიაკვლია 1566–1574 წლების აჭარის აღწერის მასალებს. თანამშრომლობს თურქეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოებთან, თურქეთში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებთან და ა. შ.

აჭარულ დიალექტებთან ერთად განყოფილებაში შეისწავლება ლაზურის (ჭანურის) ლექსიკაც. აჭარაში მოსახლე ლაზურად მეტყველ მოსახლეობაში მასალების შეკრება 1978 წლიდან დაიწყო. მეცნიერი თანამშრომელი ც. ნარაკიძემ შეკრიბა ლაზურის დარგობრივი ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. გამოვლენილია ბევრი ისეთი სიტყვა, რომელიც პირველად შემოვიდა მეცნიერულ მიმოქცევაში.

ენისა თუ მისი დიალექტების ლექსიკაში დიდი ადგილი უჭირავს ონომასტიკას. ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილება ამ მიმართებით მუშაობას 1979 წლიდან შეუდგა (მ. ქამადაძე, თ. კუკულაძე). ამრიგად, განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა კიდევ უფრო გაფართოვდა და შედეგებიც თვალსაჩინოა. გარკვეულია, რომ აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში გვაქვს როგორც საკუთრივ ქართული (და იგი ძირითადია), ისე ზანური წარმომავლობის ტოპონიმები. შეინიშნება, აგრეთვე, თურქული, ბერძნული და სხვა ენებიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელები.

ამჟამად მონოგრაფიულად შესწავლილია ზემო აჭარის ტოპონიმია და აჭარის ონომასტიკა (მ. ქამადაძე).

ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი მკვლევრები: ჯემალ ნოღაიდელი, 1958 წლიდან გარდაცვალებამდე (1966 წ.), მერაბ მემედის ძე ბერიძე (1966 წლის სექტემბრიდან 1969 წლის ივნისამდე), აზიზ არიფის ძე ახვლედიანი (1969–1972 წლები), ზურაბ ოსმანის ძე თანდილავა (1972–1976 წლები). ხელმძღვანელობდა ფოლკლორის, ხოლო 1976–1996 წლებში იგი ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების გამგეა.

1997-2011 წლებში ამ გაერთიანებულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა მიხეილ რეჯების ძე ქამადაძე, რომელიც 2006 წლის სექტემბრიდან 2011 წლამდე არჩეული იყო ფოლკლორისა და ლინგვისტიკის განყოფილების უფროსად.

2011 წლის ივლისიდან ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების უფროსად არჩეულია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი შუშანა ფუტყარაძე. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ექსპედიციები ზემო აჭარასა და ისტორიული შავშეთის ქართულ სოფლებში, იმერხევში. 2011 წლის ივლისში ორი კვირის მანძილზე ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები იკრიბებოდა შუახევის რაიონის მირათის ხევში, 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში – ხულოს რაიონის სხალთა-ხიხანის ხეობაში. მომზადებუ-

ლია კრებული „მირათის ხევი“. 2013 წლის სექტემბრის თვეში 10-დღიანი ექსპედიცია მოეწყო იმერხევში. მუშაობა განხორციელდა იმერხევის იმ ქართულენოვან სოფლებში, სადაც ადრე არც ერთ მეცნიერს, მკვლევარს არ უწარმოებია შემკრებლობითი საქმიანობა. ასეთი სოფლებია: ჯვარის-ხევი, უსტამისი, ჩაქველთა, ხევწვრილი, ბელტიეთი, ვაკიეთი, შერთული, ზაქიეთი, თეთრაკეთი, ლიგანი, ანდრიაწმინდა...

2013 წლიდან განყოფილებას დაემატა ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის ფუნქცია. სტამბოლის ქართულ საგანეში დაცული ემიგრანტული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ქსეროასლები ხელმისაწვდომია ამ განყოფილების მკვლევართათვის, რადგან შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით მკვლევართა ჯგუფი 2 წლისა და ოთხი თვის მანძილზე სწავლობდა სტამბოლის საგანეში დაცულ ბიბლიოთეკასა და არქივს. მათ მიერ აღწერილია 83 ათასი წიგნადი ერთეული და 10 000-ზე მეტი საარქივო მასალა. გამოვლენილია ძვირფასი ისტორიული წყაროები, რომელთა ქსეროასლები განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლებს შეუძლიათ გამოიყენონ და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანონ.

ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილებამ 2012 წელს მოამზადა მონოგრაფიის – „აჭარული საუნჯე“ I ტომი. მასში გაცოცხლებულია 1958 წლის ზაფხულში ზემო აჭარის სოფლებში მოძიებული ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები. წიგნი დაისტამბა 2013 წელს. ამავე წელს მომზადდა ამ მონოგრაფიის მეორე ტომი, რომელიც დაისტამბება 2014 წელს. განყოფილებაში მომზადდა, აგრეთვე, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კრებული „გამონათღევი“, რომელიც მალე დაისტამბება. კრებულში აღნიშნული განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა გარდა, შეტანილია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სხვა განყოფილებისა და საერთოდ, უნივერსიტეტისა და სხვა მკვლევართა ნაშრომები. კრებული შედგება რამდენიმე კარისაგან.

2012-2013 წლის მანძილზე ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილებაში გამოიცა ორი მონოგრაფია: ქართულ და თურქულ ენაზე გამოცემული შ. ფუტკარაძის „სტამბოლის ქართული საგანე“ და ნ. ნოღაიდელის – „**ლექსიკური ძიებანი**“. განყოფილებაში გრძელდება საერთო-ქართველური – ზანურ-ქართული ენობრივი ერთიანობის ხანის, ზანური თუ ძველქართული, აჭარულში შემონახული ტერმინების ეტიმოლოგიური შესწავლა.

განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლები მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში. მათ მიერ წაკითხული მოხსენებები გამოირჩევა სიახლითა და მეცნიერული სიღრმით.

ბიჭიკო ღიასამიძე

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების
უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ემერიტუს-პროფესორი


ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის ანბარი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის სა-



კითხვების კვლევა 1958 წელს შექმნილმა ბათუმის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა დაარსების პირველივე დღეებიდან დაიწყო. მან წარმატებით განაგრძო სახელოვანი მკვლევარების: ექვთიმე თაყაიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, ნინო ხოშტარიას მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სიძველეთა არქეოლოგიური კვლევა.

თუმცა, დარგობრივი განყოფილება სამი წლის შემდეგ, 1961 წელს შეიქმნა ეთნოგრაფიის განყოფილების გაფართოება-გამსხვილებით და მას ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის განყოფილება ეწოდა.



შედგა პირველი არქეოლოგიური ექსპედიციებიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის



წარმომადგენელთა მონაწილეობით ჩოლოქის აუზის რკინის მეტალურგიის კერების შესასწავლად. ცნობილი მკვლევარების: იოსებ გრძელიშვილის, ოთარ ღორთქიფანიძის, ასლან ინაიშვილის, თეიმურაზ მიქელაძის, ანდრია ავაქიძის, ოთარ ჯაფარიძის, დავით ხახუტაიშვილის გვერდით წარმატებით იკვლევდნენ ძველ სადგომებსა

და ნამოსახლარებს, ნაქალაქარებსა და ნაციხარებს, ნაეკლესიარებსა და სამაროვნებს, სხვადასხვა დროისა და ტიპის სახელოსნოებს, მეღვინეთა განძებსა და სადნობებს, შემდეგ უკვე გამოცდილი არქეოლოგები: ა. კახიძე და ს. გოგიტიძე, ნ. ვაშაკიძე, ლ. ჩხაიძე, ან. ჯაფელიძე, მათ გვერდით – ნ. ინაიშვილი, ირ. ჩაველიშვილი, ნ. ხახუტაიშვილი, გ. თავამაიშვილი და სხვები.

სწორედ მათ სახელთანაა დაკავშირებული ნეოლითური ხანის ნამოსახლარების (ქობულეთი, ხუცუბანი, კვირიკე, ჯიხანჯური, მახვილაური), ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის, ფიჭვნარის ნაქალაქარის, ბათუმის ციხის, პეტრა-ციხისძირის, ხინოს საეპისკოპოსო კომპლექსის, აჭარის-წყლის ხეობის საკულტო, საფორტიფიკაციო და სხვა სახის სიძველეთა აღმოჩენა-შესწავლა.



1979 წელს ჩამოყალიბდა ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება, რომელსაც 1986 წელს გამოეყო და ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა ისტორიის განყოფილება. მან კვლევის საერთო თემად შეარჩია „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები” და დაამუშავა უმნიშვნელოვანესი პრობლემები: გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანის ზღვისპირეთის მოსახლეობის სოციალური და სამეურნეო ყოფა, მატერიალური და სულიერი კულტურა; ადრეული ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები და გაერთიანებები, ცალკეული ტომების ვინაობა-წარმომავლობის საკითხები; აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული და რომაული კოლონიზაციის ასპექტები; XIX-XX საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის პრობლემები. ინტენსიური ხასიათი მიიღო რეგიონში მცხოვრები აფხაზების, ბერძნების და რუსების დასახლების, მათი ყოფითი ტრადიციების საკითხების კვლევა. აგრეთვე, განხორციელდა კვლევები თემებზე: აჭარა შუასაუკუნეების საქართველოს ადმინისტრაციულ და საეკლესიო-ეპარქიულ სისტემაში; ეთნიკური და კონფესიური ცხოვრების პრობლემები; მე-

ტი ყურადღება დაეთმო ქ. ბათუმის წარსულისა და დღევანდლობის კვლევას.



ინსტიტუტის რეორგანიზაციამდე (2010 წ.), განყოფილებამ ამ თემატიკის მიხედვით შეასრულა 170-მდე წლიური ნაშრომი (ხელნაწერი), სხვადასხვა ენებზე (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, თურქული), გამოქვეყნდა 430-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და 50-მდე წიგნი და მონოგრაფია.

განყოფილებას შექმნის დღიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფ. დავით ხახუტაიშვილი, შემდეგ პროფ. მალხაზ სიორიძე.

2003 წელს ისტორიის განყოფილებაში შეიქმნა ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემსწავლელი ჯგუფი (პროფ. ბ. დიასამიძე, შ. მამულაძე, რ. ხალვაში), რომელმაც მუშაობა წარმართა განვითარებული ფეოდალიზმის ხანის აჭარის პოლიტიკური ისტორიის, მატერიალური კულტურის ძეგლების და ტბელ აბუსერისძის მემკვიდრეობის შესასწავლად. ამ მიმართულებით გამოქვეყნდა საინტერესო ნაშრომები.

ნაყოფიერად წარმოებდა კვლევითი საქმიანობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი, შუასაუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის შესასწავლად. საინტერესო გამოკვლევები გამოაქვეყნეს განყოფილებაში სხვადასხვა დროს მოღვაწე აბ. სურგულაძემ, მ. სიორიძემ, დ. ბერძენიშვილმა, ნ. ხახუტაიშვილმა, ც. ქათამაძემ, ს. ალექსაიამ და განყოფილების ამჟამინდელმა მეცნიერ-თანამშრომლებმა: ბ. დიასამიძემ, ო. თურმანიძემ, ს. გოგიტიძემ, უ. ოქროპირიძემ, ო. ჯიბაშვილმა, ნ. ინაიშვილმა, გ. თავამაიშვილმა, მ. ჭიჭილეიშვილმა, ი. ვარშალომიძემ.



ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილებების მეცნიერ-თანამშრომლების კვლევის შედეგები აისახებოდა როგორც ცალკეულ სტატიებსა და მონოგრაფიებში, ისე კვლევების მიმართულებათა ამსახველ კრებულებში:



1. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები –I-XXII ტომი (1964-2012);
2. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები –I-V ტომი (1991-2010);
3. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა, I-IV ტომი (2007-2012);
4. ჩვენი სულიერების ბალაგარი, I-V ტომი (2009-2013);
5. ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა, I-IV ტომი (2009-2013).

2009-2010 წლები ინსტიტუტისა და მისი განყოფილებებისათვის, რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის წლები იყო. შემცირდა განყოფილებათა და მეცნიერ-თანამშრომელთა რაოდენობა. 2010 წელს არქეოლოგიისა და ისტორიის განყოფილებები გაერთიანდა ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილებად.



ინსტიტუტი შეუერთდა უნივერსიტეტს ჯერ მიმართულების, შემდეგ კი ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სახელით. მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით გაუმჯობესდა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პირობები.

მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებსა და მეზობელ შავშეთ-იმერხევში, დავათვალიერეთ ბევრი საინტერესო ადგილი, საკულტო და საფორტიფიკაციო ძეგ-

ლი, ჩავიწერეთ მათ შესახებ ზეპირი გადმოცემები, ვგეგმავთ ზოგიერთი მათგანის შესწავლას (კვატის ნაეკლესიარი).



მარტო ბოლო 3 წელიწადში განყოფილების მეცნიერ-მუშაკთა აქტიური მონაწილეობით დასრულდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარის) ისტორიის ოთხტომეულის გამოცემა, ჩატარდა სამი საერთაშორისო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ და გამოიცა შესაბამისი კრებულები, ასევე, ორი საერთაშორისო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბაღავარი“, დაიბეჭდა შესაბამისი კრებულები (IV-V ტომები).

ასევე, განყოფილების მეცნიერი თანამშრომლების მიერ ბოლო სამ წელიწადში გამოქვეყნდა 6 წიგნი, 1 ფოტოალბომი, 60-მდე სტატია; მონაწილეობა მივიღეთ და მოხსენებები წავიკითხეთ 35-მდე საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონფერენციაზე და სხვა.

ამჟამად, განყოფილება აქტიურად მონაწილეობს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოს – „აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“ და წლიურ ნაშრომებად გათვალისწინებული „აჭარის მუნიციპალიტეტების ისტორიის“ შექმნაში, უნივერსიტეტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ დაგეგმილ სამეცნიერო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

მ ი ლ ო ც გ ე ბ ი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 1958 წელს დაარსდა და მან ქართული მეცნიერების ისტორიაში ღრმა კვალიც დატოვა. 55 წლის განმავლობაში ინსტიტუტი ჩამოყალიბდა დიდი ტრადიციების მქონე დაწესებულებად, რომელიც ამჟამად ფლობს ძალზე მდიდარ მემკვიდრეობას კულტურულოგიის, ქართველოლოგიისა და სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა დარგში. სწორედ ამიტომ, იგი არა მხოლოდ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კუთხის – აჭარის, არამედ მთელი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრია.

დღეს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაშია და თავისი წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, სტუდენტების სწავლა-აღზრდის საქმეში. განსაკუთრებით გვგამაყვება, რომ ამ ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა დიდ ნაწილს განათლება ჩვენს უნივერსიტეტში აქვს მიღებული. ვფიქრობ, არსებული ორმხრივი თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც მნიშვნელოვან შედეგს მოიტანს ქართული მეცნიერებისა და საუნივერსიტეტო განათლების განვითარების საქმეში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გულითადად ულოცავს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტს დაარსების 55 წლისთავს. გისურვებთ, კვლავაც ასეთივე წარმატებული ყოფილიყოს თქვენი შემდგომი მოღვაწეობა ეროვნული მეცნიერების, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ვლადიმერ პაპავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი, აკადემიკოსი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებისაგან**

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომლები ვულოცავთ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომლებს ინსტიტუტის დაარსებიდან 55 წლისთავს. ინსტიტუტის არსებობის მანძილზე მისმა თანამშრომლებმა დიდი ღვაწლი გასწიეს მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში. გისურვებთ, კვლავ თქვენთვის ჩვეული მიზანდასახულობითა და წარმატებით განაგრძოთ საქმიანობა და ახალი მიღწევებით გაამდიდროთ ჩვენი სამეცნიერო სივრცე.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის
სასწავლო-სამეცნიერო ცენტრისაგან**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი დაარსების დღიდან იყო სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი საქართველოში. ინსტიტუტის თანამშრომლებმა წლების მანძილზე გაწეული დაუღალავი სამეცნიერო საქმიანობით არსებითი წვლილი შეიტანეს სამეცნიერო ცოდნის დაგროვებისა და ზოგადად ქართული სამეცნიერო აზრის განვითარების საქმეში.

გულითადად გილოცავთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავს და გისურვებთ, ასეთივე ენერგიითა და სიმხნევით განაგრძოს ინსტიტუტმა შემდგომი მოღვაწეობა.

ქეთევან ხუციშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტის პროფესორი, ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს
ეთნოლოგიის განყოფილების გამგე

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა სახელით მიიღა გულითადად მოგილოცოთ თქვენი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებიდან 55 წლისთავი და, როგორც ქართველოლოგიური კვლევის ერთ-ერთ მძლავრ ცენტს, გისურვოთ ახალ-ახალი მიღწევები და წარმატებები თქვენს სამომავლო მამულიშვილურ საქმიანობაში.

როგორც თქვენს მიერ წლების განმავლობაში გაწეული სამეცნიერო მუშაობა ადასტურებს, თქვენი პრიორიტეტული საკვლევადიებო სფერო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესწავლაა. გარდა იმისა, რომ ამ მიმართულებით მრავალი მონოგრაფია და სამეცნიერო ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული, ჩვენი ქვეყნის ხსენებული რეგიონის შესასწავლად თქვენს მიერ გაწეული ხანგრძლივი საქმიანობის შემაჯამებელი ფუნდამენტური ოთხტომეულიც გამოცემით, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის დიდმნიშვნელოვანი შენაძენია.

თქვენი ინსტიტუტის უმთავრეს საკვლევადიებო ორიენტირებზე საუბრის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში თქვენ გამორჩეული ინტერესით სწავლობთ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ისტორიულ და თანადროულ ყოფასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს. ამ მიმართულებით გაწეულ თქვენს კომპლექსურ კვლევით მუშაობას კიდევ უფრო მასშტაბურს ისიც ხდის, რომ ამ მუშაობის მეტი წარმატებით წარსამართად ე.წ. „თურქეთის საქართველოში“ სამეცნიერო ექსპედიციებსაც ხშირად აწყოთ ხოლმე.

სულითა და გულით მივესალმები იმ ფაქტს, რომ თქვენ, ამჯერად უკვე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენელ ნაწილად ქცეული ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები, ამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერითა და მზრუნველობით კვლავაც წარმატებით განაგრძობთ საკვლევადიებო საქმიანობას და თქვენი ნაშრომებით მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ ქართველოლოგიურ პრობლემათა მეცნიერული შესწავლის საქმეში.

პროფესორი გიორგი ღავთაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი

55 წელი მეცნიერების სადარაჯოზე

ყოველგვარი გადაჭარბების თუ ემოციური დატვირთვის გარეშე უნდა ითქვას, რომ 1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაარსებულმა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თანამედროვე მეცნიერების განვითარებაში. ინსტიტუტი ეროვნული სამეცნიერო კადრების ჭეშმარიტ სამჭედლოდ იქცა. მისი პირველი ხელმძღვანელი იყო ნამდვილი ქართველი პატრიოტი, გულანთებული პიროვნება და ჭეშმარიტი მეცნიერი ასლან ინაიშვილი. მან თავის გარშემო დარაჯმა ახალგაზრდა მკვლევართა ჯგუფი, რომლებიც დღეს აღიარებული მეცნიერები არიან არა მარტო აჭარაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ბატონი ასლანის გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტს დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი დავით ხახუტაიშვილი.

ინსტიტუტში, მიუხედავად მრავალი შეჭირვებისა, დღესაც წარმატებით მიმდინარეობს არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული, დიალექტოლოგიური, სოციოლოგიური, საისტორიო და სხვა სახის კვლევები. საკმარისია ითქვას, რომ ინსტიტუტის არსებობის მანძილზე გამოიცა 2000-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი სტატიების, პერიოდული კრებულებისა და მონოგრაფიების სახით.

ინსტიტუტის გამოცემებს შორის ხანიშუშოა და, ვფიქრობ, უდავოდ იმსახურებს საქართველოს სახელმწიფო პრემიას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების ოთხტომეული „აჭარა“, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი ხანიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე. ოთხტომეული ქართული ისტორიოგრაფიის ძვირფასი შენაძენია.

ცნობილი მოვლენებისა და ქარტეხილების შემდეგ, საბედნიეროდ, კვლევითმა ინსტიტუტმა შესაფერისი ნავსაყუდელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰპოვა. მან წარმატებით გააგრძელა ტრადიციული საქმიანობა, რისთვისაც მას სათანადო სამუშაო პირობები გააჩნია. ამ საქმეში არ შეიძლება არ აღინიშნოს უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ალიოშა ბაკურიძის დამსახურება.

მე პატივი მქონდა გავცნობოდი ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების 2011-2012 წლების შედეგებს. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ და შემდეგ აკადემიურმა საბჭომ, პირადად ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, მას მაღალი შეფასება მისცა.

საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს ინსტიტუტის (დირექტორი რ. მაღაყაძე) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდოს მეცნიერთა შემადგენლობა და ხელი შეეწყოს მათ მუშაობას.

დღეს განსაკუთრებით დიდია ინსტიტუტის მნიშვნელობა თურქეთის რესპუბლიკის უნივერსიტეტებთან სამეცნიერო კონტაქტების დამყარებისა და განმტკიცების საქმეში.

გულითადად ვულოცავ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს, კოლეგებსა და მეგობრებს ამ მეტად მნიშვნელოვან დღესასწაულს – ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავს.

გურამ ლორთქიფანიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი

ქართველოლოგიური კვლევის მძლავრი კერა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა მიერ ამ ინსტიტუტის არსებობის 55 წლის განმავლობაში გაწეული უაღრესად მნიშვნელოვანი და საკმაოდ წარმატებული მეცნიერული საქმიანობა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, გვაძლევს საფუძველს იმის სათქმელად, რომ ეს ინსტიტუტი ქართველოლოგიურ პრობლემათა კვლევისა და შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ცენტრად იქცა.

ინსტიტუტის საკვლევაძიებო მუშაობის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად ინსტიტუტის მიერ 2008 წელს გამოცემული იმ წიგნის დათვალიერებაც საკმარისია, რომელიც მის მეცნიერ თანამშრომელთა ნაშრომების ბიბლიოგრაფიას წარმოადგენს.

ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ წლების განმავლობაში გაწეული სამეცნიერო მუშაობის ამსახველი ამ წიგნიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ ბათუმელ მეცნიერთა უმთავრესი და პრიორიტეტული საკვლევაძიებო სფერო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესწავლაა. გარდა იმისა, რომ ამ მიმართულებით მათ მრავალი მონოგრაფია და სამეცნიერო ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული, ინსტიტუტმა ჩვენი ქვეყნის ხსენებული რეგიონის შესასწავლად გაწეული ხანგრძლივი საქმიანობის შემაჯამებელი ფუნდამენტური ოთხტომეულიც გამოსცა აჭარის ისტორიის ნარკვევების სახით, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ინსტიტუტის უმთავრეს საკვლევაძიებო ორიენტირებზე საუბრის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში ჩვენი ბათუმელი კოლეგები გამორჩეული ინტერესით

სწავლობენ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ისტორიულ და თანადროულ ყოფასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს. ამ მიმართულებით ინსტიტუტი ე.წ. „თურქეთის საქართველოში“ სამეცნიერო ექსპედიციებსაც ხშირად აწყობს.

სულითა და გულით მივესალმები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენელ ნაწილად ქცეული ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერითა და მზრუნველობით ისინი კვლავაც წარმატებით გააგრძელებენ ადრინდელ საკვლევაძიებო საქმიანობას და თავიანთი ნაშრომებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქართველოლოგიურ პრობლემათა მეცნიერული შესწავლის საქმეში.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

ქართველოლოგიური კვლევის კერა

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 55 წლის იუბილე სასიხარულო ფაქტია. ინსტიტუტი, დღიდან დაარსებისა, ერთგულად ემსახურება საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიისა და არქეოლოგიის კვლევის საქმეს. თანამშრომელთა ყოველი თაობა ერთგულია დიდი ტრადიციებისა და ჩვენს დროშიც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში. ინსტიტუტის ეგიდით გამოცემული ყოველი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია თუ კრებული სიღრმისეული და ობიექტური კვლევითი პროდუქტია. თქვენ საიმედო ძალა ხართ. ცნობილია, აჭარაში გამორჩეული ეროვნული სული ტრიალებს და ქვეყნის ყოველი პრობლემა თუ სიხარული თქვენს მხრებზე გადადის. წარმატებას ვუსურვებთ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, ყოველ მეცნიერ-მუშაკს, მთელ კოლექტივს.

როზეტა გუჯეჯიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; საქართველოს
საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეთნოლოგიის
მიმართულების ხელმძღვანელი

სამეცნიერო ტაძარი

55 წელი ისტორიული მოვლენისთვის ზღვაში წვეთია, მაგრამ ადამიანისთვის სიცოცხლის ნახევარზე მეტია.

პირადად მე ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მისი დაარსების დღიდანვე „შევაფარე თავი“. ჩემი პირველი ნაშრომების პირველი შემფასებელი ინსტიტუტის დირექტორი ბატონი ასლან ინაიშვილი იყო, წიგნების რედაქტორებიც ამ ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები – დავით ხახუტაიშვილი, ამირან კახიძე, იური ბიბილეიშვილი, ვახტანგ შამილაძე, ნოდარ კახიძე იყვნენ, ხოლო ჩემს სადოქტორო დისერტაციას გურამ ჩაგანავამ დაულოცა გზა.

ვფიქრობ, ესეც საკმარისია იმისთვის, რომ მე ამ სამეცნიერო ოჯახის წევრად მივიჩნიო თავი და მას 55 წლის იუბილე მიუვლოცო.

ხანმოკლე დროის მანძილზე ინსტიტუტმა დიდი სამეცნიერო საქმიანობა გაშალა, სამამულო მეცნიერება მრავალი სიახლით შეავსო და ქვეყნის ისტორია ახალ-ახალი ფურცლებით გაამდიდრა.

დროთა განმავლობაში ინსტიტუტს მრავალი სიძნელე გადაეღობა, ღამის გაუქმდა კიდეც, მაგრამ ჭკუა-გონებამ და სიბრძნემ იმარჯვა. ახლა იგი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიფარა და სხვა ფორმით განაგრძობს საქმიანობას. აქ თავმოყრილი სამეცნიერო ინტელექტი და ახალგაზრდა მეცნიერის – როინ მაღაყმადის ენერგიული მეთაურობა გვაიმედებს, რომ სამეცნიერო საქმიანობა კიდეც უფრო დიდი აღმავლობით წარიმართოს და, ვინ იცის, იქნებ ინსტიტუტმა თავისი დამოუკიდებლობაც დაიბრუნოს.

კეთილი გულით ვისხენებ წარსულს, ვლოცავ ინსტიტუტის ახლანდელ ფუტკარივით მშრომელ სამეცნიერო გუნდს, ხოლო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს კარგ მომავალს ვუსურვებ.

რამაზ სურმანიძე

პროფესორი

სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლისა და კულტურათაშორისი დიალოგის ასოციაციისაგან

გულოცავთ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს 55 წლის იუბილეს. თურქეთელ ქართველებს ამ ინსტიტუტთან გვაკავშირებს არა მხოლოდ სამეცნიერო პუბლიკაციების გაცნობის სურვილი, არამედ მადლიერების განცდა, რაც განპირობებულია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა ყოველი თაობის განსაკუთრებული ზრუნვით საქართველოს საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველებისად-

მი. თქვენს ინსტიტუტს უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი თურქეთის ქართველთა ტრადიციული ყოფის, ენობრივი სიტუაციისა და თანამედროვე ეთნოკულტურული პროცესების შესწავლის საქმეში. ამავე დროს, ჩვენ მუდამ ვგრძნობთ თქვენი მხრიდან გამოვლენილ სიყვარულს და პატივისცემას. განსაკუთრებული პატივისცემით მივმართავთ ამაგდარ მეცნიერებს – პროფესორ ნოდარ კახიძეს და პროფესორ შუშანა ფუტყარაძეს, ასევე, პროფესორ როინ მაღაყმაძეს, პროფესორ ნაილა ჩელებაძეს და სხვებს, ვისთანაც პირადი მეგობრული და ნათესაური გრძნობებიც გვაკავშირებს. წარმატებებს გისურვებთ და ვადასტურებთ თქვენ მიმართ სიყვარულს. წარმატება მთელ კოლექტივს.

გიორგი ირემაძე, იბერია მედაშვილი

სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრისაგან

სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრი გილოცავთ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავს.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს. გამოვთქვამთ თანამშრომლობის სურვილს.

ფეჰმი უზელ (უსტაშვილი)

სტამბოლის ქართული კულტურის
ცენტრის უფროსი

**ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
55 წლისთავის საიუბილეოდ
საჩუქრად გადმოცემული წიგნები**

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ახალი რედაქცია). ტ. I-II . თბილისი, 2008–2010 წლები.
არნოლდ ჩიქობავას შრომები, ტ. I-VI , თბილისი, 2010–2013.
ირინე ასათიანი. ღაზური ლექსიკონი, თბილისი, 2013.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან
ქართლის ცხოვრება. თბილისი, 2008.
ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე (შემდგ. და რედ. გიორგი მჭედლიძე). ქუთაისი, 2013.
იმერი ბასილაძე. პედაგოგიური ფაქულტეტი. წარსული, აწმყო, მომავალი (1933–2013). ქუთაისი, 2012.
იმერი ბასილაძე, ნესტან კუტივაძე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორები. ქუთაისი, 2013.

აკადემიკოს კონსტანტინე ფიცხელაურისაგან
კონსტანტინე ფიცხელაური. სამხრეთ დასავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო–რკინის ხანაში. თბილისი, 2013, (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სიგელით დაჯილდოება

ს ი ბ ე ლ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის და დაარსებიდან 55 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად

ა ჯ ი ლ დ რ ე ბ ა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს.

გიორგი თავამაიშვილი
აჭარის ა რ განათლების, კულტურისა
და სპორტის მინისტრი

შუშანა ფუტკარაძე

**კონსტანტინე ოდიშარიას ცნობები
ისტორიული ტაო-კლარჯეთის შესახებ**

კონსტანტინე ოდიშარია (კოტე მარტვილელი) ეკუთვნის იმ ქართველ მოღვაწეთა ჯგუფს, ვინც თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები უანგაროდ მოახმარა ძირძველი ქართული მიწის, ისტორიული ტაო-კლარჯეთის შესწავლას, ვინც გულწრფელად გაიზიარა დედამშობლოს დანატრებული, სამშობლოში ახლად დაბრუნებული მოძმე ქართველების გასაჭირი.

კ. ოდიშარია მარტვილში დაიბადა. მშობლები საცხოვრებლად ბათუმში გადმოვიდნენ. ჭაბუკობიდანვე იგი მხურვალე მამულიშვილად ყალიბდებოდა ბათუმში, სადაც XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო ქართული გაზეთების კორესპონდენტად მუშაობა (1, 233).

მას ახალგაზრდობიდანვე გული მიუწევდა ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეებისაკენ, ნატრობდა იმ მიწის ხილვას, სწავლობდა მათ შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებს. თავისი ნატერის ასრულება მას შეაძლებინა საქართველოში შექმნილმა „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“. ეს საზოგადოება დაარსდა 1907 წელს (2, 141). მას ხელმძღვანელობდა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი. ამ საზოგადოებამ საქმიანობა გააცხოველა 1914 წლიდან, როცა პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლი დატრიალდა აჭარასა და ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, როცა აქაურ მოსახლეობას დიდი უბედურება დაატყდა თავს საზარელი ომის გამო: გადაიწვა სოფლები, განადგურდა ოჯახები, ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსმა მოხელეებმა ჯარს გააწვევტინეს. ნაწილი, მაჰმადიანობის მიზეზით, ოსმალეთში ძალით გაასახლებინეს; ნაწილს კი სახელმწიფო დალატში ბრალი დასდეს და ციმბირის შორეულ მხარეებში გარეკეს; მცირე ნაწილი ციხეებში ჩასვეს. ახლად დაბრუნებული მხარე შეეცადა ითხოვდა. ამ უსამართლობის წინააღმდეგ პირველმა ხმა აღიმართა აჭარის სახელოვანმა შვილმა ჰაიდარ აბაშიძემ. მან გაზეთ „სამშობლოში“ დაბეჭდა წერილი „კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური“ (3), რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქართულ პრესაში, გამოაფხიზლა მაშინდელი ქართველობა.

აჭარისადმი და ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეებისადმი უანგაროდ დახმარების საქმე თავს იღო საქართველოს მოწინავე ინტელიგენცი-

ამ, „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“. 1914 წლის 21 დეკემბერს აირჩიეს „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ ახალი გამგეობა კვლავ მიხეილ მაჩაბლის ხელმძღვანელობით. მთავარ გამგეობასთან შეიქმნა სხვადასხვა სექცია და კომისია—სასკოლო, საექიმო, იურიდიული, სასურსათო და სხვა. სასკოლო სექციას ხელმძღვანელობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე. „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ წევრებს შორის იყვნენ მეტად გავლენიანი და მოწინავე საზოგადო მოღვაწენი, პატრიოტი მეცნიერები—ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე გომართელი, გიორგი ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, სიმონ ხუნდაძე და სხვები.

ამ საზოგადოებას თავისი ჟურნალისტური საქმიანობით დაუკავშირდა კ. ოდიშარია. იგი აირჩიეს „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ წევრად. ორგანიზაციას საქართველოს თითქმის ყველა რაიონში თავისი განყოფილება ჰქონდა გახსნილი. მაგ. ბათუმის განყოფილება გაიხსნა 1915 წლის აპრილში (2,141). ეს განყოფილება იყო ის ცენტრი, საიდანაც ვრცელდებოდა ნივთიერი, საექიმო, საგანმანათლებლო, იურიდიული თუ მორალური დახმარება ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა მიმართ. ამ განყოფილებამ ლაზეთის რაიონებში დაარიგა 800 ფუთი სიმინდი, მურღულის ხეობაში—1500 ფუთი... 1915 წელს დიდი სასამართლო პროცესი გაიმართა ბათუმში 49 არტანუჯელის საქმეზე. მათ სახელმწიფო მოხელეები ცილს სწამებდნენ დაღატაბი. არტანუჯელებს 13 ვეკილი იცავდა, რომლებსაც საქველმოქმედო საზოგადოება აფინანსებდა. იურიდიული დახმარების შედეგად 16 ბრალდებული განთავისუფლდა, დანარჩენებს კი სასჯელი შეუმსუბუქდათ (4).

ომით დაზარალებული ქართველი რადგან არტაანის მხარეშიც ბევრი იყო, დაარსდა არტაანის სარაიონო განყოფილება, რომლის წევრები იყვნენ: ტ. კეზელი (თავმჯდომარე), გ. სალარიძე, ქ. ხარაიძე, გ. ამილახვარი და სხვები. კ. ოდიშარიაც მათთან თანამშრომლობდა. იგი „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების“ რწმუნებული იყო არტაანის მხარეში.

1914–1920 წლებში პირველი მსოფლიო ომის ქარიშხალი არტაანის მხარეში საშინლად მძვინვარებდა. აქ ერთმანეთს ებრძოდნენ რუსეთისა და ოსმალეთის სამხედრო შენაერთები. საბრძოლო მოქმედების შედეგად გადაიწვა სოფლები და ქალაქები, მოსახლეობა ლტოლვილად იქცა. ადგილზე დარჩენილები აუტანელ პირობებში ჩავარდნენ. მშვიერ-ტიტვლები და უსახლკარონი შველას ითხოვდნენ. „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება“, სწორედ, ომით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად იღვწოდა. მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი მესხეთ–ჯავახეთშიც, აჭარასა და ტაო–კლარჯეთშიც. კ. ოდიშარიას, როგორც თვითონ წერს, საგანგებო ღვაწლება დაეკისრა: „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების არტაანის განყოფილების დავალებით დავიარე არტაანისა და ჩილდირის საპოლიციო ნაწილში მდებარე სოფლები და შევეკრიბე ცნო-

ბები ბრძოლის დროს დაზარალებულ იქ მცხოვრებ ქართველების შესახებ“.

სამშობლოს სიყვარულით გულდანთებულმა ნიჭიერმა ჟურნალისტმა, მხარეთმცოდნემ და არტანის მხარეზე შეყვარებულმა მოგზაურმა ისტორიული მიწა-წყლის შემომტკიცებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მან ამ მხარეში მოგზაურობა 1913 წლის მიწურულიდან დაიწყო და 1919 წლამდე ენერგია არ დაუზოგავს სამშობლოს ამ უძველესი ნაწილების მოსანახულებლად, იქაური ქართველების ცხოვრების პირობების აღსაწერად. მოგზაურობის ჩანაწერების ნაწილებს იგი აქვეყნებდა გაზეთ „საქართველოს“ ნომრებში 1917 წლიდან „კ. მარტვილელის“ ფსევდონიმით. ამ გაზეთის ზოგიერთი ნომერი, სამწუხაროდ, საქართველოში დაკარგულია. კ. ოდიშარიას საგაზეთო სტატიების ერთი ნაწილი დაცულია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკაში შემონახულ გაზეთ „საქართველოს“ ნომრებში (5).

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ წერილში „ერთგული მოხელე“ ასე აფასებს კ. ოდიშარიას პიროვნებას: „აქციზის მოხელე და მწიგნობარი, თითქმის 18 წელი სააქციო უწყებას ემსახურება და ამავე დროს სამშობლოს მწიგნობრობაში მონაწილეობს. მან დაბეჭდა ბევრი საყურადღებო კორესპონდენცია სამუსლიმანო საქართველოზე, განსაკუთრებით ჩვენი ისტორიული ნაშთების შესახებ, რაიცა თვალსაჩინო საისტორიო მასალას წარმოადგენს. კ. ოდიშარია კიდევ უფრო ცნობილია როგორც დაუცხრომელი მამულიშვილი და რესპუბლიკის ერთგული მოხელე, მისი ინტერესების ფხიზელი დარაჯი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიდავზე ბევრი უსიამოვნება შეხვედრია“ (6,15).

საომარ პირობებში მყოფ ტერიტორიაზე, კერძოდ, არტანის მხარის სოფლებში-გადაადგილება ძალიან საშიში იყო, მაგრამ სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი-კ. ოდიშარია უკან არ იხევდა. მისი ჩანაწერებიდან ვეცნობით, რომ ბევრჯერ კინაღამ გამხდარა იგი ტყვეის მსხვერპლი, მაგრამ თავისი მოვალეობა ყოველთვის ერთგულად შეუსრულებია, მიუვლებია დავრდომილ მოხუცებს, მშიერ-მწყურვალ თანამოძმეებს. მას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ სამშობლოს ისე ვერ ემსახურებოდა, როგორც საჭირო იყო. იგი წერდა: „აქ ერთი კაცი ვერაფერს გახდება. იმ დროს კი, იმპერიალისტური ომის ხანაში, როდესაც ენვერ-ფაშას ურდოები და ნიკოლოზის ყაზახები ერთმანეთს ეკვეთებოდნენ, ძნელი იყო ერთი კაცისთვის შემოვლა ამ ძვირფასი და ფრიად საინტერესო მხარისა, შესწავლა და ფოტოგრაფირება ხუროთმოძღვრების ძეგლებისა, ზუსტი აღწერა მოსახლეობისა. მაინც მოვახერხე, რომ რკინის ჯოხი ხელში ამეღო და იმ ორომტრიალში შემომეარა არტანის ოლქი, დამეთვალყურებინა ეს ღირსშესანიშნავი ადგილები (1, 237).

კ. ოდიშარიამ იცოდა, რომ ისტორიული ტაო-კლარჯეთი იყო უძველესი ქართული კულტურის აკვანი. მას აქ ეგულებოდა უძველესი ქარ-

თული ხელნაწერები და უფალს ევედრებოდა ხშირად, რათა ისინი გადაერჩინა ომის ქარცეცხლისაგან. იგი არტაანის მხარეში, მართლაც, წააწვდა „ჩუღვ“ (1436) წელს პერგამენტზე გადაწერილ, მშვენივრად დასურათებულ „ვეფხისტყაოსანს“ სოფელ ორეიზში ოთარ ბეგ შარვაშიძის ოჯახში. მაგრამ ძვირფასი რელიკვია თავადმა არ მიჰყიდა მას. ოთარ ბეგი ქართულად წმინდად საუბრობდა თურმე „ვეფხისტყაოსნის“ კილოზე. მან პოემა ზეპირად იცოდაო, წერს კ. ოდიშარია. საინტერესოდ იკითხება ოთარ ბეგისა და კ. ოდიშარიას დიალოგი: „ოთარ ბეგ! ეს საქართველოსთვის დიდი განძია და მოგვეცდეთ მუზეუმისათვის!“ – ოთარ ბეგს ეწვინა, წარბები შეიკრა და მრისხანე თვალები შემომაშტერა. მე მივხვდი, რომ ჩემზე იყო გაჯავრებული და ბოდიში მოვიხადე. მან თვალებში თვალები გამოიყარა: – „ვეფენდი, ეს რა მითხარი! თქვენ იცით, რომ ეს პაპის პაპის პაპისაგან მაქვს გადმოცემული როგორც უფროსი შვილს და მეც, ფიცის მიხედვით, ჩემს უფროს შვილს უნდა გადავცე, როგორც მამაპაპეული განძი და არა მაქვს უფლება, გავეიღო, გავასაჩუქრო ან გავათხოვო. მოპარვით კი არავინ ხელს არ ახლებს, რადგან ყველამ იცის, წყევლა-კრულვითაა ხსენებული, ვინც მას მოპარვის განზრახვით ხელს ახლებს და ერს დაუკარგავს“ (1, 240).

აკადემიკოს ს.ჯანაშიას არქივში დაცულ არტაანის მხარის აღწერის მასალის შესავალში კ. ოდიშარია მოკრძალებით წერს, რომ მის მიერ ჩატარებული აღწერა არაა „მეცნიერული კვლევა-ძიების ნაყოფი, ის უფრო დაინტერესებული მოგზაურის შთაბეჭდილებებია, რომელიც შევერიბე არტაანის ყოფილ ოლქში 1913–1918 წლებში“ (1, 236). დიდებული წინაპარი, გულანთებული მამულიშვილი, კ. ოდიშარია ჭეშმარიტად იმსახურებს დღევანდელი ყოველი შეგნებული ქართველისაგან სამადლობელ სიტყვებს, რადგან მის მიერ იმ ომის ქარცეცხლში მოპოვებული მასალები ერთადერთი ისტორიული წყაროა არტაანის მხარის იმდროინდელი ყოფაცხოვრების, ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების შესახებ.

მისი მოგზაურობის დღიურები გვაცნობენ არტაანის მხარის (საკუთრივ არტაანის რაიონის, ჩილდირის, კოლას, ფოცხოვის) სურათს მე–20 საუკუნის პირველ მეოთხედში. აღწერილია ჩვენი წარსულის ჭაღარა ძეგლები–ზოგი რღვეული, ზოგი კი ჯერ კიდევ ამაყად მდგარი, ნაქალაქარები, ხიდები, ციხეები. როგორც ავტორი ამბობს: „ეს ნაშთები ხომ წარსული მატიანის ფურცლებია, რომლებიც ჩვენგან მოითხოვენ შესწავლას, აღდგენას, მოვლას და პატრონობას. დროთა სვლას გაუნაგდურებია ოდესღაც აყვავებული ეს ქვეყანა... ჩავიწერე იქაური გადმოცემები, ლეგენდები, თითოეული მათგანი წარმტაცი მარგალიტია ჩვენი წარსულის საგანძურადან, თითოეული ოქროპირი მჭევრმეტყველია ჩვენი რაობისა და ჩვენი კულტურის სიდიადისა“ (1, 236–237).

კ. ოდიშარიას მიერ შესრულებული არტაანის მხარის აღწერის მასალები მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მასში მოცემულია ცნობები ამ მხარის არა მარტო იმდროინდელი (XX ს. I ნახევრის), არამედ წინარე

ეპოქებში მოსახლეობის აქ განსახლება–მიგრაციის შესახებ. სამართლიანად შენიშნავდა პროფესორი ფრიდონ სიხარულიძე: „კ. ოდიშარიასეული აღწერა ძვირფასი წყაროა სამხრეთ საქართველოში სწრაფად ცვლადი დემოგრაფიული პროცესების გასარკვევად“ (1, 234). არტაანის მხარის აღწერის მასალებში მოცემულია ცნობები, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, მხარის ფლორის, ფაუნის, მდინარეების, მატერიალურ და სულიერ საუნჯეთა შესახებ, რაც მეცნიერულ ღირებულებას ჰმატებს აღნიშნულ მოგზაურული ჟანრის ნაშრომს..

კ. ოდიშარია თავისი ნაშრომის შესავალ ნაწილში გულნატკენი წერს ცენზურის გამო და თან კარგად აცნობიერებს თავისი ამაგის სამომავლო მნიშვნელობას: „რაც ვნახე, რაც მოვისმინე, აღვწერე და კორესპონდენციებად დაგებუდე გაზეთ „საქართველოში“. მაგრამ, სამწუხაროდ, ცენზურამ კორესპონდენციები შემიმოკლა და რიგ შემთხვევებში დამიმახინჯა კიდევ. მაშინ ამ წერილების აზრი ის იყო, რომ ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიმექცია ამ ჩვენგან მოწყვეტილი მოძმე მხარისათვის, იქ არსებულ ძეგლთა შესწავლისათვის. ჩემმა იქ ნანახმა და აღწერილმა შესაძლებელია დახმარება გაუწიოს ჩვენს მკვლევარებს. მაშინ ვიტყვი, რომ ცუდად არ ჩაუვლია ჩემს ამაგსა და შრომას. 10 ივლისი, 1937 წ. ქ. ტფილისი“ (1, 237). მართალია, საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის გამო მაშინ ვერ განხორციელდა კ. ოდიშარიას ნატვრა, მაგრამ ოცდამეერთე საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში, ვიმედოვნებთ, ამ გულმხურვალე პატრიოტი წინაპრის სურვილები შესრულდება; მის მიერ ფეხდაფეხ შემოვლილი უძველესი ქართული მიწის–ისტორიული ტაო–კლარჯეთის ულამაზესი მხარის–არტაანის სულიერი და მატერიალური კულტურის დღემდე შემორჩენილი ნაშთები სათანადოდ იქნება შესწავლილი.

კ. ოდიშარიას წერილებში მოცემულია 331 სოფლის აღწერა. მისი მასალების სხვა მნიშვნელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ის რად ღირს, რომ მან ჩვენს ენათმეცნიერებას, ონომასტიკას შემოუნახა ძველი ქართული მიწის გეოგრაფიული სახელები, მიკრო და მაკრო ტოპონიმების ერთეულები, როგორიცაა: ალი, აქამეთი, ადაგული, ახალშენი, ბებერი, ბადელა, ბარნახევი, ბერგი, გიორგის უბანი, გუგუბა, დადაშენი, დუდუნა, ვაშლობი, ვარდბანა, ვარდოსანი, ველი, ზარაბუქი, ზედა წმინდა, ზემოთამარი, ზვინი, ზურზუნა, თეთრი ციხე, კარგი, კონქი, კოდასი, კოდის–წყარო, კინძოთამარი, კანჭოჭი, კეხი, კართანახევი, კოსორი, კუნძულეთი, ღამიანი, ღორი, მადარო, მინდაშენი, მანიოთხი, მარცვალათი, მაჩუეთი, ობოლი, ორუშეთი, პირდამალი, საღირები, სასადილო, საბადური, სარძევე, საბუღარო, სინდის გორი, სადომეთი, საღვინე, სათლელი, საკაბალო, საიხვე, საკირე, სიხარბეთი, სტეფანწმინდა, ური, ურთა, ურჩი, ტარასის ხევი, ტიკანი, ფიჩხის გომი, ფეთობანი, ფიქრობი, ფიქრაშენი, ქვაბისციხე, ქვემო თამარი, ქონდრაული, ღვინია, ღმაღელე, ყანარბილი, ყორივანი, ყველი, შორს, შუაწყალი, შუშლაური, ჩორჩევანი, ჩიდური, ჩაბურდა, ჩიქო-

რა, ჩრდილეთი, ჩიხირეთი, წინსათიბი, წურწყაბი, წყაროსთავი, წერელმანი, ჭოლოთი, ჭალა, ჭანჭახი, ჭობორია, ხანახი, ხევის კარი, ხერთვისი, ხევათი, ხარისი, ხელოვანი, ჯვარისხევი, ჯაჯუნი, ჯინჭრობი...

არტაანის ონომასტიკის ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა სამომავლო საქმედ გვესახება.

თურქული სიტყვაძირებით შექმნილი გეოგრაფიული სახელები ძალიან მცირეა. მათ შორის აღსანიშნავია: ბაშქოი, იენიქოი, არფაერმაზი, ჩამურლი, ტაშბაში, დემურკაფი, ყურტოღლი, ყურტყალა, ორყიზი, ჩამლი ჩაირი, დევირმანქოი, გიულაბერთი, ორყიზი, ყიზილ ქილისა, დორთქილისა, უჩქილისა.

კ. ოდიშარიას მიერ აღწერილ 331 სოფლიდან ერთ ნაწილში 1914–1919 წლებში ჯერ კიდევ ქართულად საუბრობდნენ. მათ შორისაა სოფლები: კონქი, გუგუბა, ოლჩაგი, ზემო და ქვემო ტიკანი, ვარდოსანი, ველი, ფაფალო, ჯაჯუნი, ჯინჭრობი, ჭალა, წყაროსთავი, გაშლობი... ამ სოფლებში მცხოვრებ ქართველებს მაშინ ჯერ კიდევ ახსოვდათ თავიანთი ძველი გვარები. კ. ოდიშარია ასახელებს ამ გვარსახელებს: ელიკაძე, წითლანაძე, შარვაშიძე, დადაშვილი, კოხტაშვილი, გიკოთი, გიკოლაშვილი, ხარიშარაშვილი, მიქელაძე, ჩხეიძე, ფალავანდიშვილი, საღირიძე, ორბელიანი, ნაკაშიძე, დადვაძე, ქავთარაძე, კონაევი (კონიაშვილი), თულუმბაშვილები (ბეჟანიძეები), დუდუჩაშვილები...

კ. ოდიშარიას წერილებში ნახსენებ ქართველებს საზოგადოდ, ოსმალური სახელები აქვთ. აქა-იქ ჩანს ქართული საკუთარი სახელებიც. მათ შორის აღსანიშნავია: ქალთა სახელები: ეთერი, გულნარი, გულნაზი, გმინთა, მაზვერა, ნაზი, ნაზერი, სონა, გულთანა, რუსა, თუნთულა. ვაჟთა სახელები იშვიათია: ზაქო, ზაქარია, ფოლადა, ზაურ, ოთარ, დადა, კამათია...

კ. ოდიშარიას წერილებში დასახელებულ 300-მდე სოფელში 1914–1919 წლებში ჯერ კიდევ არ იყო წაშლილი ქრისტიანობის კვალი, შემორჩენილი იყო ეკლესიათა ნაშთები. ბევრ სოფელში ეკლესია ჯერ კიდევ მთელი, დაურღვეველი იდგა. მათ შორის აღსანიშნავია: თამამის, მაღლისას, წყაროსთავის, გაშლობის, ჭალის, ფიქრაშენის, საღირების, ორუშეთის, ურის, ურჩის, ორყიზის, ყიზილ ქილისის, ფეთობანის, ჩიდურის, ველის, გუგუბას, ხანახის... ეკლესიები, რომელთა შიგნითა კედლები ჯერ კიდევ ინახავდა წმინდანთა ფრესკებსა და ძველ ქართულ წარწერებს. დღესდღეობით ცნობილია, რომ მხოლოდ ჭალის ეკლესიაშია შემორჩენილი კედლის მხატვრობა და ხუცური წარწერები. 1998 წლის ნოემბერში ჩვენ, მცირე ჯგუფთან ერთად, მივეყვით კ. ოდიშარიას ნაკვალევს, მაგრამ დროთა ქარტყილების მიერ ნანგრევებად ქცეული დაგვხვდა ეკლესიათა უმეტესობა. კარგადაა შემონახული მხოლოდ ჭალისა, ველისა და მაღლისას ეკლესიები; ასევე მხნედ გამოიყურება კირნავის, ველის, შავი ციხის, მგლის ციხისა და რაბათის ციხეები.

დედასამშობლოში დაბრუნებულ არტაანელ ქართველებს სწავლა-განათლება სწყუროდათ. კ. ოდიშარიას მასალებიდან ჩანს, რომ ბევრი

ოჯახი მზად იყო შვილები ქართულ სკოლაში შეეყვანა. ისინი თხოვნით მიმართავდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას და სხვა სახელისუფლებო უწყებებს ქართული სკოლის გახსნის თაობაზე, მაგრამ პასუხი არსაიდან ჩანდა. შემოერთებიდან მხოლოდ 40 წლის გასვლის შემდეგ, 1917 წლის 16 მკათათვეს, ძლივს მოხერხდა არტაანში თავშესაფრისა და სკოლის გახსნა, რასაც გვაუწყებს გაზეთი „საქართველო“ (7). შეძლებული ოჯახების შვილების მცირე ჯგუფი იმ წლებში სწავლას ძლივს ახერხებდა არტაანის მხარიდან საკმაოდ შორს მდებარე ადიგენის რაიონის სოფელ უდეს ქართულ სკოლაში.

კ. ოდიშარიას წერილებს რომ ვეცნობით, გაცნობილი ვრჩებით, ახლად შემოერთებული მხარეების მიმართ ქართველ მამულიშვილთა გულცივი დამოკიდებულების გამო. გვახსენდება დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მწარე სიტყვები, ნათქვამი მაშინდელი გამორჩენილი საზოგადო მოღვაწეების ერთი დიდი ნაკლის შესახებ: „არავინ მოგზაურობდა და არც იცოდნენ, თუ რა ვითარება იყო საქართველოს სამხრეთ მხარეებში, ნაოხარზე რომ ათასი ჯურის გადამთიელი სახლდებოდა... რომ გეკითხათ, ყველა გეტყოდათ, დიდი პატრიოტები ვართო, მაგრამ გოლოვინის პროსპექტსა (ახლანდელი რუსთაველის გამზირი) და ქუთაისის ბუღვარს იქით ფეხს არ გადაადგამდნენ. ხალხს კი მოვლა უნდოდა. ამისთანებში სომხები გვჯობნიდნენ, პატრიოტიზმი მათ ყოველთვის პრაქტიკულ საქმიანობაში ჰქონდათ გამოხატული და ბევრ რამესაც მიაღწიეს“ (8, 436).

დიდი ექვთიმეს საყვედური არ ეხებოდა მხოლოდ კ. ოდიშარიას, არტაანის მხარეში „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ რწმუნებულს, რომელმაც ფეხით შემოიარა 331 სოფელი და აღწერა ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების სურათები.

კ. ოდიშარიას მდიდარი სულიერი სამყარო კარგად ჩანს დიდი ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილ ერთ წერილში (10, 211–212): „1937 წ. 4. X. ქ. ტფილისი. დრმად პატივცემულო ბატონო ივანე! დიდი ხანია მსურდა თქვენდამი ჩემი პატივისცემა რითიმე აღმენიშნა, მაგრამ ვერაფრით ვახერხებდი. დღეს გადავწყვიტე გიძღვნათ მცირედი რამ, სახელდობრ, ჩემი მოგზაურობის აღწერა 1913–1918 წლებში ჩვენი სამშობლოს გულიდან მოწყვეტილ სამუსლიმანო საქართველოსი.

ბევრი გაჭირვება განვიცადე იმ მოგზაურობის დროს, მაგრამ ჩემი ნატვრა და მისწრაფებანი ნახევრად მაინც მოვიყვანე სისრულეში, თუნდაც იმ მხრივ, რომ გაკვრით მაინც აღვწერე, შიდა ოსმალეთის საქართველო, სახელდობრ: ყარსის, აღზევანის, ოლთისის, ისპირის, თორთუმის ოლქები და მთელი ვილაიეთი ერზრუმისა და იქით სოფელ-ქალაქები, ნაქალაქე-ნასოფლარში ეკლესიები, ციხეები, გვირაბები. განსაკუთრებით აღვწერე: 331 სოფელ-ქალაქი, ნასოფლარ-ნაქალაქარი, რაც არტაანის ოლქს შემორჩა. აგრეთვე, ვცდილობდი არ გამომრჩენოდა ხალხის ზნე-ჩვეულება, თქმულებები და ლეგენდები. საკმაოდ ვწერდებოდი გეოგ-

რაფიულ ნომენკლატურების ახსნა-განმარტებასა და ქვეყნის ტოპოგრაფიაზე.

თუ თქვენ, ჩვენი წარსულის უდიდეს მკვლევარს და პირუთვნელ ისტორიკოსს, რამდენადმე დაგაინტერესებთ და ეს ჩემი შრომა მცირედუნად მაინც ხელს შეგიწყობთ სამეცნიერო კვლევა-ძიებაში, მანქანაზე გადავაბეჭდინებ და მოწიწებით დავდებ ჩემს ნაშრომს თქვენს წინაშე, ვინაიდან პროფ. ბატონ ჯანაშიას მიერ უნივერსიტეტის ჟურნალში დაბეჭდილ ჩემს შრომაში, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, არ შესულა ის თქმულებები, რომლებშიაც სარწმუნოებაზე და დაშნაკ სომხების მოქმედებაზეა ლაპარაკი. მაპატიეთ, რომ თქვენდამი ჩემი უდრმესი მადლობა მეტი ვერაფრით შევძელი. – მარად თქვენი და კიდევ თქვენი პატივისცემელი – კოტე ოდიშარია (კ. მარტვილელი).

არტაანის მხარეში მოგზაურობის დროს კ. ოდიშარია იქაური ქართველებისაგან ხშირად ისმენდა ხოლმე ლეგენდებსა და თქმულებებს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებზე, რწმუნდებოდა რომ პოემის ავტორისათვის ნაცნობი იყო ქაჯეთის ციხე (დღევანდელი „შეითან ყალე“) სოფელ რაბათთან ახლოს და მდ. მტკვრის ხეობებში მდებარე გამოქვაბულები, მადაროები. ამიტომ პოემის შესახებ არსებული ხალხური თქმულებების მკვლევარებს მოუწოდებდა არტაანის მხარეში სამოგზაუროდ, თანაც დამხმარე წყაროდ აწვდიდა თავის სტატიას: „ორიოდე სიტყვა „ვეფხისტყაოსანზე“ და ხალხურ თქმულებების მკვლევარებზე“. იგი 1934 წლის 15 ოქტომბერს დაწერილ ამ სტატიაში აღნიშნული მკვლევარების მისამართით წერდა: „ჩემი ისტორიული მასალები იქონიონ, რომლებიც ნამდვილი უტყუარი გზის მაჩვენებელი იქნება მათი. ეს ისტორიული მასალები და ეს მოხსენებაც შექურა ვარსკვლავივით გაუნათებს მათ კვლევა-ძიების საქმეს“ (9, 10).

კ. ოდიშარიას არტაანის მხარის აღწერის მასალები და მისი სტატია „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა შესახებ იქ არსებულ თქმულებებზე ძალიან საინტერესოდ იკითხება და მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროდ გვესახება. სამომავლოდ ყოველ ღონეს ვიხმართ ამ წყაროების ცალკე წიგნად დაბეჭდვისათვის. იგი გაამდიდრებს ჩვენი ერის ისტორიულ მემკვიდრეობას და მომავალ მკვლევარებს, როგორც თვითონ წერდა, „შექურა ვარსკვლავივით გაუნათებს“ კვლევა-ძიების გზას ისტორიული საქართველოს უღამაზესი და უძველესი მიწის-არტაანის მხარის ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, ისტორიისა და ენის შესწავლის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **სიხარულიძე ფრ.**, მასალები სამხარეთმცოდნეო ექსპედიციების ისტორიისათვის (კონსტანტინე ოდიშარიას (მარტვილელი) სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის ჩანაწერები). იხ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. II, ბათ. 1998.

2. **ბაბილოძე გრ.**, „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ სამეურნეო ეკონომიური საქმიანობა აჭარაში. იხ. კრებული „საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები“, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სერია, I, თბ., 1975.
3. **აბაშიძე ჰ.**, „კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური“, იხ. გაზ. „სამშობლო“, № 31, 1915.
4. გაზეთი „საქართველო“, № 88, 1915.
5. გაზეთი „საქართველო“, № 191, 1919.
6. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, № 18, 1919.
7. გაზეთი „საქართველო“, „წერილი არტაანიდან“ (ჩვენი სიხარული სკოლის გახსნის გამო). იხ. № 175, 1919.
8. **თაყაიშვილი ექვთ.** ილია ჭავჭავაძე, იხ. ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“, ტ. I, გ. შარადის საერთო რედაქციით, თბ., 1991; აგრეთვე, **უმიკაშვილი პ.**, გურჯები (ქართველები) ოსმალეთში, იხ. „ივერია“, № 21, 1888.
9. **ოდიშარია კ.**, ორიოდ სიტყვა „ვეფხისტყაოსანზე“ და ხალხურ თქმულებების მკვლევარებზე“, იხ. ს. ჯანაშიას არქივი, ფ. № 15, აღწერა I, № 440; 15. X. 1934. კ. ოდიშარია.
10. **სიხარულიძე ფრ.**, წერილები ივანე ჯავახიშვილისადმი; იხ. კრებული „მესხეთი“, III, თბ., 1999. კ. ოდიშარიას წერილი ივ.ჯავახიშვილისადმი.
11. **ოდიშარია კ.** „არტაანის მხარეში“, გაზეთი „საქართველო“, № 18, 19, 21, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 232, 234. 1917 წელი.
12. **ოდიშარია კ.** „ქართველი მაჰმადიანები“, გაზ. „საქართველო“, № 280, 1917 წელი;
13. **ოდიშარია კ.** „არტაანიდან თორთუმამდე“, გაზეთი „საქართველო“, № 147, 1917 წელი.
14. **ოდიშარია კ.** „ქართველ მაჰმადიანთა ყრილობის გამო, გაზეთი „საქართველო“, № 191, 1919 წელი.

Shushana Putkaradze

Historical Notes About Tao-klarjeti By K. Odisharia

Summary

K.Odisharia was a Georgian journalist, scientist, traveler, the member of Georgian Charity Organization and the attorney of the mentioned organization in Artaani. As he was one of the most active journalists in that period of Georgia, he had to describe the damaged villages and settlements of Artaani after the World War the first. In order to describe the above mentioned villages clearly, he travelled round Artaani in 1914-1919 (called “vilaeti of Karsi” nowadays). He described 331 villages of this site, wrote down some interesting legends, described historical monuments of Artaani. The historical material found by K.Odisharia is the one historical source ever found in Georgian History about this important part called Artaani.

პეტრე იბერის მართლმადიდებლური (ქალკედონიზური) აღმსარებლობისათვის

როცა უდიდეს, მსოფლიო მნიშვნელობის საეკლესიო მოღვაწეებზე, კერძოდ, პეტრე იბერის მსგავს პიროვნებებზე ვმსჯელობთ, ისტორიული წყაროებისა და მათი საბუთიანობის გზამკვლევად წინ უნდა მიგვიძღოდეს ქართულ საეკლესიო ტრადიციაში ასწლეულების განმავლობაში გამოტარებული რწმენა, რომ ქართული სამოციქულო ეკლესია ეს არის ქართველი ერის საუკეთესო სურვილთა და სულიერ მისწრაფებათა ჩასახვის, დაბადებისა და განხორციელების საგანე. ამიტომაც, პეტრე იბერის აღმსარებლობის, მისი მართლმადიდებლურ-ქალკედონური რწმენის დამოკიდებულების გარკვევა, უპირველეს ყოვლისა, ქართული ეკლესიის წიაღში უნდა მოხდეს და გადაწყდეს, რადგან სწორედ მსგავსი პიროვნებები წარმოადგენენ ჩვენს საუკეთესო სურვილთა და მისწრაფებათა რეალურ გამოხატულებას. მაგრამ ჩვენ, როგორც მის სულიერ შვილებს, გვაქვს უფლება და მოვალეობაც ზემოთ გამოხატული თვალსაზრისის გათვალისწინებით გამოვთქვათ აღნიშნულ საკითხზე ჩვენი მოკრძალებული, მსჯელობის ღოგიკიდან გამომდინარე, საკუთარი რწმენით ნასაზრდოები შეხედულებანი.

დავიწყებ იმით, რომ „უფლისწული მურვანოსი და მისი მასწავლებელი მითრიდატე ღაზი **მაცხოვრის საფლაავზე** ბერებად აღიკვეცნენ. მურვანოსს ეწოდა **პეტრე**, მითრიდატეს **იოანე**. პეტრემ და იოანემ **სირია-პალესტინასა** და **ეგვიპტეში** მრავალი ეკლესია–მონასტერი დაარსეს. როგორც **წმ. პეტრე იბერის** ბიოგრაფი **ზაქარია ქართველი გვამცნობს**, ეგვიპტეში **წმ. პეტრეს** მიერ აშენებული ტაძარი **წმ. მარკოზ მახარებელმა** აკურთხა“ („ცხოვრება და მოღვაწეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა პეტრე ქართველისა, რომელიც იყო ძე ქართველი მეფისა“, თბ., 2012, გვ.4].

რადგან ღრმად გვწამს, რომ ღმერთის ნების გარეშე არაფერი ხდება, ზემოთ ჩამოთვლილი, პეტრე იბერის თავზე უფლის მიერ დაშვებული მადლი, რომ იგი ბერად აღიკვეცა თავის მასწავლებელთან ერთად მაცხოვრის საფლაავზე და მათ სირია-პალესტინა-ეგვიპტეში დაარსეს მრავალი მონასტერი, ამასთან, ერთ-ერთი ამ მონასტერთაგანი **წმ. მარკოზ მახარებელმა** აკურთხა, – ჩემთვის საკმარისია მის ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რწმენაში დაეჭვება გამოვრიცხო, რადგან კარგად ვიცი, რომ წმინდა კანდელზე ღვთიური ცეცხლი ქრისტეს საფლავიდან მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქის ხელში ინთება. ჩემს ამ რწმენას კიდევ უფრო ზრდის **პეტრე იბერის** ბიოგრაფის სხვა ცნობებიც, რომ **პეტრე იბერმა** დაუღალავი **სამონასტრო** და **პილიგრიმული მოღვაწეობით**

ისე გაითქვა სახელი, რომ მას სირია-პალესტინისა და ეგვიპტის **მონაზონთა ბურჯი** უწოდეს. იმდროინდელი წყაროები პეტრეს იხსენიებენ, როგორც „მსოფლიოში საკვირველად სახელგანთქმულ კაცს, „დიდ პეტრეს“, „მეორე მოსეს“ [იქვე]. ამასთან **პეტრე იბერი არის** იერუსალიმში **ქართული ჯვრის მონასტრის მშენებელი**, რომელიც საზღვარგარეთ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს შორის უძველესია [გვ. 6] . რაც შეეხება აღნიშნული მონასტრის აშენების ადგილს, „**მირიან მეფემ** ეს ადგილი იმპერატორ **კონსტანტინესაგან** მიიღო საჩუქრად, **მირიან მეფის** აშენებული ტაძარი V საუკუნეში **პეტრე იბერს** განუახლებია **წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის** ფინანსური დახმარებით [გვ. 9], რაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ 451 წლის ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ. და, რომ **პეტრე იბერი** ერეტიკოსი (მონოფიზიტი) ყოფილიყო, განა დაუშვებდა **წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი** მასთან ასეთ თანამშრომლობას?! ანდა მისი ბიოგრაფი **ზაქარია ქართველი** თავს უფლებას მისცემდა იგი ამდენ ქრისტიან მართლმადიდებელ წმიდანებთან ერთად, მათ საქმეთა თანაზიარად და გამგრძელებლად დაესახელებინა?! ამასთან, ჯვრის მონასტერი რომ ნამდვილად ქართველებმა დაარსეს და მათვე აღადგინეს ეს კარგად ჩანდა მონასტრის დასავლეთი კედლის ფრესკებზე, სადაც გამოსახულნი იყვნენ: **მეფე მირიანი, ვახტანგ გორგასალი და წმიდა პეტრე იბერი**. იმპერატორი **კონსტანტინე** და მისი დედა **ელენე, ბაგრატ IV, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები და პროხორე შავშელი**.

მირიანმა, იმპერატორ **კონსტანტინესაგან** საჩუქრად მიიღო ეს ადგილი, – და **პეტრე იბერი** – აღმაშენებელი, მონასტრის აღდგენის ინიციატორები; **ვახტანგ გორგასალი** – **ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ბაგრატ IV** იყვნენ დამფინანსებლები, **გიორგი პროხორე** – აღმდგენელი [გვ. 9–11].

ფაქტია, რომ აქ ჩამოთვლილ წმიდანთა, სასულიერო თუ საერო პირთა მართლმადიდებლურ აღმსარებლობაში ეჭვის შეტანის არავითარი საბუთი არ არსებობს და პეტრე იბერიც რომ ამავე მრწამსის არ ყოფილიყო, მითუმეტეს მის მიმართ ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დაგმოიხილი ერესის მიმდევრობაში ეჭვი არსებუდიყო, სრულიად გამორიცხული იქნებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღნიშნულ ფრესკაზე ზემოთ ჩამოთვლილ არათუ წმინდანებთან, არამედ (ისტორიულ) საერო პიროვნებებთანაც მისი გამოსახვა. ამავე რიგის მტკიცებულებას მიეკუთვნება სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ფრესკის ფრაგმენტი (XIII ს.). ფრესკაზე გამოსახულნი არიან წმ. პეტრე იბერი, **წმ. ილარიონ ქართველი და წმ. შიო მღვიმელი**. ფრესკას ამშვენებს წარწერა – **მნათობნი ქართველთანი** [გვ.15]. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა მოსაზრება, რომ **წმიდა პეტრეს** სახელს უკავშირდება მეორე მოციქულებად წოდებულ **13 კაპადოკიელი ქართველი მამის** (ე.წ. ასურელი მამების): **ღირსი იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, ანტონ მარტყოფელის, და-**

ვით გარეჯელის, ისე წილკნელის, იოსებ ალავერდელის, ზენონ იყალთოელის, აბიბოს ნეკრესელის, პიროს ბრეთელის, მიქაელ ულუმბოელის, სტეფანე ხირსელის, ისიდორე სამთავნელის და თადეოზ სტეფანწმინდელის მოსვლა საქართველოში. ვფიქრობთ, წარმოუდგენელია „მონოფიზიტ“ პეტრე იბერს ამდენი მართლმადიდებელი წმიდა დასის წევრისათვის ქალკედონიტურ-დიოფიზიტური აღზრდა-განათლება მიეცა, შემდეგ მათთვის ორგანიზება გაეკეთებინა და თავის სამშობლოში გამოეგზავნა. თუმცა, როგორც **კირიონ II** აღნიშნავს: „ჯერ კიდევ სიცოცხლეში წმიდა პეტრე (პეტრე იბერზეა საუბარი – უ.ო.) თავის სიამაყედ მიაჩნდათ არა მარტო მართლმადიდებლებს, არამედ მონოფიზიტებსაც. მისი ნეტარი აღსასრულის შემდეგ კი იგი ორივე მხარემ შერაცხა თავიანთ წმინდანად“, ისევე როგორც სომხეთის განმანათლებელი მღვდელმთავრე გრიგოლ ეპისკოპოსი (დაახლ. 335 წ.) და მღვდელმთავრე პეტრე – ალექსანდრიელი ეპისკოპოსი (331 წ.)...“; მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მოხდა იმიტომ, რომ **პეტრე იბერის** ეკლესიური ავტორიტეტი და მისი სულიერი ღვაწლი იმდენად დიდი და განუსაზღვრელი იყო, რომ მან შეძლო შეუთავსებელთა შეთავსება და საკუთარი მართლმადიდებლური მადლის წინაშე ქელი მოადრეკინა თვით ერეტიკოსებსაც.

ამიტომ ჩვენ სრულიად სამართლიანად და ისტორიული თვალსაზრისით გამართულად მიგვაჩნია **გვანცა კოპლატაძის** მიერ თავის ნაშრომებში, ისტორიული ლიტერატურისა და წყაროების ღრმა ცოდნითა და შესანიშნავი, სიღრმისეული ანალიზით დასაბუთებული ვ. წამალაშვილისა და ვ. ჭელიძის ზერელე შეხედულებათა კრიტიკა, – ამასთან სრულად ვიზიარებთ მის მიერ გაკეთებულ დასკვნებს და მასთან ერთად ამგვარ ავტორებს მეც მინდა ვკითხო: „**რატომ არის „სულიერი ბოროტმოქმედება“ „ცრუ პატრიოტული ხიბლი“, „უკიდურესი შეურაცხყოფა ეკლესიის უცდომელობის დოგმატისა“, ნაყოფი „აცუნდრუკებული გონებისა“ და, რაც კიდევ უფრო საოცარია, ეკლესიიდან განკანონების მიზეზი, მცდელობა ერეტიკოსის სახელის ჩამოშორებისა ქართველ უფლისწულისათვის, ვინც პირველი ქართული მონასტერი ააგო უცხოეთში და იგი უღამაზესი ქართული წარწერებით შეამკო, ვინც ზეწოდებად იბერი აირჩია, რათა უცხო სამყაროში მოღვაწეობისას ხაზი გაესვა თავისი ეროვნული წარმომავლობისათვის?“**

ამასთან ერთად, ამგვარ „ავტორებს“ ვეტყვოდი, რომ სხვა თუ არაფერი, რატომ უნდა დავაყენოთ ეჭვქვეშ ქართველი მართლმადიდებელი მოღვაწეების – ზაქარია ქართველის, მაკარ მესხის, ნიკოლოზ დეკანოზისა თუ სხვათა ნაშრომ-ნაღვაწი და ნააზრევი და უაპელაციო ნდობა გამოვეუცხადოთ ერეტიკოსებს, ე.ი. თავიდანვე შეცდომილებს. ეს ხომ იგივეა, რომ საკუთარ მართლმადიდებელ სულიერ მოძღვრებს მონოფიზიტი ერეტიკოსები ამჯობინო, ანუ სულიერი სამოთხის მოლოდინს მარადიული ჯოჯოხეთი არჩიო; ანდა როდის მერე გახდა თავიდანვე შემცდართა, ანუ ეროტიკოსთა მო-

საზრებანი ანგარიშის გაწევის ღირსი?! ჩემი აზრით, ისინი იმასაც არ იმსახურებენ, რომ არათუ განვსაჯოთ, არამედ განუსჯელად უარყოთ, რადგან სულიერი ცდომილება მკედრად შობილი არა არსია. ამიტომაც, პოზიცია ამ **ავტორებისა**, სხვა არაფერია, თუ არა ზოგიერთი ქართული ისტორიული წრეებისათვის დამახასიათებელი **ისტორიოგრაფიული მაზოხიზმი** და მართლაც, დიდხნის გარკვეული და ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი პრობლემების გაურკვევლობის ბურუსში ხელოვნური გახვევის ცდა, ანუ ცრუ არსის მსახურების გაგრძელება.

უტოპიური სოციალიზმის ისტორიიდან საქართველოში

უტოპიურ სოციალიზმს საქართველოში არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. XIX საუკუნის 60–70-იან წლებში იგი ჩვენში განმანათლებლურ-ნაროდნიკულ ხასიათს ატარებს, ხოლო 80-იან წლებში მეცნიერულ სოციალიზმზე გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს.

XIX საუკუნეში, ძველისა და ახლის ჭიდილში, საქართველოში კაპიტალიზმში შემოვიდა და ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბებისათვის სათანადო პირობები შეიქმნა. მაგრამ ეს მტკივნეული და ხანგრძლივი პროცესი ჩვენში, არა რევოლუციის, არამედ ბურჟუაზიული რეფორმების შედეგი იყო, რამაც არსებითად განსაზღვრა შიგა წინააღმდეგობრივი პროცესების გახანგრძლივება (გორგილაძე, 1967:318).

დემოკრატიულად განწყობილმა ქართველმა ინტელიგენციამ წინა პლანზე წამოსწია საზოგადოების ჩაგრული ფენების სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, რაც ილ. ჭავჭავაძემ თავისი ცნობილი ლექსით („მუშა“) გვამცნო (ჭავჭავაძე, 1937:52,I).

ნ. ნიკოლაძემ ყოველგვარ უფლებას მოკლებული ამ კატეგორიის უმწეო მდგომარეობა გერცენის „კოლოკოლში“ გამოქვეყნებული წერილით აუწყა საზოგადოებას. ეს იყო მკაცრი პროტესტი ყოველგვარ მოქალაქეობრივ უფლებას მოკლებულ იმ ადამიანებზე, რომლებიც უთანასწორო ცხოვრების მორევში იძირებოდნენ (ნიკოლაძე, 1977: 1:300).

ქართველმა დემოკრატებმა ნათლად დაინახეს ახალშობილი კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი და მასთან ჩაგრულთა ბრძოლის სამართლიანობა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი (გორგილაძე, 1967:319).

ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატები კაპიტალიზმს ჩაგვრისა და ექსპლუატაციის სისტემად აღიქვამდნენ, ამიტომ ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრება მათ, საქართველოს მომავლად არ ესახებოდათ. ილიას ღოზუნგი: „ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“ ამას არ გულისხმობდა. იგი სულ სხვა მოდელზე-ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე იყო ორიენტირებული.

საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობამ საქართველოში ბევრი რამ გაუგებრობის ბურუსში გაახვია, თუმცა ქართული საზოგადოებრივი აზრი გასცდა უტოპიური სოციალიზმის ჩარჩოებს, მაგრამ უფრო შორს ვედარ წავიდა ქვეყანაში სათანადო პირობების არ არსებობის გამო.

ფაქტია, რომ თერგდალეულები (ეროვნულ-დემოკრატები) ოცნებობდნენ ისეთ საზოგადოებაზე, სადაც შრომისა და პიროვნების თავისუფლება დამოუკიდებელი და ბედნიერი ცხოვრების საფუძველი გახდებოდა, რაც აშკარად სოციალისტური ტენდენციების შემცველი იყო.

უტოპიური სოციალიზმის ისტორია და ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი ჩვენში თანმთხვევია. „ეროვნული საყოველთაო სოციალიზმის“ ერთ-ერთი პირველი მომხრე და მქადაგებელი საქართველოში იაკობ გოგებაშვილია. დიდი განმანათლებელი ამ მოვლენაში საზოგადოების საყოველთაო ჰარმონიის საფუძველს ხედავდა. იგი წერდა: „ეროვნული საყოველთაო სოციალიზმი კაცობრიობას გაამსგავსებს გრანდიოზულ ბედნიერ ხოროს, რომლის ყოველი წევრი, ყოველი ერი, თავისებური ხმით გაამდიდრებს და დაამშვიდებს საზოგადო ჰარმონიას“ (გოგებაშვილი, 1987: 298). ქართველმა სამოციანელებმა ამით გაუსწრეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეებს და სოციალური თანასწორობის საფუძვლებზე დაყრდნობით დამოუკიდებელი და „თავისუფალ ეროვნებათა ნებაყოფლობითი ერთობლიობის“ საკითხი დააყენეს.

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია აზრი თერგდალეულთა განმანათლებლობაზე, „იდეთა იგივეობაზე, ევროპის იდეალებით გატაცებასა და ხალხთა მასების იდეალების დაცვაზე. „საქართველოში განმანათლებლობა და სოციალიზმი იმთავითვე ერთმანეთს შეუერთდა და დემოკრატიული შინაარსისა და სოციალიზმის ფორმის ერთიან მიმდინარეობად წარმოგვიდგა“ (გორგილაძე, 1967:323). ახლა უკვე სავსებით ცხადია ქართველ განმანათლებელთა მიერ საზოგადოებრივ შეგნებაში მომხდარი გადატრიალება და ეროვნული დემოკრატიზმის დამკვიდრებაში მიღწეული წარმატება.

ილ. ჭავჭავაძეს ქართული განმანათლებლობა საერთო განმანათლებლური მოძრაობის მძლავრ შენაკადად მიაჩნდა. იგი არა მარტო წინამორბედი, მოწინავე ქართული აზროვნებით სარგებლობდა, არამედ კაცობრიობის საყოველთაო იდეური მონაპოვრებით, „აღზრდილი და განსწავლული როგორც რუსულ ისე უცხო მწერლობასა და მეცნიერებაში“. ამ აზრს სავსებით ეთანხმებოდა ნ. ნიკოლაძე, რომელიც აღფრთოვანებით აღნიშნავდა პეტერბურგში განცდილ „პირველ ახალგაზრდულ აღტაცებასა და ყმაწვილური ოცნების ეშხს“.

60-იანი წლების ახალი მძლავრი ლიტერატურული მოძრაობა საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილების შედეგი იყო. მაგრამ სწორი არ იქნება იმდროინდელი განმათავისუფლებელი იდეები იზოლირებულად განვიხილოთ და მისი ფესვები მხოლოდ ქვეყნის ჩამორჩენილ ცხოვრებაში ვეძიოთ. ცნობილია, რომ ეკონომიკური ჩამორჩენილობა არაა დაუძლეველი ბარიერი მოწინავე ლიტერატურული მოძრაობისა და იდეების წარმოშობისათვის. ე.ი. ეკონომიკური მომენტი არ არის ერთადერთი განმსაზღვრელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. იდეო-

ლოგიის „ზიგზაგისებურად“ განვითარების ფაქტი იმის დასტურია, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს იდეოლოგიის სფეროშიც „შეუძლიათ პირველი როლი შეასრულონ“ (მარქსი, ენგელსი, 1964:474). ამის დამადასტურებელია XVIII საუკუნის საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია. ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ხელოვნებისა და იდეოლოგიის აყვავების გარკვეული პერიოდები „სულაც არ შეესაბამება საზოგადოების საერთო განვითარებას (მარქსი, 1953:297).

საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა გამწვავებამ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში და მეცნიერულ სოციალიზმის გაბატონებამ, ქართულ ეროვნულ-დემოკრატიებს ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკის საფუძველი მისცა. ახლა მათთვის ევროპა იდეალი აღარ იყო, ნათლად ჩანდა უტოპიური სოციალიზმის უარყოფითი მხარეებიც, ხოლო ევროპის მუშათა მოძრაობის სიმართლეს წინ ველარაფერი დაუდგებოდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ქართულმა აზროვნებამ განიცადა არა მარტო უტოპიური სოციალიზმის ზემოქმედება, არამედ ევროპის მუშათა სოციალისტური მოძრაობისა და მეცნიერული სოციალიზმის მნიშვნელოვანი გავლენაც. იგი თანადგომით ეხმაურება პარიზის კომუნას, პირველი ინტერნაციონალის დაარსებას. ამის დამადასტურებელია როგორც ქართული ლიტერატული კრიტიკა, ისე ილიას მთელი შემოქმედება, მისი პოეზია და პროზა, „შრომის ახსნა და ახალ ნერგზე ქვეყნის აყვანა, „განახლების გრიგალით გამოწვეული კაცთა ცხოვრების შემაფერხებელი ბორკილების მსხვრევა და „საყოველთაო შრომის სუფევის დამყარებისათვის ბრძოლა“ (გორგილაძე, 1967:330).

ცნობილია, რომ ნაროდნიკული იდეების პირველი მქადაგებელი საქართველოში ნ. ნიკოლაძეა. მისი ღრმა რწმენით საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ერთადერთი ფორმა, რომელსაც შეეძლო საქართველოსათვის დიდი სარგებლობის მოტანა, „მიწის სათემო საკუთრება და „მართვა-გამგეობის სათემო ორგანიზაცია“ იყო. „ხალხის განთავისუფლებისათვის საჭირო და „შეერთებული შრომისა და ცხოვრების“ უტოპიურ-სოციალისტური იდეა მან 90-იან წლებშიც შეინარჩუნა. „მმართველობის ძალის გადასვლა ხალხის ხელში“ მას ამ პერიოდშიც მტკიცედ სწამდა, მაგრამ 60–70-იანი წლებისაგან განსხვავებით ის აზრი უნდებოდა, რომ კაპიტალისტური ხანის გაუფლელად მომდევნო საფეხური (სოციალისტური) საქართველოსათვის შეუფერებელია. ნ. ნიკოლაძის სოციალისტური შეხედულებები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შინაარსისაა, იგი ქართულ ნიადაგზე გადმონერგილ უტოპიურ სოციალიზმს ქადაგებს.

ბურჟუაზიული დემოკრატიზმი და უტოპიური სოციალიზმი გიორგი წერეთლის შემოქმედებაში ერთიანობაშია წარმოდგენილი. კაპიტალიზმის პროგრესულობა, ბურჟუაზიული ასოციაციები, საწარმოო ამხანაგობები, ვაჭრობა-მრეწველობის სასურველი მიმართულებით განვითარებასთან ერთად მისი შეხედულებების ძირითადი ნაწილია. იგი მთლიანად

იწონებს და საყოველთაოდ აღიარებს „სამართლიანი ცხოვრების“ ოუენისეულ იდეას.

სოციალისტურ-უტოპიური იდეების პროპაგანდისათვის გ. წერეთელი მხოლოდ პუბლიცისტიკას როდი იყენებდა. მან ეს შეხედულებები სათაგადასავლო ზღაპარ „ღვთისწყალობაშიც“ გადმოსცა, სადაც „ყველანი თანასწორად შრომობენ, ყველას საერთო საქმე საკეთილოდ მიაჩნია, „ყველანი ერთის გულისათვის თავს სწირავენ და ერთი ყველასათვის“ (წერეთელი, 1925:10).

70-იან წლების ბოლოს ქართულ პრესაში პირველად გამოჩნდა ფურის, სენ-სიმონის, ოუენის და სხვა სოციალ-უტოპისტების სახელები. იმდროინდელი პრესის მიხედვით მათდამი თანაგრძნობა და სიმპათია აშკარად ჩანს, ხოლო პუბლიკაციები გაბედულად აშუქებენ დიდი უტოპისტი სოციალისტების იდეებს. ამის დადასტურებაა ერთ-ერთი ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნ. ინაიშვილის შემოქმედება. ქართულ პუბლიცისტიკაში მან პირველმა განმარტა სოციალიზმის ცნება, ჩინებულად დაახასიათა დიდი სოციალ-უტოპისტების მოძღვრება, როგორც პიროვნების თანასწორობის, თავისუფლებისა და ბედნიერების საყოველთაობის აღიარება. ნ. ინაიშვილმა დიდი უტოპისტების სამეფლი-სენ-სიმონი, ფურიე და ოუენი ქართული საზოგადოებრივ-სამეფლი-სენ-სიმონი, ფურიე და ოუენი ქართული საზოგადოებრივი პროგრესის და კაცობრიობის ბედნიერი მომავლის სინონიმად.

ამ გზას წარმატებით აგრძელებს ან. ფურცელაძე, რომელმაც ამავე დროს გაბედულად დასვა საკითხი „ევროპული აზროვნების მონობის“ თავიდან აცილების აუცილებლობის შესახებ.

უტოპიური სოციალიზმისადმი ან. ფურცელაძის დამოკიდებულება გამონაკლისი როდია. ამ დროს საქართველოში ბევრს არ სჯეროდა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის არსებული ანტაგონისტური დაპირისპირების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობა. ამის ნათელი დადასტურებაა ს. მგალობლიშვილის, გ.ჭრელაშვილის, ნ. ლომოურის და სხვათა პუბლიცისტიკა და მხატვრული შემოქმედება.

აღსანიშნავია, რომ, საზოგადოებრივი მოძრაობის ფორმათა მრავალგვარობის მიუხედავად, უტოპიური სოციალიზმი აუცილებელ ეტაპს წარმოადგენდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარებაში. ქართველი დემოკრატები შეგნებულად თანაუგრძნობდნენ დასავლეთ ევროპულ სოციალიზმს და მხარს უჭერდნენ მუშათა კლასის ბრძოლას არსებული საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგ.

80-იან წლებში საქართველოში აღარ არის „წმინდა“ უტოპიური სოციალიზმი. ამ დროიდან უკვე შესაძინეია წვრილბურჟუაზიულ და პროლეტარულ სოციალიზმს შორის შუა მდებარე შეხედულებები, იქმნება წვრილბურჟუაზიულიდან პროლეტარულზე გარდამავალი შერეული მიმდინარეობებიც, არის უტოპიური სოციალიზმის მეცნიერულთან შეერთე-

ბის ცდებიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 80-იან წლების ცნობილი ქართველი პუბლიცისტი ბოსლეველი. მისი შეხედულებები რუს და ქართველ სამოციანელთა უტოპიურ-სოციალისტური იდეების შედეგია, უფრო სწორად, იგი ამ იდეურ სივრცეში აღიზარდა. ეს კარგად ჩანს 60-იან წლების რევოლუციონერ-დემოკრატებისადმი მის დამოკიდებულებაში. მისი თქმით ამ იდეებმა გამოაღვიძა მითვლემილი საზოგადოება, ფეხი აადგმევინა ჩვენს თანამედროვე ლიტერატურას, რომელსაც „ქართული ლიტერატურის ცნობიერი ბელადი“ ილ. ჭავჭავაძე მეთაურობდა (ბოსლეველი, 1961:31). იგი იცავს და აგრძელებს 60-იან წლებში თერგდალეულების მიერ გაჩაღებულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულებას და ამ იდეური არსენალიდან წინა პლანზე აყენებს ეროვნული დამოუკიდებლობის, დაცემული ვინაობის აღდგენის და „პოლიტიკური თვითმდგომარეობის მოპოვების“ ილიასეულ იდეას (ბოსლეველი, 1961:165). მას სწამს, რომ თავისუფლება და თანასწორობა მარტო სიტყვიერი ნიადაგით არ მოიპოვება, რომ მას ეკონომიკური ნიადაგი სჭირდება, რაც მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლამ უნდა მოიტანოს.

ყურადღებას იქცევს სოციალიზმის ბოსლევლისეული განმარტება (ამ მხრივ იგი ქართულ პუბლიცისტიკაში ერთ-ერთი პირველია), სადაც სოციალისტური მოძრაობა ცხოვრების მოუწესრიგებლობის შედეგადაა აღიარებული: „სოციალიზმი თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთშორისობის პირმო შვილია“, იგი იმ გარემოებამ წარმოშვა, რომლის მიზეზითაც „საკუთრება და სიმდიდრე გროვდება არა მათ ხელში, რომელნიც დაუღალავისა მუდმივის გამაღებულის შრომით აჩენენ ერთსაც და მეორესაც, არამედ მათს ხელში, რომელთაც სამართლით ყველაზე უფრო ნაკლებად ეკუთვნის“. სოციალიზმმა ეს უსამართლო ეკონომიკური ურთიერთობანი უნდა შესცვალოს პრინციპით: „...ვინც არ მუშაობს, არც უნდა სჭამდეს“. სოციალიზმი ძლიერთა და უსამართლოთაგან დევნილთა მოძღვრებაა, რომელიც ამყარებს ძმობას, თავისუფლებასა და თანასწორობას, რასაც „ქადაგებდა ღვთაებრივი მოძღვარი, წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველი და მეფეთა მეფე იესო ქრისტე“... (ბოსლეველი, 1961:163).

ბოსლეველმა იცის პოლიტიკური წყობილების ეკონომიკური ხასიათი და მისი კლასობრივი ფესვები, იგი ხედავს, რომ შეძლებულმა კლასებმა სახელმწიფო თავის ინტერესების შესაბამისად შექმნა და მის ნებასა და საქმიანობას ეს შეძლებული, ეკონომიკურად გაბატონებული ნაწილი განსაზღვრავს. სახელმწიფო წყობილება, მისი ფორმა და ხასიათი სწორედ ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ეკონომიკურად დამონებული მდგომარეობა საზოგადოებაში ძირითადი ცვლილებების სურვილით აღვიძებს და გარდაუვალს ხდის რევოლუციას, რომელმაც მშრომელი ხალხის ბატონობა უნდა დაამყაროს (ბოსლეველი, 1961:172).

საზოგადოებრივ განვითარების კანონზომიერებებში გარკვეული ბოსლეველი, სოციოლოგიაში „ისტორიული მეთოდის“ მომხრეა. იგი საუკუნოდ თვლის იმ საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების გათვალისწინებას, რომლებშიც ადამიანებს უხდებათ მოღვაწეობა, ხაზს უსვამს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ობიექტურსა და სავალდებულო ხასიათს, როგორც მრავალი ძალისა და ფაქტორის მოქმედების შედეგებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მარქსი, კარლ მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953.
2. მარქსი, ენგელსი, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, რჩეული ნაწერები, ნაწ. II. თბ., 1964.
3. ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 1, თბ., 1972.
4. გოგებაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, 1987.
5. წერეთელი, გიორგი წერეთელი ღვთისწყალობა, თბ., 1925.
6. ნიკოლაძე, ნიკო ნიკოლაძე, თხზ. ტ. 1, თბ., 1977.
7. გორგილაძე, დეო გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1961.
8. გორგილაძე, დეო გორგილაძე, სოციალიზმის ისტორიიდან, თბ., 1967.
9. ბოსლეველი, ნაწერები, თბ., 1961.
10. ჟურნ. „იმედი“, № 7, თბ., 1882.
11. ენგელსი, ფრიდრიხ ენგელსი, ანტი-ლიურინგი, თბ., 1953.

Константин Глonti

Из истории утопического социализма в Грузии

Р е з ю м е

В 60-70-ые годы XIX века утопический социализм в Грузии носил просветительский характер, а в 80-тые годы приобретает положение переходящего в теорию научного социализма.

В этот период передовая грузинская интеллигенция с большим интересом впитывала достижения социалистического мышления Европы и России и для неё не были чужды и отдаленные перспективы этого учения.

Противоречия капитализма в Европе дали основание грузинским национал-демократам для критики капитализма, и для классовой борьбы в Грузии Илья Чавчавадзе не видел благодатной почвы.

В 70-тые годы XIX века в Европе да и в Грузии имена Сен-Симона, Фурье, Оуэна являлись символами преодоления зла, прогресса и счастья.

В 80-тые годы XIX века в Грузии утопический социализм из мелкобуржуазного преобразуется в переходящий в пролетарский социализм, что радикально было представлено известным грузинским публицистом Бослевели. Этот идейный наследник представителей 60-тых годов в грузинском общественном движении, явно приближается к идеям научного социализма, однако из-за недостаточной развитости капиталических отношений в Грузии и ранней кончины, Бослевели не смог продвинуться вперед.

თამილა ლომთათიძე
ნანული ნოღაიდელი

საბავშვო ბართობა-თამაშობათა ხალხური საწყისები და ლექსიკა აჭარაში

ხალხურ თამაშობებს მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბავშვის აღზრდის სისტემაში. იგი ბავშვის ცხოვრების ძირითად და განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ეროვნული საბავშვო თამაშობანი უმნიშვნელოვანესი აღმზრდელობითი საშუალებაა. ბავშვობის ადრინდელ ასაკში მთელი ცხოვრების წამყვან შინაარსს სწორედ თამაში წარმოადგენს. თამაში ბავშვისთვის არის სწავლა, შრომა, საქმიანობის სერიოზული ფორმა, გარესამყაროს შემეცნების საშუალება. თამაში უდიდეს როლს ასრულებს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მისი სხეულის, სულის, ყურადღების, მეხსიერებისა და აზროვნების სრულყოფილ განვითარებაში (უზნაძე, 1956:31). ბავშვები ცხოვრებას ეცნობიან თამაშით.

საქართველოში, ტრადიციულად, მეტად დიდი იყო ინტერესი ხალხურ თამაშობათა მიმართ. უკვე იოანე ბატონიშვილის “კალმასობაში” არის საუბარი ცალკეული თამაშების შესახებ. ქართველი ინტელიგენციის ყურადღება თამაშის მიმართ განსაკუთრებით გაიზარდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა გაჩნდა დაინტერესება მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებით. ამ თემაზე წერდნენ ი.ჭავჭავაძე, ა.წერეთელი, ი.გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვები.

ვაჟა ფშაველა „ივერიის“ ფურცლებზე წერდა: „მთელი თამაშობები, რომლებითაც დღეს ბაღდები ერთობიან, წარსული კაცობრიობის სურათებია. დღეს ერთ დროს ცხოველი მოვლენა სათამაშოდ გადაქცეულა. ნაწილი თამაშობათა მოგვაგონებს ომიანობას, ძარცვას, გატაცებას, ტყვედ შეპყრობას, რომელთაც წინა დროში ცხოველი ძალა ჰქონდათ, დღეს კი მხოლოდ აჩრდილს წარმოადგენს იმისას, რაც მაშინ სცოცხლობდა, რითაც ცხოვრება სულს იდგამდა” (ვაჟა ფშაველა, 1900). ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერება დიდ დაინტერესებას იჩენდა საბავშვო თამაშობების მიმართ. ქართველი ეთნოგრაფებიდან ამ საკითხს შეეხნენ ვ.ბარდაველიძე, ს.მაკალათია, ა.რობაქიძე, ნ.დოღობერიძე, ნ.შანშიაშვილი, ნ.შერეზადაშვილი, ნ.კაპანაძე და სხვ.

საბავშვო გართობა-თამაშობანი ხალხური შემოქმედების ნაყოფია. ისინი გარკვეულ საზოგადოებრივ გარემოცვაში წარმოიქმნებიან და შემდეგ ყოფის განუყოფელ ელემენტად იქცევიან. საბავშვო გართობა-თამაშობანი მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. ბავშვთა თამაშებში ასახვას პოულობს ხალხის ყოფის მრავალი მომენტი, ბავშვების მიერ ცხოვრებაში დანახული და გაგონილი, ყოველდღიური შრომის ელემენტები. ისინი ბაძვენ დიდებს, თამაშობენ საკუთარი ხელით შექმნილი სათამაშოებით. საბავშვო თამაშები ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდას უწყობს ხელს. იგი ბავშვს უფითარებს საზრიანობას, გამბედაობას, ამტანობას, აქტიურობას, ნებისყოფას და სხვ. ხალხური თამაშების უმთავრესი ნაწილი, თავისი ხასიათით, ეროვნულია და ტრადიციულობით ხასიათდება. ხალხური აღზრდის სისტემის ერთიან ჯაჭვში ერთერთ უმთავრეს რგოლს სწორედ თამაში და მისი საშუალებით აღზრდა წარმოადგენდა.

თამაშები იყოფა ძველ და თანამედროვე თამაშებად. ძველი თამაშები, ხშირად, ახალ ყაიდაზეა გარდაქმნილი, გადაკეთებული. გარდა ტრადიციული, საუკუნეების განმავლობაში შემონახული და დღემდე მოტანილი თამაშებისა, ყოფაში დღეისათვის დამკვიდრდა ისეთი თანამედროვე თამაშები, როგორიცაა კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, კარტი და სხვ.

თამაშები დიფერენცირებული იყო ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ჩვილ ბავშვთა თამაშებია: „წიპო-წიპო“, „აჩუ-აჩუ“, „საცერგობა“, „მოვიდა-მოვიდა“, „ზუკუტური“, „იწილო-ბიწილო“ და სხვა. მათი დანიშნულებაა ბავშვის ფიზიკური და გონებრივი აღზრდა, მეტყველების განვითარება, გარე სამყაროს შეცნობა. ხუთი წლის ასაკიდან: „თვალხუტობანა“, „ეწრობანა“, „აფრინდა-აფრინდა“, „სირობანა“, „ხეტბობინა“ და სხვა. მოზარდთა თამაშებია: „აღმობია“, „გაწყვეტილა“, „დანასობია“, „ცეცხლობანა“, „კენჭობილა“, „დატყუპისცალება“, „ვეზირობია“, „ვირიბობო“, „გრძელი ვირობია“, „მრგვალი ვირობია“, „მამლაყინწობა“, „შვიდი ქვა“, „კაკლობია“, „ბილაჯოხი“, „ქერიჭამობია“, „ბუზბუზა“, „ლახტი“ და სხვ.

თამაშები იყოფოდა სქესობრივი ნიშნითაც. ბიჭები იწრთობოდნენ სავაჟკაცო საქმეში სპორტული და საბრძოლო თამაშების საშუალებით. ვაჟები, უფრო მეტად, თამაშობდნენ ბურთით, შურდულით, კენჭებით, ქვებით, სხვა სათამაშო იარაღებით. მათთვის დამახასიათებელი იყო ისეთი თამაშები, როგორიცაა ომობანა, ლახტი, დანასობია და სხვა. გოგონებისათვის დამახასიათებელი იყო დედოფალებით, საოჯახო ინვენტარითა და ჭურჭლით თამაში. საოჯახო ყოფის ამსახველი თამაშებია: „სახლობანა“, „დედაშვილობა“, „თვალხუტობანა“ და სხვ.

ყოფაში დაფიქსირებულია ისეთი საბავშვო სათამაშოებიც როგორიცაა: წისკვილები, ურმები, ურიკები, დედაფალები, აკვნები, საბზრიალები, სახატუნები, თოფები, ხმლები, შურდული, ბურთი და სხვ.

ძველი ხალხური თამაშები, მეტწილად, შესაბამისი კუთხის მეურნეობის, ყოფისა და სოციალური კულტურის სარკეა. საბავშვო გართობა თამაშობებში აისახება მხარის ცხოვრება. ნაწილი ემსახურება ვაჟების სამამაცო საქმეებისათვის აღზრდას, ნაწილი – მეურნეობის ამა თუ იმ დარგის გაცნობა-დაუფლებას, ზოგი ავარჯიშებს გონებას (გამოცანებით თამაში ან გამოცნობაზე აგებული თამაშები), არის სიუჟეტურ-როლებიანი თამაშები (ვეზირობია). ამავე დროს, ქართულ საბავშვო გართობა-თამაშობებში ასახულია ქართველთა სულიერი კულტურის, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სხვადასხვა მხარე. ზოგი თამაში თავის დროზე რიტუალურ ქმედებას წარმოადგენდა და დღეს გასართობადაა ქცეული. ამის მაგალითია ცეცხლობა, გაგლეჯილა, დათვობა და სხვ. ხალხური რელიგიური წეს-ჩვეულებების ელემენტები დროთა განმავლობაში გადაგვარებულან, დაუკარგავთ საკულტო შინაარსი და საბავშვო გასართობად ქცეულან (ლოღობერიძე, 1967:233).

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით სწორედ ისეთი თამაშების ხალხური საწყისების გარკვევას, რომლებიც თავდაპირველად საკულტო დანიშნულების რიტუალს წარმოადგენდნენ და დღეს, სხვადასხვა რელიგიებისა და ეპოქების გავლენით, საბავშვო თამაშების სახით არის შემორჩენილი ყოფაში. ხშირად ისინი გვევლინებიან დამხმარე ეთნოგრაფიულ მასალად აჭარის ყოფაში ამა თუ იმ წეს-ჩვეულების არსებობის დასადასტურებლად და მათი ფუნქციონალური დანიშნულებისა და საკულტო შინაარსის ასახსნელად.

ზოგიერთი თამაში რომ სერიოზული საკულტო მოქმედების გადმონაშთს წარმოადგენს და უძველეს მსოფმხედველობას ასახავს, კარგად ჩანს აჭარაში გავრცელებულ თამაშში „წვედობილა//გაგლეჯილა“, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული თამაშის „ნიშხა-ნიშხა ბარბალუკას“ იდენტურია. ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფასა და ფოლკლორში, ისევე, როგორც სხვა ხალხების ყოფაში, ფართოდაა ცნობილი გველეშაპის მიერ მზისა და მთვარის მოტაცების მოტივი. გველეშაპისაგან მნათობთა გადასარჩენად ხალხი სხვადასხვა მაგიურ ხერხს მიმართავდა. მაგალითად, მზისა და მთვარის დაბნელების დროს ასტეხდნენ ხმაურს, თოფის სროლას. სწორედ ეს სიუჟეტი ჩანს აჭარაში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ თამაშში, როგორცაა „ნიშხა-ნიშხა, ბარბალუკა“. თამაშის დროს ორ თანაბარ ჯგუფად გაყოფილი მოთამაშეები ხელიხელჩაკიდებულნი ერთმანეთის პირისპირ მწკრივდებიან. ნიშხა-ნიშხას გაჭიმული მწკრივიდან ერთი მოთამაშე გაიქცევა, დაეძგერება ბარბალუკას მწკრივს და ცდილობს მის გაწყვეტას. თუ ეს შეძლო, მაშინ მწკრივის ერთი მონაწილე თან მიყავს ტყვედ, ხოლო თუ ვერ მოახერხა, თვითონ ხდება ბარბალუკას მწკრივის ტყვე და იქვე ებმება მწკრივში.

„ნიშხა-ნიშხა ბარბალუკას“ მსგავსი თამაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით გვხვდება. აღმოსავლეთ საქართვე-

ლოს მთიანეთში მას ეძახიან „ჭუპან-ჭუპანობას“, „დედამთილობას“, „გაგლეჯილას“, „ხელჩამბულას“ (დოღობერიძე, 1973:205). ეს თამაში „გაწვევდია“, „წვევდობილას“ სახელითაა ცნობილი აჭარაში. იგი, ჩვენამდე შედარებით ფრაგმენტულად მოღწეული, „ნიშხა-ნიშხას“ ერთ-ერთი ვარიანტია. თამაში საწყის სახეს საკმაოდ დაშორებულია, მაგრამ მასში საკმაოდ კარგად ჩანს ადრინდელი მითოლოგიური გადმონაშთი. ვბარდაველიძე მიიჩნევს, რომ ეს თამაში ასახავს ქართველთა უძველეს წარმოდგენას მზისა და შავბნელი ძალის – გველეშაპის ბრძოლისა. თამაშის მთავარი პერსონაჟი ბარბალუკა (ქალ-ბარბალუკა) ქართველი ხალხის სათაყვანებელი მზის ქალ-ღვთაების სახელს უდრის და ნათელი მზის განსახიერებაა, ხოლო ნიშხა გველეშაპის სახით პერსონიფიცირებულ შავბნელ ძალას უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ამ ორი – ნათელი და ბნელი ძალების ჭიდილი და დაპირისპირება წარმოადგენს ამ თამაშის საფუძველს. ამგვარად, ქართული საბავშვო თამაშობა „ნიშხა-ნიშხა“ ასახავს კოსმიურ-მითოლოგიურ სცენას მნათობი მზისა და და შავბნელი ძალის - გველეშაპის დაუცხრომელი ბრძოლისა. ამ კოსმიურ-მითოლოგიურ სიუჟეტს საფუძვლად უდევს უძველესი წარმოდგენები დღე-ღამის და ბუნებრივი სეზონების ცვლის გამომხატველი ნათელი და შავბნელი, კეთილი და ავი ძალების ჭიდილის შესახებ (ბარდაველიძე, 1939:37).

„ნიშხა-ნიშხას“ წარმართულ-მითოლოგიურ სიუჟეტებს უკავშირებს დ.ჯანელიძეც. ამ მისტიკრიების კვალს მკვლევარი ხედავს ქართულ საწესო სანახაობებსა და საზაფხულო სასიმღერო რეპერტუარში. ამას ისიც ადასტურებს, რომ თამაშის წყობას შენარჩუნებული აქვს საფერხულო შესრულების ნიშნები: მოთამაშეთა გაყოფა ორ ჯგუფად და თითოეულ მწყობრში საკუთარი მთქმელის (ბარბალუკა და ნიშხა-ნიშხა) ყოლა (ჯანელიძე, 1983:49-51).

„ნიშხა-ნიშხასთან“ გარკვეულ მსგავსებას ავლენს აჭარაში შემონახული „ცეცხლობია“ ანუ „ათეშოინი“//„ართოშანი“. ამ თამაშის დროს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მოთავსებულია ხაზიდან თანაბარი მანძილით დაშორებული ორი „ცეცხლი“, რომლებსაც იცავს ორი გუნდი. ორივე გუნდის მონაწილეები ცდილობენ ერთმანეთს მოსტაცონ „ცეცხლი“. რომელი გუნდის წარმომადგენელიც შეძლებს „ცეცხლის“ მოტაცებას და „საზღვარზე“ გადატანას, ის ითვლება გამარჯვებულად (ნოღაიდელი, 1986:83).

თამაშის ამოსავალი წერტილია ცეცხლის დაცვა. მისი უპატრონოდ დატოვება არ შეიძლება. ერთი მოთამაშე მას გამუდმებით იცავს. თუ მოწინააღმდეგე მხარე მას დაეპატრონა, თამაში წაგებულია.

„ცეცხლობიაში“ ჩანს ცეცხლის გაღმერთებისა და მასზე განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვის კვალი, რაც უძველესი ადამიანის ცხოვრებაში ცეცხლის როლითა და სასიცოცხლო მნიშვნელობით იყო განპირობებული. „ცეცხლობია“ მიჩნეულია ამირანის მიერ ღმერთებისათვის ცეცხლის მიტაცების მითოლოგიური სიუჟეტის განსახიერებად. იგი გა-

ტაცებული ცეცხლისათვის თავგამეტებული ბრძოლის ერთგვარ ინსცენირებას უნდა წარმოადგენდეს (ნოღაიდელი, 1971:126).

ცეცხლი რომ მზის მიწიერ ინსინუაციად აღიქმება, ჩანს თამაშის ერთ-ერთ სახეობაში, რომელსაც “ალმოზია” ანუ “დროშობია” ეწოდება. თამაში იმავე შინაარსისაა, ოღონდ მისი მთავარი ატრიბუტი არის დროშა//ალამი. მოთამაშეები ამ შემთხვევაში ცეცხლის ნაცვლად დროშის მოტაცებას ცდილობენ. გამარჯვებულად ის გუნდი ითვლება, რომელიც დროშას დაისაკუთრებს. თამაშში იკვეთება დროშისადმი, როგორც საკულტო ატრიბუტისადმი, მოწიწებისა და მისი გაფრთხილების უძველესი ჩვეულების ნაშთი.

ქართულ ეთნოგრაფიაში დადასტურებულია კავშირი დროშასა და მზის კულტს შორის. მიჩნეულია, რომ მზის კულტმსახურებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი სიცოცხლის ხის სახესხვაობად მიჩნეულ წმინდა დროშას ანუ „ალვისტანს“ უკავია. დროშა წმიდათაწმიდაა სათემო და სატომო სალოცავებში. მასზე ხელის შეხება მხოლოდ ხუცესს ან მკადრეს შეუძლია. იგი ინახებოდა მთავარ საკულტო ნაგებობაში და ხატობის დროს გადმოაბრძანებდნენ სპეციალურად მისთვის განკუთვნილ დროშათსაბრძან კოშკში. მასთან ახლოს ტარდებოდა მსხვერპლშეწირვა და, საერთოდ, ქართველები ყველა მთავარ მოვლენას დროშას უკავშირებდნენ და თავდადებით იცავდნენ მას. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფაში დროშა არის არა მხოლოდ ღვთაების სიმბოლო, არამედ მისი განსახიერება (ბარდაველიძე, 1939:58-65). აჭარაში არ ჩანს დროშის საკულტო დანიშნულებით გამოყენების ჩვეულება, მაგრამ დროშისადმი განსაკუთრებული თაყვანისცემის კვალი დროშობიას ანუ ალმოზიას თამაშშია შემონახული. მსგავსი თამაში - “ორდროშობანა” - აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიცაა შემონახული.

როგორც აღვნიშნეთ, აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალი უძველესი რწმენა-წარმოდგენის კვალი სწორედ საბავშვო თამაშებშია შემონახული. მაგალითად, ბერიკაობა-ყეენობის დღესასწაული აჭარაში არაა შემორჩენილი, მაგრამ მისი ნიშნები და გადმონაშთები აშკარად იკვეთება საბავშვო თამაშში “დათვობია”. ამ ნიშნების ჩაღრმავებული კვლევა, შედარება სხვა კუთხეების ანალოგიურ და პარალელურ მასალასთან, ლოგიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ აჭარაში ბუნების აღორძინების ამ უძველესი დღესასწაულის არსებობაზე, მის თავდაპირველ არსსა და მნიშვნელობაზე.

“დათვობია” ბაირამის ან სხვადასხვა დღესასწაულის დროს სრულდებოდა და იგი თამაშის სახითაა შემორჩენილი. დათვობიას თამაშის დროს ირჩევენ მთავარს, მსაჯულს, ან მეფეს, თხებს და დათვს. ზამთრის ძილიდან ახალგამოდვიძებული დათვი დაკარგულ თხებს დაეძებს. იგი დასდევს თამაშის მონაწილეებს და ცდილობს მათ დაჭერას. მთავარი კი, თავის მხრივ, გარშემო უვლის დათვს და განასკვული ყაბალახით

სცემს მას. თუ დათვი რომელიმე თხას დაიჭერს თავიდან ირჩევენ მონაწილეებს და იწყებენ თამაშს (ნოლაიდელი, 1971:143)

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს დღესასწაულის სახელწოდება. ზოგან საქართველოში ბერიკაობა-ყეენობა “დათობის” ან “დათვბერიკულის” სახელითაც მოიხსენიება, რადგან ზოგჯერ ბერიკას “დათოს”, “დათუნას” ეძახდნენ. იგი მოკვდავ და აღდგენად ღვთაებას განასახიერებს (სურგულაძე, 1978:42) დათვს იგივე ფუნქციები აკისრია, რაც ბერიკას. ზოგჯერ დათვის ნიღბით წარმოსახავდნენ თავბერიკას ერწოთიანეთში. ხევსურულ ქორწილში თამაში სცოდნიათ, რომელსაც დათუნობას ეძახდნენ (რუხაძე, 1999:95).

ბერიკაობა-ყეენობის ტიპის დღესასწაულებთან “დათობია” მსგავსებას ავლენს რამდენიმე ნიშნით. საერთოდ, ამ ტიპის რიტუალებისათვის დამახასიათებელია ზოომორფული ნიღბების გამოყენება. ბერიკაობა-ყეენობაში მონაწილე პერსონაჟთა ნიღბების როგორც გარეგნული, ისევე ფუნქციური მხარეების განხილვა ამ უძველესი სამიწათმოქმედო დღესასწაულის მრავალ საყურადღებო მომენტს ავლენს. რიტუალის დროს აჭარაში ნიღბების გამოყენების ჩვეულება არ დასტურდება, მაგრამ ნიღბების ნაცვლად აქ გვხვდება რიტუალის ზოომორფული სიმბოლიკის განმასახიერებელი პერსონაჟები. გაზაფხულზე ზამთრის ღრმა ძილიდან გამოდვიებული დათვი აღორძინებული გაცოცხლებული ბუნების ნაყოფიერების ძალების სიმბოლოდ გვევლინება და მისი მონაწილეობა ბუნების ძალთა აღორძინებისადმი მიძღვნილ რიტუალში გასაგებია. რაც შეეხება თხას, თხა ან თხის ტყავგადაცმული პერსონაჟები ბერიკაობის ერთ-ერთი მთავარი მონაწილენი არიან და განიხილებიან, როგორც ბუნების აღორძინებისა და ნაყოფიერების ძალის მატარებელი ზოომორფული არსებები (რუხაძე, 1999:78). უძველეს ხალხებში თხასა და ცხვარს გამანაყოფიერებელი ძალა მიეწერებოდათ. ამით იყო განპირობებული თხის გამომსახველ პერსონაჟთა და მისი ნიღბისა და ტყავის განსაკუთრებული როლი აგრარულ რწმენა-წარმოდგენებში. ამიტომაც ბერიკას თხის ან ცხვრის ტყავს აცმევდნენ. ნიღბსაც თხის ბაღნის თმა-წვერსა და რქებს უკეთებდნენ.

ბერიკაობა-ყეენობაში ჩანს დიონისეს კულტის გამოძახილი. თხის ტყავსა და ნიღბს ატარებდნენ დიონისეს მისტერიების მონაწილენი. თხას ბუნების აღორძინებას უკავშირებდნენ არა მარტო ქართველი ტომები, არამედ აფხაზები და ჩერქეზებიც. ცხვრისა და თხის ტყაპუჭებით და ნიღბებით ირთებიან ბასკეთში გავრცელებული დღესასწაულის - სენ-მიგელის დროს თავისი სადგომებიდან ჩამოსული მწყემსები - ბერცოლარები (ჩანტლაძე-ბაქრაძე, 2000:17).

ბერიკაობა-ყეენობის მთავარი პერსონაჟის - ბერიკას მიერ თხის გამომსახველი ნიღბის ტარება მიწის კულტთან იყო დაკავშირებული და უხვი მოსავლის მისაღებად იყო გამოიზნული. თუ საქართველოს სხვა რეგიონებში ბერიკა, ძირითადად, თხის სახით იყო წარმოდგენილი, აჭარა-

ში ეს ითიფალური პერსონაჟი გვევლინება “დათვობია”-ს მონაწილე თხე-ბის სახით. თხის მონაწილეობა იმ უძველესი აგრარული დღესასწაულე-ბისათვის იყო დამახასიათებელი, რომლებიც მიწის ნაყოფიერებისა და უხვმოსავლიანობის დასაბეგებლად იმართებოდა. დღესასწაულის ეს თავ-დაპირველი ბუნება და დანიშნულება უნდა იყოს ასახული, სწორედ, აჭარული “დათვობია”-ს პერსონაჟებშიც.

დათვობია ბევრ მსგავსებას ავლენს სვანურ ადრეკილაისთან. აქაც რიტუალის მონაწილეები იყოფოდნენ ორ გუნდად. მეთაურს ჰქონდა ჯო-ხი, წკნელი, ხის ხმალი (ფალოსის სიმბოლოები), რომლითაც სცემდა გუნდის წევრებს თავზე, ბეჭებზე, მკერდზე, მუცელზე, სასქესო ორგანო-ებზე, თეძოებზე, ფეხებზე (შდრ. დათვობიას თამაშში მსაჯულის მიერ დათვის განასკვული ყაბალახით ცემასთან). ზოგადად, ქართულ ეთნოგ-რაფიაში, ჯოხები, ხის ხმლები, შამფურები, ჩხირები და სხვ. ითიფალუ-რობის გამომხატველად ითვლებოდა. მიჩნეულია, რომ ამ ნივთებით ცემა და ჩხვლეტა უნდა იყოს სქესობრივი აქტის გამომხატველი და გამრაგ-ლებისათვის წარმოებული მაგიური მოქმედება (ჯავახიშვილი, 1951:64; ბარდაველიძე, 1953:134) ასე, რომ ამ მსგავსი ელემენტებითაც აჭარული “დათვობია” ორგანულ კავშირს ავლენს ბუნების ძალთა აღორძინების უძველეს ხალხურ დღესასწაულებთან.

ამგვარად, აჭარაში არ დასტურდება ბერიკაობა-ყვენობის ზუსტი პა-რალელი, მაგრამ იგი გადმონაშთური სახითაა შემორჩენილი სხვადასხვა გართობა-თამაშობაში. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, როგორც ცნობილი-ა, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ბერიკაობამ დაკარგა სა-კულტო მნიშვნელობა და საერო სანახაობად იქცა.

აჭარის ყველა კუთხეშია შემონახული ხალხური თამაშობა “მელა-კუტკუტობანა”/“მელიკუტკუტობანა”. იგი ცნობილია, აგრეთვე, “მელაკუ-დას”/“მელიკუდას”/ “კუდამელას” სახელითაც. მოთამაშე გოგო-ბიჭები-დან ერთი კრუხია, მეორე – ძერა, დანარჩენები კი - წიწილები. თამაშის მონაწილენი ერთმანეთს უდგანან მწკრივში მიყოლებით “მელისკუდი-ვით”. ძერა ცდილობს კრუხს წაართვას წიწილები, კრუხი კი გარს უფ-ლის წიწილებს და ცდილობს მათ დაცვას. ასე, თითო-თითოდ ძერა არ-თმევს კრუხს წიწილებს. მარტო დარჩენილი კრუხი ტირის და მელასთან ხანგრძლივი “ვაჭრობის” შემდეგ რიგ-რიგობით იბრუნებს თავის წიწი-ლებს. კრუხი გაარკვევს წიწილებთან დიალოგით, რომ ძერა ცუდად ექ-ცეოდა მათ და ყველანი მისდევნ მას დასაჭერად. დასასრულს ხელს ჩა-კიდებენ ერთმანეთს და “გააბამენ ფერხულს”. თამაშს ზოგან “სირობანა-საც” ეძახიან. ეს თამაში დიდ მსგავსებას ავლენს საქართველოს სხვა კუთხეებში ფართოდ გავრცელებულ “ქორობიას”-სთან, რომელიც უძვე-ლესი მისნური ცეკვებისა და ჯადოსნური საწესო ქმედებების გადმონაშ-თადაა მიჩნეული (ჯანელიძე, 1983:30).

თამაშის სახითაა შემონახული აჭარაში ამინდის მართვის ერთ-ერთი ყველაზე არქაული რიტუალი ლაზარობა, რომლის დანიშნულებაც ტაროსის ღვთაებისაგან სასურველი ამინდის გამოთხოვა იყო.

ლაზარობა სრულდებოდა ჩამოვლით. შუახვევის რაიონის სოფ. ბუთურაულში ჩაწერილი მასალით: “ხშირი გვალვა რომ იქნებოდა, ბავშვები მეიჭუჭკებოდნენ სოფელში. ცოცხზე ბავშვის კაბას წამოაცვამდენ და თანაც კლავებს გუუკეთებდნენ. ამას დაიჭირავდა ერთი ბავშვი, მეთაური ამ ბავშვებისა, და გაუძღვებოდა წინ. მიდიოდნენ მოსახლესთან ეზოში. ის ბავშვი, რომელსაც კაბაწამოხურული (ჩაცმული) ცოცხი ეჭირა ხელში, დაიწყებდა:

ლაზარია, ლაზარია, რაზა კარსა მოდგომია,
აღარღალებს თავსა, ვეხვეწებით ღმერთსა,
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი! ამინ!

ამ სიტყვებს ბავშვები იმეორებდნენ სამჯერ. მერე მოსახლის ხაზეინი გამეიტანდა და ამ ბაღნებს გადაავლებდა წყალს. შემდეგ კი გამოუტანდა ფქვილს, კარაქს, კვერცხს ან ყველს. ასე სოფელს მოიარდენ ეს ბაღნები და ბოლოს მიიტანდნენ ამ პროდუქტს ერთ მოსახლესთან; მოამზადებდნენ, ჭამდნენ და დეიფანტებოდნენ. სანამ ბაღნები ჭამას დაამთავრებდნენ, წვიმა მოვიდოდა, მაგრამ გაწვიმდებოდა” (თანდილავა, 1974:5).

მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა ლაზარობის რიტუალის თანმხლები ლექს-საგალობელი. შემონახულია მისი მრავალი ვარიანტი. სიმღერა-სადიდებლის შინაარსი იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ რას გამოითხოვდნენ ტაროსის ღვთაებისაგან, წვიმას თუ მზეს. საჭიროების მიხედვით იცვლებოდა არა მხოლოდ სიმღერა-სადიდებლის ტექსტი, არამედ რიტუალის წესებიც. მაგალითად, წვიმის გამოთხოვის მიზნით რიტუალის მონაწილეებს თუ წყალს გადაავლებდნენ, დიდი წვიმების დროს, პირიქით, ნაკვერცხალს გადმოაყრიდნენ და “დედოფალს” მისთვის აუცილებლად ფეხი უნდა შეეხო. ზოგან აუცილებლად ითვლებოდა ლაზარიას მორთვა ყირმიზი (წითელი) თავსახვევით ან ტანსაცმლით (ნოლაიდელი, 1971:131).

ამინდის გამოთხოვის რიტუალი საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული სხვადასხვა სახელწოდებით. ქართლ-კახეთში იგი ლაზარობის სახელითაა ცნობილი, რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში გონჯაობას ეძახიან, თუშეთში – საწვიმარა გუგას, მესხეთ-ჯავახეთში – კოტი-კოტის, სამეგრელოში -ბოჭყუდიას, ძიძიკვაკვას, ძივოუს და სხვ. საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებულ ამ რიტუალს, უმნიშვნელო განსხვავების მიუხედავად, ერთი ფუნქცია – ამინდის მაგიური მართვა ეკისრებოდა და მიწათმოქმედთათვის სასურველი ამინდის გამოწვევას ემსახურებოდა. ამ წეს-ჩვეულებათა სარიტუალო ქმედება და ლექს-საგალობლებიც თითქმის იდენტურია აჭარაში გავრცელებული ლაზარობისა.

ამინდის გამოთხოვის ანალოგიური წესები ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ფორმის მრავალფეროვნე-

ბის მიუხედავად, ამ რიტუალის არსი ყველგან ერთნაირი იყო და გვაღვივის ან მოჭარბებული წვიმების დროს სრულდებოდა. პროცესია სიმბოლური ფიგურით და პროცესიის მონაწილეთა წყლით დასველება მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაში დამკვიდრებული მაგიური ხერხია.

სასურველი ამინდის გამოსაწვევი ასეთივე ირაციონალური წესი იყო აჭარაში გავრცელებული ლაზარობაც, რომელმაც დღემდე მოაღწია, თუმცა ძლიერ ტრანსფორმირებული სახით. დღეს აჭარაში ლაზარობა საბავშვო თამაშობად არის ქცეული და თავისი პირვანდელი მნიშვნელობა თითქმის მთლიანად აქვს დაკარგული. მისი პირვანდელი სახის აღდგენა მხოლოდ ამ თამაშის ჩადრმავეებული შესწავლითაა შესაძლებელი.

თამაში წეს-ჩვეულებათა უძველესი ფორმების აღსადგენად დამატებით ეთნოგრაფიულ მასალას რომ წარმოადგენს, კარგად ჩანს მესაქონლეობასთან დაკავშირებული უძველესი რიტუალის - ბოსლობის გენეზისის შესწავლისას. ბოსლობა დღესასწაულის სახით აჭარაში არ შემონახულა, მისი არსებობა აჭარაში საბავშვო თამაშების მოკუჭალიებისა და ბუღობია//ეწრობიას ანალიზის მეშვეობით დასტურდება, რადგან სწორედ ამ თამაშებმა შემოინახა დღეობა ბოსლობის ელემენტებიცა და ღვთაება ბოსლას ფონეტიკური სახეცვლილებაც “ბოლა” (შამილაძე, 1973:49).

მოკუჭალიების თამაშისას ოჯახის უფროსი ქალი ან მამაკაცი ზურგზე აიკიდებს ბავშვს, დადის კერის გარშემო, ბავშვს ზურგზე არხევს და ღიღინებს:

„კუჭა შენა, კოდობანა, სავარცხელა,

კუჭა, კუჭა, ბოლა, ბოლა! ბუუ!“ (შამილაძე, 1971:33)

რაჭაშიც ბოსლობას ოჯახის უფროსი წევრები ზურგზე მოიკიდებდნენ ბავშვს და ასე დაჰყავდათ ბოსელში. ბავშვები ხმამაღლა გაიძახოდნენ “ბოსელ, ბოსელ, ბუუ!” ან “ბოსლა, ბოსლა, ბუუ!” ამ ელემენტებით ბოსლობა აშკარა მსგავსებას ავლენს მოკუჭალიებასთან. მოკუჭალიებაში და ბოსლობის ამ ელემენტებშიც ჩანს სიმპატიური მაგიის ნიშნები. ასეთი მოქმედებით ქვეცნობიერად ცდილობდნენ საქონლის გამრავლებას. რაც შეეხება ბავშვების მონაწილეობას ამ რიტუალში, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. აქ ბავშვები, ჩანს, ასოცირებული იყვნენ ახალშობილ არსებებთან და მათი მეოხებით ამ არსებათა გამრავლებას ცდილობდნენ.

მოკუჭალიებაში გამოყენებული ტერმინი “ბოლა”, ვ.შამილაძის აზრით, “ბოსლას” ფონეტიკური სახეცვლილებაა. აჭარაში გავრცელებული ეს საბავშვო თამაში არა მხოლოდ სახელწოდებით, არამედ შესრულების წესებითაც დიდ მსგავსებას ავლენს საქართველოს სხვა კუთხეებში დაცულ რიტუალ ბოსლობასთან. მაგალითად, სვანეთში ბოსლობის დამეს ოჯახის უფროსი წევრები წამოიკიდებენ ბავშვებს ან ოჯახის ტანმომცრო წევრებს და გომურში დაატარებენ. შესაძლოა მოკუჭალიებაც

აჭარაში საბავშვო თამაშის სახით შემორჩენილი ბოსლობის ფრაგმენტია.

ბოსლობასთან გარკვეულ მსგავსებას ავლენს აჭარაში გავრცელებული მეორე საბავშვო თამაშობა “ბუღობია”, რომლის დროსაც ოთხზე მდგარი ბავშვები ხარის წამბაძველი ღმუილით წრეში დაცოცავენ, თავით ეჯახებიან ერთმანეთს და ბაძავენ ხარებს. სხვა ვარიანტით, ბავშვებს ოთხზე მდგარი მოზრდილი ადამიანი ისვამს ზურგზე და ღმუილით უვლის წრეს (შამილაძე, 1971:34). დაფიქსირებულია ბუღობიას შემდეგი ვარიანტებიც: ბავშვები გვიმრის ტოტებით აკეთებენ კავებს, გამოდებენ ერთმანეთს და ცდილობენ კავები მოატეხონ ერთმანეთის გვიმრას. ამ დროს ამბობენ: “ვისი ხარი რქას მოიტეხს და ვის შერჩება ეს ხარიო”. ვისაც გაუტეხელი ეწრები დარჩება, ისაა გამარჯვებული. თამაშს ზოგან ეწრობილასაც უწოდებენ.

თამაში ბუღობია მსგავსებას ავლენს აჭარაში ფეხმოკიდებულ სახალხო გასართობთან, რომელსაც “ბუღების ჭედობა” ეწოდება. ეს გართობა-თამაშობა წარმოდგენილია სპეციალურად შერჩეული, ნაპატიები ბუღების დაჭიდებისა და შეჯიბრების სახით. ბუღების პატრონები თვეობით ამზადებდნენ ბუღებს შეჯიბრებისათვის. შემდეგ ინიშნებოდა შეჯიბრების დრო და ადგილი. შეჯიბრებაზე უამრავი ხალხი იყრიდა თავს. გულშემატკივრების შეძახილებით ამხნევებდნენ ბუღებს. გამარჯვებულს აჯილდოვებდნენ, დამარცხებული კი შერცხვნილი ტოვებდა მოედანს. “ბუღების ჭედობა” გაზაფხულის დღესასწაულთა ციკლში იყო წარმოდგენილი და ეწყობოდა აპრილის პირველ კვირაში. “ბუღების ჭედობა” წმ.ხარების შერკინების ინსცენირებას, კორიდას უძველეს ფორმას წარმოადგენდა და ტრანსფორმაციის შედეგად დღეს სახალხო სანახაობის სახითაა შემორჩენილი (გ.შამილაძე, 1973:49). ასეთივე დღესასწაულის გადმონაშთები დაცულია სვანეთში და იგი წინ უსწრებს ხარის მსხვერპლშეწირვის აქტს საგაზაფხულო დღესასწაულის – უფლიშერის პირველ დღეს. “ბუღების ჭედობასთან” გარკვეულ მსგავსებას ავლენს სამეგრელოში გავრცელებული წეს-ჩვეულება კურული – ბუღასთან ადამიანის გაჯიბრება, რაც, ასევე, მაგიურ-რიტუალური ხასიათისა იყო. ამგვარად, ბუღების ჭედობის სახით აჭარაში ფრაგმენტულადაა შემორჩენილი ხარებთან თამაშის უძველესი ცერემონიალი, რომელსაც დაკარგული აქვს მაგიურ-რიტუალური დანიშნულება და სახალხო გასართობადაა ქცეული.

თამაშებში ხშირად ხალხური დრამატული ხელოვნების ადრინდელი საწყისებია შემონახული. ზოგადად, ხალხურ დრამაში ერთიანდება: “მიბაძვითი თამაშობანი, მითოლოგიური შინაარსის განსახიერება, ყოფითი სცენების გადმოცემა და სხვ.” (კოტეტიშვილი, 1967:365-366). ყველა ეს ელემენტი ვლინდება ზემო აჭარის მკვიდრთა შორის ფართოდ გავრცელებულ თამაშში “შირიშო”, რომელიც, ძირითადად, გოგონათა თამაშების რეპერტუარში გვხვდება. მისი მთავარი მონაწილეა გოგონა, რომე-

ლიც კაბას უკუღმა იცმევს, ფეხებზე მოიხვევს თავსაფარს, სახელოებში გაუყრის ჯოხებს და თავუკუღმა კედელზე მიყრდნობილი იქნევს “ხელეებს”. თამაშის სხვა მონაწილეები მიუახლოვდებიან და მიუმღერებენ “შირიმშოს”:

“შირინ გელინო,
გელინს პუდრს რატომ არ უსვამ,
შენი დედამთილი მოკვდაო”
ან
“შირინო, ესკერობა მოსულა,
ესკერს კრეფენ, მიჰყავანო,
შენი ქმარიც მიჰყავანო,
იტირე, იტირეო!”

შირიმშო დაეცემა, გადაბრუნდება და იტირებს, თან “ხელეებით” (ჯოხებით) ბრახაბრუხს ატეხს და ტირის. შემდეგ მოთამაშეები ისევ მიუმღერებენ: “შენი დედამთილი, არ მომკვდარაო, არაო” ან “შენი ქმარი არ მიჰყავანო, არაო” და შირიმშოც გაიცინებს. შირიმშო როლებიან-სიუჟეტური თამაშია, მაგრამ მასში დრამატული ბუნება სჭარბობს და დიდი რაოდენობითაა შენარჩუნებული თეატრალური ელემენტები, რაც არაა შემთხვევითი. ფაქტობრივად, ესაა საკულტო მისტერიიდან შემორჩენილი ხალხური დრამის განსახიერება თამაშში.

საკულტო დანიშნულების გართობა-თამაშობების გარდა, აჭარაში გავრცელებულია თამაშები, რომლებიც აგებულია გონებრივ და ფიზიკურ შეჯიბრზე, ბევრი საომარი თუ სანადირო შინაარსის მატარებელია. მაგალითად: “ამის პატრონმა რა ქნას?!” “აფრინდა, აფრინდა”, “ბუზბუზაი”, “დანასობია”, “დატყუპისცალება”, “ვეზირობია”, “ვირიბობო”, “თვალსუჭობანა”, “კატალასტაობა”, “კენჭობილა”, “კოჟო”, “მანმანობანა”, “ქვეშურდულა”, “ღარიკოდალა”, “ღორობია”, “ჩემი სტუმარია”, “წკიპურტობიე” “ხეჭობინა”, “ხმალობია” და სხვ.

ჩამოთვლილი სახელებიდანაც კარგად ჩანს, რომ აჭარაში დაფიქსირებული გართობა-თამაშობანი საინტერესო ლექსიკით ხასიათდება. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა გართობა-თამაშობას თავისებური წესები, ინვენტარი, ტექსტობრივი მასალა გააჩნია. მათგან ბევრი ძველქართული ლექსიკური ერთეული გამოიყოფა. მაგალითად: **კამარა, კოდვა, კეზი, რიკი, სირი (ჩიტი), ბაძობა, ჯილდაობა** და სხვ.

თამაშობათა ლექსიკა აღსანიშნავია იმ მხრივაც, რომ მასში მინიმალური ოდენობითაა შესული ნასესხები ლექსიკური ერთეულები. ასეთებია: **ღუზი, იუზუქი, ათეშოინი, კოდტაში** და სხვ. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ მათგან უმეტესობას შესატყვისი ქართული სახელიც აქვს: **იუზუქი – ხეჭობინა, ათეშოინი – ცეცხლობა, იესიროინი – ტველობანა, ჩიფთი თუ თექი – კენტი თუ წყვილი** და სხვ.

გართობა-თამაშობებთან, შესრულების წესებთან თუ საფეხურებთან დაკავშირებული ბევრი ტერმინი დიალექტური ლექსიკის კუთვნილება

ჩანს: **ამფრიალა, გაკრია, ეწრო, მითლია, სამოლა, სევიო, ქუცი** და სხვ. თუმცა ამ დარგთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულთა ძირეული სიტყვები მოტივაციის თვალსაზრისით განიხილება, რადგანაც ეს ერთეულები მოტივირებულია როგორც წარმოებით, ასევე სემანტიკურადაც და უმეტესად მეტაფორულად იხმარება ახალი საგნის აღსანიშნავად.

აჭარაში დადასტურებულ გართობა-თამაშობათა სახელწოდებები, ძირითადად, გაფორმებულია სუფიქსებით **-ობა, -ობია, -ობანა**. სუფიქსებიან სახელთა გვერდით აჭარულ დიალექტში გვაქვს თამაშებისა თუ თამაშთა ეტაპებისა და ხერხების **=** სუფიქსით გაფორმებული სახელები. მაგალითად: **ზრუგა, ზეინა, კიჭა, ქუცა, ხუნჭკა, ხელიგულა** და სხვ. ვაქვს **=** სუფიქსიანი სახელებიც: **ერთო, ორო, კენჭო, მუშტო, დედო, წრიბო, წმუტო...** გამოიყოფა **ოროლას (ორორა)** ანალოგიით მიღებული ერთეულები: **ერთოლა, ოროლა, სამოლა, ოთხოლა**.

თამაშების, თამაშთა სახელებისა თუ პროცესის სახელებად გამოყენებულია ზმნებიც (საწყისებიც): **თვლა, დჯნა, ხერა, კოდვა, დიდნა, გამურვა...** გვხვდება თხზული სიტყვებიც: **აწონდაწონა, ბუზბუზა, მოჭოკვერცხა, კატალასტაობა, კისრიკუნტა, კუდაბილა, დარკოდალა** და სხვ. ამ სიტყვათა უმრავლესობაც – სუფიქსითაა ნაწარმოები. იგი ქართულში, ძირითადად, კნინობითი ფორმის მაწარმოებლადაა მიჩნეული და ქონების წარმოდგენასაც გვაძლევს გარკვეული ტიპის სახელებში (შანიძე, 1974:126). სწორედ ასეთი ტიპის სახელებად შეიძლება მივიჩნიოთ ზემოთაღნიშნული სიტყვებიც, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ სახელებში ჩანს ამ სიტყვათა სემანტიკური მოტივაცია, რაც განაპირობებს მათ მიკუთვნებას თამაშობათა ლექსიკისათვის.

როგორც მოყვანილი მასალიდან ჩანს, საბავშვო თამაშობები აჭარაში დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მათ შორის გვხვდება: 1. თამაშები პოეტური ტექსტების გარეშე; 2. თამაშები, რომლებშიც მოქმედებას ერწყმის ტექსტი და 3. თამაშები, რომელშიც ტექსტთან ერთად გვხვდება პოეტური მისამღერები თუ ლექსები. თამაშების თანმხლები პოეტური ტექსტების განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის გათვლები, რაც, ძირითადად, ჯგუფური თამაშებისათვისაა დამახასიათებელი. გასათვლელად იყენებენ ორსტრიქონიან, ერთ ან ორსტროფიან ლექსებს, შერითმულ გამოთქმებს. მათი უმრავლესობა ამჟამად დაცლილია შინაარსობრივი დატვირთულობისაგან, მოიცავს დიდი რაოდენობით უცნობ სიტყვებს, რომელთა ახსნა არ ხერხდება. ასეთი სიტყვები და ფრაზები რიტმულადაა გაწყობილი და უფრო პრაქტიკული დანიშნულება აკისრიათ, თუმცა თავდაპირველად ისინი გარკვეული შინაარსის მატარებელიც უნდა ყოფილიყვნენ. აჭარაში საბავშვო თამაშებში გამოიყენება გათვლები, რომლებიც მიმოქცევაშია ზოგადად ქართულ ფოლკლორში. მათში შემონახულია ჩვენი ყოფის ბევრი საინტერესო ელემენტი.

ამრიგად, აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალი უძველესი რწმენა-წარმოდგენის კვალი სწორედ საბავშვო თამაშებშია შემონახული და მათი შესწავლა ზოგჯერ საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ აჭარაში ამა თუ იმ წეს-ჩვეულების არსებობა ან დანიშნულება. როგორც ცნობილია, ზოგიერთმა აგრარულმა წეს-ჩვეულებამ ტრანსფორმაციის შედეგად დაკარგა საკულტო შინაარსი და გარკვეული ისტორიული გზის გავლის შემდეგ საბავშვო თამაშობად და გასართობად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ მაგიურ ქმედებათა თავდაპირველი შინაარსი დაკარგულია, თამაშებში რიტუალების ბევრი არჩაული ფორმაა შემორჩენილი. ამდენად, თამაშები წარმოადგენს დამატებით ეთნოგრაფიულ მასალას წეს-ჩვეულებათა უძველესი ფორმების აღსადგენად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **გბარდაველიძე**, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), ტფ. 1939
2. **გბარდაველიძე**, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ. 1953
3. **ზ. თანდილაძე**, ლაზარობა და ქვაკაცები აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, თბ., 1974
4. **გ. კოტეტიშვილი**, რჩეული ნაწერები, II. თბ., 1967
5. **ნ. ნოღაიძე**, ხალხური საბავშვო თამაშობანი აჭარაში (მასალები), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, VIII, თბ., 1986
6. **ჯ. ნოღაიძე**, ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი, 1971
7. **ჯ. რუხაძე**, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999
8. **ი. სურგულაძე**, ქართველთა აგრარული რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან (მოკლე და აღდგენადი ღვთაებები), მსე, XIX, თბ., 1978
9. **დ. უზნაძე**, ადამიანის ქცევის ფორმები, თსუ შრომები, ტ. XVII, თბ., 1956
10. **ვაჟა ფშაველა**, მოხვედ მშვიდობით, ივერია, 1900, №176
11. **ნ. დოღობერიძე**, თუშური საბავშვო გართობა-თამაში და სათამაშოები, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967
12. **ნ. დოღობერიძე**, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხური საბავშვო თამაშობანი, თბ., 1973
13. **გ. შამილაძე**, აგრარულ-რელიგიური დღესასწაულების იტორიიდან, აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, თბ., 1971
14. **გ. შამილაძე**, კორიდას ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფისა და კულტურის საკითხები, I, თბ., 1973
15. **ა. შანიძე**, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1974
16. **გ. ჩანტლაძე-ბაქრაძე**, ბერიკაობა-ყვენობის ზოგიერთი ელემენტის პირინეული პარალელების ანალიზისათვის, მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000

17. იგჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.1 თბ., 1951
18. დვანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, თბ., 1983

Тамила Ломтатидзе, Нанули Ногаидели

Ритуальное начало в народных играх Аджарии

Резюме

В Аджарии сохранились многочисленные детские игры всех видов. Большая часть распространённых в Аджарии игр построено на умственное и физическое соревнование, часть – развивает разные навыки, но многие игры связаны с архаическими ритуалами и календарными обрядами, часть игр представлена в виде народной драмы. В статье рассматриваются ритуальные элементы, сохранившиеся в этих играх. В этом плане игры являются иногда единственным источником для изучения некоторых народных обрядов. Исследование таких элементов и лексики этих игр доказывает, что в играх сохранились многие архаические формы ритуалов. Игры сохраняют как ритуальное начало многих обрядов, так и исторический путь их трансформации.

**ეთნოკულტურული პარალელები
(აჭარისა და ჭოროხ-არტაანის მხარეთა
ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)**

საქართველო ოდითგანვე წარმოადგენს მდიდარი სამეურნეო ტრადიციების ქვეყანას (ბატონიშვილი, 1914:34-35; შამილაძე, 1969:23). საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების მსგავსად, აჭარის სამეურნეო ყოფაში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სიმბიოზური ფორმით ვითარდებოდა. ტრადიციული სამეურნეო ცხოვრების ძველი ნიშნები დღემდე შემოინახა აჭარამ, რომელიც 1878 წლამდე სამი საუკუნის მანძილზე ოსმალთა ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული და თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებმა ისტორიული საქართველოს ქართველობამ.

ამ სამეურნეო ცხოვრების წიაღში გამოვლინდა ბევრი ეთნოკულტურული პარალელი, რომელიც სათანადო ახსნასა და შეფასებას იმსახურებს. ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რძის მეურნეობასთან დაკავშირებული ტერმინი მარანი, რომელიც სარძიეს სახელწოდებითაცაა ცნობილი რძის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საშუალებებზე, რომელთა განხილვა საინტერესო სურათს წარმოაჩენს აჭარისა და ჭოროხ-ტაოს მხარეთა ეთნოგრაფიული მასალების მაგალითზე.

ტერმინი მარანი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია და ქართულ წიაღშია წარმოშობილი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით მარანი “საღვინე სახლია” (სულხან-საბა ორბელიანი, 1965:442), თუმცა, აჭარასა და იმერხევში ტერმინი მარანი სარძიეს მნიშვნელობითაც გამოიყენება (ჩელებაძე, 1987-88; მისივე, 2005:114) ქართლის, თრიალეთისა და მესხეთ-ჯავახეთის მსგავსად, სადაც ბოლო დრომდე შემორჩენილი დარბაზული საცხოვრებლები საგანგებო სამეურნეო სათავსოთი (მასალები..., 1987:94). სწორედ ამ გარემოებამ მიიქცია დასმული საკითხისადმი ჩვენი ყურადღება. „საღვინე სახლის“ მნიშვნელობით მარანს იმერხევის მოსახლეობა თითქმის არ იცნობს. როგორც ცნობილია, ოსმალთა მიერ შემოღებული შარიათის კანონმდებლობით ღვინის დაყენება და მოხმარების ტრადიცია თანდათანობით იზღუდებოდა და, შემდეგ, მთლიანად აიკრძალა. მარანმაც, როგორც საღვინე სახლმა, ფუნქცია დაკარგა. ქვაში ნაკვეთი და კლდეებზე მიშენებული ღვინის მარან-საწნახლები თავდაპირველი თუ ნაშთების (ნანგრევების) სახით, ისე, როგორც მიწაში დაფლული საღვინე ქვევრები, აჭარასა (კახიძე, 1974:45) და ისტორიულ საქართველოში დღემდე შემორ-

ჩა, რაც არ გამოირიცხავს იმას, რომ მარანი “საღვინე სახლის” მნიშვნელობით აქ ადრეც არსებობდა.

აჭარაში საუკუნეების მანძილზე მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციების მოშლის მიუხედავად, როგორც ჩანს, ვაზისა და ღვინის სიყვარული გლახკაცმა სათუთად შეინახა სიტყვა მარანში. ამ ფაქტის მანიშნებელია როგორც კლდეში ნაკვეთი, ისე ტყეში შემორჩენილი საწნახლებისა და ჭურების არსებობაც. ამაზე ვაზის გაველურებული ჯიშების სახელწოდებაც მიგვანიშნებს (მაგ., ჩხავერი) და გლახკაცის გულისთქმაც, რომელიც დღეს სიმღერად არის შემონახული აჭარაში:

“ჩაღმა ჩაყრილო, ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?
მამა-პაპურო, ვენახო,
სად წადი და რომელ მხარეს?
მოგნახე და აღგადგინე,
შენ ძირ-ფესვებს ვენაცვალე”.

მევენახეობა-მეღვინეობის დრმა ტრადიციებზე მიგვანიშნებს ქართული ხალხური კალენდარიც, რომელშიც ოქტომბრის თვის აღმნიშვნელია სიტყვა ღვინობისთვე. ამაზე ხალხს ასე უთქვამს:

„...ღვინობისთვე დააცვივებს, რთველში კათხას დაიჭერსო;
გიორგობისთვე ქორწილში, ეტყვის მრავალჟამიერსო.”

(გამონათღევი, 2014:566).

ან, რად ღირს “ყურძნის ლექსი”, რომელიც თედო სახოკიას XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩაუწერია აჭარაში:

“ვენახმა სთქვა: მე ვარ გრძელი, ზამთარ-გამონარები...
ორ ყურ ქვაბში მომაქცევენ, უცეცხლოდ წამოვდუღდები.
ხანდახან კაი ბიჭი ვარ, ხანდახან წამოვბუნძულდები.”

(სახოკია, 1985:225).

ბუნებრივად ჩნდება კითხვები სიტყვების - “მარანისა” და “სარძის” წარმოშობასთან დაკავშირებით, იმაზე, თუ რატომ შეითავსა სიტყვა “მარანმა” სხვა ფუნქცია და ა.შ.

არქეოლოგიური მონაცემები მარნის შორეულ ტრადიციებზე მიუთითებს. ტრადიციამ შემოგვინახა ნაირგვარი მარანი. მათ შორის გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი: ღია მარანი და დახურული მარანი. ისინი დღემდეა შემონახული როგორც აჭარაში, ისე თურქეთის რესპუბლიკაში ქართველებით დასახლებულ რაიონებში, განსაკუთრებით, ჭოროხისპირეთის ქართულ მოსახლეობაში. მარანში ტრადიციულად საღვინე ქვევრები იყო ჩაფლული. იქვე ინახებოდა მეღვინეობის დანარჩენი ინვენტარი. დახურული ტიპის მარნები აჭარაშიც გვხვდება. ერთ-ერთი მათგანია სხალთის ტაძართან არსებული დახურული მარანი, რომელიც სავარაუდოდ განვითარებული ან გვიანი შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. იგი ყორე-ქვით/ქვიტკირითა და დუღაბით არის ნაშენი და სატრაპეზო

მარანს წარმოადგენდა. შესაძლოა მას სხვა, რელიგიური დანიშნულებაც კი ჰქონოდა (ჭიჭილეიშვილი, 2011:156).

ასეთივე მარანი რამდენიმე ადგილას დამოწმდა ჭოროხის ხეობაში. აქ გვხვდება ღია ტიპის მარნებიც. ამის მაჩვენებელია მარნის აღმნიშვნელი კომპოზიციური ტერმინები: ჭურისთავი, ქვევრ-მარანი, ჭურ-მარანი, ბედელ-მარანი და სხვ. (ჩელებაძე, 2013-2014). საგულისხმოა, რომ ღია მარანი დასავლურ ქართული კარ-მიდამოს განუყრელი ნაწილიც არის.

მართალია, მარანი ძირითადად ღვინის შესანახ ადგილს წარმოადგენს, მაგრამ საცხოვრებელი სახლის კომპლექსში იგი, როგორც წესი, გამოიყენება უფრო ფართო სამეურნეო დანიშნულებითაც. ჩვენში მისი არაერთი ნაირსახეობა დასტურდება. საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის გარკვეული ნაწილი მარანს უკავია. მას აქვს ფართო ფიცრული კარი. წინა მხარეს ერთი-ორი ფანჯარაცაა დატანებული. რიგ შემთხვევაში მას გააჩნია საკმაოდ მცირე ზომის სარკმელი და ძირითადად გვხვდება სახლის ინტერიერში, სადაც უფრო მეტი სიგრილეა. ამ ტიპის მარანია გავრცელებული ძირითადად აჭარაში და ისტორიული საქართველოს ზოგიერთ რაიონში. მარანი ძირითადად არის მიწური ან იატაკიანი, რომლის კედლებზე განთავსებულია თაროები.

თანამედროვე აჭარაში აქა-იქ მოწმდება ბედელ-მარანი (ჩელებაძე, 2013-2014) ერთი ან ორსართულიანი ნაგებობის სახით, რომლის პირველ სართულზე მარანია მოწყობილი, ხოლო მეორეზე სურსათის შესანახი ოთახი. ეს ტრადიცია შეიმჩნევა იმერხევში, სადაც ბედელსა და მარანს თითქმის ანალოგიური ფუნქცია გააჩნია. ამასთან ერთად, მთაში თუ მას ძირითადად მარანი ეწოდება, სოფლად ანუ ბარში ბედელი ჰქვია. არსებობს ჭურ-მარანიც, რომელშიც ჭურები ინახება. ძველად ჭურში ღვინოს ინახავდნენ. იმერხევში მარანში ინახება აღართი, ანუ ზე//რძე, მაწონი, ნაღები, დონთბარი, დო, ფშვნილაძე, ერბო და ა.შ. სოფლის სახლის ბედელში ინახება პური და მჭადის ფქვილი, სიმინდი და სხვა საკვები პროდუქტები. ბედელი და მარანი სახლების შიგნით ეწყობა. მთხრობელთა გადმოცემით წყალსიმერ-ბზათაში ყოფილა მარანი, “შარაფის კეთილი ადგილები”, სადაც ღვინოს აკეთებდნენ. იმ ადგილს “შარაბეთს” (შარაფი - თურქ. ღვინო) ეძახდნენ.

ამ მასალებიდან ჩანს, რომ იმერხევში ტრადიციულად საღვინე სახლს წარმოადგენდა მარანი და ჭურ-მარანი, რომლებიც დღეს მკვეთრად გაიმიჯნა ერთმანეთისაგან. მარანი შემორჩა როგორც მთის სახლებში არსებული სარძიე, ხოლო ჭურ-მარანი როგორც ჭურის შესანახი ადგილი. ჭურებში კი მუავეს ანუ მწნილს ინახავდნენ.

ასევე საინტერესოა მარანისა და ბედლის ფუნქციათა რაობის საკითხიც. აჭარაში სარძიეს პარალელურად მოწმდება ტერმინები “მარანი” და “ბედელი” (მგელაძე, 1967:82). ამათგან, როგორც ჩანს, ყველაზე მრავალფუნქციურია მარანი, სადაც ადრიდანვე ინახებოდა ყველანაირი პროდუქტი. შემდეგ კი სამეურნეო ცხოვრების აღმავლობის პარალელურად,

შესაძლებელია მოხდა ერთის მხრივ, სარძიეს//ბეღლის და მეორეს მხრივ, ცალკე ღვინის შესანახი ადგილის – მარნის დიფერენცირება. ცხადია, ეს პროცესი დააჩქარა არა მარტო სამეურნეო ცხოვრების პროგრესმა, არამედ ისტორიულმა ავბედობამაც, რამაც გამოიწვია მარნის საღვინე ფუნქციის შეცვლა. ამასთან, შემთხვევითი არ უნდა იყოს კომპოზიტური ტერმინების – ბეღელ-მარანის, ჭურ-მარანის შემონახულობა თურქეთელ ქართველთა ყოფაში.

საქართველოში მარნის მრავალფუნქციურობა საყოველთაოდ არის აღიარებული. იგი არა მხოლოდ ღვინის დასაყენებელი და შესანახი სათავსო იყო, არამედ წმინდა ადგილიც. არსებობდა უძველესი რიტუალები ღვინოსთან, ვაზთან და მარანთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ მარანში იყო სპეციალური ნიში ხატის დასაბრძანებლად. ქართულმა მატინამ არაერთი ცნობა შემოგვინახა იმის შესახებ, რომ, როდესაც ჩვენს ქვეყანას ძნელბედობის ჟამი დაუდგებოდა და ტაძარ-მონასტრები დაირბოდა, მაშინ ჯვრისწერა და ბავშვის ნათლობა აღესრულებოდა სწორედ მარანში, როგორც წმინდა ადგილას. მარნის ეს ფუნქცია ძნელბედობის ჟამს აჭარისა და ისტორიული საქართველოს სინამდვილეშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, სადაც ფარული ქრისტიანები მრავლად ყოფილან (ჭიჭინაძე, 1913:37).

მარნის ცალკეულ ფუნქციათა შორის საყურადღებოა მისი თავდაცვითი ფუნქციაც. ამ ტიპის მრავალსართულიანი თავდაცვითი “მარანი ციხით” მოწმდება ქართლ-კახეთში, რომელსაც პირობითად “კოშკმარანსაც” უწოდებენ. ამ კომპოზიტური სახელწოდების ცალკეული სიტყვა “მარანი” და “კოშკი” აჭარის საცხოვრებელი სახლის სინამდვილეშიც დასტურდება. ტიპური აჭარული სახლის აივანი არის იგივე კოშკი/კოშკი. ამის გათვალისწინებით საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ორიგინალური დასკვნებიც გაკეთდეს.


ამჟამად, ისტორიულ საქართველოში შემონახული ორივე ტიპის მარანი სხვადასხვა ფუნქციის მატარებელია. რაც შეეხება აჭარას, აქ დახურული ტიპის მარანი არა მარტო საღვინეს, არამედ რძის პროდუქტების შესანახ ადგილსაც ეწოდება. როგორც ითქვა, თანამედროვე პერიოდში აჭარაში, ისე როგორც ისტორიულ საქართველოში, სარძიე/მარანი არა მარტო რძის, არამედ ზოგადად პროდუქტების შესანახ ადგილსაც ეწოდება.

ამრიგად, ეთნოგრაფიული მონაცემებით, ტერმინი მარანი აჭარასა და ისტორიული საქართველოს მთელ რიგ რაიონებში საცხოვრებელი სახლის კომპლექსთანაცაა დაკავშირებული (ბეღელ-მარანი) და რძის მეურნეობასთანაც. ე.ი. მარანი ორმაგი ფუნქციის მატარებელია.

რაც შეეხება რძის მეურნეობასთან დაკავშირებულ რძის ტრანსპორტირების საკითხს, მის შესახებ საინტერესო ცნობები იქნა ჩაწერილი ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტში, ასევე ისტორიულ არტაანში (დღევანდელი არდაჰანი, თურქეთის რესპუბლიკა).

არდაჰანის სოფელ სარზეპში, მაღალ მთაზე, არსებობდა რძის მეურნეობა, საიდანაც ახლადმოწველილი რძე თიხის ფორენგებით (მიღებით) სოფელში მიედინებოდა. იმ ადგილას დროთა განმავლობაში სოფელი გაშენებულა, რომელსაც ქართველები დღემდე სარზეპის ანუ სარძევე ადგილს უწოდებენ. აღნიშნული ადგილის ადმინისტრაციული სახეცვლილების პარალელურად, ტრანსფორმაცია განუცდია მის სამეურნეო პროფილსაც და დღეს მას თურქულად „წყლის ქალაქი“, ანუ „სულაქურთი“ უწოდებენ, რომელიც ქირიქალეს პროვინციის შემადგენელი ნაწილია.

ადგილობრივთა ცნობით, სარზეპის ძველი სამეურნეო ფუნქცია დიდი ხანია დავიწყებას მისცემია, თუმცა, ახსოვთ ე.წ. „რძის გზის“ მარშრუტი. იგი იწყებოდა სარზეფის ზემოთ ხანსოს მთაზე, სადაც ახლა ძველი ნასახლევია. ადრე იქ ტბაც ყოფილა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ გვხვდება სახელწოდება „სარძაბი,“ რომელიც ექვემდებარებოდა მზვარეს რაიონს (გურჯისტანის . . . , 1941:434). ჩვენი აზრით, „სარძაბი“ დღევანდელი სარზეპი ანუ რძის გადასამუშავებელი ადგილი უნდა იყოს. დიდ დავთარში აღწერილი სარძაბის მდებარეობა და მოსახლეობის სიმჭიდროვე, პირდაპირ უნდა შეესაბამებოდეს იმ ადგილის თანამედროვე სურათს, რომელიც ადრე რძის წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო. საგულისხმოა, რომ ინფორმატორთა თქმით, სპეციალური არხით მთიდან რძე მიეწოდებოდა ფორთაში არსებულ ტაძარსაც (ადგილობრივები მას ხანძთას უწოდებენ). საყურადღებოა ამასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოსაზრებაც, რომლის მიხედვით დიდ დავთარში მოცემული სარძაბი X საუკუნის ავტორის, გიორგი მერჩულის მიერ, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ნახსენებ სარწებთან არის გაიგივებული (მერჩულე, 1949:115). XX საუკუნის პირველ მეოთხედში ამავე სოფელს სარძევეს სახელწოდებით მოიხსენებს არტაანში მყოფი დამოუკიდებელი საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული კონსტანტინე ოდიშარია, რომლის დაარსებას ავტორი თამარ მეფეს უკავშირებს. მისი ცნობით, პარხალში შიმშილობის დროს, თამარ მეფის მითითებით, ხის მორებისაგან დაუმზადებიათ მიღები და სავრიათის არხი გაუკეთებიათ. ამ გზით რძე მიეწოდებოდა პარხალის მოსახლეობას (მასალა მოგვაწოდა პროფ. შუშანა ფუტკარაძემ, რისთვისაც მას მად-



ლობას მოვახსენებთ). საგულისხმოა ისიც, რომ პარხალს ჩვენში დღემდე უწოდებენ დამშეულ, გაუმაძღარ ადამიანს.

რძის ტრანსპორტირების ანალოგიური ისტორია დამოწმდა აჭარაშიც. ერთი გადმოცემის მიხედვით სხალთისწყლის ხეობაში, სოფელ სათიხედან საზედაშე ღვინო თიხის მიღებით, სხვა ცნობით კი ხისგან დამზადებული არხით მიეწოდებოდა სხალთის ეკლესიის მარანს. რაც შეეხება რძის ტრანსპორტირებას, ამის შესახებ გადმოცემა ჩაწერილია ქედის რაიონის სოფელ მერისში. მთა საწუმპოდან (სადაც კლდის ძირას არის ნასახლარები), კერძოდ, ადგილ რუსთავიდან 2-3 კმ-ის სიგრძეზე მიწაში ჩაღაგებული თიხის მიღებით რძე მიეწოდებოდა კორტულის ყანის ბოლოში არსებულ სოფელ ქოხიოღლებს, სადაც ამჟამად სოფლის ბაგა-ბაღი მდებარეობს. აღნიშნული თიხის მიღების ნაშთებს სოფლის მკვიდრნი დღესაც სათუთად ინახავს მათ მიერ მოწყობილ ეთნოგრაფიულ მუზეუმში (იხ. სურათი 1,2). რუსთავში ამ არხის მეპატრონე ერთ მდიდარ კაცს აქ დიდი ხნის წინათ ჰქონია საძოვრები, ბოსელი და დროებითი სადგომი. მას აქვე დიდი მეურნეობა მოუწყვია, მაგრამ ერთხელ, გაურკვეველი მიზეზის გამო, სოფლისათვის მოწამლული რძე მიუწოდებიათ, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყოლია. დღესაც კარგად ახსოვს მერისის მოსახლეობას დაღუპულთა საფლავების ადგილმდებარეობა.

სოფელ მერისში რძის პროდუქტების დამზადების მდიდარ ტრადიციაზე მიუთითებს რძის ნაწარმისათვის განკუთვნილი ჭურჭლის მრავალფეროვნება, შრომის ორგანიზაციის ფორმები, რძის პროდუქტების ნაირსახეობა, მაგალითად, დაფიქსირდა ყველის განსაკუთრებული სახე - ელმუმი, რომელიც საგანგებოდ მზადდებოდა საპატიო ადამიანზე მისართმევად ანუ “მისახაფიფებლად.” ასევე განსხვავებულია ყურეთის ნაირსახეობაც, რომელთაგან ერთ-ერთს “ცინცქილაჲ ყურეთს” უწოდებენ და სხვ.

საქართველოს ორ ეთნოგრაფიულ მხარეში – აჭარასა და არტაანში დაფიქსირებული რძის ტრანსპორტირების წესი შესაძლოა სავსებით დამოუკიდებლად წარმოშობილიყო, თუმცა არც მათი “მიმბაძველობა” ანუ კულტურული მიგრაცია არ უნდა იყოს გამორიცხული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რეალიზაციის ცენტრებს, ისე სავაჭრო-სამიმოსვლო გზებსაც. სწორედ ამიტომ, აჭარისა და არტაანის ისტორიული პროვინციების დაკავშირება შავშეთის გზით სავსებით რეალური სინამდვილეა. როგორც არტაანი, ისე მერისიც, მდებარეობდა მნიშვნელოვან სამეურნეო – სავაჭრო გზაზე. ამაზე ნათლად მიუთითებს მერისის ერთი ტოპონიმი – შავშიბაზარი (შავშეთის ბაზარი), რომელიც სოფლის ერთ-ერთ უბანში, კერძოდ, სილიბაურ-ნამონასტრევეში არსებობდა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მერისში მთიდან, სადაც ადრე ცხოვრობდნენ, ცალკე არხით ჩამოჰყავდათ წყალი ხავაწილაიდან და ეს წყალი მარნამდე აღწევდა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, საგულისხმოდ მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ სოფელი მცირესადოვრიანია და, თავის დროზე საქონლის სოფლისაგან მოშორებით გაყვანა და იქიდან რძის ტრანსპორტირება, შესაძლოა, ამ გარემოებამაც განაპირობა.

რძის ტრანსპორტირების ამგვარი თავისებური წესი მსგავსებას აქვს კოლხეთის მეფე აიეტის ზღაპრული სასახლის იდილიასთან. სასახლის ბაღში ერთ-ერთი წყაროდან რძე გადმოდიოდა, მეორედან - ღვინო და ა.შ. მსოფლიო მითოლოგიის ოქროს ფონდში შესულ არგონავტების თქმულებაში ყველაზე რელიეფურად არის ასახული კოლხური კულტურის რეალური წარსული, კოლხეთის ოდინდელი სიძლიერე და სიდიადე. იქნებ კოლხური კულტურიდან შემორჩენილი რომელიმე ელემენტის გამოყენებას შეეცადა ქართველი კაცი. ძნელი სათქმელია, რამდენად ტიპური იყო იგი მაშინდელი სამეურნეო ცხოვრებისათვის, თუმცა ამ ტრადიციაში ნათლად ჩანს ქართველი კაცის მისწრაფება სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისაკენ.

ამრიგად, ზემოთ განხილული საკითხების - მარანის, როგორც სარძიეს ფუნქციითა და, ასევე, მთიდან ბარში რძის ტრანსპორტირების საკითხთან დაკავშირებული ტრადიციის მიხედვით, ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრებაში იგრძნობა ლოკალური ვარიანტების ჩამოყალიბების პროცესი, რომელშიც ნათლად იკვეთება ზოგადქართული კულტურის ტრადიციული ნიშნები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამონათლევ. კრებული I, ბათუმი, 2014.
2. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი II, თბილისი, 1941.
3. ვახტანგ ბატონიშვილი. ისტორიები აღწერა (ს. კაკაბაძის გამოცემა). ტფილისი, 1914.
4. ნოდარ კახიძე. მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974
5. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის”. XXIII, თბილისი, 1987.
6. ვლადიმერ მგელაძე. ღორჯომის ხეობის სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი. ამყკს, თბილისი, 1967.
7. გიორგი მერჩულე. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბილისი, 1949.
8. თედო სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი. 1985.
9. სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი. ტ. IV, თბილისი, 1965
10. შუშანა ფუტყარაძე. ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
11. ვახტანგ შამილაძე. აღპური მესაქონლეობა საქართველოში. თბ., 1969.
12. ნაილა ჩელევაძე. საველე ეთნოგრაფიული მასალები, 1984 –1990.
13. ნაილა ჩელევაძე. საველე ეთნოგრაფიული მასალები, 2013- – 2014.
14. ნაილა ჩელევაძე. ქალი და ოჯახი, თბილისი, 2005.
15. მაია ჭიჭილაძე. სხალთის ეკლესიის მოხატულობა. თბილისი, 2011.
16. ზაქარია ჭიჭინაძე. მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტიფლისი, 1913.

Naila Chelebadze

**Ethnocultural parallels
(According to ethnographic materials of Adjara and
Chorokhi – Artaani sides)**

Summary

In the research region – in Adjara and the parts with Georgian population of the Turkish republic, especially in Imerkhevi and the villages at the Chorokhi bank – the existence of open and closed types of cellar has been proved.

As it was found out, a cellar is the place for keeping not only wine, but also dairy products.

The differentiation of these two functions in the term “cellar” must be caused the attempt to improve the house-holding conditions and, probably, this process was fastened by historical misfortune.

The tradition of milk transportation with clay pipes could be the process of formation of local versions in Georgian folk farming, which reveal the signs of common traditions of the Georgian culture.

ქვის საწნახლები შავშეთ-იმერხევიდან

ქართველ ტომთა უძველესი წინაპრების მიერ ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციაში შეტანილ წვლილთა შორის არქაულობით ხასიათდება სამიწათმოქმედო კულტურა. „მიწის მუშაკთა“ ეს დიდი დამსახურება ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა აღიარეს, ქართველების აღმნიშვნელ ეთნონიმად „გეორგეს“ (georges) დაამკვიდრეს, რომელიც γεωργος - „მიწათმოქმედი“-დან არის წარმომდგარი. მიწათმოქმედთა დაწინაურებაში იგულისხმება არა მარტო ველური ხორბლიდან ენდემური ჯიშების: ზანდური, მახა, ასლი, სპელტა და სხვათა გამოყვანა, არამედ, ასევე, ველური ვაზის მოშინაურება და თვითმყოფადი მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციების ჩასახვა-განვითარება. ვაზის თითოეული ჯიშის მრავალსაუკუნოვანი, დაუდალავი შრომისა და ემპირული ცოდნა-გამოცდილების შედეგია. ეს არ ჩამოუვარდება გამორჩეული ხუროთმოძღვრული ძეგლის შექმნისას გაწეულ შემოქმედებით შრომას, მით უმეტეს, რომ ქვეყნის წარსული აღსავსე იყო ავბედითი შემოსევებით, ცეცხლითა და მახვილით, ნგრევა-აოხრებით, მოძალადეთა მიერ თავსმოსხვეული რელიგიური ფანატიზმით, აკრძალვებითა და სხვა მოვლენებით. მიუხედავად ამისა, ვაზი მაინც გადაურჩა განადგურებას. მევენახეობის ტრადიციებს გააჩნია ღრმა ფესვები – მას სათავე გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ეპოქაში ეძებნება, რის დასტურიც არის არქეოლოგიური მასალები (გობეჯიშვილი, 1970:305; ხახუტაიშვილი, 1995:76), კერამიკული ჭურჭლის ნაშთების სიმრავლე. მოგვიანო პერიოდის კერამიკულ მასალაში დაუზიანებელი ფიალები, დოქები, ქვევრები, ასევე საწნახლების ნიმუშებიც დასტურდება. მრავლისმთქმელია ცალკეულ ჭურჭელზე თუ მის ნამტვრევებზე ორნამენტის გამოსახვის ტრადიცია. უფრო მეტიც, მასზე ყურძნის მტვერისა და ფოთლის მოხატვაც დასტურდება (ვაშაკიძე, 2007:319, სურ. 65). საქართველოში ვაზისა და ღვინის კულტიც არსებობდა. ამ კულტებმა კეთილი გავლენა მოახდინა მარანხეც-საუკუნეების განმავლობაში მისი კულტიც ჩამოყალიბდა. ასე მაგალითად, საახალწლოდ მრავალ რიტუალს ასრულებდნენ მარანთან, რათა მომავალში ყურძნის კარგი მოსავალი დაბედობოდათ. ეს ჩვეულებები დასავლეთ საქართველოში დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილემდე მოადწია. ვაზის მოვლასა და ღვინის დაყენება-მოხმარებას ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში და სულიერ კულტურაში დიდი ადგილი ეჭირა. მეურნე გლეხი ვენახების მოვლა-პატრონობაში დღენიადაგ ირჯებოდა, მაგრამ შრომით არ იღლებოდა, რადგანაც ეს პროცესი მისთვის სიამოვნების მომგვრელი იყო. იგი თითოეულ ძირს უფრთხილდებოდა და ერიდებოდა ვენახის ტოტის დაზიანებას, რადგან

ნაც მისგან გამონაუონი „ვაზის ტირილად“ მიაჩნდათ. ზოგჯერ კი კიდევაც ესაუბრებოდა, მას და ასე გაიძახოდა: „იხარე შენ დალოცვილო“. ამ სასიამოვნო საქმიანობის დროს სიმღერა-შემოძახილი ან ლილინიც ისმოდა. ცნობილია, რომ უხსოვარი დროიდან: „ადამიანის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტის-შვილის დაბადებისა და ნათლობის, ნიშნობის, ქორწილის, დაკრძალვის საოჯახო და საჯვარხატო დღესასწაულების და მისთანათა-აღნიშვნა მთისწინეთსა და ბარში ღვინით დალოცვისა და ღვინის დაღვევის გარეშე არ ხდებოდა“ (ბარდაველიძე, 1962:12). სასმელის გარეშე მშრომელი გლეხი სუფრაზე არ დაჯდებოდა და „უღვინოდ, უხილოდ, უმწვანილოდ პურს არ ჭამდა. ღვინო, ხილი, მწვანილი მისთვის ფუფუნებისა და განცხრომის საშუალება კი არა, არამედ ყოველდღიური ჭამა-კვების, ყოფა-ცხოვრების პროდუქტს წარმოადგენდა“ (დ. გვრიტიშვილი, 1965:14). მოსახლეობის სხვადასხვა მაღალ სოციალურ ფენებში და თვით სამეფო კარზეც იყვნენ მეღვინეები, მემარნეები. მეღვინეთუხუცესის თანამდებობაზე დიდი გამოცდილების მქონე კაცი ინიშნებოდა. ასევე ღვინო გამოიყენებოდა ეკლესია-მონასტრებში რელიგიური რიტუალების აღსრულებისას.

ღვინის წარმოებას, ადგილობრივი მოხმარების გარდა, გააჩნდა საექსპორტო, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ფუნქციაც, რის შესახებაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის უცხოური (ბერძნული) და კოლხური ამფორების სიმრავლე.

მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ ნივთიერ კულტურასთან ერთად, მოიპოვება მეტად საყურადღებო საისტორიო-წერილობითი მონაცემები. არგონავტების თქმულების მიხედვით, რომელშიც მრავლადაა ასახული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეალიები, კოლხეთის ქვეყანაში მევენახეობა მაღალგანვითარებული ყოფილა. ქართული ღვინის უძველეს დიდებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი ღირსება გასცდა ქვეყნის ფარგლებს. პომეროსი ხოტბით იხსენიებს ფაზისის მხარის ცინცხლების მფრქვეველ (შუშხუნა) ღვინოს (ჩიტაია, 1968:11). მრავლისმთქმელია „ოდისეაში“ მოხსენებული „ოქროს ყურძნით მდიდარი“ კოლხეთის „ცქრიალა და სურნელოვანი“ ღვინოები. შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ქართველი ტომების მეღვინეობის დარგის დაწინაურების შესახებ მოგვითხრობს ქსენოფონტე. იგი აღნიშნავს, რომ ისინი (ე.ი.კოლხები) ამზადებენ მაგარსა და მძიმე ღვინოებს, რომელსაც წყლით გაზავების შემდეგაც სასიამოვნო და არომატული გემო ჰქონია (ბერიძე, 1968:67), ხოლო ტიბარნელები „...გაუზავებელ ღვინოს ყანწებით შეექცეოდნენ“ (ხახუტაიშვილი, 2009:156). ქართული მეღვინეობის კულტურაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ისტორიკოსი სტრაბონი, უფრო მოგვიანებით – ბიზანტიელი მემატრიანეები.

მევენახეობა-მეღვინეობის ამ ძველი ტრადიციების მატარებელი იყო შავშეთ-იმერხევი.

შავშეთ-იმერხევის მევენახეობა-მეღვინეობის ამსახველი ნივთიერი მასალა, ძირითადად, შემორჩენილია თავდაცვითი ნაგებობებისა და ქრისტიანული სალოცავების ნანგრევებში (სათლელი, უსტამისი, იფხრეველი, ტბეთი და სხვ.), რომლებიც ფეოდალურ ხანას განეკუთვნება (მამულაძე, 2011:45,46,52, 53,90, 91). ზოგიერთი წერილობითი ცნობა ტაძრების მშენებლობის პერიოდისაა. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელი ოპიზის მიდამოებში შავშეთის რთულ რელიეფზე, რთულ პირობებში მის მიერ გაშენებული „კეთილად ნაყოფიერი“ ვენახის შესახებ ამბობს: „მცირედ ვენახნი ჭირით და ურვით დაუნერგვან“ (მერჩულე, 1981:245). ვახუშტი ბაგრატიონი კი შავშეთის მაგალითზე შენიშნავდა: “გორა–მთიან, დელე–ღრატოიან“ მიწაზე „... ვენახ–ხილიანი ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი“... (ვახუშტი, 1941:36).

შავშეთ-იმერხევაში, ისე როგორც ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცეულ საქართველოს სხვა კუთხეებში, მევენახეობა-მეღვინეობა დაეცა, ღვინის დაყენება და მოხმარება ჯერ იზღუდებოდა, შემდეგ კი იკრძალებოდა (კახიძე, 1971:9; 2009:318). შავშეთ-იმერხევაში ოსმალები მე-16 საუკუნის 60–იანი წლებიდან მკვიდრებიან (შაშიკაძე, 2011:16–17). შემდეგ ღვინის დამამზადებლებსა და მომხმარებლებზე ვრცელდებოდა სულთან სელიმ I კანონებით გათვალისწინებული სასჯელი, რაც „დამნაშავის“ ჯოხით ცემას ან ფულადი ჯარიმის გადახდას მოითხოვდა (სვანიძე, 1984:121). იბეგრებოდა ვენახების „ნაკვეთები“, ასევე ყურძნის წვენი – შირა. საამისო დოკუმენტური მონაცემები, კონკრეტული მასალა დაპყრობილი სოფლების მიხედვით მოცემულია ოსმალურ საგადასახადო დაფთრებში. გარდა ამისა, ძალად გამუსლიმანებულ მოსახლეობას ხოჯა-მოღები ღვინის დაღვევას ურჯულოების (გიაურობის) გამოვლენად უთვლიდნენ, შთააგონებდნენ და არწმუნებდნენ, რომ იმქვეყნიური განკითხვის ჟამს, როგორც დიდი ცოდვის ჩამდენთ, სასტიკი სასჯელი ემუქრებოდათ. აღნიშნულმა შეზღუდვებმა და სხვა გარემოებებმა ვაზის საღვინე ჯიშების გამოყენება-მოხმარებას, განვითარებასა და, ზოგადად, მეღვინეობას საფუძველი მნიშვნელოვნად გამოაცალა. აღნიშნული ვითარება მოსახლეობის ყოფაშიც აისახა.

საგულისხმო ეთნოგრაფიული რეალობაა: იმერხევაში, ისევე, როგორც ზემო აჭარაში, ზოგიერთი ტრადიციული საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ პატარა ოთახს, რომელიც სივრცით გამოირჩეოდა, შემორჩა სახელწოდება „მარანი“ (ჩელებაძე, 2005:89; ნოღაიდელი, 2013:167). უცილობელია, რომ ძველად ამ სათავსოში ღვინოსაც ინახავდნენ. ღვინის აკრძალვის შემდეგ კი მარანს მთლიანად რძის პროდუქტების დამზადება-შენახვის ფუნქცია შემორჩა. ანალოგიური ფაქტია ისიც, რომ სახლის მიმდებარე მიწის ნაკვეთს, სადაც, ძირითადად, ბოსტნეული მოჰყავთ, ან

სათესი სავარგულია, „ვენახები“ ჰქვია¹, თუმცა აქ ერთი ძირი ვენახიც არ არის. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ, ძირითადად, საღვინე ვაზი განიდევნა, მისი ადგილი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურამ დაიჭირა, ტოპონიმი, „ვენახები“ კი შემორჩა (ცეცხლაძე, 2011: 321, 323). ან კიდევ, მევენახეობა მეტწილად სუფრის ყურძნის ჯიშების გაშენებით შემოიფარგლა, ხოლო არსებული საღვინე ვაზიდან დაწურული წვენი, დადუღების შემდეგ, ბეთმეზის, ლქერის, ფელამუშის, ჩურჩხელის დასამზადებლად მოიხმარებოდა. მიუხედავად აღნიშნული შეზღუდვა-აკრძალვებისა, ამ კუთხის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა XIX საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნა მევენახეობასთან დაკავშირებული, მრავალსაუკუნოვანი შრომითი ჩვევები, მოვლა-პატრონობის რაციონალური საშუალებები, რომელთა შორის მეტად მნიშვნელოვანია მორწყვითი სისტემა. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის დ. ბაქრაძე ოლთისის, ართვინის და იმერხევის მაგალითზე (სვანიძე, 1984:108).

შავშეთ-იმერხევის მოსახლეობის ტრადიციების წარმოჩენის თვალსაზრისით დიდი ინტერესი გამოუჩენია გიორგი ყაზბეგს. იგი ამ კუთხეში 1874 წლის მოგზაურობისას შესაშური რუდუნებით ეძებდა და პოულობდა ვაზის თითოეულ ძირს. საგულისხმო ფაქტია, რომ მოგზაურ-მკვლევარს იმერხევის ერთ-ერთ მთიან სოფელში სახლების მახლობლად, ლოდებს შორის შეუნიშნავს რამდენიმე ხე და „პაწაწინა ყანა“. თუთის, კაკლის თუ წყავის ხეების შორიახლო „ბროწეულზე შემოხვეული“ ან „უბრალოდ ქვაზე გართხმული ყურძენიც“ უხილავს (ყაზბეგი, 1995:85). მას მხედველობიდან არ გამოორჩენია ნური ბეგ ხიმშიაშვილის მამულში (შინდობანში) რამდენიმე ძირი „ლივანური ვაზის“ არსებობა (ყაზბეგი, 1995:97). იგი გულისტკივილით ამბობს: „...სადაც ქვევს შორის ხელისგულისოდენა მიწაა, ნახავთ ყურძენს, ბროწეულს, ნუშს, ხურმას, ზეთისხილს, ლედვს და სხვა ჯიშის ხეებს“ (ყაზბეგი, 1995:100). გ. ყაზბეგს გამცილებლისგან გაუგია, რომ სოფლების ცრიასა და ორჯოხის ბაღებში „ლივანის საუკეთესო ყურძენი ხარობსო“ (ყაზბეგი, 1995:107).

შავშეთ-იმერხევის, ისევე როგორც აჭარის, მევენახეობის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ს. ტიმოფეევს (Тимофеев, 1896:167-180). მისი ნაშრომი ივ. ჯავახიშვილის შეფასებით „... ერთ-ერთი წყაროა, სადაც პირველად აჭარა-შავშეთ-კლარჯეთში გაერცვლებული ყურძნის ჯიშების სახელებია მოყვანილი მათი თვისებების მოკლე დახასიათებითურთ“ (ჯავახიშვილი, 1934:462).

ამ კუთხის მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციებთან დაკავშირებით საინტერესო ეთნოგრაფიული ფაქტები დააფიქსირა ნიკო მარმა. მან 1904 წელს შავშეთსა და კლარჯეთში საღვინე და სუფრის 20 ჯიშის არსებო-

¹ ლივანის ხეობაში (მურღული და დევესქელი) ვენახი ქვია სახლთან ახლოს მდებარე მიწის ნაკვეთს, რომელშიც ყურძენი არა აქვთ გაშენებული. იგი მარცვლეული კულტურების მოსაყვანად გამოიყენება (მაღაყმაძე, 2007: 45).

ბა დაამოწმა. ეს ჯიშებია: სუერკი, ახელეკი, შავი ორჯოხული, საფერავი, სირკლევი, ჯღე, ხალთური, ატ მემესი (ცხენის ძუძუ), შავროპი, თურვანდა, დევრიშ-ალი, თეთრი ორჯოხული, მელის კუდი, ხევარდული, ბუტკო, გორგოული, წყალთეთრული, ფუნდუს უზუმი, შიშველი, ჰარმახ ხათუნი. ამათგან 11 თეთრია, ხოლო 9 შავი (მარი, 2012:368–370). ამ ბოლო წლებში კი კარჩხალის ხეობაში (შავშეთი) ჩაწერილი იქნა ყურძნის კიდევ რამდენიმე ჯიში: შევარდენის ყურძენი (შაპინ უზუმი), გურჯი უზუმი, კასრეელი, ბუტკო (ფაღავა, 2012:80–81). 6. მარს შავშეთ-იმერხევეში გავრცელებული მარან-საწნახლების შესახებაც მიუქცევია ყურადღება. იგი მოგვითხრობს სათლელ-რაბათში მცხოვრებ ჩაფარ გასპარის მონაყოლს: ამ მიდამოებში დამრეც ადგილზე, რომელსაც კოჩიბაჟური ეწოდება, „ადრე საუცხოო ვენახი“ ხარობდაო. აქვე იგი გვამცნობს, რომ იქ უპოვიათ „ქართული დროების უზარმაზარი ქვის საწნახელი“, რომელიც სახლში 20 წყვილი ხარით მიუტანიათ (მარი, 2012:143). მისი „მოგზაურობის დღიურებიდან“ იმასაც ვგებულობთ, რომ კარჩხალის ხეობაში ადრე გავერანგებულ ბაღებში ვაზი გაუშენებიათ და „დიდებული ყურძენიც“ მოუყვანიათ.

ქვის საბადოებით მდიდარ შავშეთ-იმერხევის მოსახლეობის ყოფაცხოვრების, სამეურნეო საქმიანობის, დიალექტოლოგიური თუ ტოპონიმიკური კვლევისას მრავალ სოფელში დასახელდა ქვის საწნახელების არსებობის ფაქტი, თუმცა ჯერჯერობით არ გაგვაჩნია რომელიმე მათგანის შესახებ კონკრეტული მონაცემები, თუნდაც ზომების მინიშნება. ჩვენ მხოლოდ 6. მარის მიერ დასახელებული ქვის საწნახლის მიხედვით ვისაუბრებთ.

მკვლევარს ანაკერტის მახლობელ მიდამოებში დეგირმან ღელეს (წისქვილის ღელე) გაგლისას შეუნიშნავს „ძველი ნაგებობის კვალი“, ასევე, მკაფიოდ გამორჩეული „საწნახლის ნანგრევები“, რომელიც უხეშად გათლილი ქვებისაგან ყოფილა ნაშენები. მას ღელის მეორე მხარეს კი ქვაში ამოკვეთილი საწნახელი უნახავს, რომელსაც შემდეგნაირად აღწერს: „ქვის ზედაპირზე ამოკვეთილია საწნახელი უფრო ქვემოთ კოდით. საწნახელიდან კოდში, გვერდით კედელში, ზედ ფსკერთან, გაყვანილია მილი, ე.ი. მრგვალი განივი, სუფთა ღვინის ჩამოსავლელად. საწნახლის ფორმა მოგრძო ოთხკუთხედიანია (სიგრძე 1 საუენი და 10 გოჯი, სიგანე– 1 არშინი და 7 გოჯი, სიღრმე–12 გოჯი“ (მარი, 2012:278). ეს ზომები შესატყვისია: სიგრძე–257,8 სმ, სიგანე–102,2 სმ, სიღრმე–53,3 სმ. მითითებულია კოდის ანუ „ქვების“ მდებარეობა და ზომები: სიგრძე 1 არშინი და 5 გოჯი (91, 3 სმ), სიგანე 1 არშინი (71,1 სმ), სიღრმე არაა ნახევნები.

6. მარს აღწერილი აქვს კიდევ მეორე საწნახელი, რომელის მიხედვითაც ყურძნის დაჭყლეტა-დაწურვის პროცესი ცოტათი განსხვავებული ჩანს. იგი მდებარეობს ფორთას მიდამოებში, ხევის ზემოთ, ფერდობზე, ქვებით ამოყვანილ ტერასაზე საწნახლის მონაცემებია: სიგრძე 1

საუენი და 11 გოჯი (263 სმ), სიგანე-1 არშინი და 9 გოჯი (100 სმ). ჭურჭლის შიდა სიღრმე მინაყართ ყოფილა დაფარული, რომლის გარე სიმაღლე 1 არშინი და გოჯი (72 სმ) ყოფილა (მარი, 2012:348). მკვლევარს დაუზუსტებია დაწურვის პროცესიც: „როდესაც პირველი ღვინო ჩამოედინება და შემდეგ ღვინო უკვე არ ჩადის საწნახელიდან როფში, მტევნებს აგროვებენ ჩრდილოეთ კუთხეში, მათზე ფიცრებს დებენ, ფიცრებზე-ხის ტუმბებს. ამ ტუმბებს კი აწვებიან ხის მორით: მორის ერთი მხარე ჩარჭობილია იმ ჩრდილოეთ ჩადრმავეებაში; მეორე გარე ბოლოზე კი ჩამოაცვამენ მძიმე, გაბურღულ ქვას რომელსაც საწნეს უწოდებენ“. დაწურული წვენი ჭურჭლის ფსკერზე დატოვებული ხერედიდან გადმოდიოდა ღარით. „ზუსტად ასე წურავენ თურქები (ქართველი მუსლიმანები)“. ავტორი აქვე დასძენს, რომ ჯმერკსა და გვერდაში ბევრი ყოფილა ასეთი ძველი საწნახელი. დაწურულ წვენს ყიდულობენ სომხები ბათუმის ტევადობის დოქებით და გზავნიდნენ არტანუჯში, სადაც ამზადებდნენ ღვინოს (ნ. მარი, 2012:349). სოფელი გვერდა, „გარემოცული იყო ვენახის ბაღებით და მისი მცირე ბედლებით გასაყიდი ღვინოს ასაწონად. აქ, ამბობენ, უამრავი ქართული დროის საწნახელია, ნაწილობრივ ახლაც ვარგისი...“

როგორც ჩანს, იმერხევის მთისწინეთის მოფარებულ სოფლებში მაღლად დაწურული წვენი იყიდებოდა.


ნ. მარის მიერ აღწერილი საწნახლები გარკვეულ მსგავსებას აქვს აჭარაში (აქუცა, ორცვა, ყოროლისთავი, მაჭახლის ხეობა) გამოვლენილ საწნახლებთან, ხოლო სოფელ ზენითში (ქობულეთის რ-ნი) ელინისტური ხანის ქვის საწნახლის არსებობა მეღვინეობის ძირძველ ტრადიციებზე მიგვანიშნებს (ხახუტაიშვილი, 2009:153)..

ამასთანავე, ამ ორი მეზობელი რეგიონის, შავშეთ-იმერხევისა და აჭარის, მასშტაბით იკვეთება სამეურნეო და ხალხური ტექნოლოგიური ცოდნა-გამოცდილების ლოკალური თავისებურებები. კერძოდ: ყურძნის დაწურვის პროცესის უფრო ეფექტური ხასიათი, მეღვინეობის ინტენსიურობის და განვითარების დონე. საამისოდ მოვიხმობთ, შავშეთ-იმერხევის 2013 წლის კომპლექსური ექსპედიციის* დროს შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებს. იმერხევაში, სხლობნისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფელ კოპიტათი//კოპიტეტის//კოპიტეთის** გზის ნაპირზე ექსპედიციამ და-

* ექსპედიცია შავშეთ-იმერხევაში გაიმართა 2013 წლის 5-11 სექტემბერს. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი ისტ. აკად. დოქტორი როინ მაღაყმაძე (ხელმძღვანელი), მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები: შუშანა ფუტყარაძე, ბიჭიკო ღიასაძე, ელზა ფუტყარაძე; უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: ნარგიზ ახვლედიანი, სიმონ გოგიტიძე, თამილა ლომთათიძე, ნაილე ჩელეაძე, ჯემალ ვარშალომიძე, მეცნიერი თანამშრომელი – ციალა ნარაკიძე.

** ადგილობრივი ინფორმაციის ცნობით ეს საწნახელი 40 წლის წინ გზის გაყვანისას ფერდობზე ხარებით ამოუტანიათ და გზის პირზე დაუდგამთ. გადმოცემის მიხედვით მათი წინაპრები 200 წლის წინ აჭარიდან გადმოსულან და აქ დამკვიდრებულან.

აფიქსირა ქვის საწნახელი, რომლის ამოკვეთილი შიდა ნაწილის ზომებია: სიგრძე-244 სმ, სიგანე-73 სმ, სიღრმე-80 სმ. შიდა ვერტიკალური ოთხივე კედლის ზედაპირი მოსწორებულია, ხოლო გარეთა ნაწილი დაუმუშავებელია და მისი სისქე - 50 სმ ფარგლებში მერყეობს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საწნახლის ფსკერზე, შუაში მთელ სიგრძეზე ღერძად გავლებულია დაახლოებით 5 სმ-მდე სისქისა და სიღრმის ღარი, რომელსაც ორივე მხრიდან, გარკვეული ინტერვალის დაცვით, ირიბი კუთხით, უერთდება რამდენიმე ღარი. ამ ღარებით დაწურული ყურძნის წვენი ჭურჭლის ფსკერის თავსა და ბოლოში გამოკვეთილი სადინარით გამოდიოდა (სურ. 1, 2).



სურ. 1



სურ. 2

საყურადღებოა ქვის საწნახლის მეორე ნიმუში, რომელიც ქალაქ შავშეთში, ხიმშიაშვილების სასახლის ეზოს შესასვლელ ჭიშკართან დევს. იგი უფრო ნაკლები ტევადობისაა (შიდა ნაწილის სიგრძე 150 სმ-ია, სიგანე და სიღრმე-45-45 სმ) და მას ფსკერზე წვენის გასასვლელი ხერხი მხოლოდ ცალ მხარეს აქვს, ასევე, გააჩნია დადარვის კვალი. ამავე ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციული შენობის წინ, ძველისებურად აღმართულია ქვის საწნახლის კედლებჩამოტვრეული ფსკერი, რომელიც მიწის ზემოთ, დაახლოებით 120 სმ სიმაღლისა და 100 სმ სიგანისაა. მისი დადარული ფსკერი ერთი შეხედვით, ტოტებგადაშლილი ხის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომლის ძირში აწყვია საღვინე კერამიკული ჭურჭლის ნამტვრევები (სურ. 4).

ამრიგად, წარმოდგენილია განსხვავებული ზომის ქვის საწნახლების შავშეთ-იმერხეული ტიპი - „კოპიტეთური“ და „შავშეთური“. პირველი - გამორჩეულად დიდი ზომისაა, შესაბამისად, გააჩნია ყურძნის წვენის ორი გამოსასვლელი, რაც მიგვანიშნებს ამ ჭურჭლიდან წვენის გამოსვლის ტემპის დაჩქარების აუცილებლობაზე იმ მიზნით, რომ იგი ყურძნით კვლავ შეივსოს, და დაიწახოს, იქნებ მრავალჯერაც. საფიქრებელია, ეს საწნახელი შეესატყვისება საეკლესიო-სამონასტრო მოთხოვნებს, სადაც ღვინო უფრო ჭარბად მოიხმარებოდა.

მეორეა ქ. შავშეთის გაცილებით ნაკლები ზომის საწნახელი, რომელსაც ყურძნის წვენის ერთი გამოსასვლელი აქვს. შესაძლოა, იგი მოსახლეობის საოჯახო მოთხოვნებს შეესატყვისებოდა (სურ. 3).

ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია ქვის საწნახლის ფსკერზე ამოკვეთილი ღარების მეშვეობით დაჭყლეტილი ყურძნის წვენის ადვილად გამოსვლა, ამ პროცესის განმეორების შესაძლებლობა, რაც ყურძნის მოსავლის სიუხვით, შესაბამისად, წარსულში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მაღალი დონის არსებობით იყო განპირობებული.



სურ. 3,



სურ. 4

განხილული ქვის საწნახლები დაღვინების პროცესის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა, საამისოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ზომის ქვევრები.

ნაშრომში საისტორიო წყაროების, არქეოლოგიური მასალებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შესწავლილია შავშეთ-იმერხეში გამოვლენილი ქვის საწნახლები. დადგენილია მათი ტიპები. ასეთებია: სხვადასხვა ზომის ქვაში ნაკვეთი ერთ ან ორ განყოფილებიანი საწნახლები ერთმანეთისაგან განსხვავებული ტექნიკური მონაცემებით. როგორც წესი, ერთ განყოფილებიან ქვის საწნახლებს გააჩნიათ წვენის ერთი გამოსასვლელი, რომლისაგან განსხვავებულია კოპიტეტი ნიმუში – საწნახლის თავბოლოში ე.ი. წვენის ორი სადინარი ხვრელის მქონე. ეს უკანასკნელი კი იმით იქცევს ყურადღებას, რომ მსგავსი ნიმუში ჯერჯერობით უცნობია აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეში გავრცელებული ქვაში ნაკვეთი საწნახლისაგან.

ყურძნის საწნეხი და წვენის დასაგროვებელი კომპლექსი ანუ ორგანოფილებიანი ქვის საწნახლები ამოკვეთილია კლდის ან ქვის დიდი ღოდის ზედაპირზე, გააჩნია წვენის მხოლოდ ერთი გასასვლელი. ამგვარ საწნახელში ყურძნის დაწურვისას იყენებდნენ მექანიკურ საშუალებებს. გამოვლენილია ქვითკირით ნაშენები საწნახლის ნაშთებიც.

განხილული მონაცემები მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს ცოდნას ძველ საქართველოში გავრცელებული ქვის საწნახლების შესწავლაში, რამდენადაც შავშეთ-იმერხეში არსებული ქვის საწნახლები დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვერა ბარდაველიძე. აგუნა-ანგურა. „ძეგლის მეგობარი“, №16, თბ., 1968
2. გიორგი ბერიძე. საქართველო კლასიკური მეღვინეობის ქვეყანა, „ძეგლის მეგობარი“, 16, თბ., 1968
3. გერმანე გობეჯიშვილი. გვიან ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970
4. ნინელი ვაშაიძე. აჭარა ელინისტურ ხანაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა. I, თბ., 2007
5. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941
6. ნოდარ კახიძე. მევენახეობა და მეხილეობა მაჭახლის ხეობაში.-აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები. თბ., 1971
7. ნოდარ კახიძე. მევენახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა. -სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. II, ბათუმი, 2009.
8. ანდრო ლეკიაშვილი. საწნახელი. „ძეგლის მეგობარი“, №16, თბ., 1968
9. როინ მაღაყმაძე. ლიგანის ხეობის ტოპონიმია. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, V, ბათუმი, 2007
10. შოთა მამულაძე. შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები. კრ.: შავშეთი, თბ., 2011
11. გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული პროზა, I, თბ., 1981
12. ნანული ნოღაიდელი. ლექსიკური ძიებანი. ბათუმი, 2013
13. მიხეილ სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში. თბ., 1984
14. С. Тимофеев. Очерки виноградарства и виноделия в Батумском и Артвинском округах. Сборник сведений виноградарства и виноделия на Кавказе, вып. IV, Тифлис, 1896
15. მამია ფაღავა. ნიკო მარი და მისი მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში. კრ.: შავშეთი, თბ., 2011
16. ზაზა შაშიკაძე. შავშეთი ოსმალეთის იმპერიაში. კრ.: შავშეთი, თბ., 2011
17. გიორგი ყაზბეგი. სამი თვე თურხეთის საქართველოში, ბათუმი 1995
18. ნაილა ჩეღებაძე. ქალი და ოჯახი. თბ., 2005
19. დავით სახუტაიშვილი. შრომები, II, ბათუმი, 2009
20. დავით სახუტაიშვილი. ქობულეთის ქვეყანა. ბათუმი, 1995
21. ნუგზარ ცეცხლაძე. შავშეთის ტოპონიმია. კრ.: შავშეთი, თბ., 2011
22. გიორგი ჩიტაია. ძველი ლეგენდები ვაზის კულტურის წარმოშობის შესახებ. „ძეგლის მეგობარი“, №16, თბ., 1968
23. ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტ. II, თბ., 1934.

Джемал Варшаломидзе

Каменные давильни (винограда) из Шавшет-Имерхеви

Р е з ю м е

В работе, на основе изучения и анализа исторических источников, археологических материалов, этнографических данных рассмотрены каменные давильни, распространенные в Шавшет-Имерхеви, и установлены их типы. Таковы четырехугольные, вырезанные в камне давильни различных размеров, состоящие из одного или двух отделов, которые отличаются техническими данными. Давильня с одним отделом, в зависимости от своего размера, имеет одно или два отверстия для выхода виноградного сока. Давильня с двумя отделами, как обычно, располагающаяся в скалистой местности, состоит из собственно давильни и накопителя виноградного сока. Она имеет одно отверстие для выхода виноградного сока. Аналогичные давильни выявлены и на территории Абхазии.

დიდი წარღვნასთან დაკავშირებული გადმოცემები აჭარის ფოლკლორში

დიდი წარღვნის ლეგენდას მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხი იცნობს. იგი გვხდება როგორც მაღალგანვითარებულ, ისე განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ტომთა ფოლკლორში (ჩიქოვანი, 1946: 280). როგორც ცნობილია, ამჟამად არსებულ ვერსიებს შორის ყველაზე უძველესია შუმერული (ფრეზერი, 1931: 75). წარღვნის ლეგენდის თავისებურ ვერსიას წარმოადგენს გილგამეშის ეპოსის მეთერთმეტე ფირფიტა, მეთერთმეტე დაფა. ამ ეპოსში დეტალურადაა წარმოდგენილი დიდი წარღვნის ამბავი (გილგამეში, 1963: 86). ბაბილონური ვერსიის მიხედვით, ნოეს კიდობანი **არარატის მთაზე** გაჩერდა. ხოლო იმ ფისს, რომლითაც ხომალდი იყო გამაგრებული, სომხები აგროვებენ და სამკითხაოდ იყენებენო (ფრეზერი, 1931: 81).

მკვლევართა აზრით, წარღვნის ლეგენდის ვერსიებიდან ყველაზე უფრო ცნობილი **ებრაული ანუ ბიბლიური ვერსიაა**, რომელიც დაწერილი უნდა იყოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX ან X საუკუნეში (ფრეზერი, 1931: 75). ბიბლიის მიხედვით, ნოეს კიდობანი **არარატის მთაზე** ჩერდება: “ორმოც დღეს იყო წარღვნა ქვეყანაზე. აღიღდა წყალი და ასწია კიდობანი, მოექცა იგი მიწის ზემოთ... მეშვიდე თვეს, თვის მეჩვიდმეტე დღეს **არარატის მთებს** მიაღმა კიდობანი... თანდათან იკლებდა წყალი მათე თვემდე. მათე თვის პირველ დღეს გამოჩნდა მათათა მწვერვალები. ორმოცი დღის შემდეგ გააღო ნოემ სარკმელი, კიდობნისთვის რომ ჰქონდა დატანებული“ (ბიბლია, 1989: 18).

ალ. ხახანაშვილის “ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ დაბეჭდილი ლეგენდის მიხედვით, წარღვნა ქალთა ამორალურმა საქციელმა გამოიწვია. “კაენის შთამომავალნი ფრიად განმრავლდნენ, ასე რომ ერთი კაცი ას ქალზედ მოდიოდა. დედაკაცები შეებრძოლნენ მამაკაცთათვის და ართმევდნენ ქმარს ერთმანეთს. როცა მამაკაცთა რიცხვი შემცირდა, მაშინ ქალებმა გამოიგონეს საშუალება: გააკეთეს სტვირი და ჭიანური, სახე ფერუმარილით მოიკაზმეს, გავიდნენ მთაზე და იქ დაუკრეს, დაამღერეს. ამით შეაცდინეს მამაკაცი ქვემოთ მლოცველნი და მხოლოდ ერთმა ნოემ დაიჭირა თავი” (ხახანაშვილი, 1914: 118).

ქართულ გადმოცემებში არსად არ ფიგურირებს სომხეთი და მისი მთები. მკვლევარ ი. მეგრელიძისეულ ვარიანტში კიდობანი **ბრუტსაბჟელასთან** ჩერდება (მეგრელიძე, 1960: 108). ფშაური ფოლკლორული მასალების მიხედვით – კოპალა **მეინვარწვერთან** გააჩერებს ხომალდს (ფ. არქივი, კ. 165, გვ. 243). აჭარაში “გემის საბმელის“ ადგილს რამდენიმე

მთაზე მიგვითითებენ: კარჩხალი, არგინეთის მთა, ხინოს მთა, კარასერი. გადმოცემით “ნოვემ კიდობანი **კარჩხლებზე** გააჩერა. იქ ჯენჯირები ახლაცაო, ამ კლდეზე დიდი ნახვრეტია, რაზეც გემებს ამბავდნენო“. კარჩხლებს შორის მოვაკებულ ადგილს “**ჯვარი მინდორი**“ ჰქვია. მათ რწმენა-წარმოდგენებში, ეს ადგილი წმინდაა და აქ ჯვარი აღუმართავთ. ამიტომაც ამ ადგილს “**ჯვარი მინდორი**“ ჰქვია (მთმქელი ა. კილაძე, დაბადებული შუახევის რაიონის სოფელ ცეკვაში და მცხოვრები სოფელ ზემოხევში, ავტორის 2002 წ. პირადი არქივი).

დიდი და მცირე წარღვნის ქართული ხალხური ლეგენდები ნოდარ შამანაძემ შეისწავლა. მკვლევარმა გაანალიზა იმდროისთვის ცნობილი და მის ხელთ არსებული ლეგენდები და გამოჰყო შემდეგი თემატური ჯგუფები: I. კოსმოგონური ლეგენდები (1. სამყაროს წარმოშობა და პირველი ადამიანის გაჩენა, 2. პირველი ადამიანების შეცოდება და მათი დასჯა); II. აპოკრიფული ლეგენდები; III. წარღვნის ლეგენდები (1. დიდი წარღვნის ლეგენდა, 2. მცირე წარღვნის ლეგენდა) (შამანაძე, 1973).

დიდი წარღვნის აჭარული ვარიანტის, კერძოდ კი წარღვნის მოტივის, მეცნიერული შესწავლის წარმატებული მცდელობაა 2006 წელს ნაილა ჩელებაძის მიერ გამოქვეყნებული სტატია “წარღვნის მოტივი აჭარაში ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით” (ჩელებაძე, 2006: 212-235).

აჭარის ფოლკლორში მრავად ვხდებით, როგორც დიდი, ასევე მცირე წარღვნის ლეგენდებსაც. ერთი მათგანი სახელწოდებით “ნოვეს გემი” მკვლევარმა ზურაბ თანდილაშვილმა 1974 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ზენითში ხუსეინ სულეიმანის ძე ქათამაძისგან ჩაიწერა (თანდილაშვილი, 1990: 95-98). ასევე საინტერესოა თქმულება “რატომ დეიქცა დუნია”, რომელიც 1981 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვაში რეზო ანანიდეს ჩაუწერია (მთმქელი რ. ანანიძე, ბსკიფა, საქმე №242, 39-42).

ტოპონიმიური თქმულება კარას სერის შესახებ იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ ნოეს კიდობნის გაჩერების ადგილად ხინოს მთის ერთ-ერთ მწვერვალს მიიჩნევს, რაც, ზემოთ განხილული შუახევიური დიდი წარღვნის ლეგენდასთან ერთად (რომლის თანახმადაც, ნოეს კიდობანი გაჩერდა **არგინეთის/არგნეთის მთაზე**), ბიბლიური კიდობნის ნაცსაყუდლად საქართველოს აღიარებას უჭერს მხარს.

დიდი წარღვნის სხვა ვარიანტის მიხედვით, ნოეს კიდობანი // **გემი მუხულის ახლოს, ჯუდის მთაზე** შეჩერებულია აშურა დღეს (მახარაშვილი, 2008: 120) **ჯუდის მთაზე** კიდობნის შეჩერების წყარო, უსათუოდ, ყურანისეული ცნობაა, რომლის თანახმადაც “კიდობანი **ალ-ჯუდას** მთაზე შედგა (ყურანი, 11,46).

ამდენად, **არგნეთის** // **არგინეთისა**, თუ კარა სერზე ნოეს კიდობნის გაჩერების შესახებ აჭარაში გავრცელებული დიდი წარღვნის ლეგენდათა ვარიანტებში დაცული ცნობები ზოგადქართულ რწმენა-წარმოდგენათა

თა კიდევ ერთი დასტურია. ლეგენდის ამ ვარიანტთა მიხედვით, ნოეს კიდობნის შეჩერების ადგილი წმინდა ანუ კვრივი ადგილია.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში დიდი წარდგნის ლეგენდები მრავლად მოიპოვება. ამათგან ეტიმოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თქმულება “**კარა სერის**” შესახებ. სადაც გადმოცემულია დიდი წარდგნისა და ნოეს კიდობნის ამბავი: “ქვეყანა ექვსჯერ ავსილა და დავსილა, მაგრამ საბოლოო მეშვიდეო. დუნიის მეექვსედ დავსების დროს ნოეს გამოცხადებია **მელაიქები** და უთქმიან ყველაფერი. ნოე კიდობანს // გემს “**კარა სერზე**” ორ წელწადს აშენებდა. ზოვლი დიდი კიდობანი უუშენებია მშენებლობის დროს ერთ დედაბერს უხვეწნია ნოესთვის, მეც წამიყვანე და გადამარჩინე, სანაცვლოდ ერთი ძროხა მყავს და იმის რძეს ყველა დღეს შენ და შენ უსტიებს მოუტანო. ნოე დაპირებია, მაგრამ წარდგნის დროს დედაბერის წაყვანა დაეწეებია. ქვეყანა რომ დაქცევლა და მერე გამოდრილა, ყველაფერი მის ადგილზე დამდგარა, ნოეს უნანია მისი საქციელი და დედაბერი მუძებნია. დედაბერი კი ამ დროს ისევ მის ქოხში ყოფილა. ნოეს უკითხავს – ნენი აქ ახიშერი არ ყოფილაო? რაო, უთქვამს ნენეს. პაწაი წვიმა იყო, იმდენი, რომ ძროხა დასველდაო, სხვა არაფერიო. დედაბერი ისევ ეხვეწებოდა ნოეს, არ დამტოო. ნოეს გაუკვირდა, მარა მიხვდა, რომ მოხუცი გამჩენელმა მისი მადლის გამო გადაარჩინა და დედაბერს უთხრა, აწი, ქვეყანა აღარ დეიქცევაო. ამ ადგილს კი “**კარა სერი**” იმიტომ დარქმევია, რომ ნოეს (ფვილამბერს) **გემის კარი წარდგნის მერე პირველად აქ გაუღია** (მთქმელი თ. ქარცივაძე, დაბ. სოფ. ჭალაში და მცხოვრები სოფ. ზემოხევში. 78 წ. პირადი არქივი, 2004წ.).

“**კარა სერის**” შესახებ ლეგენდა 1988 წელს ჩაუწერია მკვლევარ მარინა გიორგაძეს (მთქმელი 90 წლის შალვა მახარაძე, ბსიკვა, საქმე №242, გვ. 95), მასში, მთქმელის გადმოცემით, “**კარა კიდლეა**. ეს ქვეყანა წყალსა აქვს წადებული. პარახოდი გააკეთებოეს, დედალ-მამალი შეიყვანეს, დანარჩენი დეირწო. მემრე ხელახლა გამრავლდა ხალხი. იი პარახოდი იქ **კარა სერზე** ყოფილა დაბმული მსხვილი ჯაჭვით. ჯაჭვი ახლაცაა დარჩენილი” (ბსიკვა, საქმე №259).

“**კარა სერი**” შუახვევისა და ხულოს რაიონების გამყოფი მთაა, რომელიც სოფელ ნენიის მოპირდაპირედ მდებარეობს. ასევე საინტერესოა ხალხური თქმულება, რომელიც თეონა ქამადაძეს ნენიაში შორენა ქამადაძისგან ჩაუწერია. ეს თქმულება სოფლის სახელდებას უკავშირდება: „ამ სოფელში დიდი წვიმა მოსულა და მთელი სოფელი წაუღია. ერთი მოხუცი ქალი გადარჩენილა “**ნენეი //ბებია**” და იმის გამო, მისი სახელიდან გამომდინარე დაურქმევიათ სოფლისათვის **ნენია**“. შესაძლოა, ეს თქმულება რაღაც კავშირში იყოს “**კარა სერის**” თქმულებასთან. ანუ დიდი წარდგნის გადმოცემა შეიძლება უკავშირდებოდეს მცირე წარდგნის ლეგენდას (მიქელაძე, 2013: 96-99).

თქმულებათა ანალოგიურ ციკლს მიეკუთვნება დიდი წარღვნისა და ნოეს კიდობნის მშენებლობის ამბები, რომელთა შინაარსი ერთმანეთისაგან ღიდად არ განსხვავდება. ერთ თქმულეაში ნოეს ურწმუნო შვილზეა საუბარი, რომელსაც უფალი, ურწმუნოების მიუხედავად, მაინც მიუტევებს. წარღვნამდე შთააგონებს ნოეს, რომ წარღვნის მოახლოების დროს ისიც თან წაიყვანოს: “ნოემ გადაწყვიტა, დიდი კიდობანი აეგო და შით ყველა სულიერი ცოტ-ცოტა შეეყვანა. კიდობანზე აიტანეს საჭმელ-სასმელი, ორმოცი დღის მარაგი. მისი შვილი კი ურწმუნო იყო. ის მანამ არ გახდა მორწმუნე, სანამ წყალი არ წამეიწია, მას ნოე ურწმუნობაში არ უშვებდა კიდობანში. ის კიდობანში ბოლო დღეს უუშვაო. წარღვნის მერე ბოლო დღეს ხალხს კიდობანში საჭმელი გამოეღიათ. ნოემ, ხალხი მშიერი რომ არ დარჩენილიყო, შვიდი სახის მარცვალი უურიო, რაც იყო მოხარშა და ხალხს აჭამა” (მთქმელი ნოდარ გაბაიძე 44 წ. დაბადებული სოფელ სკანაში, მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში. გაუგონია დედისგან. ჩაიწერა ნიკა გაბაიძემ 2009 წ. პირადი არქივი).

დიდი წარღვნის ელემენტების დაყოფაც კი შეიძლება: ქრისტიანობის კვალი აქაურთა ფოლკლორში; მუსლიმური ელემენტებით შეჯერებული ქართული თქმულებები. თუმცა, ეს თქმულება აშკარა გამოსატყულებაა ქრისტიანობისა და მისი წეს-ჩვეულებებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბიბლია 1989:** ბიბლია საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 1989
2. **გილგამეში 1963:** გილგამეში, გამომცემლობა “ნაკადული”, თბილისი., 1963.
3. **თანდილავა 1990:** ფოლკლორული მასალები შეკრიბა და გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ზურაბ თანდილავამ, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, ტ. X, თბ., 1990.
4. **მახარაშვილი 2008:** გიორგი მახარაშვილი, დიდი წარღვნის ლეგენდა აჭარის ფოლკლორში, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი პუბლიკარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). ბათუმი., 2008.
5. **მიქელაძე 2013:** ნაილე მიქელაძე, “კარასერთან”, დაკავშირებული დიდი წარღვნის ლეგენდის აჭარული ვარიანტის ტოპონიმური გადმოცემები, ლიტერატურული ჟურნალი “ჭოროხი”, №1. 2013.
6. **ფრეზერი 1931:** Джеймс пайфър, Библейские сказания. 1931.
7. **ჩელეაძე 2006:** ნაილა ჩელეაძე, წარღვნის მოტივი აჭარაში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, კრებ. „istoriul-eTnografiuli ძიებანი“, ტ. VIII, თბ., 2006.
8. **ჩიქოვანი 1946:** მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბილისი., 1946.
9. **შამანაძე 1973:** ნოდარ შამანაძე, ქართული ხალხური ლეგენდები, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი., 1973.

10. **ხახანაშვილი 1914:** ალექსანდრე ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, თბილისი., 1914.

Naile Mikeladze

Legends about the Great Flood in Ajarian Folklore

Summary

The legend about the Great Flood is well-known for almost the whole world. We can come across to it as in the folklores of highly developed so in folklores of tribes standing on the lower stage of development. According to the Bible Noah's Ark stops floating on the mountain range of Armenia. In Georgian legends none of Armenia and its mountains are mentioned. In one of the versions about the Great flood Ark stops at Brutsabdzela. According to the materials of the folklore of Pshavi – Kopala stops the ship at Mkinvartsveri. In Ajara they name several mountains where the “story of the ship” happened they are: Kara Hill, Arginetti Mountain (region of Khulo), Karchkhlebi and Peranga Mountain (Shuakhevi region).

There are various legends about the Great Flood in Ajarian narratives. The most important from them is in the cut of etymology, it is about the “Kara Hill”. According to the legend the mountain was named after “Kara Hill” cause after the Great Flood Noah (Pheighamber) has firstly opened the door of the ship on exactly this place (Kari (in Georgian it means “door”) + Hill).

According to the legend Noah had constructed the heavenly Ark on the hill. It is a saint mountain, “dense” place from where the history of humanity begins.

გამოცანები (ლაზური მასალების მიხედვით)

ფოლკლორულ ჟანრებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია გამოცანები, რომლებშიც თავმოყრილია ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე დაგროვებული ცოდნა-გამოცდილება, რომლის რეალიზებასაც საზოგადოებრივი დანიშნულება აქვს და ყველა ეპოქაში რჩება მომავალი თაობის დამოძღვრის, დიდაქტიკურ-მორალური კომუნიკაციების საშუალებად. გამოცანა ყველა ასაკის მთქმელთა რეპერტუარში გვხვდება. მასში სწრაფად ისახება რეალური ყოფა და მოვლენები, საგნები.

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, გამოცანები ლაზურ ფოლკლორშიც მრავლად გვხვდება და თვითმყოფადობით ხასიათდება. საქართველოს სხვა კუთხეთა გამოცანების მსგავსად, ლაზურ გამოცანებშიც დომინირებს: ადამიანი, მცენარეები, ცხოველები, ფრინველები, ციური სხეულები, ბუნებრივი მოვლენები და სხვა. ამ გამოცანათა გამოყენება ხშირად ხდებოდა თავყრილობებში, ქორწილებში და მას შეჯიბრების ხასიათი ჰქონდა. გამოცანას თანამედროვე ყოფაშიც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და განაგრძობს არსებობას. ამის დასტურია თუნდაც ლაზურ ფოლკლორში დაფიქსირებული აქ წარმოდგენილი გამოცანები.

საოჯახო იარაღები, ნივთები, სამეურნეო ნაგებობები...

1. ნდღალეი გოწოზუნ, სერ გუინდვენ (კორაკი).
დღისით ჩამოკიდებულია, ღამით გადაედება (კარის საკეტი, ურდული).
2. სეი ქოგოლინჯირს, დღალეი ქოგუწიკიდენ (კურაკიდა).
ღამით წამოწება, დღისით ჩამოეკიდება (ურდული).
3. ულუნ, მულუნ, არ ძეის ქოდგინ (ნეკნა).
მიდის, მოდის, ერთ ადგილას დგას (კარი).
4. გალე მჟორს, დოლოხე მთუფს (მსქიბუ).
გარეთ მზეა, შიგნით თოვს (წისქვილი).
5. დოლოხე დამბა-დუმბი,
გალე ჩარჩი-ბაზარი (ონჩახალე).
შიგნით დამბი-დუმბი,
გარეთ ჩარჩი-ბაზარი (სადღეებელი).
6. ძულუნ-გაულუნ, ცას ახვამენ (ონჩამოე).
ადის-ჩამოდის, ცას ეხვეწება (საცეხველი).
7. ნდღალეი ღალუფს, სეი ჯანს (არგუნი).
დღისით ყეფს, ღამით სძინავს (ნაჯახი).

8. თიმოკანკულეიქ დალიკელე იწკენ (ბურჭული).
თავმოკაკული ტყისკენ იცქირება (წაღდი).
9. სერ-დღალეი იწალიშეფს,
ნე დღალეი ჯანს, ნე სეი (საათი).
დღე და ღამე მუშაობს,
არც დღისით სძინავს,
არც ღამით (საათი).
10. უყუჯე დო უშურე
ხე გურიტენ მორდერი (დუნი თხვერი).
უყურო და უსულო,
ხელის გულზედ მოზრდილი (ფთილა).
11. დემიში ხოჯი – ფამფულიშ კუდელიტენ (დემში, ნოკეფე).
რკინის ხარი – ბამბის კუდით (ნემსი და ძაფი).
12. არ ჭიტა შეი დენ, მთელი დუნდა ემუს ოქაჩუნ, ია ვარ ტასნა ნე
დოლოგაქუნენ, ნე მოგადვენ, ნე გოგალენ (დემში).
ერთი რამეა პატარა, მთელი ქვეყანა მას უკავია, ის რომ არ
იყოს, ვერც
ჩაიცმევ ტანსაცმელს, ვერც მოირგებ ფეხსაცმელს, ვერც გაივლი
(ნემსი).
13. გზაში ჟინ კილეი სანდული (მეზაე).
გზის ზემოთ ჩაკეტილი სკიერი (საფლაეი).
14. ჟინ დაჩხიი, თუდე წკაი იგიბენ (ღამპა).
ზევით ცეცხლი, დაბლა წყალი დუღს (ღამპა).
15. უჩა იმხორს, ზოი დიმდორს (ტუფელი).
შავს ჭამს, ხმამაღლა ბღავის (თოფი).
16. ჟილე-წალე იბურბალს,
ოკეანხე დოჭკინდინეი ქილიდვენ (ოქოსალე).
ზევით-ქვევით ბრუნავს
ბოლოს დაღლილი მიეგდება (ცოცხი).
17. ელა-ველა, დუნდა ალემიქ იჯერს ემუში ნენა (ოკა).
ელა-ველა, ქვეყანას სჯერა მისი სიტყვისა (სასწორი).
18. არ ჯოღორი მიეორუნ, დალიშენ გდუჩუმეს დეჯეფე (ოცხოჯი).
ერთი ძაღლი მყავს, ჩამორეკავს ტყიდან ღორებს (სავარცხალი).
19. ქორბათენ იმხორს დო კაპულათენ დობდაფს (რენდე).
მუცლით სჭამს და ზურგითა ყრის (შალაშინი).
20. ნჯაშა ბოში დუღუნ, ექოლენ დოფშა გდუღუნ (გიდეელი).
ხეზე ცარიელი ადის, იქედან სავსე ჩამოდის (გიდეელი).
21. ოთხო პაჭათე, პანდა დუქითენ (კულა).
ოთხი ფეხით, ხშირად ტვირთით (სკამი).
22. მა ვუღუ, ჰედათი უღუნ, დანი ჩქიმის სერსი მუღუნ (ბასთონი).
მე მივდივარ, ისიც მიდის, ჩემს ახლოს მისი ხმა მოდის (ტროსი).

23. არ ოხოის სკიდუნან სუმენენ ჯუმა,
 ჟურ-სუმიქ ხვალა ოხოი გდჷუფან.
 ვა კითხაშაქის ჰენთეფე ვა ეიზდენ,
 კაი ბერე დენა, ჰემთეფეკალა მო ისთერ (ებზა).
 ერთ სახლში ცხოვრობს სამოცი ძმა,
 მხოლოდ ორი-სამი სახლს გადასწევას,
 სანამ არ შეეკითხები, ისინი არ აიღება,
 კარგი ბავშვი თუ ხარ, იმათთან ნუ ითამაშებ (ასანთი).
24. დღალეი ნოკიაფ, სეი ნუწკიფ (ქალამანი).
 დღისით აბამ, ღამით ახსნი (ქალამანი).
25. ნღალეი გულუნ, სეი გეღობუნ (ქალამანი).
 დღისით დადის, ღამით ჩამოკიდებულია (ქალამანი).
26. ნოკირაში გულუნ, გულუნ, გონწკაშკულე ქოდოდგიოუნ
 (ქალამანი).
 როცა აბამ დადის, დადის, ახსნის შემდეგ გაჩერდება (ქალამანი).

ადამიანი

1. ხუთ ჯუმაქ არ კუის ქვა ისთომეს (ხე დო ნუნკუ).
 ხუთი ძმა ერთ ორმოში ქვას ისვრის (ხელი და პირი).
2. არ კაას ონტულე დენ, გოღობეი ხნე დიშქათენ (ნუნკუ).
 ერთ მაღლობზე ბოსტანია, შემოღობილი თეთრი შეშით (პირი).
3. ეჩდოვიტოსუმ ჩათმა ღობეიში დოღოხე არ მჭითა გენი მოღახენ
 (ნენა).
 ოცდაცამეტ მესერიან ღობის შიგნით ერთი წითელი ხბო ზის
 (ენა).
4. კინჩი ვა რენ ფუთხუნ, ნძი ვა რენ, ნაცონენ,
 ირიშენ ღოცა, ირიშენ მჭოხა რენ (ნენა).
 ჩიტი არ არის ფრინავს, ნექტარი არ არის, მოგეტკობა,
 ყველაზე ტკბილი, ყველაზე მწარეც არის (ენა).
5. არ კაალულის ჟურ წიწილა გოლაჯანს (ოფიდეფე).
 ერთ მაღლობზე ორი გველი წევს (წარბები).
6. ჟურ კარკალაში ჟინ ჟურ წიწილა გელახენ თიქაჩულონი
 (თოლეფე დო ოფიდეფე).
 ორ აყიროს ზემოდან ორი გველი ჩამომჯდარა თავქოჩრიანი
 (თვალები და წარბები).
7. ჟურ ჯუმაღეფე მანძაგეფე რენან, არ დუღია იქიფან, ჰამა ართი-
 ქართი ვა იჩინოფან (თოლეფე).
 ორი ძმები მეზობლები არიან, ერთ საქმეს აკეთებენ, მაგრამ ერთმა-
 ნეთს არ იცნობენ (თვალები).

8. ჰელე ნაგნაი, ია მუ დენ,
 მთელი ღუნდასნა ლაზიმი დენ (ჯოხო).
 აბა თუ მიხედები ის რა არის,
 რაც მთელ ქვეყანას სჭირდება (სახელი).
9. ჯებეს ვა დოლოგადვენ,
 ნუნკუს ვა ამაგადვენ,
 ლოყანობა მუში ირის ქუჩქინ,
 ირიშენ ნოსთონეი რენ (ნჯირი).
 ჯიბეში ვერ ჩაიდებ,
 პირში ვეღარ ჩაიდებ,
 მისი სიტკბო ყველამ იცის,
 ყველაზე გემრიელი რამ არი (ძილი).
10. ნეთი მშუნს დო ნეთი მიჩქინ (დობადუ დო ღუა).
 არც კი მახსოვს და არც კი ვიცი (დაბადება და სიკვდილი).
11. ნე იჭოფენ, ნე გამიჩენ (ოსქადუ).
 არც იყიდება და არც გაიყიდება (სიცოცხლე).
12. ჭუმანიკელე ოთხო კუნხეთენ გულუნ,
 ონდლეიკელე ჟურ კუნხეთენ,
 ახჩამუსთი სუმიტენ.
 (ჩიჩქუ ბეე, დენიეთმე, ბადი)
 დილით ოთხი ფეხით დადის,
 შუადღისკენ ორი ფეხითა,
 საღამოს სამითა.
 (ჩვილი ბავშვი, ახალგაზრდა, მოხუცი)
13. თოლიქოდვეი ბძიროფ,
 თოლიგონწკეი – ვარ,
 ჰელე ნაგნაი,
 აჯაბა მუ დენ (იზმოჯე).
 თვალდახუჭული ვნახულობ,
 თვალგახელილი – არა,
 აბა მიხედები
 ნეტავი რაა (სიზმარი).
14. ადა ჩქიმი ჟურ ბიგათენ
 მთელი ღუნდა გოილი (კუნხეფე).
 ამ ჩემი ორი ჯოხითა
 ქვეყანა შემოვიარე (ფეხები).
15. ვახთი ზამანის, უკითხელი კათაეის ნეკნას ქონოდვითუნ (ობადა-
 ლაკობა).
 თავის დროზე ყველას კარზე ნებართვის გარეშე მიადგება (მოხუცე-
 ბულობა).

ფრინველები, მწერები, ცხოველები

1. არ შეი რენ, შური გიუდგინ, ნდღალეი ჯანს სეი გულუნ (ბურბუ).
ერთი რამე არის სულიერი, დღისით ძინავს, ღამე დადის (ღამურა).

2. არ მთუგის მენგაფუა რენ, ნდღალეი გოწობუნ, სეი გულუნ (ბურბუ).

ერთი თაგვის მსგავსი არის, დღისით ჩამოკიდებულია, ღამით დადის (ღამურა).

3. ქრა უდუნ, ჯამუში ვა რენ, ჯაშა დულუნ კოჩი ვა რენ, ჭაუფს ხოჯა ვა ძენ (ფეწე).

რქა აქვს, კამეჩი არ არის, ხეზე ადის, კაცი არ არის, წერს, მასწავლებელი არ არის (ლოკოკინა).

4. დეშილი ჯუფს, უჩა დობღაფს, ფორკა მუში მუქ იშუფს (მუნტუი).

მწვანეს ძოვს, შავსა ყრის, თავის კაბას თვითონ იქსოვს (მატლი).

5. წკაის ინჩირს, ჩხომი ვა რენ, ჩაი ჯუფს, ჰამა ფუჯი ვა რენ (ბიბი).

წყალში ცურავს, თევზი არ არის, ბაღახსა ძოვს, მაგრამ ძროხა არ არის] (იხვი).

6. მაკასისთეი კუდელი, ყინვაშ თუთაფეს აქ ვა რენ, ფუქირონას მულუნ ჩქინდა, ჰელე გათქვან ამა მუ რენ (მშიიდონი).

მაკრატელივით კუდი, ზამთრის თვეებში აქ არ არის, გაზაფხულზე მოდის ჩვენთან, აბა იტყვიტ ეს რა არი (მერცხალი).

7. ფიმფილი ქულუნ, კოჩი ვა რენ, მოლა მო გიჩქიტან (თხა).

წვერი აქვს, კაცი არ არის, მოლა ნუ გეგონებათ (თხა).

8. ბუტკუჯი რენ, ნძი ვა უდუნ, ჰედა ვარ ტაში, სქა მეღუნ (ნანა ბუტკუჯი).

ფუტკარი არი, ნექტარი არა აქვს, ის რომ არ იყოს სკა დაივსება (დედა ფუტკარი).

9. დანხური ვა რენ დო იჭვენ,

არ მესქუნ, არ ადვენ,

ფუთხუნ ჰამა ნაწი ვა რენ,

ჰაშო ჰედა მუ იყვენ? (წიწინათეი)

ცეცხლი არ არის და იწვის,

ხან ჩაქრება და ხან აენტება,

ფრინავს, მაგრამ არ არის კოლო,

ნეტავ ასეთი რაღა იქნება? (ციცინათელა).

10. ჰაივანი რენ, ქრა ვა უდუნ,

ფუთხუნ, ჰამა მსვა ვა უდუნ (ცხენი).

ცხოველია, რქა არა აქვს,

ფრინავს, მაგრამ ფრთა არა აქვს (ცხენი).

ცა, ციური სხეულები, დედამიწა, ბუნებრივი მოვლენები

1. ართეის ვა დასელენ,
მაჟვანის ვა ანჯირენ,
მასუმანი წკაითენ ვა იძღენ
ჰელე გათქვანი ანთეფე მუ ენ? (დიხა, ცა დო მზოლა)
ერთი ველარ დგება,
მეორე ველარ იძინებს,
მესამე წყლით ველარ ძღება
აბა თუ იტყვით ესენი რაა? (დედამიწა, ცა და ზღვა)
2. წიწილასთეი ნობუზალს,
კონიშენ ორდო იგზალს,
ბაზი იშუმენ, ბაზი ნცუმუ რენ,
გათქვენი აბა მუ რენ? (ღალი)
გველივით მიიკლაკნება,
კაცზე სწრაფად დადის
ზოგჯერ ბრაზდება, ზოგჯერაც ტკება,
აბა თუ იტყვი ეს რაა? (მდინარე)
3. ხე დო კუნხე ვა უღუნ, გზა გორუმს, ქოძირუი უღუნ (წკარი).
ხელი და ფეხი არა აქვს, გზას ეძებს, თუ იპოვა მიდის
(წყალი).
4. მენდრაშენ ჩუმელან მუსადიი, მოხთაშკულე უნტკობუნან (მჭიმა).
შორიდან სტუმარს ელიან, როცა მოვა, ემალებიან (წვიმა).
5. ნულუნ, ნულუნ, ვა იწოდენ (გზა).
მიდის, მიდის, არ თავდება (გზა).
6. დუნდას გოლაძინ, ოხოიში ნეკნას კუდელი უძინ (გზა).
ქვეყანაში გადებუღია, სახლის კარებთან კუდი დევს მისი
(გზა).
7. ნე დაჩხიის იჭვენ,
ჰამა დღულუნ წკაის,
ჰელე გათქვასი მუ ენ (მთვით).
არც იწვის ცეცხლში,
მაგრამ დნება წყალში
აბა თუ იტყვი რა არი (თოვლი).
8. იმხორს, იმხორს, ვა იძღენ, გდაი ვა ჩანა ღურუნ (დაჩხიი).
ჭამს, ჭამს, ველარ ძღება, საკვებს თუ არ მისცემ, კვდება
(ცეცხლი).
9. უჩა ფუჯის მჭითა გენი (დაჩხიი).
შავ ძროხას წითელი ხბო (ცეცხლი).
10. დიდჩქიმიში ეთეღეფექ ქოსუი სოქაღეფე? (იხი)
ბებიანემის კაბის ბოლოებმა, გახვეტა ნეტავ ქუჩები? (ქარი)
11. წკაის გულუნ ვა იშოდენ, კუნხე გედგი ვა იჭყიპენ (ლანდი).

წყალში დადის არ სველდება, ფეხს დაადგამ არ იზილება (ღანდი).

12. მა მეულუ, პედა ნულუნ, მა დობდგიოთუ, პეთი დოდგიოთუნ (ღანდი).
მე მივდივარ, ისიც მიდის, მე ვჩერდები, ისიც ჩერდება (ღანდი).

13. ყონა მიდუნ ალთუნიოთენ ჭკადეი (ცა დო მუუცხებე).
ყანა მაქვს, ოქროთი მოჭედილი (ცა და ვარსკვლავები).

14. ფქიტო, ფქიტო, ვა მაქიტუ (გზა).
პეპეცე პეპეცე ვერ დაგეცე (გზა).

15. კუდელი აქ, თი მოსკოვას (გზა).
კუდი აქა, თავი მოსკოვში (გზა).

სასწავლო ნივთები

1. სადიქ ღუელის ოღალაღაფაფს (კალემი).
ცოცხალი მკვდარსა აღაპარაკებს (ფანქარი).

2. უნენელი ძენ, ჰამა ღალაღაფს (ქეთაბი).
უენოა, მაგრამ მაინც ღაპარაკობს (წიგნი).

3. ღალი ვოე დო ბაშქას ვოგუაფ (ქეთაბი).
მუნჯი ვარ და სხვას ვასწავლი (წიგნი).

საკვები

1. არ შეი რენ იჭკომენ, შეერიში ჯოხო უდუნ (ვაშინგტონი).
ერთი რამეა, იჭმევა, ქალაქის სახელი ქვია (ვაშინგტონი).
2. კარდალა კაფალითენ გოწობუნ (ხურმა).
ქვაბი სახურავით კიღია (ხურმა).
3. ბაზარიშა ეპჭოფი – არ თანე, ოხორიშა მოფთი ბინთანე (ნარი).
ბაზარში ვიყიდე ერთი ცალი, სახლში მოვედი ათასი (ბროწეული).

4. ღუნდა მურგვალი რენ, სოთი ნეკნა ვა ენ, დოლოხე მიღეთი მოლობლუნ, არ დემიიქ გონწიფს (ყოყოე).
ქვეყანა მრგვალია, სადმე კარი არ არის, შიგნით ხალხია შეყრილი, მხოლოდ
რკინა ადებს (გოგრა).

5. ნჯაში ჟინ გენკილეი სანდული (ნეძი).
ხეზე დალუქული სკივრი (ნიგოზი).
6. წკაის დობადეის, წკაიშენ აშქუინენ (ჯუმუ).
წყალში დაბადებულს, წყლისა ეშინია (მარილი).
7. მფალო ვა იჭკომენ (ჯუმუ).
ცარიელი არ იჭმევა (მარილი).
8. ღანხიის ტკვაცუნ
წკაის ნდღულუნ (ჯუმუ).

ცეცხლში სკდება
წყალში დნება (მარილი).

9. კაკა-კაკა, დოპი არ ბერე, ნე ხე ულუნ, ნე კუნხე, მურგვალი ძენ
ჰე ბერე (მარქვალი).

კაკა-კაკა, გავაკეთე ერთი ბავშვი, არც ხელი აქვს, არც ფეხი,
მრგვალი არის

ის ბავშვი (კვერცხი).

10. დოლოხე თასი, გალე ანტრასი (მაქვალი).

შიგნით თესლი, გარეთ ატლასი (კვერცხი).

11. მითის ვარ ნოჩქინს, რენ დიდო ნცუმუ,

ნძი ვა რენ დო ნენას ნაცონენ,

მციქათი ქონუგამს ნჯუმუს,

ბერეს მეჩაში კაი დვაწონენ (შექეი).

არავის ერჩის, არის ძალიან ტკბილი,

ნექტარი არ არის და ენას ეტკბობა,

ცოტათი გავს მარილს,

ბავშვს როცა მისცემ, გაუხარდება (შაქარი).

ამ გამოცანებმა შემოგვინახეს მთელი რიგი ლექსიკური ერთეულები,

რომლებიც ჯერ კიდევ ნიშანდობლივია ამ კუთხის (ლაზეთი)

მეტყველებისათვის. ასე მაგალითად: ნძი – ნექტარი, ებზა – ასანთი,

ოკა – სასწორი, ბასთონი – ტროსი, ფეწე – ლოკოკინა, ნეძი –

ნიგოზი და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბსკიდა – ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დიალექტოლოგიური
2. არქივი, №20, №61;
3. გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, I, თბ., 1972;
4. გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, II, თბ., 1993;
5. თ. შიოშვილი, ვინც ამას ვერ გამოიცნობს... ბათუმი, 1996;
6. ქართული ანდაზები და გამოცანები, ბათუმი, 1976.

Tsiala Narakidze

Riddles
(According to the Laz materials)

Summary

Commonly used objects and phenomena such as human, plants, animals, birds, celestial bodies, natural phenomena and etc are dominated in Laz riddles like Georgian riddles.

These riddles were often used in gatherings, weddings and had a competition character.

კურორტი „ბეშუმო“ დასვენებისა და ბაჯანსაღების მნიშვნელოვანი კერა

ბეშუმი მდებარეობს აჭარის მაღალმთიანეთის - გოდერძის უღელტეხილი სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 1830 მ სიმაღლეზე.

ბეშუმი თავისი ადგილმდებარეობით, აღმოსავლეთის ზომიერი ჰავით, წიწვოვანი ტყეებით, დელე-ნაკადულებითა და სამკურნალო წყლებით საუკეთესო დასასვენებელ და გამაჯანსაღებელ ადგილს წარმოადგენს. ამ მიზნით მისი გამოყენება საუკუნის წინ პირველად ზემო აჭარის მოსახლეობამ დაიწყო, თუმცა ადამიანთა ცხოვრების ნაკვალევი გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მიდამოებში ნეოლითურ ხანას უკავშირდება, რაზეც მიუთითებს მნიშვნელოვანი ძეგლები: უძველეს ნამოსახლართა კომპლექსები: ვაშლობი, ნაქალაქარი, ლეკნარი, პანტნარი, ყვერული, ლოდიძირი და სხვ.

აღნიშნულ ძეგლებზე 1972 წელს დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები ჩაატარა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ა. ინაიშვილი), რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო დაედგინა გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში ნამოსახლართა გავრცელების არეალი, შეეგროვებინა ტოპონიმიკური მასალები, აგრეთვე, ცალკეული თხრილების მეშვეობით, ნამოსახლართა ქრონოლოგიური ჩარჩოები. ამ მიმართულებით ბევრი საინტერესო მასალა გამოვლინდა. აღმოჩენილი იარაღების საერთო ფორმები და დამუშავების ტექნიკა იმაზე მიუთითებს, რომ ძეგლი ნეოლითის ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს (ინაიშვილი, 1974: 154).

1999 წელს ეთნო-არქეოლოგიური მუშაობა გაანახლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი - ისტ. მეცნ. დოქტ. ნ. მგელაძე, წევრები: ისტ. მეცნ. კანდ. ჯ. მიქელაძე, ასპირანტი თ. ტუნაძე). ექსპედიციაში მონაწილეობდა, აგრეთვე, თბილისიდან პროფ. გ. გრიგოლია, არქეოლოგი გ. ნარიშკინაშვილი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი.

გ. გრიგოლიას მიერ „ნაქალაქარის“ კომპლექსიდან გათხრილი და შესწავლილი იქნა ერთი უძველესი ხანის ადამიანთა მიწისქვეშა სადგომი, აგებული დიდრონი ლოდებით. ასეთი მეგალითური ძეგლები ნეოლითური ხანისთვისაა დამახასიათებელი (მიქელაძე, 2001: 111).

მეგალითური ნაგებობების მკვლევარი ლეონ მელიქსეთ-ბეგი თავის გამოკვლევაში აქ წარმოდგენილ უძველეს ნამოსახლართა მსგავს ნასახლარ კომპლექსებს განიხილავს. იგი წერდა: „საქართველოს სხვადასხვა რაიონებში აღმოჩენილია უძველესი ტიპის მეგალითური კულტურის ძეგლები... რომლებიც განლაგებული არიან მთების ფერდობებზე ან მწვერვალებზე, განცალკევებული, მაგრამ ურთიერთშორის დაკავშირებულ კომპლექსის (გოხნარი, ავრანდო, სანთა) ან ლაბირინთების სახით (ლოდოვანი). (მელიქსეთ-ბეგი, 1938).

ბეშუმის ნამოსახლართა სიძველეზე მიუთითებს, აგრეთვე, ა. ჯავლიძის (მხატვარ-არქიტექტორი) მიერ დაფიქსირებული დიდი ღოდებით ნაგები წარმართული ხანის სამლოცველო, რომელიც ნახევრად მიწაშია განთავსებული. მის შესასვლელში სახურავის დიდ ფილა-ლოდს საყრდენად გამოყენებული ჰქონდა მამაკაცის სახის გამოსახულების ქვის ღოდი, რომელიც ჩვენ მიერ იქნა დაფიქსირებული (მიქელაძე, 2001).

ბეშუმის, როგორც კლიმატურ-გეოგრაფიული და სამკურნალო თვისებების მქონე რეგიონისადმი ინტერესი XIX ს. ბოლოდან ჩნდება, განსაკუთრებული ქმედითი ყურადღება კი 1930-იანი წლებიდან იწყება და მისი განაშენიანება და კეთილმოწყობა წლითი წლობით უმჯობესდება.

მეორე მსოფლიო ომის დროს დიდად შეფერხდა ბეშუმის აღმშენებლობა, მაგრამ 1947 წლიდან კვლავ განახლდა კურორტის განაშენიანება-კეთილმოწყობა. გაფართოვდა და გაუმჯობესდა ბათუმი-ბეშუმის საავტომობილო გზა, აშენდა დასასვენებელი კოტეჯები და 50-ადგილიანი სანატორიუმი, რომლებიც დაკომპლექტდა შესაბამისი ავეჯით. თანმიმდევრულად მწყობრში ჩადგა 150-ადგილიანი მოსწავლეთა ბანაკი, აშენდა 100-ადგილიანი ბავშთა სახლი და სხვ. (სურმანიძე, 2007).

ფაბრიკა-ქარხნებში, წარმოება-დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეებზე ხელმისაწვდომ ფასებში გაიცემოდა ბეშუმის დასასვენებელი საგზურები.

ბეშუმში წასვლა და დასვენება ყველასთვის სახალისო იყო. აქ ხშირად იმართებოდა კონცერტები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ყოველდღიურად ისმოდა ინდივიდუალურ პირთა მიერ შესრულებული მუსიკის ჰანგები.

ბეშუმში დამსვენებელთა და მემთევრთათვის მნიშვნელოვანი გასართობი ღონისძიება იყო ხალხური დღესასწაული - „შუამთობა“ (მემხლიანობა), რომელიც ყოველწლიურად ტარდებოდა და სამი დღე გრძელდებოდა. შუამთობის შესახებ მეცნიერ-მკვლევართა მიერ არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული.

ბეშუმის განაშენიანება დღითიდღე ვითარდება.

იმისათვის, რომ ბეშუმი და საერთოდ, აჭარის მაღალ მთათა რეგიონი, თანამედროვე დონის ინფრასტრუქტურით განვითარდეს, საჭიროა შემდეგი პროექტების განხორციელება.

თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტების დონეზე უნდა გაკეთდეს საავტომობილო გზები, აუცილებელ ადგილებზე გაყვანილ იქნას გვირაბები, შეიქმნას საბაგირო გზების ქსელი, რომლის მეშვეობით, მსურველთათვის წელიწადის ნებისმიერ დროს შესაძლებელი იქნება აჭარის მთიანი რეგიონის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება. შესაბამისად, უნდა აშენდეს მაღალსართულიანი დასასვენებელი კორპუსები თანამედროვე ინფრასტრუქტურით.

ზემოთ აღნიშნული ყველა პროექტის განხორციელების შემდეგ, აჭარა, თავისი ბარითა და მთით, ტურისტთა და ექსკურსანტთა მიზიდულობის კერა გახდება. შესაბამისად, გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინაიშვილი ა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV, „მეცნიერება“ თბილისი 1974.
2. მიქელაძე ჯ. გოდერძის უღელტეხილის მიდაბოვებში დოღმენურ ნაგებობათა გენეზისის საკითხისათვის. საქართველოს არქიტექტურათა კავშირის ბათუმის არქიტექტურის სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმი. შრომები II-III. ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2001.
3. მელიქსეთ-ბეგი ლ. მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი, 1938.
4. სურმანიძე რ. კურორტი ბეშუმი. გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი, 2007.

Джемал Микеладзе

Курорт Бешуми – Важный центр отдыха и оздоровления

Резюме

Бешуми находится в самой высокогорной Аджарии, на юго-западной части, на высоте 1830 м над уровнем моря, рядом с перевалом Годердзи (2025 м).

Своим местонахождением, восточным умеренным климатом, хвойными лесами, ручьями и лечебными источниками Бешуми лучшее место для отдыха и оздоровления.


Век назад, жители высокогорной Аджарии стали использовать Бешуми для этой цели, однако следы человеческой жизни в непосредственной близости от Бешуми и перевала Годердзи связано с эпохой неолита, что удостоверяет древнейшие комплексы следующих посёлков: Вашлоби, Накалакари, Лекнари, Пантнари, Кверули, Лодидзири и другие.



ბეშუმის ხედი



შუამთობის დღესასწაული



სახსრების დასაზღელი ტალახის (აზანო)



რკინის ჟანგის შემცველი სამკურნალო წყალი

არქაული ლექსიკური ერთეულები ტაო-კლარჯულში

ისტორიულმა ბედუკუდმართობამ ტაო-კლარჯული დიალექტი მოს-
წყვიტა მასაზრდოებელ წყაროს – ქართულ ენას. არადა, სწორედ „ჩვენი
ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უფურჩქნია,
სულის ძლიერებას იქ აღუმართავს სახელგანთქმული დროშა. იგია ჩვენი
სულის აკვანიც და სამარეც ჩვენი ადამიანობისა. სწავლა, მამულის სიყ-
ვარული იქიდან ეფინებოდა ერთ დროს ქვეყანას“ (ილია). თუმცა, იქ
ქართული სული არ ჩამკვდარა. ქართული სიტყვა არ აღმოფხვრილა,
დღესაც ცოცხალია. ამ დიალექტმა კი სხვა დიალექტურ ჯგუფთან ერ-
თად იმთავითვე გარკვეული როლი შეასრულა ქართული სალიტერატუ-
რო ენის ფორმირებაში.

როგორც ცნობილია, ყველაზე ცვალებადი ნაწილი ენისა არის ლექ-
სიკა. დიალექტის ენობრივ თავისებურებათა განსაზღვრაში ლექსიკას
ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კუთხური მეტყველების
თავისებურება აისახება სიტყვიერ ფონდში, რომლითაც დიალექტები
განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ტაო-კლარჯული ლექსიკა მრავალმხრივ არის საყურადღებო. დია-
ლექტში დაცულია ლექსიკური არქაიზმების საკმაოდ დიდი დაფენება. ამ
კუთხის ისტორიულმა წარსულმა ახალი ქართული სიტყვა-თქმების დამ-
კვიდრებას გზა გადაუღო, ძველი ქართული სიტყვები კი შეძლების-
დაგვარად განაგრძობდა არსებობას. ამ კილოს თავისებურების განმაპი-
რობებელია ისიც, რომ მასში შეიმჩნევა ზანური სუბსტრატის კვალი.
ამასთანავე, ტაო-კლარჯულის უცხო ენობრივ გარემოში მოქცევამ მასში
წარმოაჩინა საინტერესო ლექსიკური მასალა. ცალკე გამოსაყოფი და სა-
ხასიათოა საკუთრივ სპეციფიკური ტაო-კლარჯული ლექსიკა.

ნაშრომში განხილულია არქაული ლექსიკური ერთეულები. საანა-
ლიზო ფორმები ძირითადად დამოწმებულია შ. ფუტკარაძის „ჩვენებურე-
ბის ქართულიდან“. არქაულ ლექსიკურ ფენას საკუთრივ ძველი ქართუ-
ლი ენის ლექსიკასთან ერთად წარმოადგენს საშუალო ქართულის სიტყ-
ვა-თქმებიც. ლექსიკურ თავისებურებათა გამოსავლენად ტაო-კლარჯუ-
ლის ლექსიკური ერთეულები შევუდარეთ როგორც ძველი ქართული
ენის, ისე სულხან-საბას ლექსიკონს.

როგორც ცნობილია, საბას წიგნში უხვადაა შეტანილი ცოცხალი მეტყველებიდან აღებული სიტყვები [არნ. ჩიქობავა, 1950:14]. მისი ლექსიკის ძირითადი წყაროა ძველი ქართულის ტექსტები, მაგრამ დიდმა ლექსიკოგრაფმა პარალელურად სათანადოდ აღნუსხა საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვა-თქმები. შესაბამისად კი, მის ლექსიკონში დაცული მეტყველების ნიმუშები, ლექსიკური დიალექტიზმები ქართული ენის როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ჯგუფის კილოებისა თუ კილოკავების კუთვნილებაა. ამ მიმართებით საინტერესოდ მიგვაჩნია ის შინაარსობრივი თანხვედრა, რაც დასტურდება ტაო-კლარჯულისა და საბას სალექსიკონო მასალის შედარებისას. საბას ლექსიკონში დაცული ბევრი სიტყვა დღესაც ცოცხალია ტაო-კლარჯულში.

როგორც აღვნიშნეთ, ტაო-კლარჯულის ლექსიკურ ფონდში ერთ-ერთ თვალსაჩინო ფენას წარმოადგენს ძველი ქართული ენის ლექსიკა. ტაო-კლარჯულმა მეტყველებამ შემოგვინახა ბევრი ისეთი სიტყვა იმ მნიშვნელობით, რაც მათ ძველ ქართულში ჰქონდა: **ავაზანი, აპავრი, თერძული, ბაყლი, ნამსხმანი, საბურავი, ლირწი, აპოხტი, ზმანება, მახარობელი, მოწადინე...**

ავაზანი ძველი ქართული ენის ლექსიკონში ასეა განმარტებული: ქვაბი, აუზი, ემბაზი. ტაო-კლარჯულში კი წყლის მოსაგროვებელი დიდი ჯარაა, აუცილებლად გამოთლილი ხისაგან: „ავაზანი არი შეშისა. ავაზანზე ზედამ ხის სათლი დვია. იმითა ვსუამთ წყალსა“ (შ. ფუტყარაძე, 1993:261).

აპავრი-ტაბიკების შესაკრავი (ი.აბულაძე). ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება ტაო-კლარჯულშიც: აპავრი//აპოვრი-უდლის ტაბიკების ან პირუტყვის ბაგაზე დასაბმელი რკალის შესაბნევი ბაწარი: „ტაბიკები აპავრით შეიკვრება“ (შ. ფუტყარაძე, 1993:382).

აპოხტი-ხმელი ხორცი, შაშხი (ი.აბულაძე) ტაო-კლარჯულშიც იგივეა: გამხმარი, შესანახად გამზადებული ხორცი: „აპოხტი ქათმები დაკიდული ქონდენ ბუხრიან ოდაში“ (შ. ფუტყარაძე, 1993:148). გარდა აღნიშნული მნიშვნელობისა, ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობითაც გამოიყენება დიალექტში სუსტის, გამხდარის აღსანიშნავად.

ბაყლი-ლაფი, ჭუჭყი, მწვირე (ი.აბულაძე). ანალოგიური შინაარსობრივი დატვირთვითაა დიალექტშიც: „ბაყლი ჭამდა ინსანსა.“ შდრ.: საბა:ბაყლი-მწიკელი.

ბლარდნა-ხევეა (ი.აბულაძე). ტაო-კლარჯულში ბლარდნის-ცუდად ახვევს, ცუდად ართავს, ცუდად გრეხს: “ბადვს ჩვრებში ბლარდნის“ (შ. ფუტყარაძე, 1993:151).

თერძული-მოხნული (ი.აბულაძე). თერძული სიტყვის პარალელურად ძველ ქართულში გამოიყენება სიტყვა **ანეული**. ასევეა ტაო-კლარჯულ-

შიც. თერძულს მოხნულ, დამუშავებულ, დათესილ მიწას ეტყვიან: „თერძული ყანები დეინახე?“ (შ. ფუტყარაძე, 1993:375).

ლირწი – უწესო, ავხორცი, არაწმიდა (ი.აბულაძე). ასევეა ტაო-კლარჯულშიც. ლირწი – უსირცხვილო, მოურიდებელი. დიალექტში სიტყვა დამატებითი მნიშვნელობითაც გვხვდება, კერძოდ, ჯიუტის, გაუგონარის სინონიმად გამოიყენება: „მაქფერი ლირწი ბაღვები ღმერთმა დუშმანსაც ააცილვოს“.

მახარობელი-ვინც ახარებს, სახარების მწერალი (ი.აბულაძე). ტაო-კლარჯულში-სასიხარულო ამბავის მომტანი: „დოდოფაღს წინ წამუესტრებს მახარობელი“.

ზმანება-ნახვა (სიზმრისა), ზმანებული-მხილველი (ი.აბულაძე). დიალექტში გვხვდება მეეზმანა ფორმა-სიზმრად ეჩვენა: „წუხელ მეეზმანა ბაბოი“ (შ. ფუტყარაძე, 1993:72).

მოწადილი-სურვილი, ნდომა (ი.აბულაძე). ტაო-კლარჯულში გვხვდება მოწადინე ფორმით-ბეჯითი, დაინტერესებული, მსურველი: „მოწადინე ქალია“.

ნასხმანი-იოგი (ი.აბულაძე). ტაო-კლარჯულში გვხვდება ნამსხმანი ფორმით –სხეული: „სიბერეში არ აქეუება ნამსხმანი“.

საბურავი-სახვეველი, რიდე, პირბადე, ფარდა, თავსაბურავი. ანალოგიური შინაარსობრივი დატვირთვით გვხვდება აღნიშნული ლექსიკური ერთეული დიალექტში: „ძვილაი ჩუენი საბურავი გვეღირსა“.

განსაკუთრებით საინტერესო ის ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვითაა შემონახული დიალექტში. მაგალითისათვის, ძველი ქართული ენის ლექსიკონში **საფანელი** ასეა განმარტებული-გადასაფარებელი, საფენი. ტაო-კლარჯულში კი საფანელი არის წვნიანი საჭმლის შესქელების მიზნით გამოსაყენებელი ფქვილი. ამავე რიგისაა ლექსიკური ერთეულები: **პარეხი, ალი, პაშტაი, ნატამალი, ფეშხუმი**.

ტაო-კლარჯულში **პარეხი** ადამიანის მეტსახელის აღმნიშვნელია. პარეხას ეტყვიან არაპროპორციული აღნაგობის ადამიანს: „ერთი პარეხი კაცი“. ძველი ქართული ენის ლექსიკონში აღნიშნული ლექსიკური ერთეული ასეა განმარტებული: „ნაპრალი კლდეთა შორის, კიბის საფეხური. იმავე განმარტებას ვხვდებით საბასთანაც: კლდე გამოქვაბული და იქვე განმარტავს: ძაღლი ბანჯგვლიანი“.

ტაო-კლარჯულში **ალს** ეტყვიან ავ სულს: „მელოგინე ქალს მარტუაი არ დაეტევდით, გვეშინოდა, ალი არ დეეცესო“ (შ. ფუტყარაძე, 1993:321). ძველ ქართულ ენაში ალი არის ცეცხლის ანადენი.

რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულს **პაშტას**. ტაო-კლარჯულში პაშტაი აღნიშნავს ბევრს, ბევრჯერ: „პაშტაი წასულა. საანალიზო ლექსიკური ერთეული ძველ ქართულში გვხვდება პაშტაკი, უპაშტაკესი ფორმით და ნიშნავს მცირეს. საბა ასე განმარტავს: ერთი ქრთილის მარცვლის

წონა, ე.ი. მცირე, პატარა. როგორც ჩანს, სიტყვა ანტონიმური მნიშვნელობით დამკვიდრდა დიალექტში. საენათმეცნიერო ლიტერატურაში პაშტა სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ორგვარი აზრია გამოთქმული. ერთის თანახმად ნიშნავს მცირეს, ცოტას. მეორე კი, პირიქით, ბევრს, დიდს აღნიშნავს. არნ. ჩიქობავას ცნობით, „როცა მ. ჯანაშვილის შრომა გამოქვეყნდა პაშტა დადასტურდა იმერხეულში (არნ. ჩიქობავა, 2011:106).

„შავშეთ–კლარჯეთში მოგზაურობის დღიურში“ ნიკო მარს იმერხეული სიტყვები აქვს დამოწმებული, მათ შორის პაშტაც არის ნაჩვენები ასეთი განმარტებით: „პაშტა ნიშნავს ბევრი: პაშტა ხანია, ბევრი ხანია, ამიხსნა მე, სურევენელმა მოლა ეუბმა. იგივე გავიგონე იმფხრეულშიც, მოსიძის სახლში. იგივე სიტყვა იმავე ახსნით გავიგონე თეთრაკეთშიც: პაშტაჲ დათვები იყო“ (ნ. მარი, 2012: 229).

ნატამალი ძველ ქართულში აღნიშნავს ნანგრევს. ასევეა საბასთან–ნაოხარი. ტაო–კლარჯეთში კი ნატამალი არის უმცირესი რამ, უმცირესი ნაწილი: „იმ მატყლის ნატამალიც აღარ მინახავს“ (შ. ფუტკარაძე, 1993: 142).

ფეშხუმი ძველ ქართულში გვხვდება ფეშხუენი//ფეშხუემი ფორმით. არის საზიარებელი ჭურჭელი ბარძიმთან ერთად. საბას განმარტებით თეფშია. განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვით დადასტურდა ის ტაო–კლარჯულში და ნიშნავს დაბალ სუფრას: „ფეშხუმი ძუელათ იყო ჩუენსა“ (შ. ფუტკარაძე, 1993:142).

ასევე, საყურადღებოა ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც უხვად გვხვდება საბასთან და არ არის ძველი ქართული ენის ლექსიკონში. ძირითადად, ამ მიმართებითაც შინაარსობრივი თანხვედრაა: **ალაკა, ნაგერალი, ბანდალი, ბზაკუნი, ისხარი...**

ალაკა–მარხილის საცურავის მოძრაობის შემაფერხებელი: „ალაკას გავაკეთებო წკნელით“. შდრ. საბა: ალაკი-საცორავად დამაყენებელი.

ნაგერალი–შემოდგომით მიწაში დარჩენილი ნაყოფისაგან აღმოცენებული მცენარე: „თავითაღაი ამოსულა ნაგერალი მიწახაპაი“. შდრ. საბა: ნაგერალი–დაუთესველად ამოსული.

ბანდალი– გაჭირვებით სიარული, ბარბაცი: „ძვილაი დეიწყო ბანდალი“. შდრ. საბა: აქა–იქ მივლა–მოვლა.

ბზაკუნი–ძალიან ჩქარი სიარული, გაბრაზებით სიარული: „თელი დღეა დარბის, არ მოლია ბზაკუნი“ (შ. ფუტკარაძე, 1993:141). შდრ. საბა: უშვერი სვლა.

ისხარი–ძლიერი წვიმა: „ჯერ ნამებ იქნევდა, ემედენი დუუშვა ისხარი“ (შ. ფუტკარაძე, 1993:245). შდრ. საბა: ჩქარი წვიმა.

მორვა– კაბის, პერანგის ბოლოს შემოკეცვა: „კაბის ბოლოს მორავს ახლა“ (შ. ფუტკარაძე, 1993:323). შდრ. საბა: მომრგვალება.

ნაწკუმპლი– უსუფთაოდ, თავდაუხურავ ჭურჭელში შენახული წყალი. შდრ. საბა–ნაწკუმპლი.

ჟინეღალი–ტაო–კლარჯულში არის ნამი, ცვარი, ნიშნავს ნაპერ-წკალსაც: „ნაგუზალი ჟინეღლებ ყრის“ (შ. ფუტყარაძე, 1993:322). საბა: ჟინეღლი–წვრილი თქორი.

ლიზლი–უსირცხვილო, მოურიდებელი: „მაქფერი ლიზლი ინსანი არც ოჯახს უყუარს და არც ღმერთსა“ (შ. ფუტყარაძე, 1993:322). საბა: ლიზლი–კადნიერად ხუმრობის ურიდალი.

ლილოჭრელობა–თოვლის დნობის პერიოდი, როცა თოვლში აქა–იქ მოჩანს მიწის ნაჭრები. შდრ. საბა: ლილო–თოვლ–ჭრელი.

ტუტუნი–ბურტყუნი, თავისთვის გულმოსული ლაპარაკი: „იმ ქალებმა ბევრი ტუტუნი იციან. საბა: ტუტუნი–ჩუმი დრტვინვა.

უგლაგარჯი– გაუწვრთნელი, ტლანქი, მოუქნელი: „ყავს ერთი უგლა-გარჯი კაცი“. შდრ. საბა: უგლაგარჯი–წვრთნა შეუსმინარი, აჭარულ დი-ალექტში უსუფთაო, უშნო, უღამაზო.

ფუნდრუკობს–სიხარულით მირბის–მორბის, ბრუნავს: „ფადიმი ფუნ-დრუკობს“ (შ. ფუტყარაძე, 1993:125). შდრ. საბა: არს ვაჟთა მიერ სრბოლა.

ღვეღფი–ღადარი, ჩაუმქრალი ნაცარი: „ღვეღფი გამოწიე და ხაპი შეფალ. შდრ. საბა: ნაკვერცხალი შეგროვებული.

ღიჯინი–1. ხვეწნა; 2. ხუმრობით ლაპარაკი: „ბევრი ღიჯინი იცის“. შდრ. საბა: უგვანო ვედრება.

ჩიჩინი–დაჟინებული თხოვნა: „აღარ მეწყინა ამდენი ჩიჩინი (შ. ფუტ-ყარაძე, 1993:287). შდრ. საბა: მარადის იდუმალ საქმეს ურჩევდეს.

წანწალაკი–მდინარეზე გადებული ჭოკი, საცაღფეხო ხიდი. შდრ. სა-ბა: წანწალა: მდინარეზედ გადებული იდი.

გადატეტილი–ფერმერთალი: „რაფერ გადატეტილი შამოიდა სახ-ელში. შდრ. საბა: ჩატეტილი–ანაზღათ ფერმერთალი.

კონწოლი//კონწოლო–კუნწულა, ნაყოფით დატვირთული შტო: „კონ-წოლები გადმოყვარე ბლისა და ჭამევიტ“ (შ. ფუტყარაძე, 1993:129). შდრ. საბა: კონწოლი–წენგოთა და ხილთა ტევანი.

გააყაყაჩავა–გაანათა, სინათლეს მოუმატა: „თვარემ რაფერ გააყაყაჩა-ვა აქაერობა“ (შ. ფუტყარაძე, 1993:230). შდრ. საბა: კაკაჩი–ღამე მთოვარით ნათელი.

ბაია–თვალის ჩინი, თვალის შავი ნაწილი: „შიგან თვალის ბაიაში მოხდენია ფწკალი. შდრ. საბა: ბაია ეწოდების თვალის შავსა.

არუნაი–ერქვანი, ხის გუთანა. შდრ. საბა: არონა–ყვერის ხარის ერ-ქუანი, სა ვნელი.

აოშავს–დახნულ მიწას ხელმეორედ აჩეჩავს, დახნავს: „ამას ავოშავ და მარცვალსაც ჩაეჭერი“ (შ. ფუტყარაძე, 1993:230). შდრ. საბა: აოშვა–‘ნუ-ლის მეორედ გარდახნა.

ალარავს-სახელდახელოდ, ხელით, ქსოვილის ნაჭრებს ერთმანეთზე მიაკერებს.

ალიკაპი-ხის აღვირი: „ხობოს ხის ალიკაპი ამოდვა პირში“. შდრ. საბა: ალიკაპი-ხის აღვირი.

აჩელხვა-რაიმე საგნების ერთმანეთზე მჭიდროდ, უწესრიგოდ დაყრა, შემჭიდროვება: „ყანაში იმდენ რამეს ამიჩელხავს, რომე სიმიდსა სულ აღარ შააღებიებს (შ. ფუტყარაძე, 1993:299). შდრ. საბა-ხვარბლის ხვავის უღეწავი ანაკაზში. აჭარულ დიალექტში კი დამკვიდრებულია სიტყვა აჩხინდრვა-აჩხორვა, დახვავება, უწესრიგოდ დაყრა, ახუსულავება.

ატორღიალება-ვინმესთან ერთად უმიზნოდ სიარული, ვინმეზე ადევნება. შდრ. საბა-ტორღიალი-წატოლება. აჭარულში ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება სიტყვა **ატოლოშინება-ადვენება**, ატორღიალება (შ.ნიჟარაძე).

დაადრობს-ავად გახდის, დაავადყოფებს. შდრ. საბა: მცირედ მოწყენა. აჭარულში გვაქვს სიტყვა დამდრალი-ნიშნავს გამხდარი, დასუსტებული, ფერმკრთალი.

დაღურსვა-სმენის გამახვილება, განაწყენება: „თუ მუაწონდა, ყურებს დაღურსავს“. შდრ. საბა: დაღურსვა-ყურით დაღმა დადება ცხენთა. ტაო-კლარჯეთში აღნიშნული ფორმა გადატანითი მნიშვნელობითაც გამოიყენება და იტყვიან ცხვირჩამოშვებულ, განაწყენებულ ადამიანზე.

თაფული-თივის გარკვეული რაოდენობა, რომელიც აიწევა ფიწლის ერთი ადებით: „თაფულები ქონდენ გაკეთებული ჭალაში“. შდრ. საბა: თაფული-მოთიბული ბალახი.

ანდაზა-თარგი, მაგალითი: „ჯერ ანდაზა გამოჭარ, მუაზმანე კარქა (შ. ფუტყარაძე, 1993:320). იგივე მნიშვნელობით გვხვდება საბასთან. აღსანიშნავია, რომ ტაო-კლარჯულში ანდაზა გადატანითი მნიშვნელობითაც გამოიყენება, ნიშნავს დასუსტებას, გახდომას: „ანდაზა გამხდარა ზავალი, ძუალი და ტყავი დარჩომილა მარტივი“.

ციცაი-თვალის ჩინი: „თუალის ციცაი ატკენია. შდრ. საბა: ბაია-თვალის შავი. ასევეა აჭარულში. ამასთანავე, ციცას გოგონასაც ეტყვიან.

ლაშტრავს-ასველებს, ასხამს წყალს: „ლაშტრავს და არი ბადვი ეზოსა. შდრ. საბა: ლეშტერი-სეტყვის ღვარი. შ. ნიჟარაძე: ლეშტერი-კოკისპირული წვიმა, თავსხმა, ღვარი.

სულხან-საბას სალექსიკონო ერთეულებთან შედარებისას გამოვლინდა თითო-ორიგან განსხვავებული სემანტიკის სიტყვა. მაგ.: **აწეწებს** – **ტაო-კლარჯულში** ნიშნავს დაზოგვას, ანგარიშიანად ცხოვრებას: „თელი ზამთარი ასე ვაწეწებ ნაწეწელსა“. საბასთან კი უდონოდ სვლია. აჭარულში დაზოგვის მნიშვნელობით გამოიყენება აკოწიწებს ან კიდევ **მოკაკალება** ანუ ცოტ-ცოტაობა, მომჭირნეობა, დაზოგვა.

ტიტავს-ტაო-კლარჯულში ნიშნავს: 1. ძალიან ამარილებს, ამლაშებს. 2. ზედმეტად სველ მიწაში რგავს: „ამფერ ტაროსში რომე ტიტავს რაცხ-

იეფს ბოსტანში, გეიხარეფს? საბას განმარტებით ტიტვა ფრიად დამარილვია. ასეა განმარტებული შნიჟარადის ლექსიკონშიც. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სიტყვა მეორე მნიშვნელობით ხშირად გამოიყენება აჭარულში: „რას ტიტავ და ხარ“.

ბრაგა–ყამირი მიწა, გამოფიტული, მწირი მიწა: „ბრაგა ყანა ქონია“. შდრ. საბა: ბრაგა–ზღვაში გორა უხილავად.

ბალანგარი–გაუგონარი, გონებაგაფანტული. საბა: ბალანგარი–კაცი მოუსმინარი. განსხვავებული მნიშვნელობითაა დაცული აღნიშნული სიტყვა აჭარულში. ბალანგარი არის უსუფთაო, გამოუყენებელი ჭურჭელი.

კალიბი–მზადება, მოწესრიგება, დალაგება: გელინმა ლოგინების კალიბი დეიწყო. შნიჟარადის განმარტებით კი, კალიბი არის იალაღებზე აგებული ქვის პატარა ქოხი მწყემსისათვის. აჭარულში კალიბ ძირითადი გვხვდება ზმნურ ფორმაში აკალიბებს (ალაგებს, აწესრიგებს). საბას განმარტებით არაბული სიტყვაა და ნიშნავს: 1. დაგვა ადგილისა, ნაგვის გაწმენდა, მოლამაზება; 2. წასასვლელად მომზადება, მგზავრობისას წასაღები ბარგის წესრიგში მოყვანა, ჩალაგება, ჩაწობა.

მნიშვნელოვანია, რომ გაანალიზებულ ლექსიკურ ერთეულთაგან ძალიან ბევრი სიტყვა დაუცავს აჭარულ დიალექტს იმავე ან ცოტათი განსხვავებული მნიშვნელობით მაგ. აპოხტი, ბაყლი, გადატეკვილი, დამღრალი, თაფული, ლაშტრავს, ნაგერალი, ჟინჯალი, ტიტავს, ციცაი, ატორდილება (აჭარულში პარალელურად ატოლოშინება), აწეწებს (აჭარულში აკოწიწებს), ბალანგარი (ოღონდ აჭარულში უსუფთაო, გამოუყენებელი ჭურჭელი).

როგორც საანალიზო ლექსიკური ერთეულები გვიჩვენებენ, ტაო–კლარჯულში დაცულ ლექსიკურ ერთეულებს შინაარსობრივი თანხვედრა აქვთ ძველი ქართული ენის ლექსიკასთან. ეს ბუნებრივიცაა. ეს დიალექტი გარკვეულ როლს ასრულებდა ქართული სალიტერატურო ენის ფორმირებაში, ერთის მხრივ, და მეორის მხრივ, ამ კუთხის ისტორიულმა წარსულმა განაპირობა ის, რომ შემოგვინახა ძველი ქართული სიტყვები. თანხვედრაა აჭარულ დიალექტთანაც. ტაო–კლარჯული აჭარულთან ერთად სამხრულ–დასავლურ დიალექტურ ჯგუფს ქმნის.

ამგვარად, ტაო–კლარჯულში შემონახული თითოეული სიტყვა განძია ქართული ენისათვის. მათ მეტყველებაში დაუნჯებული სიტყვები ბევრათა უბრალო შეერთება კი არა, გადარჩენილი ქართული ცნობიერებაა, გადარჩენილი ქართული სულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი, 2012.
3. შ. ნიუარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.
4. ს. სორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I ტ. თბ., 1998, II ტ. თბ., 1998.
5. შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
6. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950.
7. არნ. ჩიქობავა, პაშტა-სიტყვის მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში“, შრომები, V, თბ., 2011.

Elza Putkaradze

Archaic Lexical Units in Tao-Klarjetian

Summary

Tao-Klarjetian vocabulary attracts multilateral attention. The dialect preserves a quite great amount of lexical archaisms; the historical past of this land has obstructed the inculcation of new Georgian words and phrases, but the archaic Georgian vocabulary continued to exist in accordance with possibility. The peculiarity of this dialect is conditioned by the noticed trace of Zanian substrata. Moreover, being occurred in the foreign language surroundings, the Tao-Klarjetian dialect of the Georgian language moved out a very interesting material. A much specified Tao-Klarjetian vocabulary should be particularly singled out and characterized.

The work considers archaic lexical units. The words and phrases of Middle-Age Georgia are represented in archaic lexical strata together with the Old Georgian vocabulary. In order to reveal the lexical peculiarities we have compared Tao-Klarjetian lexical units to the Old Georgian language and the dictionary of Sulkhan-Saba. The contextual identity that was proved by comparing the words and phrases used in Tao-Klarjetian dialect and the explanation by Sulkhan-Saba seems very interesting. Many words, given in the dictionary of Sulkhan-Saba are still alive in the Tao-Klarjetian dialect.

The Tao-Klarjetian dialect preserved many words with the same meaning as they had in Old Georgian: avazani, apavri, terdzuli, bakli, lirtsi, natamalip though some lexical units are preserved with verified meaning in the dialect: sapaneli, parekhi, ali, pashtap.

The lexical units, which were found in Sulkhan-Saba's dictionary, are separately discussed. On the whole, there is a contextual coincidence in that point too: alaka, nagerali, bandali, bzakuni, isxari, morvap The Adjarian dialect has also preserved a lot of elements of the mentioned lexical units.

ბრუნვათა ფუნქციები ლაზურში

სახელობითის ფუნქციათა შორის ყველაზე მთავარია ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების გამოხატვა: ქვემდებარე გარდაუვალ ზმნებთან სახელობით ბრუნვაშია: კონი ნულუნ „კაცი მიდის“. პირდაპირი დამატებაც გარდამავალ ზმნებთან სახელობით ბრუნვაშია: უსტაქ კიდუფს ოხორი „ოსტატი აშენებს სახლს, ოსტატმა აშენებს სახლი“ სახელობითი ბრუნვა წოდებითის ფუნქციასაც ეწევა.

მოთხრობითი მხოლოდ ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს. ქართულში მოთხრობითს ერთად-ერთი ფუნქცია მოეპოვება გარდამავალ ზმნებთან და გამოხატავს ქვემდებარეს. მეგრულსა და ლაზურში მოთხრობითს უფრო ფართო ასპარეზი აქვს; მეგრულში მოთხრობითს მეორე სერიის ყველა ზმნა მოითხოვს – გარდამავალიცა და გარდაუვალიც: მონადირეკ დო ვილუ ირემი „მონადირემ მოკლა ირემი“, მაგრამ მონადირეკ დოლდურუ „მონადირემ მოკვდა“, შდრ. ქართ. დიალექტი. კაცმა მოვიდა.

ლაზურში მოთხრობითი გარდამავალ ზმნებს მოეპოვებათ ქვემდებარის ფუნქციით ყველა სერიის მწკრივებთან: ავჯიქ ყვილუფს მსქვერი „მონადირემ კლავს ირემი, ავჯიქ დოყვილუ მსქვერი „მონადირემ მოკლა ირემი“, ავჯიქ ყვილერენ მსქვერი „მონადირემ მოუკლავს ირემი“.

მესამე სერიის ინვერსიულ ფორმებთან მოთხრობითის პარალელურად გვხვდება მიცემითბრუნვიანი ქვემდებარე: ავჯის უყვილუნ მსქვერი „მონადირეს მოუკლავს ირემი“.

ლაზურში მიცემითი ბრუნვა თავისებურებებით გამოირჩევა. მესამე სერიის ინვერსიულ ფორმებში იგი ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს: უსტას უკიდუნ ოხორი „ოსტატს აუშენებია სახლი“. გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან ირიბ დამატებას გამოხატავს: უსტაქ უკიდუფს მანძაგერის ოხორი“ ოსტატი (ოსტატმა) უშენებს მეზობელს სახლს“, ბერე უნტკობუნ ბაბას „შვილი ემალება მამას“.

მიცემითი თანდებულებიან ბრუნვებსაც ითავსებს და გამოიყენება ადგილისა და დროის გარემოებად: დადის დიდო ნჯაეფე რენ „ტყეში ბევრი ხეებია“, ოხორის მითი ვარ ტუ „სახლში არავინ არ იყო“.

მიცემითში დასმული ზმნური ფორმები მიმდევობის ფუნქციით გამოიყენება და სხვა ქართველურ ენათა დაქვემდებარებულ წინადადებებს შეესაბამება (მარი, 1910: 79–80; ჩიქობავა, 1936: 63–64, 185–186) ს. ჯიქიას მიხედვით ზმნური ფორმების ბრუნვა ლაზურში თურქულის გავლენის შედეგია (ჯიქია, 1967).

ნ. მარი აღნიშნავდა, რომ ზმნის აორისტისა და კავშირებითის ფორმას შეიძლება დაერთოს მიცემითის ნიშანიც და ამგვარი წარმოება

დროის გარემოებითი წინადადების ბადალიაო (მარი, 1910: 80) იქვე მოხმობილია მაგალითები: მოფ თი-ს-ის „როცა/რომ მოვედი“, მოვას-ის „როცა/რომ მოთოვს“, ეუბირათ-ის „როცა/რომ ეუმდერებთ“, მოხთანეს „როცა/რომ მოვლენ“.

ნაწილაკები -ს, -ის, -სი, -სის იხმარება ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულში (კარტოზია, 2005:179).

ს. ჯიქიამ ლაზურში -ში და -ის/-სი ნაწილაკიან ზმნურ ფორმებს პარალელი დაუძებნა თურქულში და აღნიშნა, რომ ესაა ადგილობით ბრუნვაში დასმული ე.წ. -დიკ ფორმებით (ჯიქია, 1967).

ნათესაობითი ბრუნვა მეტწილად სუბსტანტიური მსახდვრულის ფუნქციას ასრულებს და უმეტეს შემთხვევაში წინ უსწრებს თავის საზღვრულს. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს შეუძლია რომ, როცა კავშირის ფუნქციის გამოხატვა, როცა ის დაერთვის ზმნურ ფორმას: მოხთუ-ში „რომ მოვიდა“, ძირუ-ში „რომ დაინახა“, იდუში „რომ, როცა წავიდა“.

ნა (ქართ. რომ, თუ...) კავშირიან დამოკიდებულ წინადადებაში ნათესაობითში დასმული მსახდვრული ჩავარდნილია და ბრუნვის ნიშანს ითავსებს ზმნური ფორმა, რომელიც გადმოიცემა მიმდებარის ფუნქციით: ნა მოხთუ-ში ბერე კულანიში ჯუმა ტუ „რომ მოვიდა ბავშვი გოგოს ძმა იყო“. აღნიშნული წინადადება გულისხმობს: მოსულის ბავშვი გოგოს ძმა იყო: ნა მოხთუ [კოჩიში] ბერე კულანიში ჯუმა ტუ „რომ მოვიდა [კაცის] ბავშვი გოგოს ძმა იყო“.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული მასდარი მომავალი დროის ფუნქციით რეალიზდება მეტყველებაში მეტადრე ეს მოვლენა ხოფურისთვისაა დამახასიათებელი: ოხთიმუ-ოხთიმუში „წასვლა-წასვლის, წასასვლელი“, ოხვენუ-ოხვენუში „კეთება-კეთების, გასაკეთებელი“.

მოქმედებითი ბრუნვა უბრალო დამატების ფუნქციით გამოიყენება, ხოლო დაშორებითი ბრუნვა უდრის თანდებულისა და ნათესაობისა და მოქმედებითს.

პოლიფუნქციურია მიმართულებითი ბრუნვის ფორმა; იგი გამოიყენება თანდებულისა მიცემითის ფუნქციით: იდუ დაღიშა „წავიდა ტყეში“, ონტულეშა ქამახთუ „ბოსტანში შევიდა“. ნჯაშა ქეხთუ „ხეზე ავიდა“; მიმართულებით ბრუნვაში დასმული მასდარი გადმოიცემა „მდე“ თანდებულისა ფორმით: მუში მოხთიმავაშა „იმის მოსვლამდე“, ოძირაფაშა „ნახვამდე“, მულუტაშა „მოსვლამდე“; მასდარი მიმართულებით ბრუნვაში უდრის ვითარებით ბრუნვას: ჩხომიში ოჭოფინუშა „თევზის დასაჭერად“, იდუ ონწვირუშა „წავიდა საცურაოდ“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Н. Мәпп. Грамматика чанского (лазского) языка. СПб. 1910
2. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი... Тб., 1936
3. ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან: შანიძისადმი მიძღვნილი
4. საიუბილეო კრებული „ორიონი“. თბილისი, 1967
5. გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში. თბილისი, 2005.

Omar Memishishi

The Functions of Declension in Lazuri

Summary

The subjective case is used as the subject and the object. The genitive case is only the case of the subject. The dative case expresses the subject and the indirect object and plays the role of adverbial modifier of place and time. The accusative case plays the role of attribute. Directional adverb is the adequate for the dative case.

აბუსერისკმეთა კვალი ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში

წერილობითი წყაროები და ლაპიდარული წარწერები მოწმობენ, რომ განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში ეკლესიებისა და ციხესიმაგრეების მნიშვნელოვანი ნაწილი აჭარის ერისთავების - აბუსერისძეთა სახლის წევრების მიერ იგებოდა. ამ გვარის წარმომადგენლები განსაკუთრებული სიქველთა და ღვთისმსახურებით გამოირჩეოდნენ.

აღსანიშნავია ტბელის ძმის, აბუსერის ღვთისმოსაობა: „პატრონმან ძმამა ჩემმან აბუსერ მრავალი კარგი ხატნი დაასუენა ღიდრუანნი: ერთი წმიდისა გრიგოლ პართეველისაჲ და მეორე წმიდისა დიმიტრისი, მესამე წმიდისა გიორგისი, მეოთხე წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, რომელსა ზედა წმიდაჲ მოწაფე მისი პროკლე ხატავს სახითა მთავარდიაკონობისაჲთა მსახურებაჲ მადლისა მღვდელმთავრობითისა ჯუარის აღპყრობისა მისისა; მეხუთე ხატი საღმრთოჲსა პირისაჲ და მეექვსე ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ ჩ(ვილედო)“.

ტბელის ძმები აბუსერი და ვარდანი თავისი დროის მეცენატებიც იყვნენ და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მაშინდელ ქართველ მოაზროვნეთა შორის. ამას მოწმობს XIII ს-ის მოღვაწის, არსენ ბულმაისიმისძის მიერ მათდამი გაგზავნილი ეპისტოლე. არსენ ბულმაისიმისძის ბევრი თხოვნა – ”სვინაქსარი იამბიკური ოთხთა თთუეთანი”, ”უფალო დადატყავსი”, ”აქებდითი” ხელთუქმნელისა ხატისა, ”ძლისპირნი ზესთგამოთქმისა ხელთუქმნელისა ხატისანი” სწორედ აბუსერისა და ვარდანის დაკვეთით დაიწერა.

ცნობილია, აგრეთვე, რომ ტბელის ძმის – ვარდანის თხოვნით დაიწერა XII ს-ის ჰიმნოგრაფის – საბა სვინგელოზის მიერ ”გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი”. ”ეს სამი პირი, ეროვნული ინტერესებით გამსჭვალულნი, აღტყინებული პანეგირისტები არიან ქართველთა სამეფოს სიმტკიცისა და დამოუკიდებლობისათვის” (კეკელიძე, 1960; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1984:546).

ტბელის ნაშრომი - ”ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთანე” - აჭარაში მდიდარი სამშენებლო ტრადიციების არსებობას ადასტურებს. უდავოა, რომ სამშენებლო კულტურის მაღალ დონეს აქ ხელოსნობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები განსაზღვრავდა. კალატოზობა, ხელოსნობა ფართოდ გავრცელებული

საქმიანობა იყო. ცნობილია, რომ ხელოსნები აქედან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მიეშურებოდნენ სამუშაოდ, რაც მათ თანამედროვე მხატვრულ-კონსტრუქციული სიახლეების გაცნობის საშუალებას აძლევდა.

წერილობითი წყაროებისა და ლაპიდარული წარწერების მიხედვით აბუსერისძეთა დაკვეთით იყო აგებული თხილვანის ეკლესია, რომელიც სხალთისწყლის ხეობის სათავეებთან, ხიხანის ციხიდან 5 კმ-ის დაშორებით იდგა. თხილვანის ეკლესიის ტიმპანის ქვა წარმოადგენს თაღოვანი ფორმის მონოლითურ ფილას (2,5x1,25x0,20მ.) შვიდსტრიქონიანი წარწერითა და ორნამენტული არშიით. წარწერა გვამცნობს, რომ ეკლესია იოანე მახარებლის სახელზე აუგიათ ერისთავთ-ერისთავს აბუსერს და დედოფალ ვანენს: “წმინდაო იოვანე მახარობელო, დაიცავენ სულითა და ხორცითა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია, და შვილნი მათნი და ყოველი ერი მათი და მოხაიშნე ექმენ. დღესა ამისა სასჯელისა ნუ დასჯი ამინ”¹. ლაპიდარული წარწერებითა და ორნამენტებით შემკული ასეთი ტიმპანები, უმეტესად X-XI საუკუნეებში გვხვდება (ქორეთის ღმრთაების ეკლესია, იშხანი, დოდოთი - X ს., დიდი კლდისი - XI ს. და სხვ.). ტიმპანის ჩუქურთმაც, რომელიც კონცენტრული წრეებისა და სოლისებური ფოთლის მოტივებისაგან შედგება, X-XI საუკუნეებშია გავრცელებული (ნიქოზი, დოდოთი, ტბეთი, იშხანი, დიდი დიღომი, ზედა ვარძია, ეხვევი, სავანე, კაცხი და სხვ.) და XI საუკუნის შუა ხანებიდან თითქმის აღარ გამოიყენება (ბერიძე, 1942:45,111). ეკლესიის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა, სამშენებლო ტექნიკა, არქიტექტურული დეტალები მიუთითებენ, რომ ეკლესია X-XI სს-ის მიჯნაზე იყო აგებული. არქეოლოგიური გათხრებით დგინდება, რომ, თხილვანის ტაძარი სამეკლესიანი ბაზილიკის ერთადერთ ნიმუშს წარმოადგენდა აჭარაში (მამულაძე, 1993:87-89,112-114)². ამდენად, ფაქტობრივად დადასტურებული მონაცემებით, აბუსერისძეთა მოღვაწეობის კვალიც ქართულ მატერიალურ კულტურაში X-XI საუკუნეებიდან იჩენს თავს. თხილვანის ეკლესიის ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებული საერო პირები ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი, სავარაუდოდ, ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ. ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ აბუსერ ერისთავი XI ს-ში არტანუჯის, ხიხანის, ციხის-ჯვარისა და აწყურის ციხეების პატრონი იყო (ქართლის ცხოვრება, 1955:300; ქართლის ცხოვრება, 1942:187; სიხარულიძე, 1979:9-10). თხილვანის ეკლესიის შემდგომი აღმშენებლობის პერიოდი XIII საუკუნეს უკავ-

¹ თხილვანის ეკლესიის ტიმპანის ქვა ამჟამად ბათუმის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (№ 15675). მისი ზომებია: 2,5x1,25x0,20 მ.

² ბაზილიკის ეს ორიგინალური ტიპი საქართველოში შეიქმნა და არ გვხვდება ბიზანტიური სამყაროს სხვა ქვეყნებში. ასეთ შენობებში ერთმანეთისაგან კედლებით იზოლირებული სამი დამოუკიდებელი სამლოცველოა გაერთიანებული. ეს თემა ქართულ არქიტექტურაში, ძირითადად, XI საუკუნემდეა პოპულარული.

შირდება. აბუსერისძე ტბელის თხზულებიდან ირკვევა, რომ იოანე მახარობლის ეკლესია XIII ს-ის პირველ ნახევარში, ტბელის დას – დედოფალთ-დედოფალ ვანენს აღუდგენია: “... და დიდოფალ-დიოფლისა, დისავე ჩუემისა ვანენისა, რომელმან ეკლესიად აღაშენა წმიდისა იოვანე მახარებლისა და ღმრთისმეტყუელისა, სამკვიდრებელი ჩუენი და აღავსო საწყაული კეთილი”. ტბელის და – ვანენი, ისევე როგორც ამ საგვარეულოს არაერთი სხვა წევრი, გამოირჩეული იყო თავისი ღვთისმოსაობითა და სიმხნევით. იგი გახლდათ ცნობილი პიროვნების - ბოცო ბოცოსძე ჩუხჩარეხის მეუღლე, რომელიც 1226 წელს, ხვარაზმელთა შემოსევების დროს, თბილისის დაცვაში მონაწილეობდა. აბუსერისძეთა საგვარეულოს ისტორიის მიხედვით ვანენი მეუღლის სიკვდილის შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა და თავისი წინაპრის “პაპის პაპისდის” სახელით – ნისიმედ იწოდებოდა (სიხარულიძე 1981:13). ამდენად, წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მონაცემების, საფუძველზე ჩანს, რომ აბუსერისძეთა საგვარეულო სამკვიდრებელი - თხილვანის იოანე მახარობლის ეკლესია გამორჩეული იყო არა მარტო თავისი ისტორიული, არამედ არქიტექტურული და მხატვრული მნიშვნელობით.

XI ს-ის შუა ხანებში, ასევე აბუსერისძეთა დაკვეთით აიგო ვერნების ეკლესია, რომელიც მდინარე სხალთისწყლის მარცხენა მხარეს, სოფლის ცენტრში “მადიძირის” ბორცვზე იდგა. მისგან შემორჩენილია მხოლოდ საძირკველი, საფეხურებიანი ცოკოლი და კედლების წყობის რამდენიმე რიგი. ვერნების დარბაზული ეკლესიის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა – შიდა კედლების ნიშებითა და პილასტრებით დანაწევრება, თლილი ქვის კვადრების წყობა განვითარებული შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიების (სოხთა-X-XI სს., სავანე, ეხევეი - XI ს. და სხვ.) თავისებურებებს წარმოაჩენს და მაღალი სამშენებლო ოსტატობის მაჩვენებელია. კარნიზების, კარ-სარკმელთა მორთულობის ორნამენტული დეტალები მოწმობენ, რომ ვერნების ეკლესიას მდიდარი დეკორატიული შემკულობა ჰქონდა. ყურადღებას იქცევს ვერნების ეკლესიის ბაღავარის ქვა, რომლის მარცხენა თაღოვან არეზე გამოსახული ასომთავრული წარწერით ირკვევა, რომ ეკლესია ერისთავებს - გრიგოლს, აბუსერს, გიორგის და მათ მემკვიდრეებს - გრიგოლსა და ზაქარიას აუგიათ (სიხარულიძე, 1963:15). ფილის სწორკუთხა სიბრტყეზე წარმოდგენილი ჩუქურთმის სახეები - გრეხილი თაღოვანი ლილვები, წრე-რომბებისა და წრეებში გატარებული ლენტების მოტივები, ლენტოვანი ხვეულები, მარყუჟებიანი წნულები, ვარდულები X-XI საუკუნეების ჩუქურთმებთან იჩენს მსგავსებას (კუმურდო, პარხალი, ოშკი, მანგლისი, იშხანი, ეხევეი, სამთავრო და სხვ.). წარწერებითა და ორნამენტებით მორთული ბაღავარის ასეთი ქვებიც, უფრო ხშირად, X-XI სს-ში გვხვდება (შეპიაკი, იშხანი, ზედა ვარძია, ზედა თმოგვი და სხვ.). ვერნების წარწერის პალეოგრაფია – კიდურწაისრული ასოებითა და ქარაგმის ნიშნებით ანალოგიებს ამავე პერიოდის (XI საუკუნის) ნიმუშებში პოვებს (ფლავის ჯვრის კვარ-

ცხლბეკი, სვიფის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერა, საგანის, კაცხის ლაპიდარული წარწერები და სხვ.). ეკლესიის ხუროთმოძღვრული თავისებურებებისა და ლაპიდარული წარწერის საფუძველზე ვერნების ეკლესიის ერთ-ერთი ქტიტორი იყო ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული გრიგოლ ერისთავი, რომელიც 1046 წელს მონაწილეობდა ღრტილას საეკლესიო კრებაში და მოხსენიებულია ათონის მონასტრის აღაპებში (მამულაძე, 1993:114-115). აღსანიშნავია ერთი საინტერესო დეტალი - ვერნების ეკლესიის ბალავარის ქვაზე წარწერის გარეშე დატოვებული მარჯვენა თაღოვანი არე, რაც მოწმობს, რომ ოსტატმა პორტალის კომპოზიციის დასრულება ვერ მოასწრო ან მომავლისათვის გადადო. უდავოა, რომ ეს სიბრტყე მას უთუოდ წარწერისათვის პქონდა განკუთვნილი. ეს მოვლენა შესაძლოა განპირობებული იყო XI ს-ის II ნახევარში მომხდარი ისტორიული ცვლილებებით, რომელსაც აბუსერისძეთა სამფლობელოების (არტანუჯის, ციხისჯვარისა და აწყურის) დაკარგვა და, შესაბამისად, მათი გავლენის შესუსტება მოჰყვა.

XIII საუკუნის 30-იან წლებში ხიხანის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობის შესახებ ცნობებს აბუსერისძე ტბელი გვაწვდის. ტბელის სიტყვებით ამ ადგილას უკვე დაშლილი “ძველი სახლოვანი” მდგარა. “ეკლესიის მცირეობამ და ერისა ვერდატევამან” აიძულა აბუსერისძენი აქ ახალი ქვის ტაძარი აეშენებინათ. ეკლესიის მშენებლობას ტბელი ძმების აბუსერისა და ვარდანის “ბრძანებით” შეუდგა. იგი უშუალოდ მეთვალყურეობდა ტაძრის მშენებლობას და შესთხოვდა უფალს მიენიჭებინა მისთვის ეკლესიის “სრულქმნის” უნარი. ხატოვანია ავტორის თხრობა ტაძრის აგებასთან დაკავშირებული სასწაულების, ფათერაკებისა და სირთულეების შესახებ, რაც, უმთავრესად, ციხის მდებარეობის, მიუვალობის, მასალის გადატანასთან დაკავშირებული სიძნელეებით იყო გამოწვეული. ეკლესიის მშენებლობაში დიდი წვლილი სოფელ ბაკოს მცხოვრებლებს გაუღიათ. ავტორის თქმით, მათ “შეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხუეწითა კელეყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოენებითა აღშენება-...” (სიხარულიძე, 1963:12). 1233 წლისათვის, როდესაც აბუსერისძე ტბელის თხზულება დაიწერა, ტაძრის მშენებლობა დასრულებული არ იყო (მუსხელიშვილი, 1941:67; მამულაძე, 2000:70). ხიხანის ციხის ეკლესია სიდიდით (ზომები: 4,5 x 3,8 მ) ბევრად ჩამოუვარდება აჭარისწყლის ხეობის სხვა დარბაზულ ტაძრებს. იგი, ძირითადად, მძლავრი თავდაცვითი კომპლექსის აუცილებელ დანამატს წარმოადგენდა და მცირე სამლოცველოს ფუნქციას ასრულებდა. საძირკვლის დონემდე დანგრეული ეკლესიის დღევანდელი სახე ხუროთმოძღვრული გადაწყვეტისა და დეტალების შესახებ მსჯელობის საშუალებას არ იძლევა.

XIII ს-ის შუა ხანებიდან აჭარისა და საერთოდ აბუსერისძეთა შესახებ არსებული ისტორიული წყაროები ძალზე მწირია. რამდენიმე ცნობა დაცულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში: 43 r – „ამასვე

დღესა აღაპი და წირვად აბუსერისძის ძის ივანესი“. აღაპში მოხსენიებული ივანე აბუსერისძე შეიძლება იყოს იგივე ივანე ერისთავთ-ერისთავი, რომელიც 1206 წელს თურქთა ხელით იქნა მოკლული, ან აბუსერისძე ტბელის მამა ივანე, ან კიდევ აბუსერისძე ტბელის შვილი ივანე (მუსხელიშვილი 1941:26). აბუსერისძეთა ხსენება ტბელის „ანდერძის“ მიხედვით უნდა აღსრულებულიყო 23 აპრილს და 10 ნოემბერს „ცისკრად“ ხიხანის ეკლესიაში და პალესტინის ჯვრის მონასტერში 28 ოქტომბერს, სადაც სრულდებოდა აღაპი აბუსერისძისა ივანესი.

XIV ს-ის პირველ ნახევარში ასპარეზზე ჩანს ივანე აბუსერისძე, რომელსაც ამირსპასალარის თანამდებობისათვის მიუღწევია. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერზე დაცულია თარიღიანი მინაწერი 1352 წლისა: „ქორონიკონსა მ (40) აქა მოვიდა აბუსერისძის ივანეს სახლსა შინა ამირსპასალარის დაი, პატრონი სითი“. ცნობილია, ისიც, რომ ამირსპასალარი აბუსერი გარდაიცვალა 1355 წელს (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1975:47). ამ გვარის წარმომადგენლისათვის ამირსპასალარის თანამდებობის მინიჭება საქართველოს სამეფო კარის მხრიდან უდიდესი ნდობის გამოხატულება უნდა ყოფილიყო (ბერიძე 2010:183-189).¹ ისტორიული ვითარებიდან ირკვევა, რომ XIV-XV სს-ის პირველ ნახევარში აჭარის საერისთავო პოლიტიკურად კვლავ სამცხესთან იყო დაკავშირებული. XV ს-ის შუა წლებიდან, გიორგი VIII-სა და ყვარყვარე II ჯაყელს შორის მომხდარი ბრძოლის შემდეგ, ათაბაგმა გააუქმა აჭარის საერისთავო. XVI ს-ში კი აჭარა პერიოდულად გურიისა და სამცხის პოლიტიკურ დაქვემდებარებაშია. სამხრეთ საქართველოს სამწყსოს სიაში, კერძოდ, ზოსიმე კუმურდოელის „წიგნის“ მიხედვით ჩანს, რომ XVI ს-ში აბუსერისძეთა საგვარეულო რამდენადმე შესუსტდა: „ღიასამისძეთა აქუს აბუსერისძენი სასაფლაოითა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ (შარაშიძე, 1982:34, 155-156), თუმცა მათ შესახებ მწირი ცნობები მაინც მოგვეპოვება აღაპის სახით. „კლარჯულ სვინაქსარში“ შემონახულია საკუთრივ ტბელ აბუსერისძის აღაპი, რომელიც ასევე XVI საუკუნეშია მიწერილი ხელნაწერის მარხვანის ნაწილში (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1973:446).

XIII ს-დან აბუსერისძეთა მოღვაწეობის კვალი აჭარის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში სუსტდება და ქრება, თუმცა მათი მემკვიდრეობა, იდეური მსოფლმხედველობა მაინც პოვნებს ასახვას შემდგომი პერიოდის

¹ ივანე აბუსერისძის ამირსპასალარის რანგში მოხსენიებას ეჭვის ქვეშ აყენებს ირმა ბერიძე, მისი მოსაზრებით A- 85 ხელნაწერის კინკლოსური ქრონიკის 1351 წლის მინაწერში მოხსენიებული ამირსპასალარი უნდა იყოს არა ივანე აბუსერისძე, როგორც ამას ფიქრობდნენ თ. ჟორდანი, ლ. მუსხელიშვილი და სხვა მკვლევარები, არამედ ყვარყვარე ჯაყელი. წარმოდგენილი ქრონიკალური მინაწერი კი მოგვითხრობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ორ ფეოდალურ გვარს – ჯაყელებსა და აბუსერისძეებს შორის მომხდარი დინასტიური ქორწინების ამბავს, უფრო ზუსტად კი ათაბაგ-ამირსპასალარ ყვარყვარე ჯაყელის დის, სითი ხათუნის, აბუსერისძეთა სახლში რძლად მისვლის აქამდე უცნობ ფაქტს.

ხელოვნებაში, კერძოდ სხალთის მოხატულობაში, რომელიც - XIV-XV სს-ის მიჯნაზე შეიქმნა.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში ტაძრების ფრესკებით შემკობა დამკვეთის, საერო თუ საეკლესიო პირებისა და მხატვართა ამქრის თანამშრომლობის პრინციპს ეფუძნებოდა. ქტიტორთა მოთხოვნების გათვალისწინება და იდეის ხორცშესხმის საჭირო ფორმების ძიება მთლიანობაში ეპოქისა და სტილის შესაბამისი ფერწერული ანსამბლის შექმნას განაპირობებდა. ისტორიული მონაცემების თანახმად, სხალთის ეკლესიის მოხატვა, ისევე როგორც მისი აგება XIII ს-ის შუა ხანებში, აბუსერისძეთა საგვარეულოს წარმომადგენლებს უკავშირდება (ჭიჭილეიშვილი, 2010). აქედან გამომდინარე კი, ბუნებრივია, რომ ქტიტორები სხალთის ეკლესიის მოხატულობის შესრულებისას უთუოდ გაითვალისწინებდნენ თავიანთი დიდი წინაპრისა და მოაზროვნის – აბუსერისძე ტბელის შეხედულებებსაც.

სხალთის მოხატულობა თავისი იდეური გადაწყვეტით ეხმიანება ეპოქის იმ საერთო პესიმიზტურ განწყობას, რომელსაც XIV-XV სს-ის ქართველთა ცხოვრებაში დაესაღურებინა. სხალთის მოხატულობის უმთავრესი იდეა უფლის დიდებასა და მეორედ მოსვლას უკავშირდება.

სხალთის მოხატულობის პროგრამა უმთავრესად არის ტბელის თხზულების - „ახალნი სასწაულნი წმინდა გიორგისანი“ - შესავალი ნაწილის ვიზუალური და ნარატიული სურათი, რომელიც აღსავსეა მრწამსის დოგმატებისა და წმინდანების მეოხების რწმენით. სხალთის მოხატულობაში თვალსაჩინოდ წარმოჩნდება ტბელის სიტყვების მნიშვნელობა: მამისაგან სულიწმინდის მეშვეობით მაცხოვრის განკაცება, კაცთათვის ვნება, აღდგომა უკვდავების მოსანიჭებლად და ეშმაკის დათრგუნვა. ანგელოზების, ძველი და ახალი აღთქმის წმინდანების – მამამთავრების, წინასწარმეტყველების, მოციქულების, მღვდელმთავრების, წმ. მოწამეების ჩვენთა მეოხებად განჩინება, რომელთა შორის განსაკუთრებით ხაზგასმულია ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ქომაგობის მისია (აბუსერისძე ტბელი, 1998:58). აბუსერისძე ტბელის თხზულებაში „გალობანი სამთა იოვანეთანი“, რომელიც წინამორბედს, იოანე ღვთისმეტყველსა და იოანე ოქროპირს ეძღვნება, ნათლისმცემელი წარმოსახულია ორი სამყაროს გზაჯვარედინზე მდგომი წმინდანის სახით, რომელიც ამთავრებს სჯულის ძველ აღთქმას და იწყებს ახალს „დასაბამს მადლისა“.

მრწამსის დოგმატების თანმიმდევრულ წარმოჩენასთან ერთად, სხალთის მოხატულობაში აშკარად იკვეთება თეოფანურ-ესქატოლოგიური იდეისა და ხსნის იდეის უპირატესობა, რაც აღნიშნული პერიოდის საზოგადოებრივ აზროვნებაში გაბატონებული შეხედულებების ერთგვარი გამოხატულებაა. ესქატოლოგიური იდეის ხაზგასმით სხალთის მოხატულობა წარმოაჩენს არა მარტო XIV-XV სს-ის ქართული ფერწერის ნიმუშების საერთო სულისკვეთებას, არამედ ამ კუთხის სულიერი შვილის

- აბუსერისძე ტბელის მემკვიდრეობისათვის დამახასიათებელ შეხედულებებსაც.

აბუსერისძე ტბელის თხზულებაში „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებლითა და განგებითა“ ასევე ყურადღებას იქცევს ფრაზა იმის შესახებ, რომ მეორედ მოსვლა ქვეყნის გაჩენიდან შვიდი ათასი წლის განსრულების შემდეგ უნდა მოხდეს. ტბელის რწმენით, ქვეყნის აღსასრული დადგება არა ზუსტად XIV მოქცევის ქორონიკონის 84 წლის გასვლისას, არამედ „ჟამსა, რომელსა არა ვჰკონებდეთ“, ე. ი. ნებისმიერ დროს, რომელიც შესაძლოა შვიდიათას წელს არ გადასცდეს (კეკელიძე 1957:106; კეკელიძე 1980:330-331; აბუსერისძე ტბელი 1998:49, 289.) ქრისტიანულ აზროვნებასა და დოქტრინაში გაბატონებული რწმენა იმისა, რომ შვიდი ათასი წლის შემდეგ სამყაროს აღსასრული დადგებოდა, ქართულ მწერლობაშიც დროდადრო იჩენდა თავს ექვთიმე ათონელის (XI ს.), ევრემ მცირის (XI ს.), არსენ ვახესძის, იოანე ჭიმჭიმელის (XII ს.) შემოქმედებაში, კერძოდ, მათ მიერ თარგმნილ თხზულებებში (კეკელიძე, 1957:105-106). კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ეს რწმენა „ცხოვრების მამოძრავებელ ძალად და ერთ-ერთ ცოცხალ მოტივად XIII ს-დან იქცევა, როდესაც ჩვენში გამოჩნდნენ ამ რწმენის შეგნებული იდეოლოგიები“ და მას, პირველ რიგში, მხედველობაში ჰყავდა აბუსერისძე ტბელი. ასეთივე აზრია გატარებული ტბელის თანამედროვე წყაროსთავის (უბისის) სახარების გადამწერის საბას იამბიკოში (XIII ს.), რომელშიც მეორედ მოსვლის სურათია გადმოცემული. ავტორის სიტყვებით, დღე განკითხვისა მოხდება მაშინ, როდესაც ღმერთი შვიდიათასეულს „არევიანებს“, ე. ი. მერვე ათასწლეულის მიჯნასთან მიიყვანს. მაღალი ფეოდალურ-იერარქიული ფენის წარმომადგენლის - აბუსერისძე ტბელისა და უბრალო მოკვდავი მწიგნობრის - საბას სიტყვებში კ. კეკელიძე აღნიშნული ეპოქის საზოგადოების მისტიკურ-მელანქოლიურ რწმენასა და მსოფლმხედველობას ხედავს. პესიმისტური განწყობილება განსაკუთრებული ძალით ვლინდება XIII ს-დან ისტორიული ძნელებდობის ჟამს, რადგან მტრის - მონღოლების, ხვარაზმელების თავდასხმებით შეპრწუნებული ქართველი ხალხი ქვეყნის აღსასრულზე ფიქრობს და ოცნებობს მეორედ მოსვლაზე, რომლის შემდგომაც დამკვიდრდება „დაუღვენელი ცხოვრება“, ბოლო მოეღება ტანჯვასა და დამყარდება სიმართლე. XIV ს-ის ისტორიკოსი „ჟამთააღმწერელიც“ წინასწარმეტყველ ესაიას სიტყვებით (13,6-9) ამბობს, რომ მოახლოვდა დღე უფლისა, რომელიც მოვალს უკურნებელი რისხვით ცოდვილთა წარსაწყმედად, და დასძენს, რომ ამ უბედურების მიზეზი ჩვენი უსჯულოება და ცოდვებია „და გაგრძელდა ოერება და მოსპოვდა ქუეყანისა სიმრავლისათდს უსჯულოებათა ჩუნთასა“ (კეკელიძე, 1957:108; ღორთქიფანიძე, 1990:80-89) ჯოჯოხეთის შიში შეიგრძნობა ქობერის მონასტრის ერთ-ერთ საფლავის ქვაზე შემორჩენილ ეპიტაფიაში და სხვ.

ეს ეპოქისეული სულისკვეთება, მეორედ მოსვლისა და სამარადისო სასუფეველის დადგომის მოლოდინი მსჭვალავს XIV-XV სს-ის ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებსაც, ესქატოლოგიური იდეითაა აღსავსე აჭის, ლალამის მაცხოვრის ზედა კედლის, სვიფის ჯგრაგის, იენაშის, უბისის, საფარის წმ. საბას, ჭულეს, ხობის ეკვდერის და სხვ. მოხატულობანი (ყენია 1990:125-166). სხალთის ფერწერულ ანსამბლში გამოხატულ თეოლოგიურ შეხედულებებს და საერთო იდეური გადაწყვეტის საფუძველს, შესაძლოა, ერთი მხრივ, ქტიტორთა, - აბუსერისძეთა მოთხოვნები, ხოლო, მეორე მხრივ, საერთო ეპოქისეული სულისკვეთება განაპირობებდა.

აჭარის ერისთავთა საგვარეულოს – აბუსერისძეთა მრავალსაუკუნოვან მოღვაწეობას თხილვანის ტაძრის ლაპიდარული წარწერიდან სხალთის ფრესკების იდეურ გააზრებამდე ღვთისმოსაობა, ქველმოქმედება და „დღესა ამისა სასჯელისაგან“ ხსნის ვედრება გასდევს კვალად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ნ. გოგუაძის, მ. ქავთარიას, რ. ჩაგანავას რედაქციით, ბათუმი, 1998.
2. ბერიძე ი., ივანე აბუსერისძის (XIV ს) ამირსპასალარობისა და ჯაყელთა და აბუსერისძეთა დინასტიური ქორწინების (1352 წ.) საკითხისათვის, საერთაშორისო კონფერენცია “ტაო-კლარჯეთი” მასალები, თბილისი, 2010, გვ.183-189.
3. კეკელიძე კ., ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957.
4. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1960.
5. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
6. ლორთქიფანიძე ი., პალეოლოგოსთა ხელოვნება და ქართული მონუმენტური ფერწერა, “ხელოვნება”, 5, თბ., 1990.
7. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.
8. მუსხელიშვილი ლ., ტბელ აბუსერისძე, ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუა-ტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთან, თბ., 1941.
9. სიხარულიძე ი., ტბელ აბუსერისძე, ბათუმი, 1963.
10. სიხარულიძე ი., ნათელი დაუღამებელი, ბათუმი, 1979.
11. სიხარულიძე ი., ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, ბათუმი, 1981.
12. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I, თბილისი, 1973.
13. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, 1975.
14. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1984.
15. ყენია მ., “ესქატოლოგიური მოტივების შესახებ” XIV საუკუნის საქართველოს სულიერ ცხოვრებაში, ”ლიტერატურა და ხელოვნება”, 2, თბ., 1990.

16. შარაშიძე ქრ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.), თბილისი, 1982.
17. ჭიჭილაშვილი მ., სხაღთის ეკლესიის მოხატულობა, თბილისი, 2010.
18. ხალვაში რ., ტბელ აბუსერისძის წმინდა გიორგის სასწაულთა სახისმეტყველებებისათვის, “ჯვარი ვახისა”, 1, თბ., 1998.

Maia Chichileishvili

Traces of the Abuserisdzes in Georgian Cultural Heritage

Summary

Written sources and lapidary inscriptions verify that in Ajara of the developed Middle Ages the significant part of churches and fortresses was built by the members of the family of the Abuserisdzes – Eristavis of Ajara. Representatives of the family were distinguished by particular charity and piety. By their order the churches of Tkhilvani, Vernebi, Khikhanistsikhe and Skhalta were built and some works and “Chants” were written.

From XIII century the traces of the Abuserisdzes’ activities in the material and spiritual life of Ajara weakens, although their legacy, ideological outlook still finds reflection in the art of later periods, namely, in paintings of the Skhalta church, created at the turn of XIV-XV centuries.

The multi-century activities of the family of the Abuserisdzes of the Ajara Eristavis is permeated with piety, charity and supplication for salvation “from the punishment of these days” from the lapidary inscription of Tkhilvani church up to the Skhalta paintings.

ქართული კულტურის ისტორიული საფუძვლები

ქართული კულტურის ისტორიულ საფუძვლებს არაერთი ცნობილი მკვლევარი შეეხო. მათ შორის აღსანიშნავია შალვა ამირანაშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, ივანე ჯავახიშვილის, მიხაკო წერეთლის, ვახტანგ ბერიძის, ლევან მენაბდის შრომები. ჩვენი სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს აღნიშნული საკითხის წარმოჩენა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ისტორიის საფუძველზე უძველესი დროიდან დღემდე. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ისტორიის მანძილზე უძლიერეს იმპერიებთან ურთიერთობაში მყოფი ქართული სახელმწიფო ინარჩუნებდა თვითმყოფადობას. დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში კი პრობლემად რჩება ერის მატერიალური და სულიერი ფასეულობების დაცვა-შენახვისა და განვითარების საკითხი. დღეს მავანთა და მავანთაგან ხშირად გვეხმის, რომ თითქოსდა ქართული ენისა და კულტურის გადარჩენის გზას მისი მაღალცივილიზებული ერებთან შერწყმა წარმოადგენს. ასეთი და ამის მსგავსი შეხედულებები საბჭოთა პერიოდშიც არსებობდა. გავიხსენოთ იძულების გზით ესპერანტოს მსოფლიო ენად წარმოჩენის მცდელობა და „ქადაგებანი“ ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შესახებ. XX საუკუნის 70-80-იან წლებში ბათუმის პედინსტიტუტში უცხო ენების კათედრასთან არსებობდა ესპერანტოს შემსწავლელი წრე.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში ისტორიულ-კულტურული ურთიერთზეგავლენის სხვადასხვა ფორმა არსებობს. ისტორიას ახსოვს როგორც ძალდატანებითი ისე მშვიდობიანი ფორმები. ერთია როცა სხვა ქვეყნის დიქტატის ქვეშ მყოფი ქვეყანა იძულებული ხდება დათმოს საკუთარი და „მიიღოს“ სხვისი კულტურა. მეორეა, როცა საკუთარი ნებით თუ უნებლიეთ სხვისი გულის მოგებისა და სხვის თვალში ავტორიტეტის ამაღლების მიზნით საკუთარს ივიწყებ და ამკვიდრებს უცხო.

მიხაკო წერეთლის აზრით არიან უფრო ნიჭიერნი ერნი „მიმცემი“ მათ კულტურულ ნამოქმედართა და ნაკლებად ნიჭიერნი, „მიმღებნი“ უცხოთა წყალობისა (წერეთელი, 1990: 245).

მსოფლიოს ისტორიიდან ჩვენ ვიცნობთ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში არსებულ ურთიერთზეგავლენის სხვადასხვა ფორმებს. შუამერები ისტორიის საწყის ეტაპზე არ იცნობდნენ ქვის კულტურას, მაგრამ დაპყრობითი ომების საფუძველზე სხვა ხალხთან ურთიერთობაში „მიიღეს“ იგი, თუმცა, ბევრიც „გასცეს“ და ამ შემთხვევაში კულტურათა ურთიერთზეგავლენა მათი არც ნიჭისა და არც უნიჭობის დამამტკიცებელი არ არის.

იმპერიების ისტორიაში პირველი იმპერიის მფლობელი ტიგლათფილისერი I თავის ისტორიულ წარწერაში დიდი სიამაყით აღნიშნავდა, რომ მან დაიპყრო „კილხების ქვეყანა“. 23 ტომობრივი გაერთიანების სათავეში მდგომ უმდიდრესი ცივილიზაციის მქონე „კილხების ქვეყანას“ ალბათ ჰქონდა დასაპყრობი.

ანალოგიური ისტორიულ-კულტურული ურთიერთგავლენის მაგალითების დასახელება შეიძლება საქართველოს ურარტულ, ხეთურ, ბერძნულ-რომაულ, ბიზანტიურ, სირიულ-არაბულ, ირან-ოსმალურ, რუსულ-ევროპულ თუ დღეს მსოფლიოში გაბატონებულ ცივილიზაციებთან ურთიერთობაში. დღეს მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ცივილიზებულ ქვეყნებს საქართველო რამდენიმე საუკუნით ჩამორჩება. დღეს უძველეს ისტორიულ-კულტურული ურთიერთგავლენის ქართულ კერებს, როგორცაა პეტრა, ფიჭვნარი, გონიო-აფსაროსი გასხვისების საფრთხე ემუქრება. ბრძენს უთქვამს, რომ ერის გათახსირება, გაწყალება, აბუჩად აგდება იწყება იქიდან, როცა ის საკუთარ ისტორიას ივიწყებს.

თურქი ისტორიკოსი მეჰმედ არიფი მაღალ დონეზე წარმოაჩენს რა ქართულ ცივილიზაციას, აღნიშნავს, რომ XV საუკუნემდე თურქმა არ იცოდა თუ რა იყო რკინის სახნისი (სვანიძე, 1996: 12). ოსმალები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და მხოლოდ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ, თანდათანობით გაეცნენ და გადავიდნენ ბინადარ ცხოვრებაზე, რამაც განაპირობა მათში სამეურნეო, საოჯახო ყოფითი კულტურის დაფუძნება.

XVII საუკუნემდე საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული კულტურული ტრადიციების მქონე კუთხე, აჭარა ინარჩუნებდა თვითმყოფადობას, როგორც მატერიალური ისე სულიერი კულტურის დარგში, მაგრამ ისლამიზაციის გამო იძულების გზით მასში შემოადგია მიმბაძველობითმა ფორმებმა, თუმცა კულტურის გენეტიკური ფესვები იმდენად ძლიერი იყო, რომ მასთან ჭიდილში უცხო ენოვანმა და უცხო რელიგიურმა კულტურამ ვერაფერი ღირებულნი ვერ დაამკვიდრა.

ერის თვითმყოფადობისთვის აუცილებელი სამი უმთავრესი პრინციპის, აკერძოდ ენის, მამულის, სარწმუნოების დაშორიშორებამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ჩვენებურებთან ურთიერთობაში. ეს გახლავთ მთავარი მიზეზი იმისა, რომ დღევანდელ თურქეთის საქართველოში მცხოვრებმა ახალმა თაობამ არ იცის და სამწუხაროდ არც სურს რომ იცოდეს ქართული ენა. ჩვენებურებთან დაკარგული ურთიერთობების აღდგენის გზებისა და საშუალებების ძიება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დონეზეა საფიქრალი და გადასაწყვეტი. დიდი ივანე ბრძანებდა, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ისტორია გამაფრთხილებელი უნდა იყოს პოლიტიკოსებისთვის.

ქართული კულტურის საფუძველს ქრისტიანული რელიგია წარმოადგენს. XV საუკუნიდან საქართველოს, მას შემდეგ, რაც მას მაღალგანვითარებული ქრისტიანული კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყნის ბიზანტიის

ნაცვლად დაუმეზობლდა ოსმალეთი, იგი ყველაზე მეტად ინარჩუნებდა ბიზანტინიზმს.

ამავე პერიოდში განსაკუთრებით დიდი იყო ირანული გავლენა. მართალია ქართულ საოჯახო ყოფაში თავს იჩენდნენ აღმოსავლური ტენდენციები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოფითი კულტურა მაინც ტრადიციული რჩებოდა. ივანე ჯავახიშვილი გამოდიოდა დასავლურ-აღმოსავლურ კულტურათა შერწყმის წინააღმდეგ და ამიტომაც არ ავითარებდა ქართული რენესანსის თეორიას.

XVIII საუკუნიდან ქართველი ერი იძულებული გახდა რუსული გზით ევროპული ცივილიზაციისაკენ შემობრუნების გზაზე მდგარიყო, რამაც ქართული კულტურის განვითარება რამდენიმე საუკუნით შეაფერხა.

როგორც დღეს, ისე ისტორიის ყოველ პერიოდში საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ყოველთვის წარმოადგენდა არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ინტერესის სფეროს. ცნობილია, რომ ანგარიშს ძლიერებს უწევენ და არა სუსტებს. რუსეთის იმპერიის დამაარსებელმა პეტრე პირველმა ფანჯარა გახსნა ევროპისკენ და ევროპა იმ პერიოდში საქართველოზე მეტად ძლიერ რუსეთს და თურქეთს უწევდა ანგარიშს. პეტრე დიდმა მოატყუა ვახტანგ VI, რომელსაც სხვა გზა აღარ დარჩენოდა, რომ არა მთლიანად მიხდებოდა რუსეთს. თვით ევროპა კი რუსეთზე ამყარებდა იმედებს. ეს კარგად ჩანს ფრანგი განმანათლებლის ვოლტერის მიერ ეკატერინე მეორისადმი გაგზავნილი წერილიდან, სადაც ნათქვამია, რომ თუ კი ოდესმე თურქეთი იქნება გაძევებული ევროპიდან, ეს უსათუოდ რუსების მიერ აღსრულდება. 1770 წლის 2 იანვარს ვოლტერი წერდა ეკატერინეს, რომ ქართველებს აღარ სურთ უგზავნონ მუსტაფას თავისი ქალწულები. მას გულით წადია, რომ ეს მართალი არ გამოდგეს და ყველა ქართველი ქალწული რუსი მამაცი ოფიცრების ხელში გადავიდეს. ვოლტერს მიაჩნია, რომ რუსებმა თავისი ვაჟკაცობით ეს დაიმსახურეს (წურწუშია, 2010: 133). ფრანგი განმანათლებლის, ვოლტერის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ უყვარდათ საქართველო და როგორ აფასებდნენ ქართველებს ევროპელი განმანათლებლები.

პროფესორ რევაზ სირაძის აზრით „დავითიანში“ პირველად ჩანს ნიშნები ევროპული ტიპის „ცნობიერების ტრაგიზმისა“ თუ „განწირული ცნობიერებისა“. ამის წინამძღვრები ტრადიციული სინანულის მოტივშიც შეიძლება დავინახოთ და ბაროკანულ ცნობიერებაშიც (სირაძე, 2000: 99).

ივანე ჯავახიშვილი გამოდიოდა ქართული კულტურის ევროპულთან ყოველგვარი მიბაძვისა და წარსულის მოდერნიზების წინააღმდეგ.

რუსულ-საბჭოურ პერიოდში საქართველოში ვრცელდებოდა შეხედულებები ერების და მათი კულტურების ურთიერთშერწყმის, ერთიანი საბჭოთა ერის, ერთიანი ენის, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის დამკვიდრების შესახებ. თუმცა რუსულ-საბჭოურ პერიოდშიც კი ქართული კულტურა ინარჩუნებდა ეროვნულ ხასიათს.

წარსული კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნითაა ი. ბ. სტალინის რუსი პროლეტკულტების მისამართით ნათქვამი სიტყვები, რომ 1917 წლამდე არსებული კულტურული მონაპოვრის უარყოფა აბსურდია და ეს იგივეა, რომ განვაცხადოთ, აჭყარეთ ბურჟუაზიული ლიანდაგები და დააგეთ სოციალისტურიო.

დღეს მსოფლიოს კულტურათა ამერიკანიზაციის პერიოდში განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს პატარა ერებს, რომელთა არსებობას დედამიწაზე განაპირობებს მატერიალური და სულიერი ფასეულობანი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკანიზაციის პირობებში იაპონიამ შეძლო უძველეს კულტურულ ტრადიციათა შენარჩუნება და მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი ტექნოკრატიული ცივილიზაციის მქონე ქვეყანაც გახდა. თვით როლანდ რეიგანის თქმით, „გარდაქმნები არ უნდა ნიშნავდეს წარსულის უარყოფას, მსგავსად ხისა, რომელიც ინარჩუნებს სიცოცხლეს წლის ყოველ დროში, რომლის ფესვები მიწაშია და მზისგან შეიწოვს სიცოცხლეს, პოზიტიური გარდაქმნებიც თავისი ფესვებით უნდა ემყარებოდეს ტრადიციულ ღირებულებებს-თავის მიწასა და კულტურას, ოჯახსა და ხალხს, - გარდაქმნებმა ძალა უნდა შეიძინოს მარადიული რაობიდან, თვით ცხოვრების ისეთი წყაროსთავიდან, როგორიცაა რწმენა“ (რეიგანი, 1990: 350).

ნობელის პრემიის ლაურეატი ჟოზეფ სტიგლიცი ნაშრომში „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“, სვამს კითხვას თუ რატომ გამოიწვია გლობალიზაციამ ასეთი უკმაყოფილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ამ საკმეში უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს დასავლელ და ამერიკელ მრჩეველებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ და ხელს უწყობდნენ ადამიანებს, რომლებიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს დადმა მიაქანებდნენ (სტიგლიცი, 2012: 77).

ამერიკელი მეცნიერი და სამხედრო პირი ალფრედ მეჰენი განსაზღვრავს სახელმწიფო ძლიერების ექვს კრიტერიუმს და უპირატესობას ანიჭებს გეოგრაფიულ მდებარეობას და ეროვნულ ხასიათს.

გლობალიზაციის პირობებში დამოუკიდებელი განვითარების გზაზე მდგომი საქართველოს გადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენს მატერიალური და სულიერი ფასეულობების დაცვა, შენახვა და განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მიხ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბილისი, 1990.
2. მიხ. სვანიძე, ქართველები თურქეთში, თბილისი, 1996.
3. ალ. წურწუშია, გეოპოლიტიკური ცვლილებები დროსა და სივრცეში, თბილისი, 2010.
4. რევაზ სირაძე, ქართული კულტურის საფუძვლები, თბილისი, 2000.
5. როლანდ რეიგანი, გულახდილი თქმანი, რჩეული გამოსვლები, მოსკოვი, 1990.
6. ჟოზეფ სტიგლიცი, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბილისი, 2012.

Merab Megrelishvili

Historical Basis of Georgian Culture

Summary

The article discusses the problem of interinfluencing and imitation in Georgian Culture from the beginning of Georgian history till the recent times. On the basis of many historical parallels the author concludes, but the only way for Georgia in the age of globalization is to preserve and develop national materials and spiritual values.

დედის ფენომენი აზარაში შვილების ღვთაებრივი აღზრდის საქმეში

ქართველი დედის ფენომენი შვილების ღვთაებრივი აღზრდის საქმეში განუზომელია, რასაც მტკიცებულება არ სჭირდება. ეს თვით უფლის მიერ დაკანონებული მოვალეობაა დედისა.

ქართველმა დედამ ისეთი ძალისხმევითა და „ცეცხლგამძლე სულით“ შეასრულა თავისი ვალდებულება ღვთისა და ერის წინაშე, რომ მაღლიერმა შთამომავლობამ საქართველოს დედაქალაქში მას ძეგლი დაუდგა.

ოქროთი მოსავარაყებელ, კრმათათვის განკუთვნილ სასწავლო სახელმძღვანელოს, ღვთის მიერვე ხელდასმულმა იაკობ გოგებაშვილმა „დედაენა“ უწოდა. ის ერთადერთობა, რომ წიგნს ძეგლი დაედგა, საქართველოში მაღალმა ღმერთმა დაუშვა.

ილია მართლაც ხომ ზეციური კარნახით მიმართავს ქართლის დედას –

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ აძლევდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „დედობა ღვთისა და ერის წინაშე დიდი პასუხისმგებლობაა. ბედნიერია ის ოჯახი, სადაც დედა თავს სწირავს ოჯახისათვის... დედათა ბრძენთა აღაშენეს სახლნი, ხოლო უგნურმან აღმოთხარა ხელითა თვისთა“ (1, 78).

ქართველი ერის ზნეობრივი სიწმინდე ოდითგანვე იყო ცნობილი და ამ ზნეობათა სათავე მუდამ იყო ქართველი დედა, რომელმაც დასაბამიდან დღემდე ბევრი სასახელო ფურცელი ჩაწერა ქვეყნის ისტორიაში. იგი მუდამუამს მტკიცე დედაბოძად ედგა ოჯახსა და სამშობლოს, ამიტომაც ქართველი კაცი დღენიადაგ აღმერთებდა და უზომო პატივს მიაგებდა დედას, რადგან მას ერის სულიერების, ზნეობრიობის ბურჯად მიიჩნევდა (7, 5).

გავისხენოთ ის პირველი დედები, რომლებმაც თავიანთი ძლიერი სულით, გონიერებით, უდიდესი როლი შეასრულეს ქვეყნის ისტორიაში.

ბიბლიაში მრავალი ქალის სახელია მოხსენებული. მეტად გრძელი და არაერთგვაროვანია გზა პირველი დედიდან თანამედროვე მანდილოსნამდე. ზოგიერთმა დედამ ღრმა კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში. უფრო მეტიც, ზოგი მათგანი კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხ-

საც განაპირობებდა. ამის დასტურად ქალთა მოდემის სიამაყის, ყოფილადწმინდა ღვთისმშობლის სსენება კმარა.

ქართველებს ოდითგანვე დედები წმინდანებიც გვყავდა. შვილების სასახელოდ აღმზრდელნი და მამულის სამსახურში თავშეწირულნი. ძლევაშოსილი მეფის გვირგვინიც ამშვენებდა ქართველ დედას. რად ღირს მეფეთმეფე თამარის სახელი, რომლის წინამძღოლობის პერიოდში საქართველო ერთიანი და ძლიერი იყო.

ჩვენ ქართველ საზოგადოებას მამულისა და მართლმადიდებლობის სიყვარულით შთაგონებული, აჭარის მკვიდრი მანდილოსნის, დედის სახეს ვთავაზობთ, რომლის ფენომენი განსაკუთრებულია შვილების ღვთაებრივი აღზრდის საქმეში.

აჭარაში დედობა ქალისათვის საღვთო და უწმინდეს მოვალეობად ითვლებოდა და ითვლება. აჭარაში დედა მარტო შვილების აღზრდით არ იფარგლებოდა. იგი პირველ რიგში თვითონ იყო ღვთისმოსავი, ღირსეული მამულიშვილი, დედაბოძი, ოჯახის სიწმინდე, დედაენის ბურჯი და ფარი... იგი ერთნაირად ესიყვარულებოდა შვილებს, ენას ქართულს და საქმეს ქართულს. ამიტომაც ვთვლი (და ასეცაა), რომ ჩვენი კუთხის დიდი დედა, არა მარტო ჩვენი, არამედ ქართული ენის მშობელიცაა, რის გამოც დღეს იგი დამსახურებულად აგვყავს გმირი ქალის რანგში.

დედის ფენომენს, მის როლს აჭარაში შვილების ღვთაებრივი აღზრდის საქმეში, სულ სხვა თავგადასავალი და ზეციური მადლშოსილება ჰქონდა.

საქართველოს ძირძველი კუთხე აჭარა ამაყობს მაღალზნეობრივი, კდემაშოსილი, სამშობლოსათვის ღირსეულ შვილთა აღმზრდელი დედებით.

აჭარელმა ქალმა, ამ სახელოვანმა ქართველმა დედამ, უმწიკვლოდ შეგვინახა და ათასგვარ ქარცეცხლში გამოატარა ჩვენი სათაყვანებელი, მშობლიური დედაენა. მან თავის თავზე იწვნია ერის ბედის უკუღმართობით დამძიმებული სიდუხჭირე და ჩვენამდე მოიტანა სუფთა ქართული სისხლი, ქართველი ერის სინდის-ნამუსი. ჩვენთან რომ ეროვნული სული ვერ ჩაკლეს, ეს უპირატესად დედის დამსახურებაა, იგი ტრადიციების შემნახველიც იყო და გამგრძელებელიც.

დედისაგან გადაცემული აღმზრდელობითი გაკვეთილები იმდენად ჩვეულებრივი, ბუნებრივი ამბავი იყო, რომ ხაზგასმით ამის აღიარება აქამდე თითქმის არავის უცდია. შვილების ღვთაებრივი აღზრდის საკითხი აჭარელი დედისათვის, ზეციური კანონით გაწონასწორებული უწყვეტი ჯაჭვი იყო.

აჭარის სინამდვილეში აღმოცენებულ ქრისტიანობის ისტორიას რომ ვაანალიზებთ, ხაზს ვუსვამთ, რომ მართალია აჭარაში მცხოვრები დედა ქრისტიანული ნათლობის საიდუმლოს გვიან ეზიარა, მაგრამ იგი სულით დაბადებიდანვე მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო. თმებში ჯვარს ჩაიწნავდა, ღმერთის მცენარეაო იტყოდა ვაზზე და მის ხმელ ლერწებ-

საც კი უფრო ხილდებოდა, სისუფთავით გამორჩეულ ადგილას მიუჩენდა სამყოფელს.

ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ აჭარა საქართველოში პირველი ეზიარა ქრისტიანულ რწმენას. ჩვენი დიდი ზურაბ გორგილაძეც ამაყად, თავაწეული დაღაღებს:

„ღვთაებრივი ქრისტეს ჯვარი

საქართველოს, მე – პირველმა მივეცი!..“

ქართველი ქალი, დედა არა მხოლოდ სუსტ და ნაზ, არამედ მებრძოლ ხატებადაც უნდა იქნეს აღქმული, რადგან ტრადიციულად ქალს საქართველოში თავის ბუნებრივ, ღვთაებრივ-ზნეობრივ ფუნქციებთან ერთად სამშობლოს დაცვაც უხდებოდა, რისი მაგალითებიც ქვეყანაში უხვად მოგვეპოვება.

სწორედ ამიტომაც არის დედა ჩვენში განსაკუთრებული პატივით მოსილი და მისი ფენომენი შვილების ღვთაებრივი აღზრდის საქმეში განსაკუთრებული. მთელი პასუხისმგებლობა შვილების აღზრდაზე მას ეკისრებოდა. ამ ამოცანას აჭარაში მცხოვრები ქალი, დედა შესანიშნავად ართმევდა თავს. ის შვილებს ჩვილობიდანვე ღვთის სიყვარულით ზრდიდა, რწმენას უნერგავდა და ქართულ სიტყვას ადიდებდა. ღვთის მოშიში და ღვთისმოსავი შვილის აღზრდა მისი უპირველესი და ძირითადი მოვალეობა იყო.

მძიმე სამი საუკუნე ედგა აჭარას. „დამპყრობთა მიერ ქართული სკოლების დახურვამ და ქართული დამწერლობის საერთო აკრძალვამ მშობლიური ანბანის თანდათანობითი მივიწყებაც გამოიწვია“ (5, 430).

აჭარელმა ქალმა აქაც იპოვა გამოსავალი. მან არ მიიღო უცხო დამწერლობა და თვითონ შექმნა „დედაბრული“ ქართული ანბანი და შვილებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა. მას შემდეგში „დიდნენს“ და „ჩიტის ენასაც“ უწოდებდნენ. ის გაუსაძლისი სამი საუკუნე აჭარელმა დედამ იღუმალი ქრისტიანობის ქურაში გამოაწრო. მკადზე ჯვარის გამოსახულებას აღბეჭდავდა და ზეცას შეხედავდა...

განსაკუთრებულია ის გარემოება, რომ მაჰმადიანი ქართველი დედები ფარულად ინახავდნენ წინაპართა სარწმუნეობას, ქართული სულისკვეთებით ზრდიდნენ შვილებს, იფარავდნენ ყოველგვარი განსაცდელისაგან და ღვთაებრივ რწმენას უნერგავდნენ, ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ.

რწმენის შენარჩუნების მიზნით აჭარა ბევრჯერ დაცარიელებულა. ისტორიულად ცნობილია, რომ გამაჰმადიანებას განსაკუთრებით აჭარაში მცხოვრები ქალები, დედები ებრძოდნენ. გმირ წინაპართა სისხლით მორწყულმა საქართველოს მიწამ, უსახელოდ დაკარგული ბევრი პატრიოტი დედა მიიბარა.

უძველესი კულტურის მქონე მხარეში, აჭარაში, მცხოვრები დედა ქვეყნის უბედობის გამო, საუკუნეთა მანძილზე გამოეთიშა საზოგადოებრივ ცხოვრებას. მძიმე იყო ამ პერიოდში მისი ხვედრი. დღის წესრიგში

დადგა ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი კუთხისათვის ძმური დახმარების ხელის მიშველება. ამ მხრივ ფასდაუდებელია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ყურადღება და დახმარება. აი, რას წერდა მაშინ ცნობილი ქართველი მწერალი ეკატერინე გაბაშვილი: „ყოველ სოფელში, რომელიც მაჰმადიანი ქართველებით არის დასახლებული, უნდა გავხსნათ ქართული სკოლა და სკოლაში მასწავლებლად გავავაზენოთ ქალები, რომელნიც თავს დადებენ, გულს გადაუშლიან, სულს აუყვავებენ მაჰმადიან ქალებს“ (4, 13).

ქართველი ერის საამაყო მამულიშვილი მემედ აბაშიძე დასძენდა: „ისტორიული უკუღმართობის მეოხებით თუ მუსულმანმა ქართველობამ არ დაივიწყა სამშობლო ენა და სულ ერთიანად არ გადაგვარდა, ეს აჭარელ ქართველ დედათა წყალობით“ (9, 252).

ქალთა აღზრდისა და დედობის როლის შესახებ აჭარაში მოღვაწე პატრიოტი გულო-აღა კაიკაციშვილი (1841–1923 წ.წ.) წერდა: „საჭიროა დიდებული საქართველოს შვილებმა ქართულ სამაჰმადიანოში მიხედონ ქალთა აღზრდა-განათლებისა და მათი დედობისათვის მომზადების საქმეს. ამით საძირკველი დაუდგან იმ დიად შენობას, რომლის აშენებას დღეს ღამობს მთელი საქართველო... ქალს თავისი სინაზით, დედობრივი სიყვარულით იმოდენა შეუძლია გააკეთოს, რასაც ვერ შესძლებს მამაკაცი თავისი უხვი ძალითა“ (8, 4).

აღნიშნული ნარკვევის მომზადებისას, გვერდს შეგნებულად ვერ ავუვლით ქართველი დედის მისამართით თქმულ იტალიელი მისიონერი ბერის არქანჯელო ლამბერტის სიტყვებს: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, ამ ქალებს, დედებს რომ არ შეენახათ იგი ასე; ამ ქვეყანაში თუ ვინმეს სურს კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელიმე ქალს მიეხაროს სასწავლებლად“ (10, 185). უცხო ქვეყნიდან შემოსულმა სწავლულმა მოგზაურმა ბერმა წამიერად შენიშნა, თუ საიდან ინთებოდა ალი ქართველთა განმანათლებელ კერაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ეტაპზე ქალთა განათლების ამაღლებას, ქალთა სკოლების გახსნას, სწავლა-აღზრდის სათანადო დონეზე დაყენებას. აჭარის მკვიდრ ქალს, დედას თავისი უძველესი ფუნქცია უნდა შეესრულებინა – ოჯახში ქართველი ახალგაზრდობის ღვთაებრივი სულისკვეთებით აღზრდა. სწორად მიუთითებდნენ – განათლების მიღების შემდეგ თუ ქალი სამუშაოდ ვერ წავიდოდა, განათლებულ, რწმენით აღსავსე ბავშვებს აღუზრდიდა ქვეყანას. საჭირო იყო ოჯახში შვილების საღვთო რწმენით აღმზრდელი განათლებული დედა და განათლებული პედაგოგი სკოლაში. შვილის აღზრდა იგივეა, რაც საზოგადოების აღზრდა, რადგანაც საზოგადოება გამომდინარეობს ოჯახიდან, რომელსაც ქალი, დედა ასულდგმულებს (2, 314).

აჭარაში აღზრდის პირველი ეტაპი აკვანს უკავშირდება. ერთმა ჩვენებურმა პოეტმა აკვანს მიკროსამყაროს უპირველესი მოდელი უწოდა. როგორც დედამიწის რხევას და წონასწორობას ზეციური უხილავი ძა-

ლა აკონტროლებს, ასევე, აკვნის რხევის ამპლიტუდას დედა განაგებს. დედის ნანაზე მინდობილი ჩვილი ძილ-ღვიძილს სწავლობს. აჭარელი დედის სააკენე ნანა იგივე ღვთიური ღოცვაა. პირით ზეცისკენ თვალ-მიპყრობილი ჩვილი დილით ძილიდან თავდახსნილი პირველად ცას შეხედავს ვედრებით და დედაც არტახებს უხსნის. დედა, აკვანი, ყრმა და ზეცა – აი, საიდან იწყება ღვთაებრივი აღზრდა (თუმცა ამჟამად აკვნის ინსტიტუტი გადაგვარების გზაზეა). დილა მეორე მხრივ სიცოცხლის დაბადებაა. დაბადებიდანვე იწყებს დედა შვილის რწმენაზე ზრუნვას. უფალი იესო ქრისტე ხომ ტაძარში როცა ხალხს ასწავლიდა, მხოლოდ დილით მიდიოდა.

გადავფურცლოთ აჭარელი ქალისა და დედის სახელოვანი ისტორია და წარსულიდან წუთიერად გამოვიხმოთ მარად ნეტარი დედები – ოჯახური პატივისცემის, თაობებს შორის ჯანსაღი დამოკიდებულების აღმზრდელნი, იდეალური, კაცთმოყვარული პრინციპების მიმდევარნი და დამნერგავნი...

აჭარელი დედა უპირველესად ქალია – სათნო, სიკეთით სავსე, ფრთხილი, ფხიზელი, ქველმოქმედი, მორჩილიც და შეუპოვარიც, ამაყიც და თავმდაბალიც, ღარიბიც და სულთ მდიდარიც, სამართლიანი, შრომისმოყვარე... (3, 12).

აბუსერისძე ტბელის და ვანენ დედოფალი გავიხსენოთ, პირველი ქტიტორი ქალი აჭარიდან „რომელმან ეკლესიად აღაშენა წმიდისა იოვანე მახარობლისა და ღვთისმეტყველისა“. აი, საიდან იღებს სათავეს ღვთაებრივი აღზრდის აკადემია აჭარაში.

დუდი ხანუმ ბეჟანიძე – უსაზღვროდ პატრიოტი დედაბოძი თავისი კუთხისა და სრულიად საქართველოსი. ღვთის სამართალზე აღზრდილი, გასაოცრად სამართლიანი დიდი ქალბატონი, დიდი შერიფ ხიმშიაშვილის აღმზრდელი დედა. ღვთიური ქალბატონი, რომელმაც შვილი აღზარდა ნამდვილ ქართულ ტრადიციებზე და ბავშვობიდანვე საქართველოსადმი სიყვარული ჩაუნერგა.

თეიმურაზ კომახიძე, თავის წიგნში მოგვითხროს: „დუდი-ხანუმმა და აგრეთვე სხვა აჭარელმა ქალებმა ხომ თითქმის შეუძლებელი შეძლეს თავისი კუთხისა და ხალხის საკეთილდღეოდ, ქართული დამწერლობისა და ძირძველი ზნე-ჩვეულებების შესანარჩუნებლად“ (5, 430).

სულმნათი ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ “ივერიაში“ (6,1) პატივისცემით ემადლიერება დიდებულ ქალბატონს, დევრიშ ბეგის (ბეჟანიძის) დედას, რომელმაც ქართული წერა-კითხვა ასწავლა არაერთ თანამოძმეთ. იგი წერდა: „ეს მოხუცებული ქალი დღესაც ასწავლის ქართულ წერა-კითხვას მაჰმადიანთა ბავშვებსა. შარშან ჩემი გაცნობა და აჭარაში მისვლა ძლიერ ესიამოვნა. ესიამოვნა მით, უფრო, რომ გაიგო ქართული წიგნები მქონდა თანა“.

როგორც იტყვიან, „ენა, ნენეს შენახული“ გაღონიერდა მამია ვარშანიძის, ფრიდონ ხალვაშის, ნანა გვარიშვილის, ზურაბ გორგილაძის, და-

თო თედორაძის, ცისანა ანთაძის, ვახტანგ ღლონტის, ბელა ქეზურიას და სხვათა შემოქმედებაში.

უნიჭიერეს პოეტ ქალს, ნანა გვარიშვილს თუ მოეუსმენთ ცხადზე ცხადი გახდება აჭარელი დედის ფენომენიც და მისდამი მადლიერების გამოხატვის ლექსად თქმის ტრადიციაც:

„აჭარელი დიდო დედავ,
ნისლში მანდილს ვხედავ,
შენ იხსენი ბუღბულთსტვენა
ტკბილი დედაენა“.

ღვთაებრივი აღზრდა მხოლოდ პედაგოგიური განათლების და მეთოდის გამოყენებას როდი გულისხმობს. ღვთაებრივი აღზრდა მეტწილად ღვთაებრივი მაგალითების შედგებზეა დამყარებული.

აჭარაში მცხოვრები დედა ყოველთვის ქრისტეს ათი მცნებით ზრდიდა, ზრდის და კვლავაც აღზრდის მომავალ თაობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია II - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, „ეპისტოლენი“, თბილისი, ტომი I, 2009
2. ილია II, „პატრიარქის შეგონებები“, ბათუმი, I გამოცემა, 20012
3. ილია II - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის „საადღგომო ეპისტოლე“, თბილისი, 2012
4. ჟურნალი „საქართველოს ქალი“, თბილისი, №8, 1978
5. თ. კომახიძე, დუდი ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ბათუმი, 2002
6. გაზეთი „ივერია“, 1 მარტი, 1893
7. ნ. გუგუნავა, ლ. ბოლქვაძე, აჭარის ქალთა საბჭოს ისტორიიდან, ბათუმი, 2010
8. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 26 VII, № 609, 1916
9. ნ. გუგუნავა, მემედ აბაშიძე – განმანათლებელი. სტამბოლი, 1997
10. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 2011, თბილისი

განათლების რეფორმირების მეცნიერული მართვის პრობლემები

ახალი საქართველო ახალი აზროვნების ადამიანებმა უნდა ააშენონ. ახალი აზროვნება ახალ განათლებას საჭიროებს, ახალი განათლებისათვის ახალი მიდგომები და პროგრამებია საჭირო. ეროვნულობის გაძლიერების კვალობაზე საერთაშორისო ინტეგრირება და სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმია აუცილებელი.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ყოფილ საბჭოთა და პოსტსაბჭოურ საქართველოში განათლების რეფორმის გატარების რამდენიმე მცდელობას ჰქონდა ადგილი, თუმცა ბოლომდე ვერც ერთი ვერ იქნა მიყვანილი.

აშკარად ჩანს, რომ ამჟამად მიმდინარე განათლების რეფორმაც გარკვეულ კითხვებს ბადებს. მიზეზი ბევრია. მთავარი კი ისაა, რომ გლობალიზაციამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა, განსაკუთრებით, პატარა, განვითარებადი ქვეყნისათვის. თვალნათლივ ვხედავთ, აშკარად თუ შეფარვით, როგორ ანადგურებს იგი ეროვნულ თვითმყოფადობას, ხელს უშლის საუკუნოვან ტრადიციებს, კულტურას. მიმდინარეობს ბრმა თაყვანისცემა უცხოური, ზოგჯერ ქართული მენტალიტეტისათვის ყოვლად მიუღებელი და შეუთავსებელი რიგი ღირებულებებისადმი (1,4).

საქართველოს განათლების სამინისტროს, რომელმაც შეიმუშავა თანამედროვე განათლების რეფორმის პროექტი, არ გააჩნდა მეცნიერულად დასაბუთებული და ბოლომდე გააზრებული განათლების კონცეფცია. ყოველ შემთხვევაში, ეს არ იყო ცნობილი საზოგადოებისათვის. განათლების სამინისტრო ეყრდნობოდა განათლების უცხოელ ექსპერტებს, რომლებმაც არ იცოდნენ ჩვენი დიდი და სახელოვანი ტრადიციები განათლების სფეროში (2, 8).

ამჟამად მიმდინარე რეფორმების შინაარსი, მიმართულება და დინამიკა კითხვას სვამს, რომელზეც არ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტები.

შეიცვალა განათლების სისტემის მართვის, დაფინანსებისა და ხარისხის ამაღლების მოდელები. მართალია, შესაძლებელი გახდა ქართული დიპლომების ნოსტრიფიკაცია, გაუმჯობესდა უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლება, შეიქმნა მისაღები გამოცდების ეროვნული ცენტრი, მაგრამ, ამასთან ერთად, უფასო სწავლება შეიცვალა ფასიანით. რადიკალურად შეიცვალა უმაღლესი სკოლისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის გზები და საშუალებები. სახელმწიფომ უმაღლეს სკოლას შეუწყვიტა

დაფინანსება. გაუქმდა რიგი პროფილური უნივერსიტეტები, უგულვებელყოფილი იქნა აღზრდა, როგორც სწავლების შემადგენელი ნაწილი.

დღეს არსებულმა შეფასების სისტემამ განსაკუთრებული პრობლემები შეუქმნა ახალგაზრდობის აზროვნების განვითარებას. ცოდნის შემოწმება-შეფასება ხდება მხოლოდ წერითი სამუშაოს შესრულების ხარისხის მიხედვით ან ტესტირებით.

როგორც თბილისში განათლების მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე აღინიშნა რეფორმის შედეგად ვერ ამაღლდა მასწავლებლის პრესტიჟი და ავტორიტეტი, ვერ გაუმჯობესდა მასწავლებლის სოციალური პირობები, ვერ დამარცხდა მასობრივი უწიგნურობა. უნდა გამყარებულიყო და ვერ გამყარდა ზნეობრივი ღირებულებები, ვერ აღორძინდა ეროვნული ცნობიერება. განათლების არასწორი სახელმწიფო პოლიტიკა გახდა იმის მიზეზი, რომ მეცნიერება მოწყდა სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს. არადა, ბევრი სიახლე სწორედ მეცნიერებას უნდა დაენერგა განათლებაში. სამწუხაროდ, ეს მანერ ტენდენცია ზოგან დღესაც გრძელდება (2, 3).

არაფერი უკავშირდება მომავალს ისე, როგორც პედაგოგიკა. ამიტომ მიუღებელია პედაგოგიკის სფეროში დაგროვილი ცოდნის გათვალისწინების გარეშე განათლების რეფორმის განხორციელება. ახლაც და მომავალშიც განათლების რეფორმები მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე ვერ განხორციელდება. სწორედ ამისთვის არის მოწოდებული პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის ერთ-ერთი დარგი – უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, რომელიც აუცილებლად უნდა ჩადგეს უმაღლესი განათლების სამსახურში (5,9).

ყოველივე ეროვნულის დაკნინების არაპირდაპირი გამოხატულება იყო საკითხების ამოღება საქართველოს ისტორიის, მშობლიური ლიტერატურის და სხვა პროგრამებიდან, მათი გამარტივების მიზნით. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გოგებაშვილის „დედაენა“ აღარ ისწავლება დაწყებით სკოლაში. არადა, ისინი ეროვნული ცნობიერების, ეროვნული ღირსების განმტკიცების აუცილებელი პირობა იყო.

დღეს დარგის სპეციალისტები საუბრობენ იმ საკითხების თაობაზე, რომლებიც ამოიღეს ჰუმანიტარული დისციპლინების პროგრამიდან. ერთ-ერთ მათგანზე მეც მინდა ყურადღება გავამახვილო. სახელდობრ, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ აღარ ისწავლება სკოლებში, რატომღაც ის „აკრძალულ ლიტერატურად“ უქციეს ჩვენს შვილებს. გაგახსენებთ ერთი-ორ სტრიქონს ამ ლექსიდან: – „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. ან კიდევ – „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“. ეს სიტყვები ხომ უკვე განაჩენია „დაღესის დოქტრინისათვის“. ეს ხომ თავდაყირა აყენებს ახალ მსოფლიო წესრიგს. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, დიდი რაფიე-

ლის „სამშობლო ხევესურისას“ სასკოლო პროგრამიდან ამოღება, გოგებაშვილის დედაენის უგულებელყოფა და ბევრი სხვაც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ქართველი ხალხისა და ქართველი ბავშვების წინაშე ჩადენილი დანაშაულია.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ისტორია კვლავ უნდა აღდგეს მეოთხე საუკუნეებზე დასრულებულ საგნად (თუნდაც გაურკვეველი „ზოგადი უნარების“ ნაცვლად და არა მხოლოდ ზოგიერთ ჰუმანიტარულ სპეციალობაზე, არამედ ყველა სპეციალობაზე, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყოველმა ქართველმა, თავისი ქვეყნის ისტორია უნდა იცოდეს.

გამარტივებულმა სასწავლო პროგრამებმა და შეფასების კრიტერიუმების დადაბლებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მოსწავლეთა საერთო განათლების დონე გარკვეულად დაეცა. დაქცეულ ეკონომიკას, მისი სწორად მართვის შემთხვევაში, ადვილად ეშველება, მაგრამ ცნობიერების გაჯანსაღებას წლები დასჭირდება.

კარგად გვესმის, რომ ამერიკა ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ქვეყანაა, მაგრამ რა საჭიროა გადმოვიდეთ მისგან ისეთი რამ, რაც სრულიად შეუფერებელია ჩვენი კულტურის, ჩვენი მენტალობის, ჩვენი იდეოლოგიისათვის. იქნებ აჯობებს, ვიზრუნოთ ჩვენი განათლების სისტემის, ჩვენი ეროვნული ტრადიციების პოპულარიზაციისათვის. გავიტანოთ ჩვენი გამოცდილება განზოგადების მიზნით ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში. დარწმუნებული ვარ, ინტერესის შემცველი იქნება. მხოლოდ ამ მიმართებით მუშაობაა საჭირო. ვფიქრობ, საქართველოს განათლების სამინისტროს ერთ-ერთმა სტრატეგიამ ასეთი დატვირთვაც უნდა შეიძინოს.

ყოველივე უცხოურისადმი მიმბაძველობამ იმდენად მახინჯი სახე მიიღო, რომ უკონტროლოდ გადმოგვქონდა ისეთი ღირებულებები, რომლებშიც უგულებელყოფილი იყო ზნეობრივი ფასეულობანი. მაგალითად, უფროს-უმცროსობა, მოხუცისადმი პატივისცემა და მრავალი სხვა. თითქოს არაფერია, თუკი სკოლის მოსწავლე ან სტუდენტი არ წამოდგება მოხუცის დანახვაზე და მას ადგილს არ დაუთმობს, თითქოს არაფერია, თუ ინვალიდს, ჭარმაგ ადამიანს გადასასვლელზე არ დაეხმარები. თითქოს არაფერია, თუ უფროსს უხეშად, უდიერად დაელაპარაკება, მაგრამ ამგვარი „თითქოს არაფერები“ საბოლოო ჯამში, უკარგავს ახალგაზრდობას იმათ მიმართ პატივისცემას, ვინც მათთვის მისაბადი, სამაგალითო ავტორიტეტი უნდა იყოს.

ყოველად მოუთმენელი ჩანდა და ჩანს სახელმწიფო პოლიტიკა ქართული ენისადმი, რაც პირდაპირ კავშირშია ეროვნული ცნობიერების რღვევასთან.

განათლება მაშინ მოგვცემს ნაყოფს, თუ პირველ რიგში, სწავლა მშობლიურ ენაზე მოეწყო, თუ ნებისმიერი ტიპის სასწავლებელი ჭეშმარიტად ეროვნულ ნიადაგზე იქნება დაფუძნებული – მიუთითებს დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი.

მაგალითად, მეცნიერული ხედვის, საუკუნოვანი გამოცდილების უგულვებელყოფით ვიწყებთ ხუთწლიანების სკოლაში მიღებას, კომპიუტერთი ანბანის შესწავლას, ვაუფასურებთ წიგნის ფენომენს, ვახდენთ მშობლიური ენის უცხოურით ჩანაცვლებას იმ მოტივით, რომ ფეხი ავუწყოთ სამყაროში ინგლისური ენის მსოფლიო ენად დამკვიდრების პროცესს.

გოგებაში კარგად ესმოდა უცხო ენათა ფლობის მნიშვნელობა, „მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს, შეაქციეთ ზურგი უცხო ენებსა და დარჩით მარტო დედაენის ამარაო“. ამასთან გოგებაშვილს კარგად ესმოდა უცხო ენათა ფასი. ამ მიმართებით მარტო მისი „რუსკოსლოვოს“ გახსენებაა საკმარისი. რაც შეეხება რუსულ ენას, ჩვენთვის მას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. მისი საშუალებით ვითვისებთ ევროპულ განათლებას—ეს იაკობის სიტყვებია. მისივე შეგონებაა : „დედაენა როდი გავს ტანისამოსს, რომლის გამოცვლაც ადვილად და უვნებლად შეიძლება, მას აქვს ღრმად გადგმული ფესვები ადამიანის ტვინში, ძვალსა და რბილში“. უცხო ენის შესწავლას ის შესაძლებლად მიიჩნევდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ბავშვები კარგად დაეუფლებოდნენ მშობლიურ ანა-ბანას, ენას, როგორც მკვიდრ საფუძველს სხვა ენების შესწავლისა. უშინსკი მიუთითებს – „ბავშვი მშობლიურ ენას რომ სწავლობს, არამარტო პირობით ბგერებს სწავლობს, არამედ სულიერ ძალას იძენს.

უზომოდ გვჭირდება დღეს პედაგოგიკის კლასიკოსების შეგონებების გათვალისწინება, დაფიქრება იმის შესახებ, როგორ გადავიტანოთ ის შემოტევები, რომლებიც ძირს უთხრიან ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას.

ქართული მიდგომა საგანმანათლებლო სფეროსადმი უნდა იყოს ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ-მეცნიერული, იმიტომ, რომ ქრისტიანულმა სწავლებამ ოცსაუკუნოვანი გზა გაიარა, რომელზედაც აღმოცენდა გელათის და იყალთოს აკადემიები, ჭყონდიდელის ინსტიტუტი. აქედან გამომდინარე, ჩვენი ეროვნული განათლების საფუძველი ქართული აკადემიებიდან მოდის, რომლის როლი და მით უფრო, სახელმწიფოებრივ-ეროვნული ღვაწლი უდიდესია არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ გელათის სახელი ქუხდა იმჟამინდელ მსოფლიოში, ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპაში. ბრძენი მეფის, დავით აღმაშენებლის დამსახურებით იმ დროის მსოფლიოს ყველა უდიდესმა მეცნიერმა გელათში თავი მოიყარა. მათი მოძღვართ-მოძღვარი გახლდათ მსოფლიო განათლებისა და მეცნიერების უდიდესი კორიფე იოანე პეტრიწი, რომელიც ადამიანურ სიბრძნეში ღვთიურ სიბრძნეს ხედავდა. ამიტომაც განათლებას ერის სულიერი განვითარების ქვაკუთხედად მოიაზრებდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ შუა საუკუნეების მსოფლიოში არ არსებობდა ჭყონდიდელის ინსტიტუტის მსგავსი სიბრძნისა და ცოდნის ცენტრი. ეს იყო სასულიერო და პოლიტიკური ძალაუფლების გამაერთი-

ანებელი ინსტიტუტი. სწორედ ესაა ის, რაც დღევანდელობას ჰაერით ჭირდება. აქედან დასკვნა ერთადერთია – ის, რაც დროის გამოცდას უძლებს და ყველა ეპოქაში თავს გვახსენებს, უფლის ხელდასმული და მარადიულად თანამედროვეა.

ბაზისი რომ მყარია, ამას მტკიცებულება არ ჭირდება და, შესაბამისად, ზედნაშენიც სიცოცხლისუნარიანია, განვითარებადი. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ საქართველო მშობელია შოთა რუსთაველის, გიორგი ჭყონდიდელის, ვახტანგ მეექვსის, დავით აღმაშენებლის, აბუსერისძე ტბელის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა.

ჩვენი თანამედროვე მსოფლმხედველობა მრავალ ეპოქა გამოვლილი, სრულიად განსხვავებულია ძველისაგან და არსებითად შეუძლებელია ძველ სახლში დაბრუნება. მაგრამ მოვალენი ვართ, ამადლებული სულიერებით, მიწიდან მოუწყვეტლად განვაახლოთ ქვეყანა. ეს იმას ნიშნავს, რომ გაეზარდოთ ინტერესი სულის, პიროვნების, სუბიექტის ცხოვრებისადმი. აი, ესაა სწორედ განათლების მისია. ეს ედო საფუძვლად რუსთაველისა და პეტრიწის მოღვაწეობას, გელათისა და იყალთოს აკადემიებს, ჭყონდიდელის ინსტიტუტს.

დღეს, ცოდნის ტაძარში გასამაგრებლად საიდუმლო გასაღები საამაყო წარსულ მემკვიდრეობას უნდა მოვარგოთ. ეს კი უპირველესად ჩვენი დედა ენაა. გავიხსენოთ იოანე ზოსიმე, რომლის მარადიული ქადაგება ყველასათვის გასაგებ ფრაზაში გამოიხატა – „ყველა საიდუმლო ამა ენასა შიგან დამარხულ არს“. სულმნათი პატრიოტი ქართველი გერონტი ქიქოძე მიუთითებს: „შეგნებული ერი არცერთ თავის სიმდიდრეს არ ეპყრობა ისეთი სიფრთხილით და ყურადღებით, როგორც თავის ენას“.

სამწუხაროა, რომ ქართული ენის – იგივე ჩვენი დედა ენის სამოქმედო ასპარეზი თანდათან შევიწროვდა. ამ შეგნებული, თავსმოხვეული დაუდევრობის შედეგი უპირველესად სასწავლო სახელმძღვანელოებიდან, ქართული ენის გრამატიკის სწავლების განდევნაა... და კიდევ უფრო შეგნებული, თითქმის ერის დაღატაკის ტოლფასი დამოკიდებულების გამოვლენაა დაწყებითი სწავლების საფეხურიდან იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ამოღება.

ამ უკვდავი სახელმძღვანელოს იგნორირების მსურველთა საყურადღებოდ, გავიმეორებ ცნობილ მეცნიერთა და სწავლულთა შეხედულებებს და ვიტყვი, რომ გოგებაშვილის „დედა ენა“ პასუხობს ათ მცნებას. იგი მიბმულია ბიბლიურ მოძღვრებასთან, სახარებასთან, ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან.

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს მთავარი ღირსება ის არის, რომ მოსწავლე ანბანით კი არ იწყებს სწავლას, არამედ სიტყვებით. იაკობმა პირველმა დაამკვიდრა საქართველოში ბგერითი ანალიზური მეთოდი, რის შედეგადაც, როგორც გაბრიელ ქიქოძე აღნიშნავს, „პირველივე დაინახავს სწავლაში ჰაზრსა, იმიტომ რომ ყველა სიტყვა ხატავს რაიმე ჰაზრსა, აჩვენებს რომელიმე საგანს“. ამის გამო მოსწავლეები

ასოებს უაზროდ კი არ იზებირებდნენ, არამედ მათ შესწავლას შინაარსი ელო საფუძვლად და ბავშვებისათვის სწავლა სახალისო იყო.

ამ ღვთაებრივი სასწავლო სახელმძღვანელოს არსებობა გვიმტკიცებს აზრს, რომ ქართული ფუძე ენაა, დედა-ენაა. ქართულ ანბანში ქრისტეშობის სასწაულისა და სხვა ბიბლიური თქმულებების თაობაზე, იდუმალი ცოდნაა. გაბრიელ ეპისკოპოსი ბრძანებდა: „ჩვენ, ქართველებს გვაქვს ქართველი დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური თვალსაზრისით ყოველმხრივ გამართლებული სახელმძღვანელოები: „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსსკოე სლოვო“ და ეს სახელმძღვანელოები ყველა ჩვენს სკოლებში ისე უნდა გამოვიყენოთ, როგორც საჭიროა“.

ამ საჭიროებიდან გამომდინარე, I-II კლასებში ბავშვები პირველ რიგში მშობლიურ ენას უნდა ეუფლებოდნენ და უცხო ენის შემოღება შემდეგ უნდა მოხდეს.

ესაა ეტაპი ჩვენი ერის ცხოვრებაში თითოეული ქართველისათვის მეტად საპასუხისმგებლო, განსაკუთრებით კი სამეცნიერო დაწესებულებებისათვის.

აკადემიური თავისუფლებისათვის ზრუნვაა საჭირო. პირველ ყოვლისა, აკადემიურმა პერსონალმა თავად უნდა გააცნობიეროს თუ რას გულისხმობს აკადემიური თავისუფლება.

ჩვენი თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია ისიც, რომ ჩვენს ახალგაზრდებს ვაძლევთ გარკვეულ ცოდნას, მაგრამ ნაკლებად ვზრუნავთ მათში კრიტიკული აზრის განვითარებისათვის, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. ნაკლებად ვმართავთ მათთან დიალოგს, ნაკლებად ვინტერესდებით— როგორ აზროვნებენ თავად მოზარდები. მაგალითად, რამდენჯერ სვამს მოსწავლე ან სტუდენტი გაკვეთილის ან ლექციის დასრულებისას კითხვას, რატომ? არადა, ამ კითხვით იწყება აზროვნება. არისტოტელე ამბობდა: „ერთ „რატომზე“ გაცემული პასუხი მირჩევნია ლექციების მთელი კურსის ჩატარებასო“.

ლექციის, გაკვეთილის მეთოდოლოგია სრულქმნილი უნდა გახდეს. დღემდე ჩვენს სკოლაში თუ უმაღლეს სასწავლებელში ძირითად მეთოდად თხრობის მეთოდია მიჩნეული. მართალია, ეს მეთოდი ეფექტურია, მაგრამ ინტერაქტიული და ტრანსმისიური მეთოდების გამოყენება, საზრიანი კავშირების ძებნა აუცილებელია, რაც გამონაკლის შემთხვევაში თუ გამოიყენება. უმაღლეს სკოლაში ყოველი ლექცია სანიმუშო, ხელოვნების დონეზე აყვანილი უნდა იყოს. ვინც ამ ხელოვნებას ვერ ფლობს, სხვა სამუშაო უნდა მოეძებნოს. ამ მიმართებით ხარისხის სამსახურის საქმიანობა ძირფესვიანად უნდა გაუმჯობესდეს. ცოდნის შემოწმების მექანიზმი მრავალმხრივი უნდა იყოს და არა მარტო ტესტური, რომელმაც მოზარდების აზროვნებისა და მსჯელობის უნარი დააქვეითა (4, 25).

საჭიროა სახელმწიფო თანადაფინანსებით უზრუნველყოფილი იქნეს განათლების ხარისხი. შესაცვლელია არსებული მიდგომები საგანმანათ-

ლებლო პროგრამებთან, სწავლების ორგანიზაციის ფორმებთან და მეთოდებთან. ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს საგანთა სწავლების მეთოდოლოგია, რაც სამწუხაროდ იგნორირებულია უმაღლეს სკოლებში. უნდა აღდგეს აკადემიური პერსონალის საქმიანობისადმი ადრე არსებული მონიტორინგი (ლექციებზე ურთიერთდასწრება, კათედრის გამგის სავალდებულო დასწრება, ხელშეკრულების ხანგრძლივობა და ა.შ.) (3, 33).

საჭიროა განათლების განვითარების სტრატეგიები გამოიკვეთოს და ამ მიმართებით მუშაობის შინაარსი დაიხვეწოს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია გია დვალის კონცეფციის მოთხოვნები სტრატეგიების მიხედვით გადანაწილდება. დვალის ჯგუფმა გარკვეული პროდუქტი დადო, მიუთითებს საქართველოს განათლების მინისტრი ქალბატონი თამარ სანიკიძე. სამინისტრო მუშაობს, რომ ეს პროდუქტი ჩაიდოს სტრატეგიებში. აღნიშნულის კვალობაზე რეპეტიტორთა ინსტიტუტი უნდა დასრულდეს. ტენუარის სისტემა კანონში „განათლების შესახებ“ გაითვალისწინება. საქართველოს განათლების სამინისტრო ამ მიმართებით ენერგიულად მუშაობს – ეს ქალბატონი მინისტრის სიტყვებია.

ჩვენი შეხედულებით უმაღლეს სკოლაში კათედრების ინსტიტუტის აღდგენა არის საჭირო. ტერმინი დეპარტამენტი, რომელიც დღეს გამოიყენება, უფრო სამთავრობო სტრუქტურას გულისხმობს. თბილისის უნივერსიტეტის ერთი ფაკულტეტის საბჭომ მოითხოვა და რექტორმა აღადგინა **კათედრა**, ნაცვლად დეპარტამენტისა. ასე, რომ ეს ფაკულტეტების საბჭოების პრეროგატივაა და არა რექტორატის. თუ ფაკულტეტებიდან წამოვა წინადადებები, რექტორატი დააკმაყოფილებს.

ჩვენი ძირძველი და უმდიდრესი ქართული ეროვნული კულტურა, ჩვენი დიდი საგანმანათლებლო ტრადიციები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ არცერთ ქვეყანას არ მივსდით ბრმად, უკრიტიკოდ, ანალიზის გარეშე. ქართულმა მეცნიერულმა პედაგოგიკამ მთელ მსოფლიოს უნდა დაანახოს ჩვენი საგულისხმო მიღწევები, ეროვნულ თვითმყოფადობასა და საგანმანათლებლო მოღვაწეობაში.

ვფიქრობ, ქართული მეცნიერება თავის აწონილ სიტყვას იტყვის ქართული საგანმანათლებლო სფეროს შემდგომი ნორმალური განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, თბილისი, 2013,
2. რევაზ ბალანჩივაძე, თანამედროვე განათლების რეფორმის შექმნის მიზნები, გაზეთი, – ლიტერატურული საქართველო, 20. XII. 2013.

3. დანიელ ჯიბლაძე. უმაღლესი სკოლის ადრინდელი და მიმდინარე პრობლემები, განათლების მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციის მასალები, თბილისი, 2013.
4. მერაბ მაღრაძე. სწავლის განწყობის თავისებურებები ინტერაქტიური სწავლების პირობებში, კონფერენციის მასალები, თბილისი, 2013 .
5. ავთანდილ ასათიანი. პედაგოგიური მეცნიერება და უმაღლესი სკოლა, კონფერენციის მასალები, თბილისი, 2013.

Nani Gugunava

The scientific management problems of educational reform

Summary

The Georgian attitude towards the educational sphere should be orthodox – scientific. The Christian teaching has undergone the 20 century way, the Academies of Ikalto and Gelati, the Institute of Ghkondideli were established during this period. According to this origin of our national education comes from the Georgian academies, their contribution is important not only in Georgian educational sphere but also in the educational sphere of the whole world.

Our huge educational traditions give us opportunity not to the other countries blindly, without critic and analysis. The Georgian scientific pedagogics has shown to the world the achievements in self-survival and educational activities.

კონსტანტინე ღლონტი

**შრომის სოციოლოგიის ზოგიერთი ასპექტი
ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის
წარმომადგენლებთან**

შრომის, როგორც დიდი სოციალური მოვლენისა და ღირსების საქმედ აღიარების ტენდენცია თანდათან იკიდებდა ფეხს ახალ დროში. ამას სენ-სიმონის აზროვნების ყოვლისმომცველობა და, საერთოდ, აზროვნებაში მომხდარი დიდი პროგრესი განაპირობებდა. სენ-სიმონის მიხედვით ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ძალთა ერთობლიობა, მისი ინტელექტუალური და ემოციური საწყისები რომლებიც ყოველთვის სავალდებულო ხასიათს იძენს, კეთილშობილების უმაგალითო წყაროდ იქცევა, მაგრამ როცა შრომის მიხედვით განაწილებას შეუძლებელს ხდის ექსპლუატაციის, ანუ სხვისი შრომის ნაყოფის მითვისების არსებობა, რომელიც დღეს აშკარად ბარბაროსულ ხასიათს იღებს, ყოველგვარი ბუნებრივი კანონი დარღვეულია.

სენ-სიმონის, ფურიესა და ოუენის შრომები, შრომითი გარემოს ადამიანის ბუნებასთან შესაბამისობის თეორიასთან ერთად, ახალი ეტაპი იყო შრომის სოციოლოგიაში. და მაინც, აღნიშნული საკითხი, რომელსაც თანდათან დიდი ყურადღება ეთმობოდა, მეცნიერულად დასაბუთებულ სახეს კლასიკური ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა შეხედულებებში იღებს, რომელთა მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად მარქსს უადრესად პოზიტიური შეხედულება ჰქონდა¹.

¹ კლასიკური ეკონომიკური თეორია სამრეწველო ბურჟუაზიის ეპოქის პირმოა, რომელსაც ფეოდალური გარმონაშთებისაგან დასაცავად ჯერ კიდევ მხარს უჭერდა პროლეტარიატი (სილაგაძე, 2001: 21). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკური ეკონომიკური თეორიის ანუ პოლიტიკური ეკონომიის დამოუკიდებელი კურსის კითხვა ედინბურგის (შოტლანდია) უნივერსიტეტში დაიწყო ა. სმიტის მეგობარმა **დაგალდ სტიუარტმა**, ხოლო ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ შემოიღო ფრანგმა ანტუან მონტეკრიენმა თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი (1615)“ (სილაგაძე, 2001: 22).

მარქსმა თავის შრომაში „ფილოსოფიის სილატაკე“ (1847) ტერმინი „კლასიკური“ აშკარად გამოყო ეკონომიკური თეორიების მანამდე არსებული სკოლებიდან და ამით ხაზი გაუსვა კლასიკური ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის საყოველთაო აღიარების ფაქტს (მარქსი, 1938:1430).

პოლიტიკური ეკონომიის კლასიკურ პერიოდს წინ უსწრებდა სამი ძირითადი მიმართულება: ფილოსოფიურ-პოლიტიკური აზროვნება, ინგლისური ეკონომიკური აზროვნების პროგრესი და ფრანგული ფიზიოკრატიული სისტემა. წარსული აზროვნების ყველა ელემენტის სინთეზით შექმნილმა პოლიტიკურმა ფილოსოფიამ კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვება რეალობად აქცია.

მე-17 საუკუნეში, ინგლისში, შიდა მრეწველობის შემზღუდავი რეგულატორები გაუქმდა, იგი საგარეო ურთიერთობის სფეროსაც შეეხო, ხოლო კონკურენციული ბრძოლა უკვე ეკონომიკური ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროში შეიჭრა.

ცნობილია, რომ თანამედროვე მრეწველობის თავისებური სტრუქტურა მე-18 საუკუნის დასაწყისში (სამრეწველო რევოლუციის პერიოდი) უკვე ფორმირდება, შესაბამისად საზოგადოების ოპოზიციური აზრი წარმოების გაფართოებას აუცილებლად თვლის და ხელისუფლებას აიძულებს უფრო ღრმად და რეალურად იფიქროს ამ საკითხზე. წარმოების ორგანიზაციის ცვლილებასთან ერთად ქარხნული სისტემა წარმოების საფუძველი გახდა და წარმოების კონცენტრაციის იმპულსად მოვევლინა ევროპას.

დაქირავებული შრომა ახლა უფრო ფართო მასშტაბს ღებულობს. სამრეწველო კაპიტალიზმი და მანუფაქტურის კომპლექსური განვითარება ახალი მოძრაობის მაუწყებელია. სამრეწველო კაპიტალიზმის საწყის ეტაპზე პრინციპი „ეკონომიკა მაღალი ანაზღაურებით“ ჯერ კიდევ მოკრძალებული ხასიათს ატარებს.

ეკონომიკური აზროვნება მალე გამოეხმაურა მიმდინარე ცვლილებებს. ეკონომიკური კატეგორიების კვლევა ამ ცვლილებების გარდაუვალობით გახდა განპირობებული. ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, უილიამ პეტი (1623–1687) ამ საქმის ინიციატორია. მან დიდი წვლილი შეიტანა ინგლისის (და საერთოდ) სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა კვლევის სფეროში.

სოციალური სინამდვილის ფაქტებისა და მოვლენებისადმი დიდი ინტერესი აშკარად ჩანს მის მრავალრიცხოვან შრომებში („ტრაქტატი მოსაკრებლებისა და გადასახადების შესახებ – 1662“; „სიტყვა ბრძენებს – 1665“; „ირლანდიის პოლიტიკური ანატომია – 1672“; „ზოგი რამ ფულის შესახებ – 1682“; „პოლიტიკური არითმეტიკა“ (სტატისტიკა) და სხვ.), რომლებიც ფართოდაა აღიარებული სამეცნიერო სფეროში.

პეტი კატეგორიულად მოითხოვდა უმუშევართათვის სახელმწიფო სახსრების გამოყოფას, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო მოკლებულნი იყვნენ შრომის პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას. ამავე დროს, უმუშევრობა, მისი აზრით, უარყოფითი მოვლენაა არა მხოლოდ მუშის პირადი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების,

არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების შესაბამისად.

პეტი იცავს ინდივიდის საკუთრებას, მაგრამ სავალდებულოდ მიაჩნია მისი აქტიური მონაწილეობა სახელმწიფო დანახარჯებში, მის მიერ შეტანილი წვლილის შესაბამისად. მისი აზრით მოსახლეობის გადასახადები უსამართლობას ემყარება და არ გამომდინარეობს სიმდიდრის განაწილების კანონიერი პრინციპებიდან.

პეტის წარმოება სიმდიდრის (მატერიალური დოვლათის) შექმნის უპირველეს საფუძვლად მიაჩნია. წარმოება ისტორიულად საზოგადოებრივი პროცესია, უამისოდ იგი თავის მნიშვნელობას ჰკარგავს. ბუნებრივია პეტი მეწარმის ინტერესებს იცავს, მაგრამ იძულებულია ანგარიში გაუწიოს მეორე მხარეს – იმას, ვინც, ამ შემთხვევაში, უპირისპირდება კერძო მწარმოებელს, მაგრამ საკუთარი უმწეო მდგომარეობის გამო იძულებულია დაექირავოს მას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პეტის მოსაზრებას დაქირავებული მუშის შრომის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მისი ოჯახის **საარსებო მინიმუმით** უზრუნველყოფის გარანტია უნდა იყოს. პეტიმ ხელფასი სიცოცხლისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა მინიმუმით განსაზღვრა. ეს მისი აზრით, სავალდებულო ეკონომიკური კანონია, რომელმაც უნდა უზრუნველყოფს მუშის არსებობა არა მხოლოდ აწმყოში, არამედ მომავალშიც. ამით პეტიმ ქედი მოუხარა როგორც სამუშაო ძალის გამქირავებელს ისე **დამქირავებელს**, რომლის ინტერესების დასაცავად მას არაფერი არ შეუძლია.

პეტის შრომითი ღირებულების თეორიას სამეცნიერო სფეროში ფართო აღიარება ჰქონდა. მან მოგვცა ღრმააზროვანი ეკონომიკური ფორმულა – „შრომა სიმდიდრის მამაა, ხოლო მიწა დედაა მისი“ და ამით შთამომავლობას დაუტოვა ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული პროცესის მისეული საინტერესო გაგება.

აღამ სმითმა (1723–1790) ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. მისი „**მორალური სენტენციის თეორიის**“ კურსი ფაქტობრივად სოციალური და პოლიტიკური ცოდნის სინთეზი იყო. ეკონომიკურ და საერთოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთიანობის აუცილებლობა ნათლად ჩანს მის „გამოკვლევაში ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776), რომელიც მარტო პოლიტიკური ეკონომია არაა, მასში მოცემული დებულებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. ეკონომიკური თეორიის ზოგადობა სმითისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და იგი კატეგორიულად ილაშქრებს მისი დარგობრივი ეკონომიკის დონემდე დაყვანის ცდების წინააღმდეგ.

სმითმა დაასაბუთა, რომ ეკონომიკური მეცნიერების სისტემის საფუძველი ერთიანი ეკონომიკური თეორია ანუ პოლიტიკური ეკონომიაა. იგი მტკიცედ იცავდა ეკონომიკურ ცოდნათა შორის მიზეზობრივი კავშირ-

რის აუცილებლობას. სმითმა უდიდესი როლი ითამაშა სამრეწველო რევოლუციის გამარჯვების პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში, რაც სამრეწველო გადატრიალების საფუძველი გახდა ინგლისსა და მთელს ევროპაში.

სმითი თავის უმთავრეს ნაშრომში „ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საზოგადოებრივი შრომის დანაწილებას, როგორც წარმოების (და საერთოდ) ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ამადლების საფუძველს. ეს უკანასკნელი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამადლების, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების და სოციალური გარემოს პროგრესის ხელშემწყობი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

უნდა აღინიშნოს, რომ წინამორბედი თაობის ცდების მიუხედავად შრომის დანაწილების უზოგადესი კატეგორიები პირველად სმითმა ჩამოაყალიბა. ამას კაპიტალიზმის სიმწიფის ხანამაც შეუწყო ხელი. სმითმა დაასაბუთა, რომ სამრეწველო შრომაში იმანენტურად იყო მოცემული შრომის საყოველთაო ზოგადობა და ამით განუზომლად გაამდიდრა ეკონომიკური თეორია.

კმარქსი დიდად აფასებდა სმითის გამოკვლევებს და ხაზს უსვამდა მის უმაგალითო ოსტატობას შრომის დანაწილების ანალიზის საქმეში (Маркович Д., 1988:130).

სმითმა შრომის დანაწილების განვითარებისა და ეკონომიკური თავისუფლების ერთობ **ორიგინალური** მოსაზრებებით საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური ცოდნის დიფერენციაციას, როგორც ახალი დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინების წარმოშობის საინტერესო იდეას. იგი მიუახლოვდა საარსებო საშუალებათა მინიმუმის თანმიმდევრულ გაგებას, რომელიც არ **თავსდება** მარტო ეკონომიკურ ჩარჩოებში და სოციალურ საჭიროებათა ფართო სპექტრს გულისხმობს. მისი აზრით შრომის ანაზღაურების მინიმუმი საკმარისი უნდა იყოს თითოეული მუშის თავის სარჩენად, უმეტეს შემთხვევაში საკმარისზეც მეტიც კი, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შთამომავლობა ამოწყდება, მოდგმის გამრავლება შეუძლებელი გახდება, ხოლო ქვეყანა წავა კატასტროფის გზით (სმითი, 1938: 80–93).

სმითმა იწინასწარმეტყველა სამრეწველო შრომის ყოველი შრომის ნაირსახეობად გადაქცევის აუცილებლობა. ამ გენიალურ მიხედვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური თეორიის ყველაზე პრინციპული საკითხების გარკვევისათვის.

ა. სმითმა ეკონომიკურ თეორიაში შემოიტანა ეკონომიკური ადამიანის („ჰომო ეკონომიკუს“) ცნება, სადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს **„გონიერებით დაჯილდოებული ადამიანის“ თვისებებს**. ეს თვისებები სამეურნეო საქმიანობაში მუდავნდება. ისინი ობიექტური ხასიათისაა და სავსებით შეესაბამება სოციალური მოვლენების დიალექტიკური გზით გადაწყვეტის მოთხოვნებს.

მიუთითებენ სმითის წინასწარხედვაზე, კერძოდ, ეროვნული მუშის თანდათანობით მსოფლიო მუშად გადაქცევის პროცესთან დაკავშირებით, რაც ინტენსიურად მიმდინარე თანამედროვე გლობალური ეკონომიკური ურთიერთობის რეალურობითაა დადასტურებული (გ.თოდუა, 2004:556).

შრომის სოციოლოგიის პრობლემები სათანადო ადგილს იჭერს დავიდ რიკარდოს (1772–1823) ეკონომიკურ შეხედულებებში, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც იგი ა. სმითის განთქმულ ნაშრომს „ხალხთა სიმდიდრეს“ გაეცნო.

„პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლებში“ (1817), რომელმაც რიკარდოს სამეცნიერო სამყაროში გაუთქვა სახელი, სოციალური შემოსავლებისა და მისი განაწილების საკითხებმა, როგორც **მთავარმა ეკონომიკურმა პრობლემამ**, განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. აქვე, მან მოგვცა ადამიანთა შორის ეკონომიკური ურთიერთობებით განპირობებული კანონების ბუნების საკითხების ღრმა მეცნიერული ანალიზი და განაწილების სოციალურ-ეკონომიკური თეორიის ახალი მიმართულების შექმნაც დაისახა მიზნად. რიკარდომ ყურადღება მიაქცია საქონლის საწყისი და ნორმალური (ბუნებრივი) ფასის ურთიერთობის დამახასიათებელ მომენტებს და გამოთქვა აზრი: ასეთი ფასის დადგენა შესაძლებელი მხოლოდ მაშინაა, როცა მისი განსაზღვრა სამუშაოთა შესრულების აღრიცხვის მიხედვით ხდება (რიკარდო, 1937:226; ა. სილაგაძე, 2001:92). ეს დებულება დახარჯული შრომის რაოდენობის მიხედვით საქონლის ღირებულების განსაზღვრას უახლოვდება, რაც მას ნაწილობრივ შესაძლებლად მიაჩნდა.

ყურადღებას იქცევს რიკარდოს მსჯელობა **გასამრჯელოსთან** დაკავშირებით. ამ საკითხის სოციალურ ჭრილში განხილვა ადასტურებს „მაძლარი ადამიანების“ მიერ ჩადენილი უღირსი საქციელის მრავალ ფაქტს, რომელსაც ჩაგრულთა ძარცვით გამდიდრებული ბურჟუაზია ყურადღებას არ აქცევდა და არც ფაქტის აღიარება შეელოდა რაიმეს სიღატაკისა და გაჭირვების მოსასპობად.

რიკარდოს მიაჩნდა, რომ ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საკმარისია იმ ქვეყანაში, სადაც „ცხოვრება იაფია“. მაგრამ ცხოვრების არაერთგვაროვანი დონით გამოწვეული წინააღმდეგობანი სოციალურ ფენებსა და კლასებს შორის აშკარა დაპირისპირებას იწვევს. რიკარდო გრძნობს ამ დაპირისპირების მოსალოდნელ შედეგებს და შეუძლებელიცაა ეს ასე არ ყოფილიყო.

რიკარდოს შრომითი ღირებულების თეორია საკამათო პრობლემად დარჩა პოლიტიკურ ეკონომიაში. შრომის ორად ხასიათსა და ზედმეტ ღირებულებაში სათანადოდ გაურკვეველობამ ბევრი რამ დააკლო სოციალურ ეკონომიკურ პრობლემებზე გამოთქმულ მის დასაბუთებულ მოსაზრებებს.

ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი: სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ჰეგელის (1770–1830) შრომის ფილოსოფიისაკენ მიმავალი გზაა. ჰეგელისათვის მოქმედება, ანუ შრომა, **თვითშემეცნებაზე** გადასვლის საშუალებაა. ე.ი. შრომის პროცესში შემეცნება იქცევა თვითშემეცნებად, ანუ – ადამიანი ადამიანად. აქ კონკრეტდება აზრი იმის შესახებ, რომ შრომა მოიცავს მთელ ადამიანურ მოქმედებას, ადამიანის აქტივობის ყველა მხარეს და ა.შ. აქედან ნათლად ჩანს, რომ შრომის ასეთ, ღრმა ფილოსოფიურ გააზრებას საფუძველი მისცა ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა შეხედულებებისადმი ჰეგელის დიდმა ინტერესმა.

როგორც უ. ი. პეტის, ისე ა. სმიტისა და დ. რიკარდოს შეხედულებებში შრომის სოციოლოგიის ასპექტებთან დაკავშირებული ბევრი საკითხია წინა პლანზე წამოწეული. ცხადია, აქ პირველ რიგში, იგულისხმება საზოგადოებრივ-ეკონომიკური კავშირების ის სოციალური მომენტები, რომელთა განხილვის გარეშე ეკონომიური თეორია სათანადო სისრულეს მოკლებული იქნებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ შრომის „ბუნებრივი ფასისა“ და „შრომის ბუნებრივი ღირებულების“ გარკვევას ისინი ადამიანური გარემოსათვის ნორმალური მდგომარეობის შექმნის აუცილებლობას უკავშირებენ და ამით აქცენტი არანაკლებ გადააქვთ ადამიანური ყოფის სოციალურ მომენტებზე.

სპეციალისტების აზრით, რიკარდოს პოლიტიკური ეკონომია ახალი სიმაღლის მაუწყებელია. სისმონდი მას „პოლიტიკური ეკონომიის კლასიკურ მოდელის“ უწოდებს, სხვები კი „პოლიტიკური ეკონომიის კოლუმბს“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარქსი, კარლ მარქსი, ფილოსოფიის სიდატაკე, თბ., 1938
2. მარქსი, კარლ მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953.
3. მარქსი, კარლ მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954
4. სმიტი, ადამს სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ., 1938, ტ.1.
5. რიკარდო, დავიდ რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თბ., 1937
6. Афанасьев, Афанасьев В.С. Д. Рикардо, М., 1988
7. Данило, Социология труда, М., 1988
8. თოდუა, გრიგოლ თოდუა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწილი I, თბ., 2004
9. სილაგაძე, ავთანდილ სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.

К. Глonti

**Некоторые аспекты социологии труда у представителей
английской классической политической экономии**

Р е з ю м е

Труд, как важнейшее общественное явление постепенно начинает пользоваться признанием в новом времени. Всеобъемность мышления Сен-Симона с вообще происшедшим в мышлении, наряду с появлением английской классической политической экономической теории опосредовало внесение в научный оборот вопросов социологии труда.

Актуальные моменты общественного труда находятся в тесной связи с масштабным взглядом на экономические процессы, которые в значительной степени опосредуют происхождение и развитие социологии труда в виде независимой научной дисциплины.

ტერმინების – „ტურისტის“, „ვიზიტორის“ და „დამსვენებლის“ დაზუსტებისთვის

ტურიზმთან დაკავშირებით მრავალი პრობლემური საკითხი იკვეთება, მაგრამ ვერც ერთ მათგანში ვერ ნახავთ ისეთი საკვანძო ტერმინების ზუსტ მეცნიერულ დეფინიციას როგორიცაა – „ტურისტი“, „ვიზიტორი“ და „დამსვენებელი“. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით წარმოვაჩინოთ ჩვენი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით. ოფიციალურ „ოპონენტად“ „ავირჩიეთ“ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და მათი პოზიცია.

დეპარტამენტის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი შემდეგნაირია: დეპარტამენტის მიერ არ ხდება „ტურისტების“ და „ვიზიტორების“ დიფერენცირებულად აღრიცხვა, რადგან არსებული კანონმდებლობით, ყველა ის ფიზიკური პირი, ვინც ჩვენს რეგიონში იმყოფება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, დასვენების, საქმიანი თუ სხვა მიზნით, ვადით არანაკლებ 24 საათისა და არა უმეტეს 1 წლისა, წარმოადგენს ტურისტს“. ჩვენი აზრით, არ შეიძლება „ტურისტის“ სტატუსი თანაბრად მიენიჭოთ იმ პირებს, რომლებიც 1 დღით იმყოფებიან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და იმათ, ვინც 1 წლის განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოში. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანები 1 წლით იყვნენ წასული სხვა ქვეყანაში (ქვეყნებში) სამოგზაუროდ ან დასვენებისთვის. ასევე გაუგებარია, რატომ უნდა ჰქონდეთ „ვიზიტორის“ სტატუსი თანაბრად მინიჭებული იმ პირებს, რომლებიც 24 საათამდე (შეიძლება მხოლოდ ერთი საათითაც კი) დროით იმყოფებიან ჩვენს ტერიტორიაზე და იმათაც, ვისაც 1 წელიწადზე მეტი ხნით უწევს ჩვენთან ყოფნა. ასეთი ვითარების კლასიკური მაგალითია ის შემთხვევები, როცა თურქეთის მოქალაქეები ბათუმში რამდენიმე საათით ჩამოდიან სამორინეში სათამაშოდ და თამაშის შეწყვეტის შემდეგ სამშობლოში უკან ბრუნდებიან.

ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნება, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულთა დიფერენცირება მოხდეს შემდეგი პრინციპით: ა) ჩამოსვლის მიზნის მიხედვით: თუ ადამიანი ჩამოვიდა უცხოეთიდან მხოლოდ დასვენებისა და გართობის მიზნით, უმჯობესია მას, აქ ყოფნის ვადის მიუხედავად, მივანიჭოთ „ტურისტის“ სტატუსი. თუ პიროვნება საქართველოში ჩამოდის არა დასვენებისა და გართობისთვის, არამედ ბიზნესისა და სხვა საქმიანობისთვის, უპრიანი იქნება ასეთ პირებს „ვიზიტორის“ სტატუსი მივანიჭოთ. ასეთი ვითარების საილუსტრაციოდ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მაგ. თურქეთიდან ბევრი ბიზნესმენი ბათუმში ხშირად 1 დღით ან რამდენიმე საათითაც კი შემოდის, ხოლო ჩინელი და ინდოელი ბიზ-

ნესმენები დიდი ხნით იმყოფებიან ჩვენს ტერიტორიაზე (ასეთი ვითარება მეტწილად ამ ქვეყნების სიშორით აიხსნება).

ბ) იმის გასარკვევად, თუ რომელი სტატუსი შეიძლება მივანიჭოთ უცხოელ მოქალაქეს, გარკვეულ კრიტერიუმად შეიძლება გამოდგეს ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა წლის განმავლობაში საზღვრის გადმოკვეთის სიხშირე. ალბათობის დიდი ხარისხით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი, რომელიც წლის განმავლობაში რამდენჯერმე შემოვა საქართველოში გარკვეული საქმიანობის განსახორციელებლად და შემდეგ ისევ დაბრუნდება თავის სამშობლოში, უფრო „ვიზიტორია“, ვიდრე „ტურისტია“. ასევე, თუ პიროვნება წელიწადში ერთხელ შემოვა საქართველოში დროის გარკვეული ხანგრძლივობით (დაუშვათ 1 კვირიდან 1 თვემდე) და ის აქ არავითარ საქმიანობას არ ეწევა, ის უფრო მეტად „ტურისტი“, ვიდრე „ვიზიტორი“.

ჩვენ, რასაკვირველია, ვუშვებთ გამონაკლისის არსებობასაც, მაგრამ ვფიქრობთ, რომ თითქმის წარმოუდგენელია ადამიანი საქართველოში მთელი წლით იყოს ჩამოსული მხოლოდ გართობისა და დასვენების მიზნით, ან ჩამოვიდეს დასასვენებლად მხოლოდ 2 დღით.

იმისთვის, რომ მოვახდინოთ „ტურისტებისა“ და „ვიზიტორების“ დიფერენცირება, ერთ-ერთ კრიტერიუმად, ჩვენი აზრით, შეიძლება მივიჩნიოთ უცხოელების შემოსვლის პერიოდი. მაგ. თუ პიროვნება შავიზღვისპირეთში (მაგ. ბათუმში) საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა იანვარში, გაცილებით მეტი შანსი არსებობს იმისა, რომ ეს ადამიანი აქ დასასვენებლად არ ჩამოსულა და ის უფრო „ვიზიტორია“, ვიდრე „ტურისტი“.

საბოლოო ჯამში ჩვენ შესაძლებლად ვთვლით, „ტურისტისა“ და „ვიზიტორის“ სტატუსის დიფერენცირება მოხდეს ჩამოსვლის მიზანთან კავშირში და არა ჩამოსულთა აქ გატარებული დროის ხანგრძლივობის მიხედვით. ე.ი. ჩამოსვლის მიზნის დადგენა დაგვეხმარება ზუსტად მაღალი დონით გავარკვიოთ უცხოელების სტატუსი საქართველოში.

ჩვენი აზრით, „ტურისტებად“ და „ვიზიტორებად“ მხოლოდ იმათი კვალიფიცირება შეიძლება, ვინც უცხოეთიდან ჩამოვიდა საქართველოში. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, მათი ასეთი კვალიფიცირება ქვეყნის შიგნით გადაადგილებასთან დაკავშირებით „ტურისტებად“ და „ვიზიტორებად“ არ მიგვაჩნია მართებული. ასეთი ადამიანები არც „ტურისტებად“ შეიძლება იქნან მიჩნეულნი და არც „ვიზიტორებად“. მათი კვალიფიკაცია შეუძლებელია. არ შეიძლება საქართველოს მოქალაქეს მივანიჭოთ შიდა „ტურისტის“, შიდა „ვიზიტორის“ სტატუსი. საქართველოს მრავალი მოქალაქე ყოველდღიურად, სხვადასხვა მიზნით, მრავალჯერ გადაადგილება (მაგ. მიდის სხვა დასახლებულ პუნქტში ნათესავების მოსანახულებლად, სოფლიდან ჩადის ქალაქში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაყიდად და ა.შ.). ეს კი არ შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ მათ მიეცეთ რაიმე სახის სტატუსი. ქვეყნის შიგნით გადაადგილე-

ბუღალტრებს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ენიჭებათ არანაირი სტატუსი და არ შეიძლება საქართველოც ამ მხრივ გამონაკლისი იყოს. იმულებით ადგილმონაცვლის სტატუსი ქვეყნის შიგნით შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ იმ პირებს, ვინც გარკვეული სოციალური კატაკლიზმის მსხვერპლი გახდა. (მაგ. ასეთი სტატუსი აქვთ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გამოძევებულ საქართველოს მოქალაქეებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც ერთი დასახლებული პუნქტიდან გადაადგილდებიან მეორეში, არ უნდა მიენიჭოთ არანაირი სტატუსი გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ ის მოქალაქეები, რომლებიც გარკვეული ვადით დასვენების მიზნით მიემგზავრებიან სხვა დასახლებულ პუნქტში. მათ შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ „დამსვენებლის“ სტატუსი. სტატუსი „ტურისტი“ შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ იმ უცხოელების მიმართ, რომლებიც საზღვარგარეთიდან ჩამოდიან ჩვენთან დასვენებისა და გართობის მიზნით, ხოლო „ვიზიტორი“ იმათ მიმართ, ვინც საქართველოში ბიზნესითა და სხვა საქმიანობით არის დაკავებული.

რადგან დასმული საკითხი ბოლომდე შესწავლილი არ არის და დისკუსიის საგანს წარმოადგენს. ჩვენც მასზე კატეგორიული მსჯელობისაგან თავს ვიკავებთ. თუმცა ვიტოვებთ უფლებას და საკითხიც მსჯელობისა და განხილვის საგნად გამოგვაქვს. იმედია დაინტერესებული პირები და უწყებები (მაგ. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი) გაითვალისწინებენ სტატიაში წამოჭრილ პრობლემებს და სწორად გაერკვევიან „ტურისტის“, „ვიზიტორის“, „დამსვენებლის“ სტატუსის ცნებაში.

Nugzar Chkhaidze

**On the more precise definition of the terms “a tourist”,
“a visitor”, “a holidaymaker**

Summary

As regards tourist industry we might say that for the present there are no rigorous scientific definitions for the most important terms such as “a tourist”, “a visitor”, “a holidaymaker”. In our opinion they can't be regarded to be identical. Introducing clarity into above mentioned terms give us possibility to differentiate those ones who visit our city as tourists from those ones who drop in Batumi for some hours to gamble in casino. The differentiation of newcomers at the resort gives potential for more effective programming in tourist sector.

ო. თურმანიძე

სახელმწიფო მეურნეობების მშენებლობა აჭარაში (1921–1940 წწ)

სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო საწარმოები ცარიშმის დროსაც არსებობდა. მაგალითად, 1917 წლამდე ბათუმის ოლქში სახელმწიფოს საკუთრება იყო ბოტანიკური ბაღი (მწვანე კონცხი), ციტრუსების სანერგე (ბათუმის ოკრუგი, სოფელი ახალშენი) და ზეთისხილის სანერგე (ართვინის ოკრუგი, სოფელი ღომაშენი). 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩაქვის საუფლისწულო მამული სახელმწიფო საკუთრებად გამოცხდდა. აჭარის გასაბჭოების შემდეგ განხორციელდა მოახალშენეთა კაპიტალისტური მეურნეობების ნაციონალიზაცია. 1921 წელს სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა კ. პოპოვის მეურნეობა. 1925 წლისათვის აჭარაში ნაციონალიზებული იყო 168 მოახალშენეთა მეურნეობა, რომელთა ბაზაზე სახელმწიფო საწარმოები შეიქმნა. მაშინ ამ საწარმოებს საბჭოთა მეურნეობები ეწოდებოდა და ეს სახელწოდება ბოლომდე შემორჩა.

XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარაში შეიქმნა ჩაისა და სუბტროპიკული მეხილეობის, მებოსტნეობისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები, ხეხილის სახელმწიფო სანერგეები. წამყვანი იყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობები. 1922-1923 წლებში მოახალშენეთა მამულების ნაციონალიზაციის ბაზაზე 5 საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. №1 საბჭოთა მეურნეობა მოეწყო ფერიაში, ფეიზიასა და სოუქსუზე. თავდაპირველად №1 საბჭოთა მეურნეობას გადაეცა მოახალშენე რედკოს მამული, რომელიც 17 დესეტინას შეადგენდა. მომდევნო წელს სხვა კონფისკაციაქმნილი მამულები გადაეცა და 1924 წლისათვის №1 საბჭოთა მეურნეობის ფართობი 120 დესეტინამდე გაიზარდა. მეურნეობის მთავარი დარგები იყო ჩაის კულტურა და ციტრუსები.

№2 საბჭოთა მეურნეობა მოეწყო სოფელ ბარცხანაში მოახალშენე ზვერევის ყოფილ მამულში, რომელიც 6 დესეტინას შეადგენდა. მეურნეობაში გაშენებული იყო ჩაის კულტურა (4 დესეტინა), ყვავილები და ციტრუსები (150 ძირი) და სხვა. მოგვიანებით №2 საბჭოთა მეურნეობა სალიბაურის (ყოფილი კ. პოპოვის) მეურნეობასთან გაერთიანდა. ახლომდებარე სხვა მამულების შეერთების შედეგად სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის ფართობი 477 დესეტინამდე გაიზარდა. №3 საბჭოთა მეურნეობა

თამარის დასახლებაზე მდებარეობდა, რომელიც 18 დესეტიანს შეადგენდა. 1924 წელს მისი ფართობი 29 დესეტიანს უდრიდა. №4 საბჭოთა მეურნეობა სოფელ ბუკნარში შეიქმნა, რომელსაც თავდაპირველად ეკავა 14 დესეტიანა, ხოლო 1924 წელს 60 დესეტიანს შეადგენდა. №5 საბჭოთა მეურნეობა 1923 წელს შეიქმნა, რომელიც მომდევნო წელს სალიბაურის საბჭოთა მეურნეობას შეუერთდა (აცსა, ფ.რ-2, ან.1, ს. 90, ფურც. 3; ს. 199, ფურც. 481-482).

ციხისძირის საბჭოთა მეურნეობა დაარსდა 1924 წელს მოახალშენეთა ნაციონალიზაციაქმნილი მამულების ბაზაზე. 1941 წლის დასაწყისში მეურნეობის კულტივირებული ფართობი 361 ჰექტარს შეადგენდა. აქედან ციტრუსოვანთა ნარგავებს ეკავათ 208 ჰექტარი, ჩაის პლანტაციას-18, სანერგეს-33, სხვადასხვა სახეობის ხეილს-58, ბამბუკს-33. დანარჩენ ტერიტორიაზე სხვა მცენარეები ხარობდა. მართალია, ციხისძირის საბჭოთა მეურნეობას მცირე ფართობი ჰქონდა, მაგრამ რენტაბელური იყო და სახელმწიფოს მნიშვნელოვან მოგებას აძლევდა. 1936-1940 წლებში მეურნეობაში ციტრუსოვანთა კულტურების მოსავალი 5558 ათასი ცალიდან 17582 ათას ცალამდე (3,2-ჯერ) გაიზარდა. 1940 წელს მოიწიეს 65 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი და საჰექტრო მოსავალი 4500 კგ-ს მიაღწია. თვალსაჩინო მიღწევისათვის ციხისძირის საბჭოთა მეურნეობა 1940 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა დააჯილდოვა მეორე ხარისხის დიპლომით, 5000 მანეთით და მოტოციკლით (საბჭოთა აჭარა, 2 თებერვალი, 1941).

1928 წლის 15 ივნისამდე საბჭოთა მეურნეობები აერთიანებდა 35 ნაციონალიზაციაქმნილ მამულს. 15 ივლისის შემდეგ, როდესაც კონფისკაციაქმნილი მამულების იჯარით გაცემა აიკრძალა, საბჭოთა მეურნეობები აერთიანებდა 133 ნაციონალიზაციაქმნილ მამულს. 30-იან წლებში წვრილი საბჭოთა მეურნეობების კონცენტრაცია განხორციელდა. ამის შემდეგ ისინი გაერთიანდნენ ახლომდებარე სახელმწიფო მეურნეობებთან.

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისა და სახელმწიფოებრივი მართვის მიზნით აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან 1925 წელს შეიქმნა სპეციალური სამმართველო, რომელიც მოგვიანებით ტრესტად გარდაიქმნა და XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე ფუნქციონირებდა. მის დაქვემდებარებაში იყო სუბტროპიკული კულტურების, მებოსტნეობის, მეცხოველეობის, მეფრინველეობის, გერანის კულტურის, მეთამბაქოების საბჭოთა მეურნეობები, საცდელ-საჩვენებელი ფერმები, სანერგეები და სხვა.

კოლმეურნეობებისაგან განსხვავებით, საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას სახელმწიფო აფინანსებდა, მაგრამ მაშინ ფინანსები არასაკმარისი იყო და ძირითადი სამუშაოები გლეხების მობილიზაციით სრულდებოდა. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისა და მატერიალური წარმოების დროს გამოიყენებოდა სამი კატეგორიის მუშახელი: მუდმივი, სე-

ზონური და დღიური. მუდმივი მუშახელი მეურნეობის შტატში ირიცხებოდა, მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა და ყოველთვიურად ჯამაგირს იღებდა. სეზონური მუშახელი გაზაფხულიდან შემოდგომამდე, ხოლო დღიური მომუშავეები მობილიზებული იყო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს. სეზონურ და დღიურ მუშახელზე მოთხოვნილება მაღალი იყო და აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანოები დიდი ძალისხმევით ახერხებდნენ მათ მობილიზებას. 1928-29 სამეურნეო წელს აჭარის საბჭოთა მეურნეობებში 54 ათასი სეზონური მუშა მუშაობდა, ხოლო 1930 წელს-86 ათასი (ბსისმკა, 1980:428).

1930 წელს ბათუმის შემოგარენში მებოსტნეობის ორი საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. ერთი დაარსდა სოფელ ურეხში, რომელიც ეკუთვნოდა სუბტროპიკული კულტურების მუშათა კოოპერაცივს. მისი ფართობი 90 დესეტინას შეადგენდა. მეორე საბჭოთა მეურნეობა მოეწყო კახაბერში, ურეხსა და ჭოროხისპირას, რომლის ფართობი 53 დესეტინას უდრიდა. ურეხში ძირითადად ნერგები გამოჰყავდათ როგორც ღია ცის ქვეშ, ისე საამისოდ მოწყობილ სათბურებში.

ადგილზე მეურნეობის ხელმძღვანელობას ღირეჟცია ახორციელებდა, რომელსაც შესაბამისი აპარატი გააჩნდა. ძირითად სამუშაოებს სეზონური და დღიური მუშები ასრულებდნენ. სეზონურად მომუშავეებს ქირაობდა კოლმეურნეობებთან წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე: 1932 წელს კოლმეურნეობებს უნდა გაეგზავნათ 168 მუშახელი. მათი მოზიდვა გაძნელებული იყო, რადგან მეურნეობაში არანორმალური პირობები არსებობდა. ამიტომ მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა მუშახელით უზრუნველყოფილი იყო 70%-ით (ბსისმკა, 1980: 398, 428, 477, 500–501). მოგვიანებით მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობები ახლომდებარე სუბტროპიკული კულტურების საწარმოებთან გაერთიანდა, სადაც დარგის განვითარებას საჭირო ყურდღებ არ ექცეოდა. ცხადია, მებოსტნეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის გაუქმება მცდარი გადაწყვეტილება იყო, რადგან ქ. ბათუმის მოსახლეობა მთლიანად დამოკიდებული გახდა აგრარულ ბაზარზე, რომელიც ნორმალურად ვერ მარაგდებოდა.

1930 წელს ხულოს რაიონში დაარსდა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, რომლის მიზანს შეადგენდა კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეებისათვის დახმარების აღმოჩენა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. 1935 წელს საბჭოთა მეურნეობაში იყო 71 სული პირუტყვი, მათ შორის 40 ფური, 10 მოზარდი, 4 მწარმოებელი ბუღა და 11 ხბო. 1936 წლის დასაწყისში პირუტყვის სულადობა 106-მდე გაიზარდა. მეურნეობაში დასაქმებული იყო 8 კაცი (პირუტყვის მომვლელები, მწველავეები, რძის მიმღები და გადამამუშავებელი). 1937 წელს ხულოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა გაუქმდა და პირუტყვი გადაეცა დიოკნისის კოლმეურნეობას (საბჭოთა აჭარისტანი, 10 იანვარი, 1936; 27 დეკემბერი, 1937). აჭარაში შეიქმნა აგრეთვე მერძეობისა

და მეფრინველეობის საჩვენებელი ფერმები. 1931 წელს გონიოში დაარსდა მეთამბაქოების საბჭოთა მეურნეობა, რომელიც მცირე ხანს არსებობდა. იგი ეკუთვნოდათ აქ დისლოცირებულ მესაზღვრეებს. ქობულეთში მოეწყო გერანის და მებაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობები.

საქართველოში ახალი ეტაპი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში XX ს-ის 30-იან წლებში დაიწყო. 1929 წლის 21-22 დეკემბერს საქართველოს მთავრობის სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა დასავლეთ საქართველოში ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის პროგრამა. ამ პროგრამის თანახმად აჭარაში 1930-1933 წლებში დაარსდა ოჩხამურის, ჯიხანჯურის, მახინჯაურის, კოხის, ალამბრის, გონიოს, მუხაესტატეს, კვირიკეს, ახალშენის, მახვილაურის (ბათუმის), თხილნარის საბჭოთა მეურნეობები. ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობასთან ერთად ადგილი ჰქონდა ზოგიერთი მათგანის გაერთიანებას თუ გაუქმებას. 1931 წელს აჭარაში აღირიცხა 15 საბჭოთა მეურნეობა, 1934 წელს 27, 1937 წელს-22, ხოლო 1939-1940 წლებში-20 საბჭოთა მეურნეობა (ბსმსრდა, 1986: 229).

მართალია, სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობები მრავალდარგოვანი იყო, მაგრამ მათი სპეციალიზაცია განხორციელდა ჩაის, ციტრუსებისა და ტუნგის მიმართულებით. მეჩაიეობაში სპეციალიზებული იყო ჩაქვის, სალიბაურისა და ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობები. სუბტროპიკულ მეხილეობაში ციხისძირის, მახინჯაურის, მუხაესტატეს, თხილნარის, გონიოს, ახალშენის, მახვილაურის, კვირიკეს, ალამბრის საბჭოთა მეურნეობები. ტუნგის წარმოებაში სპეციალიზებული იყო ჯიხანჯურისა და კოხის საბჭოთა მეურნეობები. მეჩაიების საბჭოთა მეურნეობები დაუქვემდებარეს საკავშირო სააქციო საზოგადოებას („საქჩაი“), რომელიც 1925 წელს შეიქმნა ჩაქვისა და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე. მეციტრუსეების მსხვილი საბჭოთა მეურნეობები დაუქვემდებარეს საქართველოს ლიმონისა და მანდარინის ტრესტს („ლიმმანტრესტი“), რომელიც 1931 წელს შეიქმნა.

1931-1937 წლებში მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობა სპეციალიზებული იყო ეთერზეთების კულტურებზე. შემდეგ გარდაიქმნა ციტრუსების საბჭოთა მეურნეობად. 1938 წლის დასაწყისში მეურნეობაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურები გაშენებული იყო 148 ჰექტარზე. მეურნეობა იყოფოდა სამ საწარმოო უბნად და 56 ნაკვეთად. მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობას ჰქონდა საკუთარი კლუბი, სასადილო, საბავშვო ბაგა და საბავშვო ბაღი. 1937 წელს მეურნეობაში მოიწიეს 13 მილიონი ცალი მანდარინი, 105 ათასი ცალი ლიმონი, 112,2 ტონა ჩაის ფოთოლი და სხვა. მეურნეობის ფულადი შემოსავალი რამდენიმე მილიონ მანეთს უდრიდა, ხოლო მოგება 2,5 მილიონ მანეთს შეადგენდა (საბჭოთა აჭარა, 9 იანვარი, 1938).

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობები რენტაბელური იყო და ქვეყანას მნიშვნელოვან მოგებას აძლევდნენ. მათ შო-

რის გამორჩეული იყო ჩაქვის, ოჩხამურის, სალიბაურის და სხვათა საბჭოთა მეურნეობები. 1934 წელს ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის საერთო ფართობი 9000 ჰექტარს შეადგენდა. აქედან კულტივირებული იყო 1250 ჰექტარი. ჩაის კულტურას ეკავა 575 ჰექტარი, მანდარინს - 65, ბამბუკს - 100, ტუნგის - 30, სუბტროპიკულ სანერგეს - 25 ჰექტარი. XX საუკუნის 30-იან წლებში ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა მთლიანად საქართველოს ამარაგებდა ჩაის თესლით. 1934 წელს ჩაის სათესლე პლანტაციას 370 ჰექტარი ეკავა (გაზეთი “საბჭოთა აჭარისტანი“. 12 აგვისტო, 1934). საწარმოში მოეწყო მებოსტნეობის მეურნეობა, ბამბუკის სახელოსნო. მეურნეობას ჰქონდა საკუთარი საჭაპანო და საავტომობილო ტრანსპორტი. XX საუკუნის 30-იან წლებში ააგეს კლუბი, გაიხსნა სასადილო, ბავშვთა ბაგა და ბავშვთა ბაღი. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში დასაქმებული იყო ასობით ადამიანი: მუშები, აგრონომები, ტექნიკური პერსონალი, მოსამსახურენი.

XX საუკუნის 30-იან წლების ბოლოს ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მართალია, 1935-1941 წლებში ჩაის კულტურის ფართობი აღარ გაზრდილა, მაგრამ მოსავალი დიდად აღემატებოდა წინა წლების მაჩვენებლებს. 1941 წელს ციტრუსოვანი კულტურების ფართობი 210,7 ჰექტარამდე, ხოლო ტუნგისა - 84 ჰექტარამდე გაიზარდა. ჩაის ფოთლის მოსავალმა 2381,5 ტონა შეადგინა, ტუნგის - 60,2 ტონა. გარდა ამისა, მოიწიეს 13521,7 ათასი ცალი მანდარინი და 247,2 ათასი ცალი ლიმონი და ფორთოხალი, 17 ტონა ხურმა, მიიღეს 350,5 ათასი ცალი ბამბუკის ღერო.

საგრძნობ შემოსავალს იძლეოდა მეურნეობის დანარჩენი დარგები: ბამბუკის სახელოსნო, მებოსტნეობა, სანერგე, ტრანსპორტი და სხვა. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობას ჰქონდა 9 ცალი სატვირთო ავტომობილი, 25 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, 39 ცხენი და სხვა. მეურნეობაში შექმნილი იყო 11 საწარმოო განყოფილება და 47 ბრიგადა. საერთო პერსონალი 1663 კაცს ითვლიდა. მათ შორის იყო: 74 აგროტექნიკური მუშაკი, 1151 მუდმივი მუშა, 258 სეზონური მუშა, 44 მოსამსახურე და სხვა. 1941 წელს ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის შემოსავალი 12130,7 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო მოგება 5535 ათას მანეთს უდრიდა. აქედან ჩაის კულტურის შემოსავალი 4930 ათას მანეთამდე აღწევდა (აცსა, ფ.რ-265, ან. 1, ს. 228, ფურც. 116, 118, 120; ს. 230, ფურც. 12, 36, 44; გაზეთი “საბჭოთა აჭარა“, 26 ივნისი, 1939).

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ფართობის, მოსავლიანობისა და ფულადი შემოსავლით მნიშვნელოვანი საწარმო იყო ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც მოეწყო ქობულეთის რაიონის რომანოვკას რუსული ახალშენის ტერიტორიაზე. 1929 წელს მეურნეობის მშენებლობისათვის გამოიყო 250 ჰექტარი მიწა, რომელზეც გააშენეს ჩაის პლანტაციები, სუბტროპიკული ხეხილი, ბამბუკი და სხვა კულტურები. მეურნეობის ტერიტორია თანდათანობით ფართოვდებოდა. 1931 წელს

ონხამურის საბჭოთა მეურნეობის მიწის ფართობი 680, ხოლო 1933 წელს 790 ჰექტრამდე გაიზარდა. ამ დროისთვის ჩაის კულტურა გაშენებული იყო 630 ჰექტარზე, ბამბუკი-15, მანდარინი-5 ჰექტარზე. ბოსტანი მოეწყო 8 ჰექტარზე, ტექნიკურ კულტურებს ეკავა 10, ხოლო მეურნეობის ცენტრსა და კარმიდამოს-15 ჰექტარი (აცსა, პ-1, ან. 3, ს. 222, ფურც. 79).

1941 წლის დასაწყისში ონხამურის საბჭოთა მეურნეობაში კულტივირებული იყო 1260 ჰექტარი ფართობი. აქედან ჩაის პლანტაციას ეკავა 795 ჰექტარი, ციტრუსოვანთა კულტურას-13, ტუნგის - 98, ბამბუკს - 24, ეკალიპტს - 84 ჰექტარი. მეურნეობაში გაიყვანეს სადრენაჟო არსები 1147 მ. სიგრძეზე და ქარსაფარი ზოლი 43 ჰექტარზე. შვიდივე აგრორაიონში ააგეს კაპიტალური ფარდულები, სადაც წვიმიანი ამინდის დროს შეიძლებოდა თავის შეფარება. მეურნეობაში გაიხსნა დაწყებითი და საშუალო სკოლა, საავადმყოფო, აფთიაქი, 3 საბავშვო ბაგა, 2 საბავშვო ბაღი, სპორტული მოედანი, ააგეს ორსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლები, სასადილო, რადიომიმღები და რადიოგადამცემი წერტილები. ოდესღაც დაჭაობებული და უკაცრიელი ტერიტორია ბაღნარად და ქალაქის ტიპის დასახლებად იქცა, სადაც 1940 წლის დასაწყისში 3000 კაცი სახლობდა (საბჭოთა აჭარა, 15 მარტი, 1940; 30 მარტი, 1941).

მეურნეობის მშენებლობასა და კეთილმოწყობაში განსაკუთრებული იყო რიგითი ადამიანების წვლილი. ისინი იტანდნენ გაჭირვებას, შიმშილსა და სიცივეს, მაგრამ შრომას არ ღალატობდნენ. მეურნეობის მშენებლობაში მონაწილეობდა მობილიზაციით შეკრებილი სეზონური მუშახელი. აჭარაში სეზონური მუშახელის მობილიზაციასთან დაკავშირებული სიმძიმეების გამო, ამ კატეგორიის მომუშავენი ახალციხის რაიონიდან ჩამოიყვანეს, ძირითადად სომხები. 1932 წლის სექტემბრის ცნობით, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის საჭირო იყო 800 მუშახელი, ფაქტობრივად მეურნეობაში მუშაობდა 370 კაცი. იმისათვის, რომ შემოსახლებული მუშახელი ადგილზე დამკვიდრებულიყო, უზრუნველყვეს საცხოვრებელი ბინით, გამოუყვეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ხოლო პურის დღიური ნორმა 1,5 კგ-მდე გაიზარდა (აცსა, ფ. პ-1, ან. 3, ს. 12, ფურც. 21; ს. 80, ფურც. 15).

ონხამურის საბჭოთა მეურნეობა რენტაბელური იყო მას შემდეგ, როდესაც ჩაის პლანტაციები სრულმოსავლიანი გახდა. 1938 წელს მოიწიეს 1420 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ხოლო 1939 წელს – 1718,2 ტონა. მეურნეობის ფულადი შემოსავალი ჩაის კულტურიდან 1938 წელს 4417500 მანეთიდან 1939 წელს 6225.000, ხოლო 1940 წელს - 7565800 მანეთამდე გაიზარდა. ასეთი მიღწევების გამო ონხამურის საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოვებული იყო „შრომის წითელი დროშის“ ორდენით, ხოლო 1939 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა დააჯილდოვა პირველი ხარისხის დიპლომით, 10 ათასი მანეთით და მსუბუქი ავტომობილით. ტუნგის კულტურის დარგში დიდ წარმატებებს მიაღწია ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობამ. 1940

წელს აქ ტუნგის ფართობმა 497 ჰექტარს მიაღწია (გაზეთი “საბჭოთა აჭარა“, 22 ივნისი, 1939; 2 თებერვალი, 15 მარტი, 1940; 30 მარტი, 1941).

საკავშირო სააქციო საზოგადოების „ლიმმანტრესტის“ შემადგენლობაში 1933 წლის ივნისში 4 საბჭოთა მეურნეობა შედიოდა: ცეცხლაურის, გონიოს, მუხაესტატესა და კვირიკეს. მათი საერთო ფართობი 1470 ჰექტარს შეადგენდა. ამ დროისთვის მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი გაშენებული იყო 220 ჰექტარზე. მათ შორის გონიოს საბჭოთა მეურნეობაში ციტრუსოვანი კულტურების ფართობი 150 ჰექტარს შეადგენდა. ცხადია, ეს იყო ზემოაღნიშნული მეურნეობის მშენებლობის დასაწყისი. მეურნეობის მშენებლობა-განვითარება მომდევნო წლებში გაგრძელდა. 1939 წელს გონიოს საბჭოთა მეურნეობაში მოიწიეს 922 ათასი ცალი ლიმონი, 1783 ათასი ცალი მანდარინი და 542 ათასი ცალი ფორთოხალი და სხვა. მნიშვნელოვანი მიღწევების გამო საბჭოთა კავშირის 1939 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა მეურნეობის კოლექტივი დააჯილდოვა მეორე ხარისხის დიპლომით, 5000 მანეთით და მატროციკლით (აცსა, ფ. პ-1, ან. 3, ს. 22, ფურც. 30, 66; გაზეთი “საბჭოთა აჭარა“, 24 მაისი, 1940).

მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობაში სუბტროპიკული კულტურები 1941 წლის დასაწყისში 275 ჰექტარს შეადგენდა. აქედან ციტრუსოვანთა ბაღებს 186 ჰექტარი, ხოლო ტუნგის კულტურას 89 ჰექტარი ეკავა. სუბტროპიკული კულტურები გაშენებული იყო 52 საწარმოო ნაკვეთზე. მოსავალი ყოველწლიურად მატულობდა. თუ 1934 წელს მოიწიეს 75 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 1940 წელს ამ მაჩვენებელმა 4 მილიონ ცალს გადააჭარბა. მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობას ჰქონდა საკუთარი ელექტროსადგური, პურის საცხობი, სასადილო, კლუბი, რადიომიმღები, საბავშვო ბაგა და საბავშვო ბაღი, აგებული იყო მუშა-მოსამსახურეთა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა (გაზეთი “საბჭოთა აჭარა“, 15 თებერვალი, 1940).

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობისათვის. ამის შედეგად უკაცრიელი მიწები ბაღნარად იქცა. 1939 წლის ივნისის მდგომარეობით ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობაში გაშენებული იყო მანდარინი 50688 ძირი, ლიმონი-2220, ტუნგი-11188, იაპონური ხურმა-5587 ძირი. გარდა ამისა, მეურნეობაში გააშენეს ფეიხოია, ბამბუკი, ეკალიპტი და სხვა კულტურები (გაზეთი “საბჭოთა აჭარა“, 29 ივნისი, 1939).

ალამბრის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა 1931 წლის თებერვალში დაიწყო. მის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდა ალამბრისა და კოხის სოფლების მოსახლეობა. მათი თავდადებული შრომის შედეგად მეურნეობაში 1936 წლის დასაწყისში გაშენებული იყო 10 ათასი ძირი ლიმონი, ამდენივე მანდარინი, 180 ძირი ფორთოხალი, 1080 ძირი ტუნგი და სხვა. მეურნეობის მუშა - მოსამსახურეებს გამოუყვეს საკარმიდა-მო მიწის ნაკვეთები, სადაც მებოსტნეობასთან ერთად ციტრუსებიც მოა-

შენეს. კეთილმოეწყო მეურნეობის ტერიტორია და შეიქმნა ინფრასტრუქტურა. 1936 წლისათვის ალამბრის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა ფურნე, ელექტროსადგური, საექიმო პუნქტი, კლუბი, აბანო, საბავშვო ბაგა და საბავშვო ბაღი. ციტრუსების პირველი მოსავალი 1935 წელს მოიწიეს და აქედან მოკიდებული წარმოება განუწყვეტლივ იზრდებოდა. აჭარაში ყოფნის დროს ალამბრის საბჭოთა მეურნეობა დაათვალიერა აკადემიკოსმა ა. ვავილოვმა, რომელმაც თავისი შთაბეჭდილება ასე გამოგვცა: “დიდი სიამოვნებითა და ინტერესით გავეცანი საუცხოო მეურნეობას-ალამბარს. სამუშაოები აქ მოწყობილი და შესრულებულია განსაკუთრებით კარგად“ (გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 4, 10 თებერვალი, 1936).

მართალია, ალამბრის საბჭოთა მეურნეობას მცირე ტერიტორია ეკავა, მაგრამ თითოეული გოჯა მიწა სანიმუშოდ იყო დამუშავებული. 1940 წლის დასაწყისში ციტრუსოვანთა ბაღებს 117 ჰექტარი ეკავა, რომლებიც გაშენებული იყო 38 საწარმოო ნაკვეთზე. 1939 წელს სუბტროპიკული კულტურების ნარგავთა საერთო რაოდენობა 41172 ძირს შეადგენდა. აქედან ღიმონი იყო 17926 ძირი, მანდარინი - 19870, ფორთოხალი - 1382 ძირი (გაზეთი “საბჭოთა აჭარა“, 19 თებერვალი, 1940).

მეურნეობის მატერიალური და ფულადი შემოსავალი მნიშვნელოვნად მაშინ გაიზარდა, როდესაც სუბტროპიკული კულტურები სრულმოსავლიანი გახდა.

ახალშენის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა ბათუმის შემოგარენში მოახალსენეთა ნაციონალიზაციაქმნილ მიწაზე. მეურნეობის დაარსების შემდეგ განახლდა ჩაის პლანტაცია და სუბტროპიკული კულტურები. მნიშვნელოვნად განვითარდა მეყვავილეობა და დეკორაციული მემცენარეობა. 1935 წელს ახალშენის საბჭოთა მეურნეობაში მიიღეს 10 მილიონი ცალი მანდარინი, ხოლო 1936 წელს - 11 მილიონ 600 ათასი ცალი. მეურნეობის საერთო ფულადი შემოსავალი 1935 წელს 1450 ათასი მანეთიდან 1936 წელს-2150 ათას მანეთამდე გაიზარდა. ამ წლებში მეურნეობის მოგება 450 ათასიდან 1 მილიონ 100 ათას მანეთამდე გადიდა. წლიურად საბჭოთა კავშირის ქალაქებში აგზავნიდა 600 ათას ცალ დეკორაციულ მცენარეს, რომლის შემოსავალი 220 ათას მანეთს უდრიდა (ბსმსდა, 1986:207).

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების დაჩქარებული განვითარების მიზნით საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებთან ერთად, 1933 წელს შეიქმნა პოლიტიკური განყოფილებები, რომელებიც წარმოადგენდნენ პარტიის საგანგებო ორგანოებს. ისინი ექვემდებარებოდნენ საკავშირო კპ(ბ) ცკ-ის სპეციალურ სამსახურს. პოლიტიკური განყოფილებების ამოცანა იყო მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელება საბჭოთა მეურნეობებში სახელმწიფო კანონებისა და ბრძანებების შესრულებაზე, ქონების დაცვაზე, გეგმებისა და ვალდებულებების რეალიზაციაზე. როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლება უნდობლობას უცხდებდა საბჭოთა მეურნეობების ღირექტორებსა და მათ მოადგილეებს. ამიტომ პოლიტი-

კურ განყოფილებებს ავალებდა საბოტაჟის, პარტიისა და მთავრობის მოტყუების დროულად გამოვლენას.

პოლიტიკური განყოფილების აპარატში 7 კაცი მუშაობდა და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად ეწეოდნენ სამეურნეო-ორგანიზატორულ საქმიანობას. საწარმოს ხელმძღვანელობასთან ერთად პასუხს აგებდნენ სახელმწიფო გეგმების შესრულებაზე. საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკური განყოფილებები, მტს-ების ანალოგიური ორგანოებისაგან განსხვავებით, შედარებით მეტ ხანს ფუნქციონირებდნენ. ისინი გაუქმდა 1940 წლის აპრილში. პოლიტიკური განყოფილებების პარალელურად, საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც საგრძნობ ზეგავლენას ახდენდნენ მატერიალური წარმოების განვითარებაზე, ნებისთ თუ უნებლიეთ ხელს უწყობდნენ საწარმოთა კოლექტივების ორგანიზებას, შრომით მეტოქეობის განვითარებას.

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობასთან ერთად ჩამოყალიბდა შრომითი კოლექტივები და მატერიალური წარმოების ზრდასთან ერთად მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობაც გაიზარდა. თუ 1932 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით აჭარის საბჭოთა მეურნეობებში ყველა კატეგორიის 3224 კაცი ითვლებოდა (1738 მუშა-მოსამსახურე, 2086 სეზონური და დღიური მუშახელი (აცსა, ფ. რ-98, ფნ. 1, ს. 219, ფურც. 38; ს. 321, ფურც. 3).

მათი დიდი ნაწილი დასაქმებული იყო ჩაის საბჭოთა მეურნეობებში და უმეტესობა ჩაის ფოთლის მკრეფავები იყვნენ. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის გარდა, მნიშვნელოვანი რაოდენობის მუშახელი მუშაობდა სალიბაურისა და ოჩხამურის საწარმოებში. შტატიანი მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი არაქართველი იყო, ძირითადად რუსები, უკრაინელები, ბერძნები, სომხები და სხვები. მაგალითად, 1932 წელს მუდმივ მუშა-მოსამსახურეებს შორის ქართველი იყო 587, რუსი – 706, სომეხი – 107, ბერძენი – 125 კაცი. მცირე რაოდენობით იყვნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები. სეზონურ და დღიურ 2086 მუშას შორის ქართველი იყო მხოლოდ 588 კაცი. უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ (1267). არაქართველების შემოსახლება და დასაქმება საბჭოთა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკით იყო ნაკარნახევი, რაც უარყოფითად მოქმედებდა რეგიონის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.

საბჭოთა მეურნეობებში, როგორც სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ხელით შრომა ჭარბობდა. 1937 წელს საბჭოთა მეურნეობების საკუთრებაში იყო 12 ტრაქტორი და 80 სატვირთო ავტომობილი (აცსა, ფ. რ-98, ან. 1, ს. 219, ფურც. 38). მართალია, ტექნიკის ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვან მიღწევად არ ჩაითვლება, მაგრამ სულ არარაობას მაინც ჯობდა.

მძიმე იყო მომუშავეთა, განსაკუთრებით მუშათა შრომის და ყოფაცხოვრების პირობები. მაგალითად, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში,

სადაც საწარმო-საფინანსო გეგმები გადაჭარბებით სრულდებოდა, მუშათა შრომის დაცვას, სამედიცინო დახმარებასა და კვებას არასაკმარისი ყურადღება ექცეოდა. 1936 წელს შრომის დაცვაზე საერთოდ არ იყო გათვალისწინებული თანხები. ქანცგამცლელი შრომის, არასაკმარისი სამედიცინო დახმარებისა და არანორმალური საყოფაცხოვრებო პირობების გამო 1936 წლის 10 თვეში (იანვრიდან ოქტომბრამდე) 38 კაცი გარდაიცვალა (აცსა, ფ. რ-98, ან. 1, ს. 209, ფურც. 2, 7).

მდგომარეობა მომდევნო წლებშიც არ გაუმჯობესებულა. ამიტომ სისტემატური ხასიათი ჰქონდა მუშათა დენადობას. 1937 წლის 3 თვის განმავლობაში (ივნისი, ივლისი, აგვისტო) სამუშაო მიატოვა 300 კაცმა. აგვისტოში ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობას გეგმით უნდა ჰყოლოდა 1665 მუშა, ფაქტიურად მუშაობდა 1146 კაცი. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს 1937 წლის 10 დეკემბერს და 1938 წლის 22 მარტს განიხილა მეურნეობაში არსებული მდგომარეობა მაგრამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ მომხდარა (აცსა, ფ.-პ, ან. 4, ს. 511, ფურც. 10-42).

ადგილობრივი დაქვემდებარების საბჭოთა მეურნეობებში მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები უკიდურესად მძიმე იყო. აჭარის პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს ინსპექტორმა 1937 წლის აპრილში შეისწავლა მე-4 საბჭოთა მეურნეობის (ბუენარი) მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები და სპეციალურ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა: მეოთხე საბჭოთა მეურნეობაში, სადაც 300 კაცი ითვლება, მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები უკიდურესად მძიმეა. ღირექცია არ ზრუნავს მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მხოლოდ გეგმების შესრულებისათვის იბრძვის. ამასთან, მუშებს უხამსოდ ეპყრობიან. საერთო საცხოვრებელი ფანერის ქოხმახია, რომელსაც ცუდი ამინდის დროს ქარი არყევს, ფანჯრის მინას ტეხს და სახურავს აძრობს, საძინებელ ოთახებში წვიმის წყალი ჩამოდის. საერთო საცხოვრებელში გათბობა არ აქვთ. 31 კმ² მქონე ფართობზე 26 ადამიანი-მამაკაცები, ქალები და ბავშვები ერთად, ორსართულიან რკინის საწოლზე წევნიან, მაგიდები და სკამები საერთოდ არ არის. ზოგიერთ მუშას ლოგინიც კი არ აქვს. სასადილოში კერძები უხარისხოა. ჩაის დასალევად თეფშებს იყენებენ, წყლის ასადულებელი ჭურჭელიც არ გააჩნიათ. ერთი სიტყვით, მეოთხე საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენს (აცსა, ფ. პ-1, ან. 4, ს.439, ფურც. 6-7).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-2, ანაწერი 1, საქმეები 90, 199 (აცსა, ფ. ან. ს.).
2. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-265, ანაწერი 1, საქმეები 228, 230.
3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-98, ანაწერი 1, საქმეები 209, 219.
4. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების განყოფილება (პ), ფონდი 1, ანაწერი 3, საქმეები, 12, 13, 222.
5. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ. პ-1, ანაწერი 4, საქმეები 439, 511.
6. ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის აჭარაში, დოკუმენტებისა და მსაღების კრებული 1926–1932 წწ. (ბსისმკა). ბათუმი, 1980.
7. ბრძოლა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში, დოკუმენტებისა და მსაღების კრებული 1933–1934 წწ. (ბსმსრდა). ბათუმი, 1986.
8. საბჭოთა აჭარისტანი, 12 აგვისტო, 1934.
9. საბჭოთა აჭარისტანი, 10 იანვარი, 4, 10 თებერვალი, 2 აგვისტო, 1936.
10. საბჭოთა აჭარა, 27 დეკემბერი, 1937.
11. საბჭოთა აჭარა, 9 იანვარი, 1938.
12. საბჭოთა აჭარა, 22, 26, 29 ივნისი, 1939.
13. საბჭოთა აჭარა, 2, 19 თებერვალი, 15 მარტი, 15, 24 მაისი, 1940.
14. საბჭოთა აჭარა, 2, 15 თებერვალი, 30 მარტი, 1940.

Otar Turmanidze

Construction of State agriculture in Ajara (1921-1940)

Summary

After the Sovietization, in agriculture of Ajara has created a new type of agricultural enterprises – State agricultures. As a result of nationalization Chakvi and Salibauri agricultures transformed as State enterprises. Since 1925, State agriculture was arranged on the basis of the colonists nationalized estates.

This paper discusses history of construction of new State agriculture, their agricultural, economic and financial situation. In article is analyzed the work and living conditions of workers of State agriculture.

პროცესი, როგორც ასახვის საბანი

პროცესი ერთმანეთთან მიზეზშედევობრივ კავშირში მყოფ მოვლენათა თანამიმდევრული განვითარებაა. შეიძლება ითქვას, ეს არის მოვლენათა განვითარების შედეგი, როგორც წინაპირობითი საფუძველი- მიზეზი ახალი რეალობისა შემდგომ საფეხურზე, ახალ ეტაპზე გადასასვლელად. დინამიურ ქმედებათა მყარი თანამიმდევრობა სხვადასხვა მდგომარეობის მომცველია: პირველი ნაბიჯი მეორეს განაპირობებს, მეორე- მესამეს და ასე გრძელდება მანამ, სანამ დინამიური პროცესი სტატიკურს არ დაექვემდებარება. ეს კი გულისხმობს კონკრეტულ ეტაპზე მიზეზშედევობრივ კავშირში მყოფ მოვლენათა განვითარების საფუძველზე წარმოშობილ ახალ რეალობას თავისი განვითარების კულმინაციური გამოსახვით და დინამიური ქმედების სტატიკურად გარდაქმნის წარმოდგენით. თავის მხრივ ის არსებული რეალობაა, რომელმაც „საკუთარი განვითარების“ პიკს, კულმინაციას, ზღვარს მიაღწია და უკვე არსებული ახალი სინამდვილის შექმნის თუ წარმოქმნის განცდის საფუძველზე კვლავ აპირებს მოცემულ ეტაპზე კვლავაც „ახალი რეალობის“ წარმოშობისათვის (ბრძოლას) მოქმედებას. მეორე მხრივ, ეს ისეთ ქმედებათა დინამიური რიგია, რომელიც პასუხობს კონკრეტულ ეტაპზე კონკრეტული ამოცანის შესრულების გადაწყვეტას სხვადასხვა შინაარსითა და მდგომარეობით. ე.ი. ცხოვრება, ვითარება, რეალობა, სინამდვილე, ადამიანური და საზოგადოებრივი ურთიერთობები მუდმივ „განახლებას“, ცვლილებას, მოძრაობას, დინამიკას განიცდის და პროცესი უწყვეტ რეჟიმში გრძელდება, თუნდაც ბუნებრივი, კანონზომიერი წესითა და რიგით. „განვითარება და ევოლუცია არის მოვლენა იმისა, რაც უკვე არის-“ (მამარდაშვილი, 2013:195). რეალობას ვერავინ შეაჩერებს, დინამიკას ვერავინ შეცვლის, სიტუაციას სარჩულად (სარგებლად) იყენებენ მხოლოდ... ყველაფერი ეს და კიდევ მრავალი სხვა, რომელიც ადამიანური ცხოვრების გამომხატველ ურთიერთობებსაც განაპირობებს, პროცესის ერთი ეტაპის დასასრულს ნიშნავს, და ამავე დროს მეორის ანუ ახლის დასაწყისს, როდესაც უკვე ყოფილს ანუ „ძველს“ რაიმე ახალი მოქმედება ჩაენაცვლება... სწორედ ეს არის განსაკუთრებული ინტერესისა და ზრუნვის საგანი და საზოგადოებრივ ცხოვრებაში განვითარებულ მოვლენათა ანალიზი ანუ მიზეზშედევობრივი კავშირის დადგენა და გარკვევა იმისა, თუ კონკრეტულად რა გარემოებებმა და ფაქტორებმა განა-

პირობა მოვლენათა განვითარების ამგვარი ლოგიკა, რომელმაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირის საფუძველზე ნიადაგი მოუშადა ანუ შექმნა სასურველი სიტუაცია და მყარად გადაჯაჭვა ერთმანეთთან სურვილი და რეალობა, რომელმაც თავის მხრივ გამოიწვია და დააჩქარა კიდევ მოვლენათა შემდგომი განვითარების ამგვარი თანამიმდევრობა და დინამიკა, როგორც ქვაკუთხედი პროცესების ანალიზისათვის. თუ არ გვესმის, ვერ ვგრძნობთ, ვერ ვხედავთ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერი განვითარების არსს, დინამიკას, ყური მივუგდით, ჩვენს წინაშე დასმულ მთავარ კითხვებსაც: რატომ? როგორ? უპასუხოდ დავტოვებთ. შესაბამისად, ვერასოდეს გავაღოთ ურთიერთგამომწვევ მოვლენათა საწყის რგოლზე. ეს რგოლი კი შესაძლოა აღმოჩნდეს სწორედაც ის საწყისი, რომელმაც არა მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულადაც კი დაგვაკავშიროს და აგვიხსნას რეალურ ქმედებათა შედეგად წარმოქმნილ ფაქტთა მნიშვნელოვნება, მრავალგვარობა, გვაჩვენოს კონკრეტულ ადამიანთა ქცევებისა თუ მოტივაციის საფუძველი და მიზანი ამგვარ ქმედებათა (ქცევათა) გამოხატვისა, რომელმაც ზუსტი, კონკრეტული, საგნობრივი სახე მიიღო. „ცხადია, ეს სამოქმედო წრე არა სტატიკურად, არამედ კუმულაციურად მიმდინარე პროცესების ჩარჩოდ მოიაზრება“ (ჰაბერმასი, 2003:123). აქედან გამომდინარე, შესაძლოა გაირკვეს კიდევ, თუ რა გარემოებებმა განაპირობა, რა ფაქტორებმა წარმოშვა, რა დეტალებმა უკარნახა (ფული, პირადი ან საზოგადოებრივი ინტერესი, სიყვარული, სიძულვილი, შური, ანგარება...), ანუ სად წარმოიშვა მოტივი, რა გახდა ყოველივე ამის მიზეზი (იდეათა, შეხედულებათა სხვადასხვაობა, პირველობისათვის ბრძოლა, ქვეყნის განვითარების კურსის ცვლა, პროგრესის დამკვიდრების წყურვილი), ყველა ის ცხოვრებისეული-ადამიანური მისწრაფებანი, რამაც აქცია ის სხვა მოვლენების წინაპირობად და ა.შ. სავსებით შესაძლებელია, რომ ჯაჭვის მთავარი რგოლის კვლევისას ჟურნალისტმა გამოარკვიოს თუ რა პროცესები (რომელთა მიზეზი არის მიმდინარე მოვლენები, ამბები) შესაძლოა მოყვეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შედეგად განვითარებულ ფაქტებს, რომელიც მოცემულ ეტაპზე კანონზომიერი რეალობის შემქნელ (ხელისშემწეობ) სიტუაციაში მოგვევლინა. „რა თქმა უნდა, ძნელია საზოგადოებრივ მოვლენათა მთელი მრავალსახეობის დინამიკის დაფიქსირება, მაგრამ სოციალური სივრცის ზემოქმედების თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე, ყველაზე აწონილ-დაწონილი სტრატეგიაც კი წარუმატებელი აღმოჩნდება“ (მაცაბერიძე, 2003:205). ამიტომაც, ვირჩევთ რა საწყის მოვლენას, რომელიც თავისთავად ჩართულია შემდგომ მოქმედებათა „ესკალაციაში“, როგორც თევაში წყალში „პირველი მოვლენა“ ისე გრძნობს თავს და შესაბამისად ქმნის კიდევ სასურველ სიტუაციას - გარემო პირობებს იმისათვის, რომ ყოველი მომდევნო ქმედება მის მიერვე დასახულ მიზანს დაექვემდებაროს. თუ ჟურნალისტი მოვლენათა კვლევისას უნივერსალურ კავშირში განიხილავს ცალკეული მოვლენის წარმომშობ მიზეზებს, მარტივი გახდება ერთი მთლიანი რგო-

ლის გამომწვევ გადმოვხატა წარმოდგენა ანუ მთლიანი ჯაჭვის სათავეში მოქცევა და მიზანმიმართულ ქმედებათა კავშირების განსაზღვრა.

მოვლენათა შეფასების პირველი და უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა გაირკვეს აღმოცენებული პროცესის საწყისი ეტაპი, ანუ საჭიროა შესაბამისი მტკიცებულებანი მყარი არგუმენტებით, გარემოებებითა და ფაქტორებით, რამაც უნდა შეგვიქმნას მკაფიო წარმოდგენა ძირითად, ამოსავალ მოვლენაზე, რომელიც თავის მხრივ შესაბამისი სიტუაციისა და შინაარსის შემცველი ინფორმაციის მოსაპოვებლად საჭირო წყაროებზე გაგვიყვანს. ჟურნალისტის პირადი განწყობა და მობილიზება, ფიქრი იმაზე თუ რა მატერიალურ და იდეურ რესურსებს უკავშირდება ეს ყოველივე, უზრუნველყოფს რეალობის როგორც შინაარსობრივი, ისე თეორიული და პრაქტიკული მოცემულობის ამოცნობას, შესწავლასა და პროგნოზირებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს მონათესავე თემებისა და საკითხების (სამომავლოდ) დროული რეაგირების შესაძლებლობებს. „ჟურნალისტების დიდი ნაწილი ამჯობინებს გულში ჩაიმარხოს თავისი რწმენის ზოგადი პრინციპები და საფუძვლები, ხოლო საჯარო გამოსვლებში ცდილობს, საკუთარი დასკვნები მაქსიმალურად მორაგოს თავისთვის შინაგანად მიუღებელ წანამდგურებს, ვერ გამოხატოს იმ დია, უშიშარ ხასიათებსა და ლოგიკურად თანმიმდევრულ ინტელექტს, რომლებიც ოდესღაც ამშვენებდნენ მოაზროვნე სამყაროს“ (სტიუარტ მილი, 2010:81).

ყოველივე ეს, თავის მხრივ მოითხოვს საკმარის ცოდნას არსებით პრობლემებსა და პირობებზე, რომლის დროსაც შეიძლება მოხდეს სიტუაციის სხვადასხვა მიმართულებით განვითარება. ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება შეისწავლოს და არგუმენტირებულად წარმოაჩინოს თეორიულად დასაბუთებული განხორციელებული თუ განსახორციელებელი გეგმები, რომლებიც დასახული მიზნების მიღწევისათვის ძალზე მნიშვნელოვან გარემოებებს მოუყრის ერთად თავს, რაც ასევე საინტერესო იქნება სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის.

არსებული რეალობის (სიტუაციის) „მკაცრი პირობების“ დაცვითა და გათვალისწინებით, ისე რომ მიუკერძოებლად, საფუძველშივე განისაზღვროს საზოგადოებრივი პროცესების წარმოშობის კანონზომიერება ლოგიკური, სოციალური, თეორიული, პირადი გამოცდილების საფუძველზე უნდა გამოვლინდეს ყველა ის მნიშვნელოვანი წინაპირობა (გარემოებები, ფაქტორები, დეტალები, წვრილმანები...), რომელმაც განსახილველი პროცესის წარმატებული (ან წარუმატებელი) განვითარება განაპირობა.

პროცესის შესწავლა-შეცნობა მისსავე აქტუალობაში, მასშტაბურობასა და საზოგადოებრივ ინტერესშია. ყოველივე ეს წარმოდგენილი რეალობის შინა არსში დევს და პრობლემატიკით განისაზღვრება. არეალი, რომელიც მოიცავს სივრცობრივ თვალთახედვას, რაც განპირობებულია

დროის ფაქტორით, შედგება სამი უმნიშვნელოვანესი ველის- სინტაქტიკის, სემანტიკისა და პრაგმატიკისაგან, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია გავიგოთ პროცესების არსში წვდომის როლი და მნიშვნელობა. სწორედ აქ ჩანს პროცესის, როგორც განსაკუთრებული და გამორჩეული მუდმივად ცვალებადი ბუნების ფილოსოფიური სამყარო, თუნდაც მისი მიზნობრიობა და პრაგმატულობა. სინამდვილე-ფაქტი-მოვლენა-სიტუაცია, რომელიც განაპირობებს შესაბამისი პროცესის (პროცესების, მართული თუ უმართავი) წარმოშობის ხასიათს, ვიმეორებთ მისსავე მასშტაბურობაზე მიანიშნებს, რაც უპირველესად ფართო არეალით განისაზღვრება. თუ პროცესები ხელოვნურად არის გამოწვეული, ანუ ვინმეს მიერ გაწერილ გეგმას ემორჩილება, ამ შემთხვევაში პროცესები მართული ხდება. მაგალითად, არაბული რევოლუციები, რომელმაც მომაკდინებლად იმოქმედა ამ ქვეყნების ეკონომიკაზე, დემოკრატიულ პროცესებზე. „რეგიონალურმა რეფორმამ კი არ მოაშუშა, არამედ უფრო გაამწვავა არსებული ისტორიული უთანასწორობა“ (პატნემი, 2005:74), და, ეს ყველაფერი ცხოვრების ყველა ეტაპზე აისახა. ეს დაეტყო არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას, რომლის დროსაც აუცილებლად მოიშლება ტრადიციული მყარი ეკონომიკური საფუძველი ქვეყნისა (ფულის ინფლაცია, ეროვნული პროდუქციის წარმოების შეფერხება, ექსპორტის მაქსიმალურად შემცირება), არამედ ეს გადაიზრდება ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობასთან. ეს კი გამოიწვევს ხელახალ საპროტესტო გამოსვლებს მასწავლებლების, ჯანდაცვის სფეროს მუშაკების, კულტურის დარგის მოღვაწეების და შესაბამისად, ქვეყანაში სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა დაპირისპირებაში გადაიზრდება. საერთო ჯამში მოვლენების იმ მიმართულებით განვითარება, რომელსაც, რა თქმა უნდა, შესაბამისი ხელოვნური სიტუაციები უქმნის საფუძველს, მიზეზშედევობრივი კავშირით ფეხდაფეხ ჰყვება ხოლმე პროცესების განვითარება. რა თქმა უნდა, იგივე შინაარსის ქმედებები, რაც მოვლენების განვითარების დროს იჩენს ხოლმე თავს, უმართავი პროცესების წარმოშობას განაპირობებს, რასაც პროცესების ესკალაციას უწოდებენ. რაც გულისხმობს „მართული პროცესების“ სადავეების ხელიდან გაშვებას, ანუ გაუთვალისწინებელი გარემოებების საფუძველზე შექმნილი მძიმე ვითარების შედეგად წარმოშობილ უმართავ რეალობას. ამ დროს რომელიმე პოლიტიკოსს „დაწერილი სცენარი ხელიდან გაუვარდება“ და საზოგადოება ბრბოდ გადაიქცევა. ეს ყველაფერი კარგად ჩანს სხვადასხვა ქვეყნების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, როდესაც სრულიად უდანაშაულო მოქალაქეები ერთმანეთს უპირისპირდებიან, იმართება ხელჩართული ბრძოლა, იღვრება სისხლი და ქვეყანა ზოგადად სამოქალაქო დაპირისპირების ჭაობში იძირება. ამ შემთხვევაშიც კი, ამ ყველაფერს აქვს თავისი ლოგიკური დასასრული ანუ პროცესის რაღაც ზღვარი, როდესაც გარკვეულ ეტაპზე ეს ყველაფერი მთავრდება და საზოგადოებრივი ძალები ახალი წესრიგის შესათანხმებლად

მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებიან. სწორედ „უკვე ამ ფაზაში ჩანს, თუ როგორ მუშაობს ცენტრალური მმართველის სასარგებლოდ დაძაბულობანი საზოგადოების განსხვავებულ, სოციალურ ჯგუფებს შორის“ (ელიასი, 2008:199).

რა იწვევს პროცესს და როგორია მისი შინაარსი? ეს გამომდინარეობს იქიდან, თუ რა შინაარსის, რა ხასიათის მატარებელია პროცესის გამომწვევი მოვლენა. თუ მოვლენის არსს კარგად გავიგებთ და შესაბამისად კარგადაც გავანალიზებთ, მაშინ შესაძლებელია პროცესების შესაბამისი, შესატყვისი გადაწყვეტილებების მიღება და ის ყოველთვის კონტროლს დაექვემდებარება. თუ ავცდით მოვლენათა განვითარების საზღვრებს, თუ გაგვექცა საღვეები, რომლითაც ჩვენ პროცესების გაკონტროლებას შევეცდებოდით, მაშინ პროცესები უმართავი ხდება. პროცესის არსი მოვლენის ანალიზში ანუ მის ბოლომდე ახსნაში მდგომარეობს. არ შეიძლება მოსავლის მოყვანის, ადების პროცესის შეჩერება ან გადადება იმის გამო, რომ ქვეყანაში ფულის ინფლაცია ან საწვავის ნაკლებობა, ან ახალი ტექნიკის შეძენაა საჭირო. მოსავლის ადების პროცესი შემოდგომაზე იწყება, მაგრამ დავაკვირდეთ საიდან იღებს სათავეს ეს ყველაფერი? ადრე გაზაფხულიდან, როდესაც მიწა თბება და ბუნება მზადაა ახალი სიცოცხლის დასაწყებად. ანუ ბუნებრივი მოვლენები ამ შემთხვევაში თანმხვედრია ადამიანური სურვილებისა თუ მცდელობებისა. ნიადაგის დამუშავებას და სათესლე მასალების დათესვას, შედეგად მეორე ეტაპი მოჰყვება ხოლმე, ამის შემდეგ კი იწყება ისევ შემდგომი ეტაპი- ანუ აღმოცენება თესლისა, ამის შემდგომ კი ისევ შემდგომი ეტაპი- ზრდის დასრულება, ნაყოფის აღმოცენება, დამწიფება ანუ ეს მოვლენები საფუძველს, ნიადაგს ამზადებს საბოლოო დასკვნითი პროცესისათვის. მაგრამ პროცესი დასრულებადი არასდროს არაა. ეს არის მხოლოდ ერთი ეტაპის დასასრული და შემდგომ კი პროცესი ახალი განვითარებისათვის ემზადება... თუ ჩვენ ამ ყველაფერს ხელს შევეუშლით და არ შევქმნით ნოყიერ ნიადაგს და ხელს არ შევეუწყობთ ამგვარ სინამდვილედ გარდავქმნათ რეალობა, ამას შედეგად მოჰყვება ხოლმე ახალი იმედგაცრუება: დაუხნავ-დაუთესავი მიწები, სოფლების დაცარიელება, უკიდურესი გაჭირვება და სიღატაკე, მუშახელის საზღვარგარეთ გადინება ოჯახების ლუკმა-პურისა და სარჩო-საბადებლის საძებრად, სოფლების, სკოლების, სხვა დაწესებულებათა მოშლა და საბოლოო ჯამში ეს „ხელოვნური“ პროცესი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ განხორციელდება, რაც საბოლოოდ სახელმწიფოს ფუნქციების მოშლას გამოიწვევს, ერი გადაშენებას დაიწყებს. ანუ მამა-პაპისეულ ადგილებს უცხოტომელები დაეპატრონებიან, მიტოვებულ სოფლებში გადამთიელები ჩამოსახლდებიან, საბოლოო ჯამში ცნება- სამშობლო, მიწა, მამული, ოჯახი, ადგილის დედა - აზრს დაკარგავს და პიროვნებისათვის მთავარი ღირსება ლუკმა-პურის შოვნა იქნება მხოლოდ. ეს უკვე უმართავი პროცესია.

განვიხილოთ მაგალითები: გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (19-12-2011) დაბეჭდილ ხათუნა პაიჭაძის პუბლიკაციაში – **„გამოცხადებული ომი თავისუფალი პრესის წინააღმდეგ, გამოუცხადებელი არჩევნების წინ! – ვკითხულობთ:** „ჩვენი გაზეთის გამოსვლის დღისთვის თბილისში არსებულ პრესაზე სპეციალიზებული 140-150 ჯისურიდან სულ რამდენიმელა იქნება დარჩენილი და მათაც, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე აიღებენ. დამოუკიდებელ მედიას მძიმე დროება დაუდგა. რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, თითოეული ჩვენგანი ამ სიმძიმეს სულ უფრო ნათლად გრძნობს. ჩვენთვის, დამოუკიდებელი მედიის ჟურნალისტებისთვის, დიდი ხანია საჯარო ინფორმაციის მოპოვებაც კი უდიდეს ძალისხმევასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ახლა საფრთხე უკვე ამ მძიმე შრომით მოპოვებული ინფორმაციის გავრცელებას ემუქრება. რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, საფრთხე მით რეალური და ხელშესახები ხდება. პოლიტიკურ კრიზისში მყოფმა ხელისუფლებამ ბრჭყალები გამოაჩინა და დამოუკიდებელ მედიას აშკარა ომი გამოუცხადა.“

თვალი გავადევნოთ როგორ გადმოსცემს ჟურნალისტი არსებულ ვითარებას, როგორი თანამიმდევრობით ხსნის მიმდინარე მოვლენებს და როგორ ცდილობს აჩვენოს კიდევ რა შეიძლება მოყვეს შედეგად მოვლენათა ამგვარ განვითარებას. ჟურნალისტი იწყებს პირველ რიგში დამოუკიდებელი მედიის მძიმე დროებაზე საუბარს, შემდგომ გადადის მოახლოებულ არჩევნებზე, ხაზს უსვამს დამოუკიდებელი მედიის ჟურნალისტებისთვის საჯარო ინფორმაციის მოპოვებისათვის უდიდეს ძალისხმევას და ამ ჩამონათვალთ ანუ ასეთი თანამიმდევრობით ნაბიჯ-ნაბიჯ ამზადებს მკითხველს ახალი, უფრო მძიმე და აუტანელი მოსალოდნელი საფრთხის გაცნობისა თუ გაცნობიერებისათვის, რაც, შესაძლოა, უმძიმესი შრომის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გავრცელებას დაემუქროს. ეს ყველაფერი უფრო მძიმდება „პოლიტიკურ კრიზისში“ მყოფი ხელისუფლების გამო და ა.შ. თვალი გავადევნოთ დეტალებს, რომლებმაც ხელი შეუწვევს მოვლენების ამგვარ განვითარებას: **დამოუკიდებელი მედია—მოახლოებული არჩევნები—საჯარო ინფორმაცია—გავრცელების შეზღუდვა...**

თითოეული დეტალი, თავის მხრივ, კოლოსალურ შრომასა და ენერგიას მოითხოვს: თუ გავითავისებთ, რას ნიშნავს თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია, ნათელი გახდება მისი შენარჩუნებისათვის რა ტიტანური შრომაა საჭირო, რომელიც თავის მხრივ განიცდის გონებრივ, მატერიალურ და ტექნიკურ წნეხს, რომელსაც ყველა ვერ დაძლევა, ვერ გადალახავს...

მოახლოებული არჩევნები – რომელიც ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერი დონის ხელისუფალთათვის ყველაზე მტკივნეული და „ცხელი“ წერტილია... **საჯარო ინფორმაცია – ნებისმიერი** ინფორმაცია საჯაროა, გარდა კონფიდენციალურისა, (რომელიც ეხება სახელმწიფო საიდუმლოებებს, ლახავს პიროვნების პირად ღირსებასა და ინტერესებს), მაგრამ მი-

სი მოპოვება ძალზე რთულია. რატომ? არავის არ აქვს სურვილი, არც ერთ ჩინოვნიკსა თუ სახელმწიფო მოხელეს მასზე „მონიტორინგი“ განახორციელოს და საზოგადოებას დაწვრილებით მოუთხროს თუ რას და როგორ საქმიანობს... **გაგრძელების შეზღუდვა** – პირდაპირი მნიშვნელობით მედიის მოგუდვას ნიშნავს. ანუ მას ვართმევთ იმ უფლებას, რაც მის ბუნებაში დევს. სრულიად ბუნებრივია, რეაქციაც შესაბამისი რომ ჰქონდეს.

დეტალების ამგვარი ანალიზი გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ მოვლენების ამგვარი განვითარება ანუ დამოუკიდებელ მედიაზე ზემოქმედების მკაცრი ბერკეტები ადრე თუ გვიან შესაბამის უკურეაქციას, უკუპროცესს გამოიწვევს და შედეგებიც სავალალო გვექნება. **ეს არის პირველი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ქმნის სასურველ სიტუაციას მოვლენების შემდგომი განვითარებისაკენ(პირველი რგოლი).**

„დამოუკიდებელ მედიაზე, განსაკუთრებით კი პრესაზე, იერიში პირველად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიტანა. მან ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას წარმოდგენილი რამ ბრძანა: საშინელი ქართული გაზეთების კითხვა არ ღირსო და საბიუჯეტო ორგანიზაციებს მოუწოდა, მათი გამოწერა შეეწყვიტათ. მალე ასეც მოხდა, ბევრმა საბიუჯეტო ორგანიზაციამ შეწყვიტა იმ გაზეთების გამოწერა, რომლებიც სახელისუფლებო მედიის სიაში არ მოიაზრებოდნენ, ხოლო დეპუტატები და სახელმწიფო მოხელეები ერთხანს გაზეთებს პიჯაკის ქვეშ საგულდაგულოდ მაღაუდნენ“.

გაფრთხილებით პუბლიკაციას: პრეზიდენტი მოუწოდებს საბიუჯეტო ორგანიზაციებს აღარ გამოიწერონ გაზეთები, ხოლო დეპუტატები გაზეთებს პიჯაკის ქვეშ მაღულად კითხულობენ. **პრეზიდენტის მოწოდება – საბიუჯეტო ორგანიზაციები – ინფორმაციის მაღულად გაცნობა...**

პრეზიდენტის მოწოდება, რომელიც თავიდანვე ნეგატიური მუხტითაა გაჟღენთილი, ძალზედ უარყოფითად აისახება არა მხოლოდ პრესის მესვეურთა მხრიდან, არამედ იმ ორგანიზაციების მხრიდანაც, ვის მიმართაც არის ამგვარი მოწოდება და შესაბამისად ეს ზრდის იმავე საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანების უარყოფითი დამოკიდებულების ხარისხს თუნდაც პრეზიდენტისადმი. „ჟურნალისტებს სრული უფლება აქვთ წერონ კანონდარღვევების შესახებ და სასაცილოდაც კი აიგდონ ნებისმიერი ადამიანი, განსაკუთრებით, თუ ის ოფიციალური პირია.“(ჰამილტონი, კრიმსკი, 2005:234). ამას ემატება იმ დეპუტატების უარყოფითი მუხტიც, რომლებიც გაზეთებს პიჯაკის ქვეშ მაღულად კითხულობენ და აქვთ სურვილი, გაეცნონ პრესაში დაბეჭდილ ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე ვითარებაზე და ზოგადად გაიგონ რა ხდება არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში, არამედ მსოფლიოშიც. **ეს არის მეორე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ქმნის სასურველ სიტუაციას მორიგი ახალი მოვლენის წარმოსაქმნელად (მეორე რგოლი).**

ჟურნალისტი ცდილობს ამგვარ მოვლენათა წარმომშობ მიზეზებს ახსნა მოუძებნოს ანუ იქიდან დაიწყოს, საიდანაც წამოვიდა ამგვარ ქმედებათა აუცილებლობა, რატომ გაჩნდა ზოგადად საჭიროება იმისა, რომ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებას სერიოზული საფრთხეები შექმნოდა? რა ფაქტორებმა განაპირობა? რა დეტალებმა წარმოშვა? რა გარემოებებმა უკარნახა ხელისუფლებას ამგვარი ნაბიჯის გადასადგმელად? ვინ იყო ამ ყველაფრის ორგანიზატორი? „სიმაღლე რთული და ხანდახან წინააღმდეგობრივი ფენომენია, მაგრამ, რადგან ის შეიძლება დროში გაწელილ პროცესად მივიჩნიოთ, ჟურნალისტს მისი აღქმა შეუძლია“ (კოვაჩი, როზენსტილი, 2006:52). ცხადია, ამ ყველაფრის მიზეზი იყო საშიშროება იმისა, რაც მოყვებოდა ხელისუფლების ამგვარ დამოკიდებულებას საზოგადოების მხრიდან. „მიზეზშედეგობრივი კავშირი, ჯაჭვური რგოლი მიმდინარე მოვლენებში... ხელისუფლება, რომელიც გრძნობდა აშკარა საშიშროებას მოძალბებული თავისუფალი პრესის გამო, როდესაც ხალხს ყველაფერი დროულად და ოპერატიულად მიეწოდებოდა მათსავე ჩადენილ „საგმირო საქმეებზე“ (რომელსაც ადეკვატური რეაქცია მოყვებოდა საზოგადოების მხრიდან), ქმედითი ღონისძიებების გატარებას ისახავდა მიზნად. რა ნაბიჯები უნდა გადაედგა ხელისუფლებას? რა თქმა უნდა მათი მხრიდან თითქოსდა ადეკვატური, მაგრამ ამ ყველაფერს პირუკუ რეაქცია მოჰყვა პრესის გამაგრცელებელთა მხრიდან: „მასშტაბური ბრძოლა პრესასთან 2009 წელს დაიწყო, აგრძელებს ავტორი და დასძენს, რომ ერთ-ერთი “მნიშვნელოვანი რეფორმა“, რომელიც “ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მოსულმა ხელისუფლებამ გაატარა, დედაქალაქის ცენტრალური უბნებიდან პრესის გამაგრცელებელი ჯიხურებისა და სტელაჟების აღება იყო. თურმე, ისინი თბილისს ამახინჯებდნენ“.

მოვლენები ჯაჭვური რეაქციით ანუ მიზეზშედეგობრივი კავშირის საფუძველზე იწყებენ განვითარებას. სწორედ ამის შედეგი იყო ხელისუფლების მხრიდან პრესის გამაგრცელებელი ჯიხურებისა და სტელაჟების აღება (ანუ ჯაჭვის მერამდენე რგოლია აღნიშნული პრობლემა, რომელიც მოვლენების განვითარების მეტად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს?) ნათელი შეიქნა, რომ სტელაჟებისა და ჯიხურების აკრძალვა ჟურნალ-გაზეთების რეალიზაციაში ხელის შეშლას ისახავდა მიზნად.

ბუნებრივია, რაც უფრო ნაკლებია სარეალიზაციო პუნქტი, მით ნაკლებია ტირაჟი, რაც ნაკლებია ტირაჟი, მით ნაკლებია შემოსავალი. მოვლენების განვითარებაში მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა, რომელმაც განაპირობა აღნიშნული პრობლემის განსაკუთრებულობა და გამორჩეულობა: (1) სარეალიზაციო პუნქტების ნაკლებობა განპირობებულია (2) დაბალი ტირაჟით, შესაბამისად ნაკლები ტირაჟი (3) მცირე შემოსავალს გულისხმობს, ეს კი ასახვას პოულობს მედიის (4) განვითარების შესაძლებლობებზე... ეს არის მესამე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ქმნის სასურველ სიტუაციას პრო-

ცესის წარმოსაქმნელად (მესამე რგოლი). ეს ყველაფერი თავისუფალი მედიის განვითარების შესაძლებლობას კლავს და იძულებულს ხდის, რაღაცაზე ან ვიღაცაზე იყოს დამოკიდებული. მოვლენათა შემდგომი განვითარების სიტუაციური ანალიზი, როდესაც სიტუაცია კი არ მიჯნავს ფაქტებს ერთმანეთისაგან, არამედ კიდევ უფრო საინტერესო სურათს ქმნის მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის. ანუ ადგილი აქვს მთლიანი მოქმედების სურათის მნიშვნელობის შესახებ გარკვევის მცდელობას, რაც იძლევა საშუალებას სხვადასხვა გარემოებათა საფუძველზე წარმოშობილი რეალობა მოვლენის ერთ მთლიან კონკრეტულ რგოლად გარდაიქმნას და რაღაც ეტაპზე მნიშვნელოვან პროცესში გადაიზარდოს: „ამას კი მედიის მწვავე რეაქცია მოჰყვა. ამ ამბავში დროულად ჩაერია საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი. (ახალი პროცესის საწყისი, პირველი ეტაპის დასაწყისი, როდესაც დინამიკური ქმედება სტატიკურად ხელოვნურად გარდაიქმნება. პროცესის დასაწყისი, როცა ფაქტისადმი ინტერესი და მასშტაბები იზრდება, ანუ ისეთი მდგომარეობაა, როდესაც დრო და სივრცე განუყოფელი ხდება, რეალობა განსაკუთრებულ კულმინაციურ სიმაღლეს აღწევს და შექმნილი სიტუაცია აუცილებელ, ქმედით რეაგირებას საჭიროებს) და ხელისუფლებამ მაშინ „...უკან დაიხია: განაცხადა, ტენდერი გამოცხადდება და ვინც საუკეთესო დიზაინის ჯიხურებს შემოგვთავაზებს, ჟურნალ-გაზეთების პრესტიჟულ ადგილებზე გაყიდვის უფლებასაც ის მიიღებს“. (მორიგი ახალი პროცესის განმსაზღვრელი დეტალები, ფაქტორები, გარემოებები... (პროცესის პირველი ეტაპის ანუ დინამიკური ქმედების სტატიკურში ხელოვნურად გადატანის მცდელობა, რომელიც არა თუ განმუხტავს სიტუაციას, არამედ უბიძგებს კიდევ შემდგომი ესკალაციისაკენ)- „პრესის გამავრცელებლებმა იმუშავეს და მერიას ჟურნალ-გაზეთების ჯიხურების დიზაინის რამდენიმე ნიმუში და იმ ადგილების სია წარუდგინეს, სადაც ჯიხურების დადგმას მოისურვებდნენ. [1]-მერიის დაპირება ტენდერზე გაჭიანურდა, ჩვენ კი სულ მალე გასაკვირი ამბის მოწმენი გაფხდით: ერთ მშვენიერ დღეს, უტენდეროდ და უკონკურსოდ, თბილისის ქუჩებში, მათ შორის იქაც, სადაც ადრე სხვა გამავრცელებლების ჯიხურები იდგა, ხელისუფლებასთან დაახლოებული ფირმის, პრესის სარეალიზაციო (თუმცა, მოგვიანებით როგორც გაირკვა, ისინი სულ სხვა მიზნით, ე.წ. გარე რეკლამისთვის და ლატარიის ბილეთების სარეალიზაციოდ იყო განკუთვნილი) [2]-ახალი ჯიხურები გამოჩნდნენ, ასევე ახალი [3]-გაზეთ “პრაიმ ტაიმის“ სარეკლამო ბანერებით, თანაც სწორედ [4]-იმ დიზაინით, რომელიც მერიას გამავრცელებლებმა წარუდგინეს და სწორედ [5]-იმ ადგილებში, რომლებიც პრესის გამავრცელებლებმა თავიანთ პროექტში მიუთითეს(?)“. წარმოდგენილი დეტალები, რომლებიც კიდევ უფრო მეტად ამწვავებენ ვითარებას, აჩვენებენ ხელისუფალთა უნიათო, გაუთვლელ და აბუჩადამგდებ დამოკიდებულებას, რაც პროცესის შემ-

დგომი განვითარებისაკენ, ანუ ესკალაციისაკენ არის მიმართული...(პროცესის შემდგომი ეტაპის ანუ დინამიკური ქმედების სტატიკურში ხელოვნურად გადატანის მორიგი, წინდაუხედავი მცდელობა, რომელიც არა თუ განმუხტავს სიტუაციას, პირიქით უბიძგებს კიდევ შემდგომი ესკალაციისაკენ)

„...როგორც ჩანს, უგულავას კანტორაში იფიქრეს, რაღა ჩვენ ვიმუშაოთ დიზაინზე, პრესის სარეალიზაციოდ მომგებიანი ადგილების შერჩევაზე ვიტყხით თავი, პრესის გამავრცელებლებს დავპირდეთ ყველაფერს, საქმე გავაკეთებინოთ და მერე “გადავაგდოთ“. ასეც მოხდა, მაგრამ მერიის ახალი პროექტი, რომელიც იმთავითვე პრესის გავრცელების მონოპოლიზაციისა და შემდეგ დამოუკიდებელი პრესის ჩასაძირად წამოიწიეს, სამარცხვინოდ ჩაფლავდა. ვერც ახალი გაზეთი „პრაიმ ტაიმი“ გახდა ქართული პრესის ლიდერი და ვერც „ვაი დისტრიბიუშენის“ ჯიხურები პრესის გამავრცელებელთა ფლაგმანი...“ **(ხელისუფლების ამდაგვარმა დამოკიდებულებამ საზოგადოების მხრიდან გააჩინა მრავალი ახალი ტერმინი—კანტორა, ჯიხურები პრესის გამავრცელებელთა ფლაგმანი)** პრესის ასოციაციის ინიციატივით, გამომცემლობებმა ამ ჯიხურებში საკუთარი გაზეთები არ შეიტანეს!“... პროცესი გრძელდება. ხელისუფლების მხრიდან გადადგმულ ამგვარ ნაბიჯებს დღითიდღე უარყოფითი შედეგები მოაქვს. თვალი გაგადევნოთ მოვლენათა შემდგომ მსვლელობას, ანუ სიტუაციას, რომელიც ახალი პროცესის წარმოშობისათვის იწვევს ბრძოლას.

„...რადგან ეს შეტევა არცთუ ეფექტური აღმოჩნდა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა ცალ-ცალკე მოეწყო მედიასაშუალებებისთვის და ყველაზე წარმატებული, დამოუკიდებელი მედიაორგანიზაციისთვის - “პალიტრამედია“ ექვს ორგანიზაციაში ერთდროულად (როგორც გვარწმუნებდნენ, ლოტოტრონის პრინციპით) საგადასახადო სამსახური შევიდა და ძირფესვიანი საგადასახადო შემოწმება დაიწყო“...

პროცესი გრძელდება, ანუ ეს არის პროცესების შემდგომი ესკალაცია, როცა სადავეების ხელიდან „გაშვება“ ხდება, როცა უკვე ე.წ. გაწერილი, ხელოვნური გეგმა მოქმედებებისა აღარ ამართლებს და თავად სიტუაცია და შექმნილი ვითარება განაპირობებს შესაბამის ქმედებას ანუ თავად აიძულებს ხელისუფლებას სიტუაციის შესაბამის მოქმედებას და არა მათ (ანუ „გაწერილი“ გეგმის მიხედვით მოქმედებას). „თუმცა, სასურველი ნაყოფი ვერც ამ შემოწმებამ გამოიღო, - დიდი მცდელობის მიუხედავად, საგადასახადო სამსახურმა “პალიტრამედიაში“ სერიოზული დარღვევები ვერ იპოვა“...

პროცესის შემდგომი ეტაპის ანუ დინამიკური ქმედების სტატიკურში გადასვლა არსებული სიტუაციიდან, რეალური ვითარებიდან გამომდინარეობს. დინამიური ქმედების სტატიკური რეალობით ჩანაცვლება პროცესის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის დასასრულია. მაგრამ ხშირად პროცესები არ არის მუდმივად სტატიკური. ნებისმიერმა პროცესმა შე-

საძლოა კვლავაც იჩინოს თავი ადრე თუ გვიან, რაც დამოკიდებულია თავად პროცესის არსის (ფაქტის) მნიშვნელობასა და შინაარსზე, ანუ ინტერესთა არეალზე. ყოველივე ამას დიდი ყურადღება და ანალიზი ჭირდება ჟურნალისტების მხრიდან, რადგან „არ შეიძლება, ფაქტების სა-
ეჭვო ინტერპრეტაცია. მეტიც, ფაქტებით მანიპულირებამ შესაძლოა გა-
მოიწვიოს არაზუსტი ან არასწორი ინფორმაციის გავრცელება“ (რეპო-
ვა, 2011:140).

„დამოუკიდებელ მედიაზე პერიოდულ შეტევებს თითქმის შევეჩვიეთ, მაგრამ ისეთი აშკარა და აგრესიული თავდასხმა, როგორიც ხელისუფ-
ლებამ ერთი თვის წინ წამოიწყო, ჯერ არ ყოფილა. ამჯერად ხელისუფ-
ლებამ თავისუფალ მედიაზე ახალ შეტევას „მცირე და საშუალო ბიზნე-
სის ხელშეწყობა“ დაარქვა. სწორედ ამ საფარქვეშ დაიწყო თბილისის
მერიამ დედაქალაქში პრესის ჯიხურების აღება. ამ „დიადი პროექტის“
მიხედვით, ქალაქში არსებული „ძველი და უსახური“ ჯიხურების ნაც-
ვლად ახალი, თანამედროვე დიზაინის ჯიხურები დაიდგმება. საქმე ის
არის, რომ ამ დროისთვის პრესის ჯიხურების განთავსების ნებართვის
ვადაც ამოიწურა. მართალია, ვადის გახანგრძლივების თაობაზე გამაფ-
რცელებლებმა მერიას ჯერ კიდევ თვეების წინ არაერთხელ მიმართეს,
მაგრამ უშედეგოდ. მერიამ „ელვასერვის“, „პლანეტა ფორტეს“ და „მაც-
ნეს“ ჯიხურების დიზაინი დაუწუნა და ახალ სავაჭრო ჯიხურებზე აუქ-
ციონი ქალაქის მასშტაბით 1000 ადგილზე გამოაცხადა. ჯიხურების ფა-
სები აუქციონზე იმდენად მაღალი იყო, რომ ცხადი გახდა, ჯიხურში
სოლიდურ თანხაგადახდილი მფლობელი იქ გაზეთების გავრცელებას
ნამდვილად არ მოინდომებდა, თუნდაც მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის
გამო, რომ თუ პრესას პატარა ჯიხურში თვალსაჩინოდ გამოფენ, სხვა
პროდუქტისთვის ადგილი ფაქტობრივად აღარ დარჩება. უკვე ცნობილია
ისიც, რომ ჯიხურების ახალ მეპატრონეებს იქ ძეხვეულის, კვერცხისა
და სხვა საკვები პროდუქტების რეალიზაცია აქვთ დაგეგმილი...“ **პროცე-
სის შემდგომი ეტაპის ანუ დინამიკური ქმედების სტატიკურში გადასვლა
ნაკარნახევია არსებული სიტუაციიდან, რეალური ვითარებიდან; დინამი-
ური ქმედების სტატიკური რეალობით ჩანაცვლება პროცესის ერთი
მნიშვნელოვანი ნაწილის დასასრულია.** „...ჩვენი გაზეთის გამოსვლის
დღისთვის თბილისში არსებულ პრესაზე სპეციალიზებული 140-150 ჯი-
ხურიდან სულ რამდენიმეა იქნება დარჩენილი და მათაც, სავარაუდოდ,
წლის ბოლომდე აიღებენ. მოდის ინფორმაციები, რომ იმავე მეთოდით
ჯიხურების აღება ქვეყნის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც იგეგმება“...

პუბლიკაციის დასასრულს აშკარად იგრძნობა განვითარებული მოვ-
ლენების შედეგად „მიღწეული კანონზომიერი“ პროცესის სტატიკური
ეფექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ პრესის გამაფრცხვლებელთა მხრიდან
მოთხოვნებმა ხელისუფლების მიერ „დროული რეაგირების“ შედეგად
მოვლენების განვითარების კონკრეტულ ეტაპზე განაპირობა ისეთი რეა-
ლობა, როდესაც ორივე მხარე, მიუხედავად პოზიტიური ან ნეგატიური

შედგებისა, ქმედითი ღონისძიებების გატარებას აღარ აპირებენ. ანუ პროცესი ერთგვარად, თავისი განვითარების კონკრეტულ ეტაპზე დინამიკური ქმედებიდან სტატიკურში გადავიდა ანუ შეწყდა, შეიძლება ითქვას, ხელოვნურად დაკონსერვდა, შეჩერდა. თუმცა ყველას კარგად ესმოდა, რომ ეს პროცესი ადრე თუ გვიან ისევ შეახსენებდა თავს ორივე მხარეს, მაგრამ მოცემულ ეტაპზე ხელისუფლებამ დროული რეაგირება მოახერხა, სიტუაცია თავის სასარგებლოდ წარმართა და შესაბამისად პროცესის შემდგომი განვითარებაც მის „სასარგებლოდ“ დასრულდა. „რატომ? ...ჩვენ ძირეულად ვიკვლევდით საკითხებს, მაგრამ ძალიან ცოტას ვსაუბრობდით ხალხზე. ჩვენ მკითხველებს უფრო ინფორმაციას ვაწვდიდით, ვიდრე ვესაუბრებოდით, მათში ინტერესს ვაღვიძებდით ან ჩვენს სტატიებში ვითრევდით. ჩვენ მივიღეთ გამოცდილება, რომ უნდა შევწყვიტოთ ბრალდებების ხატვა და ამბების მოყოლა უნდა დავიწყოთ. ეს დიდი გამოწვევა და დაუსრულებელი ბრძოლაა“ (ჰიუსტონი, 2009:95). რამდენ ხანს გასტანდა ეს ყოველივე, დამოკიდებული იყო იმაზე, სადამდე გაძლებდა პრესის მესვეურთა და საზოგადოების გულისწრომა თუ ნებისყოფა...ეს კი იმის მანიშნებელია, რომ პროცესი თავის შესაძლო სასურველ განვითარებას შესაბამის სიტუაციაში კვლავ გააგრძელებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. მამარლაშვილი, ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში, თბ., 2013
2. ი. პაპერმასი, შემეცნება და ინტერესი, ქუთაისი, 2003
3. მ. მაცაბერიძე, პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2003
4. ჯ. სტიუარტ მილი, თავისუფლების შესახებ, თბ., 2010
5. რ.დ. პატნემი, როგორ ვამუშაოთ დემოკრატია, თბ., 2006
6. ნ. ელიასი, ცივილიზაციის პროცესის შესახებ, წიგნი-II, თბ., 2008
7. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 19-12-2011
8. ჯ.მ. ჰამილტონი, ჯ. კრიმსკი, ჩაეჭიდეთ პრესას, თბ., 2004
9. ბ. კოვაჩი, ტ. როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები, თბ., 2006
10. ტ. რეპკოვა, ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში, თბ., 2011
11. ბრენტ ჰიუსტონი, ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელო, მე-5 გამოცემა, თბ., 2009

Иосеб Саникидзе

Процесс как предмет отражения

Резюме

Процесс является одним из важных и интересных элементов журналистского отражения. Проникая в сущность процесса, познавая и изучая его, мы наблюдаем за жизнью, что позволяет нам делать правильные заключения и прогнозы. Процесс является единством множества конкретных фактов, которое имеет свои начальные и конечные этапы, несмотря на это, он всегда бесконечен процесс является основным звеном неразрывной цепи динамической природы мира, которое на конкретном этапе достигает кульминации своего развития и переходит из динамического действия в статическое, что со своей стороны предопределяет новое динамичное действие.

უჩა ოქროპირიძე

ღალატი, რომელიც არ ყოფილა და
არც შეიძლებოდა ყოფილიყო...

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე საქართველოში და მათ შორის სამუსლიმანო საქართველოში დაიწყო რუსეთის არმიისათვის მოხალისეთა რაზმების ორგანიზება. 1914 წლის აგვისტოს თვეში ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის რომანოვსკის აგიტაციის შედეგად მოხალისეთა ბატალიონში კინტრიშის უბნიდან (ქობულეთი) ჩაეწერა ორასამდე მოხალისე; თუმცა, ოსმალეთის ომში ჩაბმის შემდეგ მათთვის გაუგებარი იყო ოსმალთა კარს მომდგარი საფრთხის ვითარებაში რატომ უნდა ებრძოლათ დასავლეთის ფრონტზე. ამიტომ, აღნიშნული ბატალიონიდან გახშირდა დეზერტირობა. რუსმა ჩინოვნიკებმა ბატალიონის ფორმირების ჩაშლა დააბრალეს ადგილობრივ გავლენიან პირებს და ქობულეთიდან და ქედიდან ათამდე კაცი პასუხისგებაში მისცეს (სდსინ, 2008: 383).

ადგილობრივი მუსლიმანების მოღალატეებად გამოცხადების ინიციატორები იყვნენ კავკასიის სამხედრო და საერო ხელისუფალნი, რითაც მათ სურდათ კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიის თავდაპირველ წარუმატებლობაში თავი გაემართლებინათ. 1914 წლის დამლევს სპეცსამსახურებს მისცეს განკარგულება მოეხდინათ მოკვლევა „მოღალატეებზე“ და პეტროგრადში გაიგზავნა ყალბ ვარაუდებზე აგებული შეტყობინებები, რომ თითქოს „მოღალატეთა“ რაოდენობა 5000-ზე ნაკლები არ იყო (კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე პეტერსონის 1915 წ. 12 იანვრის ცნობა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი).

ბათუმის გამაგრებული რაიონის გენერალ-გუბერნატორის და აქ რუსეთის ჯარების სარდლის გენერალ-მაიორ ლიახოვის 1915 წლის 16 იანვრის ტელეგრამაში ნათქვამი იყო: „ჯერჯერობით მხოლოდ ქვემო აჭარის უბანში საქმე აღძრულია 1000-ზე მეტ მოღალატეზე. ზემო აჭარისა და გონიოს უბნების შესახებ ცნობები იკრიბება (იქვე, გვ. 384; სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3966, ფურც. 7).

„სახელმწიფო ღალატის“ ამგვარად ინსპირირებულ ბრალდებას აჭარის ოსმალთაგან გაწმენდისთანავე შეეწირა 3 ქართველი მაჰმადიანი – შახველედ ღიასამიძე, თოფან თავდგირიძე და ჩანჩხალოელი დუმბაძე (ღიასამიძე, 2011: 49-52), რომლებიც დასჯილი იქნენ სათანადო გამოძიე-

ბის და სასამართლოს გარეშე სოფ. ხიჭაურში კაზაკ-პლასტუნთა მეთაურის, გენერალ გუბსკის ბრძანებით.

სტეფანე ქემხაძის „მოგონებების“ მიხედვით 12 კაცს წერილობით ადრევე მიუძღრთავს ადგილობრივი რუსული მმართველობისათვის და შეუტყობინებიათ თურქთა შესაძლო შემოსევის საფრთხის შესახებ, რათა დროულად მიეღოთ სათანადო ღონისძიებები საზღვრის გასამაგრებლად, მაგრამ მთავრობამ ყურად არ იღო ეს გაფრთხილება და აღნიშნული შეტყობინება რუსული ბიუროკრატის ლაბირინთებში სადღაც გაეჩხირა (ქემხაძე, 1958: 15, 23, 24). მოხსენების ავტორთა პროგნოზი გამართლდა და შემოჭრილმა ოსმალებმა დაიწყეს ხალხის აწიოკება, სხვა რელიგიის მიმდევართა ხოცვა-ჟლეტა (ოლადაურში ქრისტიანობის მოტივით მოკლეს ბერძენი ხელოსნის ცოლი და შვილი). ასეთ ვითარებაში დააპატიმრეს 200-მდე ადამიანი, მათ შორის აღნიშნულ მოხსენებით ბართზე ხელის მომწერი 12 კაციც. სტეფანე ქემხაძის ჩარევის შემდეგ სამხედრო ტრიბუნალმა დამსჯელი ექსპედიცია შეაჩერა და გაათავისუფლა პატიმრები (იქვე, გვ. 50-51).

1915 წლის იანვარში სოფ. ჩანჩხალოში გაიგზავნა ეგზეკუცია. დაარბიეს და გაავერანეს სხვა სოფლებიც. პუბლიცისტი რაფიელ აცანელი (ჩხაიძე) შენიშნავდა: „კახაბრიდან ქედამდე სოფლებში მამალიც აღარ ჰყვიის, სოფლები გადამწვარია და გავერანებული, შენობები გაძარცვული“ (სდსინ, 2008: 384; გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, № 36-39).

ამ ამბების გაგებისთანავე სამუსლიმანო საქართველოში ჩამოვიდა და საკითხი ადგილზე შეისწავლა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დეპუტატმა აკაკი ჩხენკელმა; რის შემდეგაც იგი სასწრაფოდ დაბრუნდა პეტერბურგში და საქმის ნამდვილი არსი მოახსენა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გორემიკინს, რომელიც თანაგრძნობით მოეკიდა აკ. ჩხენკელის განცხადებას და შესთავაზა შესაბამისი მოხსენების წარდგენა უმაღლესი სამხედრო ხელისუფლებისათვის (Газ. „Русское слово“, №32, 1915).

ამასთან, გენერალ ბესარიონ ჩიქოვანის გავლენით, რუსულენოვან დემოკრატიულ პრესაში გაჩნდა წერილები, რომლებიც ამხელდნენ „სახელმწიფო ღალატის“ შესახებ შეთითხნილ ბრალდებებს და მიუთითებდნენ მათი ავტორების ნამდვილ მიზნებზე («Закавказская речь», №48, 1915). ამით მათ სურდათ საბაბი გამოეძებნათ სამუსლიმანო საქართველოდან მუჰაჯირობის ახალი ტალღის ასაგორებლად.

„ღალატში“ ბრალდებისთვის მეფის მოხელეებმა გამოიყენეს 1915 წ. 4 მარტის „საიდუმლო დეკრეტ“, რომელიც გერმანიის ემისარმა ქ. ვიწედან კონსტანტინეპოლში გაგზავნა. მასში სამაჰმადიანო საქართველოს ანტირუსული აჯანყებისათვის მზადყოფნაზე იყო საუბარი. დეკრეტმა გერმანიის დაზვერვამ, როგორც ჩანს, სპეციალურად ხელში ჩაუგდო რუსეთის კონტრდაზვერვას, რათა ხელოვნურად გამოეწვიათ მაჰმადიანების რეპრესიები და ამით მართლა შეექმნათ მათში სააჯანყებო განწყობილე-

ბა. აღნიშნული დეპეშა პეტერბურგის საინფორმაციო სააგენტომ ყოველგვარი კომენტარის გარეშე გამოაქვეყნა.

ამ ცილისმწამებლური დოკუმენტის გამოქვეყნების საპასუხოდ უკვე 6 მარტს თბილისში შეიკრიბა თავადაზნაურობის დეპუტაცია, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთა საგანგებო თათბირი და მიიღო საპროტესტო რეზოლუცია, რომელიც არჩეულმა დეპუტაციამ მეფისნაცვალს წარუდგინა. შეთითხნილი ბრალდება გააკრიტიკა ქართულმა და რუსულმა დემოკრატიულმა პრესამ. „საერთო სახელმწიფო ღალატში“ მაჰმადიან თანამომხეთა დადანაშაულება აღქმული იქნა, როგორც ეროვნული შეურაცხყოფა და უდანაშაულოდ დასჯა მთელი ქართველი ერისა... რუსეთის უმაღლესი სახელმწიფო მოხელეებიც იძულებული გახდნენ ელიარებიანთ ამ საქმეში აჭარის მოსახლეობის უდანაშაულობა. ქართული საზოგადოების საერთო სულისკვეთება გამოიხატა ამ სიტყვებში – „ღალატი ერისა, რომელსაც პოლიტიკური მისიაც ვერ შეუქმნა, ცოტა არ იყოს, პირზე ღიმილს გვრის საზოგადოებას!...“

„მოღალატეთა გამოვლენაში“ წამყვანი როლი შეასრულეს ართვინელი და არტანუჯელი სომხების წერილობითმა დასმენებმა, რასაც საფუძვლად ედო მათი მტაცებლური ეკონომიკური და პოლიტიკური მისწრაფება, ხელში ჩაეგდოთ „ღალატისთვის“ რეპრესირებული და რუსეთის მოქალაქეობაჩამორთმეული ადგილობრივ მკვიდრთა სახლ-კარი, მიწები და ქონება. ამითვე შესძლებდნენ სომხეთიდან სამცხე-ჯავახეთსა და ართვინ-აჭარაზე გავლით შავ ზღვაზე გასვლას და მისი სანაპიროს ხელში ჩაგდებას... ამის გამო ზოგიერთი სომხური გაზეთიც კი იძულებული გახდა საჯაროდ გაეკიცხა თანამემამულეთა მტაცებლური მადა (სდსინ, 2008: 387).

აკაკი ჩხენკელმა ამ უბედურების გაგებისთანავე შემოიარა მთელი სამუსლიმანო საქართველო და 1916 წ. 11 თებერვალს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქვა დასაბუთებული და მეტად შთამბეჭდავი სიტყვა მათ დასაცავად. მან უშიშრად ამხილა რუსეთის ადგილობრივი ხელისუფალნი და განაცხადა: „1915 წ. 9 იანვარს რუსმა მხედართმთავარმა პირადად მითხრა, რომ მას მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისგან ნაბრძანები ჰქონდა დაკავებული ადგილების გაწმენდა არა მარტო თურქებისაგან, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობისაგანაც... შედეგად კი ათეულობით და ასეულობით სოფელი დაცარიელდა“... აკ. ჩხენკელმა გაიხსენა ანალოგიური ეთნიკური წმენდა სამცხე-ჯავახეთში და იქ სომხების ჩამოსახლება, რის შემდეგაც მან უნდობლობა გამოუცხადა რუსეთის მთავრობას და მოითხოვა მისი გადადგომა. ვორონცოვ-დაშკოვის ამიერკავკასიის ხალხების ერთმანეთზე წასისინების პოლიტიკა მკაცრად გააკრიტიკა და დაგმო დეპუტატმა კარლო ჩხეიძემაც.

მაჰმადიან ქართველთა დაცვა-გადარჩენის საქმეში თავისი მამხილებელი წერილებით დიდი წვლილი მიუძღვით არჩილ აბაშიძეს, ზემო ფურტიოს კანცელარიის მწერალ სტეფანე ქემხაძეს და სხვ.

პეტერბურგიდან ამ საქმის შესასწავლად სხვადასხვა დროს საგანგებო მისიით მოვლინებული გენერალ-ლეიტენანტ პოროშინის, გენერალ ნიროდის და სენატორ გოლიცინის საერთო დასკვნა ასეთი იყო – „ოლქის მუსლიმანური მოსახლეობის საერთო ღალატს ადგილი არ ჰქონია, იყო მხოლოდ ცალკეულ დამნაშავე პირთა ღალატი“ (სდსინ, 2008: 388; სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3193).

საერთოდ, თუ რას წარმოადგენდა ეს ე.წ. აჭარელთა ღალატის“ საქმე, ამის შესახებ საკმაოდ ტევად ინფორმაციას გვაწვდის გაზეთ „საქართველოს“ 1915 წლის სექტემბრის 102-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატია – „აჭარლების გასამართლება“, რომელშიც აშკარადაა მხილებული სომხების უღირსი როლი მათი შემფარებელი, დამცველი და გადამრჩენი ქართველი მუსლიმანების „ღალატის“ ბრალდების საქმეში. აქვე მეტად საყურადღებო ცნობა-მინიშნებას შეიცავს შავშეთ-იმერხევის უფროსის თანამდებობის აღმსრულებლის ნიკოლსკის შემდეგი ჩვენება: „როდესაც ის შეუდგა მავნე პირების ძებნასა და დაჭერას, სომხებმა თხოვნით მიმართეს მას, რომ ალი და ხუსეინა (მათ მიერვე შემდეგ დაბეზღებულნი და ბრალდებულნი – უ.ო.) არ დაეჭირათ, რადგან ისინი იყვნენ სოფ. ოქრობაგეთის დამცველნი და დიდი სიყვარულით და ნდობით იხსენიებდნენ, მაგრამ მათი შეხედულება შეიცვალა მას შემდეგ, რაც სოფელში ჩამოვიდა სომეხი მასწავლებელი ტერ-მანუკიანი, რომელიც აჭარლებისა და მუსლიმანებისადმი ზიზღს ქადაგებდა. ეს მასწავლებელი მავნე საქმიანობისათვის მთავრობის განკარგულებით გაძევებული იქნა ამ სოფლიდან. მეტადრე გამწვავდა საკითხი მას შემდეგ, რაც სომხებმა იწყეს თხოვნა იმ მამულებზე დასასახლებლად, რომელნიც გაქცეული აჭარლებისაგან მიტოვებული იქნა“... აქ, ყველაფერი დღესავით ნათელია... გაზეთი იქვე აღნიშნავს, რომ ქართველ მაჰმადიანებს საფუძვლიანად და მალე დონეზე იცავდნენ ვეჩილები – მაჭავარიანი, გეგეჭკორი, ანჯაფარიძე, მუატი და სახნოვსკი. მაგრამ მეორე დღეს, 5 საათისათვის, თათბირის შემდეგ სასამართლომ იუნუს მეღაძეს, ალი გორგაძეს, ხუსეინ ირემაძეს და დურსუნ ბოლქვაძეს ღირსების ახდა და ჩამოხრჩობა მიუსაჯა. ყადი ნური ეფენდი ბერიძე, ოსმან ჭაღალიძე და ახმედ ბეჟანიძე კი გაამართლეს. ზემოთ მოხსენებული პირების მიმართ სასამართლომ დაადგინა ეშუამდგომლა მისი იმპერატორობითი უმაღლესობის, კავკასიის მეფისნაცვლის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის წინაშე, რათა სიკვდილით დასჯა სხვა სასჯელით შეეცვალათ (გაზ. „საქართველო“, 1915, №102).

კავკასიის არმიის შტაბის სამხედრო-სასამართლო ნაწილის უფროსის მიერ 1916 წ. 10 ივლისს აკ. ჩხენკელისათვის გაცემული ოფიციალური ცნობით, ბრალდებულთა სიაში შეტანილი 3 ათასამდე კაციდან „სახელმწიფო ღალატისათვის“ პასუხისგებაში მისცეს 388 კაცი. მათგან 217 გასამართლეს, სასჯელი დაედო 171 კაცს. სამუდამო კატორღა მიესაჯა 8 კაცს, 20 წლით – 9-ს, სხვადასხვა ვადით – 103-ს, ციხეში ჩასვეს 22 და საცხოვრებელი ადგილიდან გადაასახლეს 28 კაცი. თავიდან სიკ-

ვდილი მისჯილი ჰქონდა 60 ბრალდებულს, მაგრამ შემდგომ მათ სასჯელის უმაღლესი ზომა შეუცვალეს ციხით ან გადასახლებით (სდსინ, 2008: 389).

ეს ცილისმწამებლური კამპანია ოფიციალურად შეწყდა მხოლოდ ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 26 იანვრის სპეციალური დადგენილებით, რომლის ინიციატივაც ეკუთვნოდა ამ მთავრობის შინაგან საქმეთა კომისარს აკაკი ჩხენკელს, რომელიც ამ ე.წ. “დალატის საქმეს” ზედმიწევნით კარგად იცნობდა (სდსინ, 2008: 391; სცსსა, ფ. 114, ან. 3, ს. 3, ფურც. 23). ამ დადგენილების საფუძველზე თავიანთ კერებს დაუბრუნდნენ „სახელმწიფო დალატის“ ბრალდებით 1915-1916 წლებში მსჯავრდებული 120-მდე პიროვნება ყარსისა და ბათუმის ოლქებიდან.

აქ ჩვენ გვსურს დავსვათ ერთი მართლზომიერი კითხვა: სახელმწიფო და ხელისუფლება, რომელიც მისთვის არასასურველი მოსახლეობის რეპრესირების მიზნით და მათი გასახლებისათვის საბაბის შესაქმნელად თითიდან გამოწოვილი და შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე მთელ რეგიონს და ხალხს მოღალატედ გამოაცხადებს, საერთოდ თუ იმსახურებს ამ მოსახლეობისაგან მის მიმართ რაიმე პასუხისმგებლობისა და ლოიალობის გამოხატვას? როდესაც სახელმწიფოში სახელმწიფოებრივი კანონით მართვის ვალდებულება ჩანაცვლებულია უსამართლო, თვითნებური ბრალდებებით, მთელი ხალხის, ან მისი დიდი ნაწილის გამტყუნებისა და დასჯის სურვილით, აქ მეორე მხარის დალატზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან უსამართლო სახელმწიფო და მისი ამგვარი სადამსჯელო სისტემა თავად არის საკუთარი სახელმწიფოებრივი დანიშნულების მოღალატე და მისი საწინააღმდეგო ყოველგვარი ქმედება ყველა შეგნებული, თავისუფალი ნებით აღჭურვილი ადამიანის არა მარტო უფლება, მოვალეობაცაა. ამიტომაც აღნიშნულ შემთხვევაშიც ლაპარაკია დალატზე, რომელიც არ შეიძლებოდა რომ საერთოდ ყოფილიყო.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. სდსინ, 2008: – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი.
2. სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3966 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, ანაწერი 27, საქმე №3966.
3. სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3193.
4. სცსსა, ფ. 114, ან. 3, ს. 3 ფურც.23.
5. ქემხაძე, 1958: – ქემხაძე სტ., მოგონებები, ბათუმი.
6. გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, №36-39.
7. გაზ. „საქართველო“, 1915, №102.
8. Газ. «Закавказское слово», , 1915, №32.
9. Газ. «Закавказская речь», 1915, №48.

რუსლან ბარამიძე

**რელიგიური ორგანიზაციებთან დაკავშირებული
2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებების ასახვა
ელექტრონულ მედიაში**

რელიგიური თემების რეგისტრაციის პრობლემა დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან სირთულეებს წარმოშობდა ამგვარი ორგანიზაციების ფუნქციონირებისა და საქმიანობის რეგულირების თვალსაზრისით. ეს ეხებოდა როგორც საგანმანათლებლო პროცესს, ისე დაფინანსებას, საქმისწარმოებას და სხვა. საკანონმდებლო ცვლილებები განპირობებული იყო სახელმწიფო ვალდებულებებით (მაგ., საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე), ადგილობრივი რელიგიური ინსტიტუტების რეგისტრაციისა და ოფიციალურად ფუნქციონირების სურვილით და სხვა თანამდევი ფაქტორებით. ამ ცვლილებამ სამუსლიმანო სამმართველოს ჩამოყალიბება განაპირობა და მუსლიმებში სხვადასხვა ჯგუფის (მხარდამჭერი, მოწინააღმდეგე, დამოუკიდებელი და ა.შ.) გაჩენა გამოიწვია. ასე ერთ-ერთი პირველი შეიქმნა ქართველ მუსლიმთა კავშირი, მოგვიანებით სხვა ორგანიზაციები. მათ შორის დარეგისტრირდა სრულიად საქართველოს სამუსლიმანო სამმართველო. კანონის განხილვის პროცესში შეიქმნა სპეციფიკური სიმბოლური და ტერმინოლოგიური ველი და არგუმენტების კომპლექსი. დაპირისპირებამ დაინტერესებული ჯგუფების კონსოლიდაციას შეუწყო ხელი.

წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია ამ პერიოდში ელექტრონულ მედიაში შექმნილი მასალების ანალიზი, აღწერილია როგორც პროცესი, ისე მისი კავშირი მუსლიმურ თემთან. მასალები დალაგებულია პროცესის მხარდამჭრებისა და მოწინააღმდეგეების მიხედვით.

თავდაპირველად მოვიყვანთ ცნობებს სამოქალაქო კოდექსში შეტანილ ცვლილებებზე. კერძოდ, 2011 წლის 5 ივლისის (№5034) საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლს დაემატა 15091 მუხლი. ახალი რედაქცია შემდგენიარად გამოიყურება: მუხლი 1509. 1. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან: (...) ვ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია; ზ) ამ კოდექსის 15091 მუხლით გათვალისწინე-

ბული რელიგიური გაერთიანებები. (...) მუხლი 15091. 1. რელიგიური გაერთიანებები შეიძლება დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. 2. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ ზღუდავს რელიგიური გაერთიანებების უფლებას, დარეგისტრირდნენ, როგორც ამ კოდექსით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, აგრეთვე ეწეოდნენ საქმიანობას, როგორც ამ კოდექსით გათვალისწინებული არარეგისტრირებული კავშირი. 3. რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. 4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად. 5. საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი. 6. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისთვის დადგენილი წესი და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კოდექსის პირველი კარის მეორე თავით.

მოწინააღმდეგეები. კანონის მიღების მოწინააღმდეგეთა ძირითადი ნაწილი აცხენებს აკეთებდა ეკლესიისა და მართლმადიდებელი მრევლის უფლებების შეზღუდვაზე, სახელმწიფოსა და რელიგიური ინსტიტუტების გაუარესებულ ურთიერთობებზე (საპატრიარქოს სამართლებრივი სტატუსი და კონკორდატის პირობები), ეროვნული ინტერესებისა და ღირებულებების დაკნინების საფრთხეებზე.

მასმედიით გავრცელებული ცნობების ზოგადი აღწერის მიზნით, მოვიყვანო ერთ ამონარიდს, რომელშიც ავტორი ეხება ყველა იმ საკითხს, რომლებზეც კანონის მიღების მოწინააღმდეგეები საუბრობდნენ: „ქართველი ერი მტერს თუ მოღალატეს აბსოლუტურად ყველაფერს აპატიებს, მაგრამ სარწმუნოებასთან ჭიდილს და სარწმუნოებასთან კონფლიქტს არასდროს და ის, რაც ახლა ხდება, ქართველი ერის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდება. ჩვენ, სამღვდელოება მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ სანამ დროა გონს მოეგონ, საჯაროდ შეინანონ და ამით საუკუნოვან რისხვას აიცდენენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საპატრიარქო ალბათ, დადგენილებას მიიღებს - ყველა ანათემას გადაეცემა (სჯულის კანონის თანახმად, ჩვენ ამის უფლება გვაქვს) და დაიწყებენ შთამომავლობით! ამას სჯობია გონს მოეგონ, გამოფხიზლდნენ და დადგნენ იქ, სადაც ქართველი ერი

და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დგას“ (მიქიაშვილი, 10.07.2011). კანონის მიღება ერის, ღირსების, სარწმუნოების და ეკლესიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია – ამგვარი ცნებებით აქცენტირება აქტიური გახდა არა მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ უფრო ადრე, ე.წ. სექტანტების წინააღმდეგ გამართული აქციების დროს, ხოლო მოგვიანებით (კანონის მიღების შემდეგ) ეს ტენდენცია უკვე აზიზის სახელობის მეჩეთის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა გამონათქვამებში გამოიკვეთა.

თითოეული ცნების გამოყენება დაკავშირებული იყო ემოციური ხასიათის სიმბოლოებთან – თავისუფლება, დამოუკიდებლობა, თვითმყოფადობა და უფრო ფართო გაგებით – გადარჩენა-აღორძინების იდეასთან. ემოციური ხასიათის ციტატას წარმოადგენს: „ისტორიულად ქართველი ერის დაპყრობა და დამორჩილება ბრძოლის ველზე არასდროს ხდებოდა - ჩვენს იდეოლოგიურად დაპყრობას ცდილობდნენ, მაგრამ ეს დაპყრობა, ჩვენდა საბედნიეროდ, დღემდე არ მომხდარა.... დღეს ყველაზე სასტიკი დამპყრობელი და მტარვალი მტერი ქვეყნის შიგნით გვყოლია, რომელმაც მუხანათურად, ვერაგულად და მზაკერულად გააფორმა ეს კანონი და შემდეგ ჩააყენა საპატრიარქო საქმის კურსში...“ (მიქიაშვილი, 07.07.2011).

მეორე მხრივ, დაინტერესებული ჯგუფების მიერ ინდივიდუალური და სოციალური აქტიურობისათვის მოაზრებული კონკრეტული ფიზიკური სივრცე, რომელშიც წარმოსახვითად გაერთიანდა მოტივირების, მობილიზაციისა და კონსოლიდაციის ელემენტები. სხვადასხვა ავტორის მიერ ისინი ფართოდ გამოიყენებოდა და წარმოადგენდა ყველაზე გავრცელებული სიმბოლოებით მანიპულირების პოპულისტურ ხერხს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების მოტივირებისა და მობილიზებისათვის. წარმოსახვითი ერთიანობის ხასიათის მაგალითია: „...ყველა სისტემა გაანადგურეს, რომელიც ერის იდენტობისთვის აუცილებელია. ერთადერთი ეკლესია იყო დარჩენილი და მასაც გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს.... თუ ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ ჩვენი იდენტობა და თვითმყოფადობა, მიხეილ სააკაშვილი უნდა ვაიძულოთ ამ კანონს ვეტო დაადოს. მართლმადიდებლობა ოფიციალურ რელიგიად უნდა გამოცხადდეს“ (მიქიაშვილი, 06.07.2011).

საკუთარი მოსაზრებების დამაჯერებლობისათვის ავტორები დაწვევლულ კატეგორიებს იყენებდნენ, რომლებშიც გაერთიანდა ეროვნული და სარწმუნოებრივი (ემოციური და წარმოსახვითი) კატეგორიები. ავტორები ცდილობდნენ ახალი ნაციონალური თეორიის საკუთარი ვერსია გაემყარებინათ იმგვარი „მტკიცებულებებით“, რომლებიც ერის მოცემულ მოდელს საზოგადოებისათვის ისტორიული, პატრიოტული და მორალურ-ეთიკური ნორმებით გამართლებულ არჩევანად წარმოადგენდა. ამიტომ ვხვდებით ციტატებს, სადაც – „კანონი ეწინააღმდეგება როგორც ეკლესიის, ისე ქვეყნის ინტერესებს“ (მიქიაშვილი, 05.07.2011), ან „[მთავრობა]

აშკარად და სასტიკად დაუპირისპირდა ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ეკლესიას, რომ მსგავსი რამ როსტომ ხანსაც არ ჩაუდენია საქართველოში“ (მიქიაშვილი, 07.07.2011).

ასეთ პირობებში წარმატების მიღწევისათვის აუცილებელი იყო ერთ-სა და სასულიერო პირების ერთობლივი მოქმედება: „ათასობით ადამიანი მხარს უჭერს წმიდა სინოდისა და პატრიარქის პოზიციას. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ ხელისუფლების მიმართ, რაც გულისხმობს კონკორდატის (ხელშეკრულება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის) დარღვევასა და უწმიდესის თხოვნის უგულებელყოფას, დაედოთ ვეტო მიღებულ კანონზე – საქართველოში მოქმედი რელიგიებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის შესახებ“ ((საპატრიარქო..., 11.07.2011; მიქიაშვილი, 06.07.2011; მიქიაშვილი, 10.07.2011; მიქიაშვილი, 07.07.2011), ამიტომ „ქრისტიანობის დასაცავად ... საპატრიარქოსთან შეკრებილი ადამიანები სინოდის გადაწყვეტილებას ელოდებოდნენ და ღოცულობდნენ“ (ტორონჯაძე, 11.06.2011), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება მიღწეული ოპტიმალური გადაწყვეტილება, „უარყოფით შედეგებზე პასუხისმგებლობას საქართველოს საპატრიარქო ხელისუფლებას აკისრებს“ (მიქიაშვილი, 05.07.2011 (2)), და მაშინ კი „...ჩვენს ერს დავით აღმაშენებლის სიტყვებს შევახსენებ, რომელიც დიდგორის ველზე გაისმა...“ (მიქიაშვილი, 07.07.2011) და როგორც შედეგი, „ეკლესია უკვე ხმას ამოიღებს და ეკლესიის ხმის ამოღება ძალიან ძვირი დაუჯდება არა მხოლოდ სააკაშვილს, არამედ, მის მემკვიდრეებსაც, თუ ეს ცოდვა არ შეინანეს. მათ მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე კი არ ჩაიდინეს შეცდომა და დანაშაული?! - უფლის სახელის შემბღალავი ძალიან დიდი სასჯელით დაისჯება!“ (მიქიაშვილი, 07.07.2011). ამგვარად ემოციური და წარმოსახვითი კატეგორიებით აპელირებით ავტორები საზოგადოებას განუმარტავდნენ მიმდინარე პროცესების დამღუპველ ხასიათს, მის შესაძლო შედეგებს და აუცილებელი წინააღმდეგობის ფორმასა და ხერხებს.

ავტორების მეორე ჯგუფი სხვა ინფორმაციას ავრცელებდა: „წირვის დასრულების შემდეგ, ყველა მოქმედი ტაძრიდან მრევლი თავ-თავიანთ მოძღვრებთან ერთად მშვიდობიანი მსვლელობით სამების საკათედრო ტაძრისკენ დაიძვრება...“ (მიქიაშვილი, 10.07.2011); აქციის აღწერის დროს „...სამების საკათედრო ტაძრიდან, რამდენიმე მოძღვარი ფეხით გავემართეთ ქვაშუეთისკენ. იქ დაახლოებით 50-მდე მოძღვარი და მრევლი შემოგვიერთდა“ (მიქიაშვილი, 10.07.2011). საპროტესტო აქცია მშვიდობიან პროტესტს წარმოადგენდა, რომლებიც იგივე მიზნის მიღწევას ღოცვითა და გალობით გეგმავდა. „ამ კანონის წინააღმდეგ ერთიანად უნდა გავილაშქროთ, როგორც ერმა, ასევე ბერმა - ხმა უნდა ავიმადლოთ, თუნდაც, მღუმარე აქცია მოვაწყოთ; რუსთაველის მოედნიდან თავისუფლებაზე შემოსილებმა, ღოცვით, ხატებითა და გალობით მღუმარედ, რომ ჩამოვიაროთ, მტერს ამითაც დავამარცხებთ“ (მიქიაშვილი, 07.07.2011).

ნებისმიერ შემთხვევაში, წყაროების უმრავლესობა მიუთითებდა, რომ

აქციის მონაწილეებს საკანონმდებლო ცვლილებების მიმართ ნეგატიური განწყობა ჰქონდათ და მის გაუქმებას მოითხოვდნენ: „ქაშუეთის ეზოში, “წინააღმდეგობის მოძრაობის“ ორგანიზებით გამართულ აქციას, რომელზეც რელიგიებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების შესახებ, 5 ივლისს, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი გააპროტესტეს და მიხეილ სააკაშვილს კანონზე ვეტოს დასადებად ვადა 15 ივლისამდე მისცეს...“ (მიქიაშვილი, 07.07.2011).

მასალების ნაწილი კანონის მიღების უმთავრეს მიზეზს ქვეყნისა და ეკლესიისადმი მტრულ გარემოს უკავშირებენ და ამ კანონის მიღების უმთავრეს ინიციატორებად უცხო ქვეყნებსა და სხვა რელიგიურ ჯგუფებს მიიჩნევენ.

კანონის მიღების პირველ და მთავარ ინიციატორად, შესაბამისად, ქვეყნისა და ეკლესიის მტრად, სომხეთი და სომხური ეკლესია სახელდება – „...ეს ის კანონია, რომლის წინააღმდეგ, საუკუნეების განმავლობაში სისხლისმღვრელი ბრძოლები იმართებოდა - VI საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, სომხებს ამის პრეტენზია ქვეცნობიერად ყოველთვის ჰქონდათ...ეს არ არის გუშინ და გუშინწინ მოფიქრებული კანონპროექტი. ...ეს არ არის მხოლოდ რელიგიური პოლიტიკა და სომხეთის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება. ამის უკან ძალიან დიდი პოლიტიკა იმალება. ეს არის სწორედ ქართული ტაძრების, ქართული ეკლესია-მონასტრების, ჩვენი სიწმინდეების წინააღმდეგ ბრძოლა და ამ ბრძოლაში სომხეთი იყენებს ქართულ სახელმწიფოებრიობას, საქართველოს ვაიპოლიტიკოსებს, რომლებმაც ერთიანი შეთანხმებით, მზაკვრულად მიიღეს ზემოხსენებული კანონი და ამით პატრიარქს და მთელ ერს გული ძალიან ატკინეს. ესაა საშვილიშვილო შეცდომა. ძველ აღთქმაში ამაზე უარესი ნამდვილად არ მომხდარა. ძველ აღთქმაში წერია, რომ აწვიმა უფალმა ციდან სოდომს და გომორს გოგირდი და ცეცხლი; ეს იმიტომ რომ იქ უღმერთობა დაინერგა და ამაზე დიდი უღმერთობა ჩვენს ქვეყანაში, არც ერთ საუკუნეში არ მომხდარა. ...ეს ფაქტობრივად, ცრუ სარწმუნოებების რეალიზება და უფრო მეტიც, მათი დაკანონებაა. ჩვენ გვაიძულებენ ეს ცრუ სარწმუნოებები ვაღიაროთ და მივიღოთ“ (მიქიაშვილი, 07.07.2011).

სომხების გარდა, ასეთივე ინტერესი პროტესტანტულ და მუსლიმურ თემებს მიეწერება (მიქიაშვილი, 07.07.2011). მასალებში აღწერილია ის საფრთხეები, რაც კანონის მიღებისა და სხვა რელიგიური ჯგუფების ინტერესების რეალიზებას მოყვება: „ამ კანონში ნათლად ჩანს, რომ სომხური სამოციქულო ეკლესიის, რომელსაც კათოლიკური ეკლესიის, მუსულმანთა თემის, ბაპტისტურ-ევანგელისტური თემის და იუდეველთა თემის უფლებები გაუთანაბრდება მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებებს, რაც გულისხმობს: მათ მიერ პროზელიტიზმის შეუფერხებლად განხორციელებას (ანუ ქადაგებას კონკრეტული დენომინაციის სასარგებლოდ); სახელმწიფოსგან იგივე ტიპის ხელშეწყობას, რაც აქამდე ჰქონდა მართლმადიდებელ ეკლესიას; საკულტო ნაგებობების ისეთივე ინტენსი-

ვობით მშენებლობას, როგორსაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ახორციელებს. ... აღნიშნულ დენომინაციებს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეუდარებლად დიდი ფინანსური საშუალებები აქვთ და საქართველოში არსებული კატასტროფული სოციალური ფონის [გათვალისწინებით], ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რა შედეგებს მოიტანს ზემოხსენებული კანონის რეალიზება. ... პროზელიტიზმი გულისხმობს გარკვეულ სფეროებში შეღავათებს, ფინანსურ დახმარებებს, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. შესაბამისად, ძალიან ბევრი ადამიანი ამ ზეგავლენის ქვეშ მოექცევა, ვინაიდან ადამიანები შეცდომებისკენ მიდრეკილნი არიან“ (მიქიაშვილი, 06.07.2011).

ამგვარად, დასახელებულია როგორც წმინდა რელიგიური საფრთხე „ცრუ სარწმუნოების“ გავრცელების თვალსაზრისით, ასევე ქართველთა თვითმყოფადობის საყრდენისა და შესაბამისი სიმბოლოების დასუსტების უშუალო შესაძლებლობა, რაც ფინანსური რესურსებითა და აქტიური პროზელიტიზმით იქნება მიღწეული, „ვინაიდან ადამიანები შეცდომებისკენ მიდრეკილნი არიან“. როგორც ვნახეთ, რელიგიური ხასიათის ინციდენტების შემცირების მიუხედავად, ახალი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში არადომინანტი რელიგიური ჯგუფების პრობლემები მაინც არსებობდა და თუ ისინი პირდაპირი აგრესიის მსხვერპლი არ ხდებოდნენ, საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის, ეროვნულობის და მართლმადიდებლობის მტრებად აღიქმებოდნენ.

უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პროცესში თავის ადგილს პოლიტიკური სუბიექტებიც პოულობენ. ოპოზიციური პარტიები ასევე გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას და პროტესტს საკანონმდებლო ცვლილებების გამო“ „საპარლამენტო ოპოზიციას კენჭისყრაში მონაწილეობა პროტესტის ნიშნად არ მიუღია, რადგან ისინი 4 ივლისს, პატრიარქის მიერ გაკეთებული განცხადების გათვალისწინებას ითხოვდნენ, რომლითაც მისი უწმინდესობა კანონპროექტის განხილვის შეჩერებას მოითხოვდა“ (მიქიაშვილი, 05.07.2011).

საინტერესოა, რომ საპროტესტო აქცია და საზოგადოებრივი პროტესტი, როგორც მასალებიდან ჩანს, სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაციით დაიწყო. როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, „ქაშუეთის ტაძართან დათქმულ შეკრებაზე ათეულობით ათასი ადამიანი მივიდა, რაც მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან ამ შეკრების ირგვლივ ინფორმაცია მხოლოდ სოციალურ ქსელებში იყო გავრცელებული“ (მიქიაშვილი, 10.07.2011). ან კიდევ: „მოსახლეობა მხარდამჭერ აქციას ორგანიზებას სოციალური ქსელის facebook-ის საშუალებით უწევს. facebook-ის მონაცემებითვე, ამჟამად, 21 ათასზე მეტ ადამიანს სურს ამ აქციაზე დასწრება“ (საპატრიარქო..., 11.07.2011). დაგვემატიო აქციის ფორმატმა პროტესტის ორგანიზატორების მოლოდინებს გადააჭარბა, აქციამ საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო, რაც დიდ გამარჯვებად იყო მიჩნეული: „ეს იყო ძალიან დიდი გამარჯვება - ამ ორი ათეული წლის განმავლო-

ბაში, ერი და ბერი ასე ერთსულოვანი არ მინახავს“ (მიქიაშვილი, 10.07.2011).

საინტერესოა ის მომენტიც, რომ აქციის შემდეგ გამოქვეყნებულ მასალებზე რეაგირებას საპატრიარქო ასევე ინტერნეტის მეშვეობით ახდენდა: „საქართველოს საპატრიარქო ინტერნეტში ... გამოქვეყნებულ ინტერვიუებსა და საგაზეთო სტატიებს სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა. ...ინტერნეტის და პრესის საშუალებით წმიდა სინოდის წევრებთან დაკავშირებით შეურაცხყოფელი და არასწორი ინფორმაციები ვრცელდება...ხალხის დაბნევას და მრევლში უნდობლობის დანერგვას ემსახურება. ...სინოდის სხდომიდან, ანუ 11 ივლისიდან დღემდე, ქართულ გაზეთებში არაერთი ინტერვიუ და სტატია დაიბეჭდა, სინოდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც პარლამენტის მიერ, რელიგიური გაერთიანებებისთვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭებას ეხება“ (მიქიაშვილი, 09.08.2011).

ამგვარად, სოციალური მობილიზაციის ახალი საშუალება, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აქტიურ ინსტრუმენტად იქცა, თავის ადგილს რელიგიურ ჯგუფებში და მათ მხარდამჭრებშიც პოულობს. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა კონკრეტული აქციის ორგანიზებისათვის სოციალური ქსელი იყო გამოყენებული, თუმცა ეს ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო საქართველოს ისტორიაში, როცა ამგვარ ინიციატივას მრავალათასიანი აქცია მოჰყვა, რითაც ორგანიზატორების მოლოდინსაც გადააჭარბა. შემდგომ პერიოდებში სოციალური ქსელების მეშვეობით აქციების ორგანიზება, რეაგირება და შეფასებების გაკეთება აქტიურ და გარკვეულწილად სავალდებულო სახეს ღებულობს. ყველა ჯგუფი ყურადღებით აკვირდება როგორც თანამოაზრეების, ისე მოწინააღმდეგეების აქტიურობას და რეაგირებს მასზე. რეაქციას არა მარტო ანალიტიკური ან საინფორმაციო ხასიათის სტატიები, ბლოგები, კომენტარები, პოზიციები იწვევს, არამედ ექსპერტების დახმარებით მომზადებული ცნობები ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის თუ პიროვნების შესახებ. საქართველოს ისტორიის ახლებურმა გააზრებამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. ამიტომაც, ჯგუფები ისტორიაზე საკუთარი ინტერესებიდან და ხედვიდან გამომდინარე მსჯელობენ. ასეთ ვითარებაში ინტერნეტსივრცე ყველა ადამიანს აძლევდა უნიკალურ საშუალებას – საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით დაეწერა „რეალური ისტორია“ ან მისი შეფასება გაეკეთებინა. ასე გაჩნდა კომენტარების ნაწილი, რომლის მიხედვით მაგალითად, „კიდევ ერთხელ და ალბათ მრავალჯერ, ჩვენი კულტურა კაცობრიობის ასაკისაა, ჩვენს გენეტიკაში კაცობრიობის ისტორიაა კოდირებული!!!“ (თენგი, 2013–06–13 20:07:53, კომენტარი სტატიაზე – http://www.for.ge/view.php?for_id=24289&cat=3). ემოციებითა და შინაარსით დატვირთული ეს კომენტარი ერთ-ერთ სტატიას მოჰყვა, რომელშიც ექსპერტი აზიზის მეჩეთზე მსჯელობისას ავტორისათვის „არაპოპულა-

რულ“ ისტორიულ წყაროებს იყენებდა.

ამრიგად, კანონმდებლობაში რელიგიასთან დაკავშირებული ცვლილებების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ძირითადად ისეთ ცნებებს ეყრდნობოდა, რომლებიც მკითხველისათვის საყურადღებო სიმბოლოებზე და ემოციებზე ახდენდა გავლენას. სოციალური აქტიურობის და საპროტესტო მოძრაობის ზრდის ფონზე, ყველა არგუმენტს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი გამოხმაურება მოყვა. პრობლემის მასშტაბურობას ოპონენტი ავტორიტეტული ინსტიტუტის პროტესტი და მოსალოდნელი საფრთხეების ჩარჩოები განაპირობებდა. მოწინააღმდეგეთა არგუმენტებში პირველად ჩნდება მუსლიმური თემის შესაძლო საფრთხე საქართველოსა და მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, რაც მუსლიმური ორგანიზაციების ინტერესების რეალიზების შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას.

მხარდამჭერები. საკანონმდებლო ცვლილებებს მხარს, გავრცელებული მასალებით, პოლიტიკური რეჟიმის წევრები უჭერდნენ. ამავდროულად პოლიტიკური ოპონენტები, ისევე, როგორც ექსპერტები (იურისტები), კანონპროექტის მიღებით გამოწვეულ პროცედურულ და ორგანიზაციულ პრობლემებზე საუბრობდნენ.

მასალები მიუთითებენ, რომ კანონპროექტის განხილვა და მისი მიღება დაჩქარებულად მოხდა. „პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსში შესატანი ცვლილებები - რელიგიური ერთობებისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭების შესახებ დაჩქარებულად მიიღო“ (პარლამენტი..., 05.07.2011). მიუხედავად ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლები საჭიროდ მიიჩნევდნენ დაეფიქსირებინათ, რომ ძირითად რელიგიურ ჯგუფებთან კონსულტაციები შედგა, რითაც დაცული იყო როგორც სამართლებრივი მოთხოვნები, ისე გათვალისწინებული იყო უმრავლესობის აზრი – „კენჭისყრამდე პავლე კუბლაშვილი საპატრიარქოს წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ პარლამენტმა კანონპროექტში მხოლოდ ერთი ცვლილება შეიტანა“ (პარლამენტი..., 05.07.2011). მასალებში დაზუსტებულია, რომ კონსულტაციების შედეგად შეიცვალა რელიგიური ჯგუფების დაყოფის პრინციპი, რომლიც მიხედვით, თავდაპირველად მხოლოდ ხუთი რელიგიური გაერთიანება იყო გამოყოფილი ტრადიციულ და საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული როლის მქონე ჯგუფად: „ჯერ კიდევ დილით კანონპროექტი ეხებოდა მხოლოდ 5 რელიგიურ გაერთიანებას: ევანგელისტურ-ბაპტისტურ, სომხურ სამოციქულო, რომაულ კათოლიკურ ეკლესიებს, ასევე მუსლიმანთა და იუდეველთა თემებს. ეს პუნქტი მეორე მოსმენის დაწყებამდე იურიდიული კომიტეტის სხდომაზე შეიცვალა, სადაც კანონპროექტის ავტორების ოპონენტებმა განაცხადეს, რომ რელიგიური გაერთიანებების ასეთი დაყოფა დისკრიმინაციულია“ (პარლამენტი..., 05.07.2011).

მიუხედავად ამისა, კანონპროექტის განხილვა ძირითადად საპარლამენტო ფორმატში მოხდა, რის გამოც საზოგადოებრივი ინფორმირებულობა და ჩართულობა ფაქტობრივად უგულვებელყოფილი აღმოჩნდა.

„თავიდან ამ კანონის რამდენიმე ვარიანტი არსებობდა, რომელთა ტექსტი საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელი იყო. ბოლო ვარიანტიდან, რომელსაც პრეზიდენტმა ხელი მოაწერა, გამომდინარეობს, რომ ყველა იმ რელიგიას, რომელსაც ისტორიული კავშირი აქვს საქართველოსთან და ყველა იმ კონფესიას, რომელიც სტატუსით სარგებლობს ევროსაბჭოს რომელიმე წევრ ქვეყანაში, ექნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი... ის, რომ საქართველოში ტრადიციულ ეკლესიებს ჰქონდეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, კარგია, ეს დიდი ხნის წინ უნდა გაგვეკეთებინა. ...მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ სტატუსი მისცეს. ეს კარგია, მაგრამ არა ამ ფორმით, რადგან ამ ფორმამ აღგვიკვეთა საშუალება გავიგოთ რა არის ამის უკან. ამიტომაც ფორმა მიუღებელი“ (მიქიაშვილი, 11.07.2011). გადაწყვეტილების მიღების ამგვარი ფორმა პოლიტიკური რეჟიმისათვის დამახასიათებელი და ფართოდ გავრცელებული ტრადიცია იყო, რაც ჯერ კიდევ „მადლის საქმის“ დროს გამოჩნდა. ამის პირდაპირ გამოხატულებას პრეზიდენტის კომენტარი წარმოადგენდა, რომელიც მან საპროტესტო გამოსვლებთან დაკავშირებით გააკეთა: „ქუჩაში ასი ათასი ადამიანიც რომ გამოსულიყო, რელიგიური კონფესიების შესახებ კანონს მაინც მივიღებდით... ამ თემას ვინც აწვებიან, კლასიკური კომუნისტური საბჭოთა გადმონაშთები არიან. ძველი წითელი ვარსკვლავები აქვთ... დავით აღმაშენებელი სინაგოგაში, მეჩეთში, ქრისტიანულ ეკლესიაში, სომხურ ეკლესიაში დადიოდა. თამარ მეფის გვარის დიდი ნაწილი ეთნიკურად არაქართველი იყო“ (სააკაშვილი..., 25.10.2011). ამით ის პოლიტიკური ჩართულობისა და ინტეგრირებული მართვის პრინციპს ფაქტობრივად უზუღებელყოფდა. შესაძლებელია, გადაწყვეტილების მიღების ამგვარი ფორმატი გამოწვეული იყო სურვილით, მოახლოებულ არჩევნებში პოლიტიკური ქულები (რელიგიური უმცირესობების მხრიდან) მხოლოდ ერთ პოლიტიკურ სუბიექტს მიეღო. ყოველ შემთხვევაში, ექსპერტი ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზად არჩევნებისათვის მზადებად მიიჩნევდა: „...რა თქმა უნდა, შეიძლება უკავშირდებოდეს „ნაციონალური მოძრაობის“ ვიწრო პარტიულ ინტერესს, რადგან ისინი უკვე გამეცადინებულები არიან, რომ მომავალი არჩევნები ნებისმიერ ფასად მოიგონ“ (მიქიაშვილი, 11.07.2011). ნებისმიერ შემთხვევაში, ერთპიროვნული გადაწყვეტილების სტილი და ოპონენტების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფის ინტერესების იგნორირება პოლიტიკურ სტილის მიმართ კითხვებს აჩენდა: „აქ ვარიანტებზე კი არ არის საუბარი?! არამედ ფორმაზე, რომლითაც კანონი მიიღეს. მარტო იმიტომ კი არა, რომ ეს იყო ერთპარტიული პარლამენტის ჩვეული მანერა, რომ საზოგადოებას თავს მოახვიეს ის, რაც ორ კაცში გადაწყვიტეს“ (მიქიაშვილი, 11.07.2011).

ხელისუფლება წინასაარჩევნოდ ფრთხილად ეკიდებოდა საკანონმდებლო ცვლილებებზე დომინანტი რელიგიური ჯგუფის შესაძლო რეაქციას. იმ პირობებში, როცა კვლევებით ეკლესია ყველაზე მრავალრიცხო-

ოვან, ავტორიტეტულ და გავლენიან ინსტიტუტს წარმოადგენდა და აუცილებლად შეეწინააღმდეგებოდა საკუთარი სტატუსის ცვლილებას ან მის გათანაბრებას მათ შორის ე.წ. „ტრადიციულ“ რელიგიურ ორგანიზაციებთან, პოლიტიკური რეჟიმის წარმომადგენელთა ნაწილი ამ საფრთხეს აღიქვამდა და წინასწარ ცდილობდა გამოერიცხა ნებისმიერი უარყოფითი რეაქცია, რასაც შეიძლება როგორც საზოგადოებრივი, ისე პოლიტიკური პროტესტი გამოეწვია: „ნაციონალური მოძრაობიდან“ პაუზა კუბლაშვილმა ბრძანა, „სახელმწიფო და ეკლესია გაყოფილია, კანონების მიღება ჩემი კომპეტენციაა და ვინ ეკითხება ეკლესიას და ეკლესიებსო“. მაშინ მას ისიც უნდა ესმოდა, რომ როდესაც საერო ხელისუფალი უმნიშვნელოვანეს რელიგიურ საკითხზე კანონს ორ დღეში იღებ, ეს არის ქვეყნის სასულიერო ცხოვრებაში ძალადობრივი შეჭრა (მხოლოდ მართლმადიდებლებს არ ვგულისხმობ)“ (მიქიაშვილი, 11.07.2011).

ამგვარად, არსებული მასალებით გამოიკვეთა, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად (საგარეო პოლიტიკური ვალდებულებები და პერსპექტივები, საშინაო პოლიტიკის თავისებურება, დაინტერესებული მხარეებისა და ქვეყნების გავლენა და სხვ.) პოლიტიკურ პროცესში რელიგიური ჯგუფები საარჩევნო რესურსის ნაწილს წარმოადგენდა. ეს განსაკუთრებით რელიგიურ უმცირესობებს ეხებოდა, რომელთა ინტერესების დაცვით ხელისუფლება საკუთარ ინტერესების რეალიზებას ახდენდა. გამონაკლისს არც მუსლიმური თემი წარმოადგენდა.

სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები და ექსპერტები საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობას, ისევე, როგორც მისი მიღების პროცედურებს, ქვეყანაში არსებული სირთულეებით ხსნიდნენ. კერძოდ, 2004 წლამდე სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის უფლებების დარღვევას ფართო ხასიათი ჰქონდა, რაც ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკაზე გავლენას ახდენდა. პოლიტიკურ რეჟიმის ცვლილების მიუხედავად, ახალი სამართლებრივი გარემო და სახელმწიფო პოლიტიკა რელიგიურ სფეროში კვლავ დისკრიმინაციულ გარემოს შენარჩუნებას უწყობდა ხელს. „...2003 წლის შემდეგ, რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლების მხრივ, ქვეყანაში ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა, როგორც ვნახეთ, დისკრიმინაციული გარემო მაინც არსებობს და ვინც უმრავლესობაში, ანუ მართლმადიდებელი, არ არის, თავს ხშირად დაჩაგრულად და გარიყულად გრძნობს“ (ბეჭიშვილი, 06.08.2009). ამგვარ პირობებში პოლიტიკური რეჟიმი კანონპროექტის განხილვის კონფიდენციალურობის შენარჩუნებით გამორიცხავდა ან შეამცირებდა შესაძლო საზოგადოებრივ დაძაბულობას. „რელიგიის შესახებ კანონის მიღებამ და ე.წ. „ტრადიციულ“ რელიგიებთან ხელშეკრულებების გაფორმებამ შეიძლება უფრო მეტად გაამძაფროს დისკრიმინაციული ფონი სხვა, ჩვენში შედარებით ახლად დამკვიდრებული რელიგიების მიმართ და სახელმწიფოც სწორედ ამიტომ ფრთხილობს“ (ბეჭიშვილი, 06.08.2009). მეორეს მხრივ, საკანონმდებლო ინიციატივა ყველა რელიგიური ჯგუფი-

სათვის თანაბარი სამართლებრივი გარემოს შექმნას ითვალისწინებდა, რაც, თავისთავად, მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებში ჩარევას გამოიწვევდა. „რელიგიურ გაერთიანებებს, ვინც სახელმწიფოსთან ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვს, სურთ, რომ დაახლოებით ისეთი პრივილეგიები ჰქონდეთ, როგორიც მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს“ (ბექიშვილი, 06.08.2009). ამ მიზეზით ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის დაგეგმილ ცვლილებებს რელიგიური თავისუფლების მხრივ წინააღმდეგობა ნაბიჯად მიიჩნევენ, რაც ქვეყნის განვითარების მაჩვენებელი გახდებოდა. ამიტომ, ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროტესტი გაურკვევლობას იწვევდა. „იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკოსებმა ხელი შეუწყონ ქვეყანაში თანაბარი უფლებების დამკვიდრებას, ისინი, პირიქით, აკრიტიკებენ ხელისუფლების ახალ ინიციატივას, რომელიც ეკლესიას უკვე მოპოვებულ პრივილეგიებს არ ართმევს, მაგრამ მასთან თანასწორობის შანსს სხვებსაც აძლევს“ (ბექიშვილი, 06.08.2009).

მასალების მიხედვით, ის რელიგიური ორგანიზაციები, რომელთა ინტერესების დაცვასაც კანონი ითვალისწინებდა, ასევე არაერთგვაროვნად აფასებდნენ საკანონმდებლო ცვლილებებს. ასე, სომხური ეკლესია ამგვარ ცვლილებას საჭიროდ მიიჩნევს, თუმცა, საკუთარ თავს ქვეყნის რელიგიურ სიერცეში სხვებთან შედარებით მაღლა აყენებს: „სომხური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში, 1500 წელია, არსებობს და, ახლახან შექმნილი რელიგიური უმცირესობებისგან განსხვავებით, გარკვეული პრივილეგიები ეკუთვნის“ (ბექიშვილი, 06.08.2009). ასევე თავისებური ხედვა ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიასაც, რომელიც უმთავრეს პრობლემას ქონებრივ პრობლემებში ხედავდა (ბექიშვილი, 06.08.2009).

მასალებში არ ფიქსირდება თუ როგორ აფასებდნენ ახალი კანონის მიღებას სხვა რელიგიური ორგანიზაციები, მაგრამ ნათლად იკვეთება, რომ ამგვარი ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, ახლად დამკვიდრებული რელიგიური ორგანიზაციებისათვის აღმოჩნდა ხელსაყრელი: „რელიგიური ორგანიზაციების ნაწილი სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ რეგისტრაციის მოდელს დათანხმდა, ძირითადად ისინი, ვინც საქართველოში შედარებით ახალი დამკვიდრებულია“ (ბექიშვილი, 06.08.2009). ასევე, იკვეთება ის მომენტიც, რომ კანონის ცვლილება მრავალწლოვანი ისტორიის მქონე ტრადიციული ორგანიზაციებისათვის შეიძლება არ აღმოჩნდეს ხელსაყრელი. კანონპროექტის ავტორის, ლაშა თორდიას განმარტებით, „რელიგიური გაერთიანებები დღესდღეობით, არაკომერციული, არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსს ატარებენ. ...[ცვლილება] იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია გამოიყენოს გარკვეული ბერკეტები ამ რელიგიური გაერთიანებების ფუნქციონირების შესაჩერებლად“, - განაცხადა თორდიამ“ (პარლამენტი..., 05.07.2011). როგორც ცნობილია რეგისტრაციამდე მუსლიმური ორგანიზაციები საქმიან-

ნობას ყოველგვარი კონტროლისა და რეგულირების გარეშე ახორციელებდნენ. ამიტომ, ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ ხელისუფლების სხვადასხვა ინიციატივას, რომლებიც საფრთხეს არ უქმნიდა მათ ფუნქციონირებას. ახალ ინიციატივას კი მათ არსებობაში შეიძლება შეეცანა სერიოზული ცვლილება.

საკანონმდებლო ცვლილების ფორმატი, დაჩქარებული პროცედურები, ჩართულობის შეზღუდულობა და ინტერპრეტაციების ნაირგვარობა, როგორც მომხრეებში, ისე მოწინააღმდეგეებში მთელ რიგ კითხვებს აჩენდა, რომლებიც არა მარტო ამ ცვლილებას, არამედ მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხებოდა. ზოგიერთ ექსპერტს უჩნდებოდა კითხვა – საერთოდ საჭირო იყო თუ არა ამგვარი ცვლილების განხორციელება, ან რა სიკეთის მომტანი იყო ის? „...არის ეკლესიები, რომლებიც ამბობენ, რომ ეს სტატუსი მათ საქართველოში, ამ შემწყნარებლურ გარემოში, არც არაფრისთვის სჭირდებოდათ, მშვენიერად ფუნქციონირებდნენ. ესეც გასარკვევი იყო ვის სჭირდება ეს სტატუსი და ვის - არა“ (მიქიაშვილი, 11.07.2011). მეორე ავტორს უჩნდება კითხვები – რამდენად სურთ რელიგიურ ორგანიზაციებს იყვნენ სახელმწიფოზე დამოკიდებული? და საერთოდ, შეუწყობს თუ არა ხელს ეს ცვლილება სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ერთიერთობის მოწესრიგებას? რამდენად გააუმჯობესებს საკანონმდებლო ცვლილება დისკრიმინაციულ გარემოს და დაეხმარება რელიგიური ჯგუფების ინტერესების რეალიზაციას? „რამდენმა იცოდა და თუ არ იცოდა, რამდენმა ჩახედა კანონს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ და დაფიქრდა, არის კი საერთოდ მიზანშეწონილი, რომელიმე რელიგიურ გაერთიანებას (მათ შორის, მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიას) ჰქონდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი? ...[ამგვარი ცვლილება] ა პრიორი [არ ნიშნავს, რომ ის] კარგია, თუ ყველა სხვა რელიგიური წარმონაქმნიც კანონისა და კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე შეიქმნება/გაუქმდება და სახელმწიფო კონტროლით იფუნქციონირებს“ (სსიპ..., 05.05.2011). ყველა ეს კითხვა ჩნდება იმ პირობებში, როცა ადამიანის რელიგიური არჩევანი იყოს არადომინანტი რელიგიური ჯგუფის წევრი – საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის გულისხმობდა, რომ ის საკუთარი ნებით ირჩევდა ქვეყნისა და ერის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებას, რადგან რელიგიური კუთვნილება ეროვნულ დისკურსში პიროვნების ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა. „როდესაც იგებენ, რომ არ ხარ მართლმადიდებელი, ეჭვის თვალით გიყურებენ, თვლიან, რომ ცუდი ქართველი და ცუდი პატრიოტი ხარ. არადა, რელიგია არჩევანის სფეროა და არა - მოცემულობა“ (ბეჭიშვილი, 06.08.2009). მსგავს პრობლემას 2009 წელს აჭარის მუფთი ბეჭირ ბოლქვაძე აღნიშნავდა: „ჩვენთან კი ყველა მუსლიმს თათარს უწოდებენ - მუსლიმი ე.ი. თათარი. მუსლიმი თათარი არ არის. ხშირად ასეთ კითხვასაც სვამენ - თუ ქართველი ხარ, მუსლიმანი როგორ უნდა იყო?

... იცით რისი მეშინია - ასე ერთმანეთს დაგპარგავთ. როცა რაღაცას გიკრძალავენ, წინააღმდეგობა მით უფრო იზრდება - გაუტყეხელი, კერპი ხდება... სასკოლო პროგრამებში იცით რა უწერიათ? - რომ ჩვენ ანტიქრისტიანები ვართ... ჩემი შვილი 22-ე სკოლაში სწავლობდა, იქედან სხვაგან იმიტომ გადავიყვანე, რომ მასწავლებლები აქილიკებდნენ, ასე მიმართავდნენ - თათარი, მუხამედი. კაცის მოკვლა, დამცირებასთან შედარებით, არაფერია. დამცირება ყველაზე დიდი სასჯელი და ცოდვაა... ჩემი შვილი ჯარში როცა იყო, ეუბნებოდნენ - თუ პირჯვარს არ გადაიწერ, საჭმელს ვერ შეჭამო... რამდენ კონფერენციასაც დავესწარი, სულ [საქართველოში მუსლიმანობა დანაშაულად ითვლება] ამაზე საუბარი. ყველა ასე ფიქრობს. ყველა გვმოძღვრავს, რომ თუ ქართველი ხარ, ქრისტიანი უნდა იყო“ (თურაძე, 23.02.09). ეს ამონარიდი ყველა იმ ცნობილ შიშებსა და ფობიებს მოიცავს, რომელიც ქართულ საზოგადოებაში ცირკულირებდა. შეიძლება ითქვას, რომ კანონის მიღებამ და რეგისტრაციამ მუსლიმების საზოგადოებრივი ცნობადობის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი, რაც მოგვიანებით განვითარებულ მოვლენების დროს გამოჩნდა. თუმცა ეთნიკური და რელიგიური იდენტობების ურთიერთმიმართება საზოგადოებისათვის კვლავ ერთ სიბრტყეში განიხილებოდა.

ამგვარად, საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებული დაპირისპირება ორი განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ჯგუფის ჭიდილს წარმოადგენდა. ერთი მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, საკანონმდებლო ცვლილება ქვეყნის დასავლურ განვითარებას, რელიგიურ თავისუფლებას და თანასწორობის პირობების რეალიზებას შეუწყოლობდა ხელს. ტრადიციული იდეოლოგიის მხარდამჭერთათვის ტრადიციების, არსებული სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგიური იერარქიის შენარჩუნება ერისა და ქვეყნის თვითმყოფადობის, იდენტობის და საბოლოო ჯამში, დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთადერთ ჭეშმარიტ გზას წარმოადგენდა. ამ ორ ჯგუფს შორის განვითარებული კონფლიქტის ძირითად წყაღამყოფს მართლმადიდებლების უფლებები წარმოადგენდა. საკანონმდებლო ცვლილებების მომხრეები ოპონენტებთან მსოფლმხედველობრივ განსხვავებებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ერთი მხრივ, საკანონმდებლო ცვლილება ქვეყნის დასავლური განვითარების, რელიგიური თავისუფლებისა და თანასწორობის პირობად მიიჩნეოდა. მაშინ, როცა მეორე ჯგუფისათვის ტრადიციების, არსებული სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგიური იერარქიის შენარჩუნება ერისა და ქვეყნის თვითმყოფადობის, იდენტობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთადერთ ჭეშმარიტ გზად მიიჩნეოდა. მათ შორის დაწყებული კონფლიქტის მთავარ წყაღამყოფს მართლმადიდებლებისა და ეკლესიის უფლებები წარმოადგენდა, რომლის დროს ოპონენტები ეროვნულ პრობლემებზე, ერის თვითგამორკვევასა და გადარჩენაზე, სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივებზე, ინდივიდუალურ და კოლექტიურ არჩევანზე მსჯელობდნენ ტრადიციული და მოდერნისტული იდეოლოგი-

ების გამოყენებით. საპასუხოდ, მოწინააღმდეგეები არგუმენტებს იმგვარად აყალიბებდნენ, რითაც მკითხველის ყველაზე მნიშვნელოვან სიმბოლოებზე ახდენდნენ გავლენას, რაც სოციალური აქტიურობის ზრდისა და პროტესტის გაღრმავების ფონზე საზოგადოებაში მნიშვნელოვან გამოხმაურებას ჰპოვებდა. პრობლემების მასშტაბურობას საკითხის დასმა და საქართველოში ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტის ინტერესების საფრთხე განაპირობებდა. მოწინააღმდეგეთა კომენტარებში პირველად ჩნდება არგუმენტები, რომლებშიც მუსლიმური თემის ინტერესებზე და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებზეა საუბარი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ბეჟიშვილი, 06.08.2009 – ნინო ბეჟიშვილი, „პრივილეგირებული თავისუფლება“ (06.08.2009) – <http://liberali.ge/node/501>
2. თურაძე, 23.02.09 – ეთერ თურაძე „მუსლიმანთა უფლებები საქართველოში“ (23.02.09) - <http://internet.ge/v3-0/index.php?action=news&category=3&news=40193>
3. მიქიაშვილი, 05.07.2011 – ნინო მიქიაშვილი, „საპატრიარქო მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს“ (05.07.2011) – http://www.for.ge/view.php?for_id=5653&cat=3
4. მიქიაშვილი, 05.07.2011 (2) – ნინო მიქიაშვილი, „საპატრიარქო მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს“ (05.07.2011) – http://www.for.ge/view.php?for_id=5653&cat=3
5. მიქიაშვილი, 06.07.2011 – ნინო მიქიაშვილი, „სოსო მანჯაიძე: „მართლმადიდებლობა ოფიციალურ რელიგიად უნდა გამოცხადდეს““ (06.07.2011) – <http://7days.ge/index2.php?newsid=7459>
6. მიქიაშვილი, 07.07.2011 – ნინო მიქიაშვილი, „დეკანოზი პეტრე კვარაცხელია: „სააკაშვილის ეპოქის დასასრულის დასაწყისი იწყება. მსგავსი რამ როსტომ ხანსაც არ ჩაუდენია““ (07.07.2011) – <http://7days.ge/index2.php?newsid=7519>
7. მიქიაშვილი, 10.07.2011 – ნინო მიქიაშვილი, „ეკლესიის მოწოდებით მრევლი 10 ივლისს 12 საათზე სამებაში იკრიბება“ (10.07.2011) – http://www.for.ge/view.php?for_id=5734&cat=2
8. მიქიაშვილი, 11.07.2011 – ნინო მიქიაშვილი, „თეა წულუკიანი რელიგიების შესახებ კანონის დადებით და უარყოფით მხარეებზე“ (11.07.2011) – http://www.for.ge/view.php?for_id=5755&cat=2
9. მიქიაშვილი, 09.08.2011 – ნინო მიქიაშვილი, „წმიდა სინოდის წევრებთან დაკავშირებით შეურაცხყოფელი და არასწორი ინფორმაციები ვრცელდება“ (09.08.2011) – <http://www.presage.tv/print.php?m=society&AID=6247>
10. სააკაშვილი..., 25.10.2011 – „მიხეილ სააკაშვილი - რელიგიური კონფესიების შესახებ კანონს მაინც მივიღებდით“ (25.10.2011) – [sait http://www.interpressnews.ge/mixedviT](http://www.interpressnews.ge/mixedviT)
11. საპატრიარქო..., 11.07.2011 – „საპატრიარქოსთან საპროტესტო აქცია მიმდინარეობს“ (11.07.2011) – <http://www.ambioni.ge/> საპატრიარქოსტან-საპროტესტო-აქცია-მიმდინარეობს #comment-3079

12. სსიპ..., 05.05.2011 – „სსიპ – რელიგიური გაერთიანებების სტატუსი [მცირე განმარტებანი]“ (05.05.2011) – <http://katiee.ge/religiuri-gaertianebebis-statusi/>
13. პარლამენტი..., 05.07.2011 – „პარლამენტი „რელიგიურ ერთობებს“ იურიდიული სტატუსი მიანიჭა“ (05.07.2011) – <http://liberali.ge/ge/liberali/news/106952/>
14. ტორონჯაძე, 11.06.2011 – მირიან ტორონჯაძე, „აქცია საპატრიარქოს მიმდებარე ტერიტორიაზე“ (11.06.2011)– <http://www.tabula.ge/ge/story/55173-aqcia-sapatrariarqos-mimdebare-teritoriaze>

Ruslan Baramidze

Reflection of the Legislative Changes Process about Religious Organizations in 2011

Summary

The article provides the analyzes of the change of legislation about religion conditioned. The information is based on internet resources, based on above-mentioned stories (online magazines, blogs, Social network, etc.).

The change of legislation about religion conditioned the formation of Muslim division and caused the creation of different groups among Muslims (support groups, opposition groups, independent groups etc). So, about mentioned process one of the first Union of Georgian Mussulmans was formed. Later other organizations were created as well, among them – Georgia’s Muslim Division was registered. In the process of discussing legislative changes, a specific symbolic and terminological field and complex of arguments was formed. Controversy supported the consolidation of parties of interest. One of the important and new instruments, which manifested itself as the tool for expressing protest and managing processes in this process was the internet and social networks. These were a new tool for social mobilization, which had become an active instrument in different countries of the world, found its place within religious groups and their supporters. In Georgian history this was one of the first cases when social networks were used for organizing a specific action. This initiative was followed by thousands strong demonstrations by Orthodox Christians, which even exceeded the expectations of organizers. In the following period, organizing the demonstrations, reacting and making evaluations by means of social networks receives a partly obligatory character. Every group carefully observed the activity of like-minded people, as well as their opponents, and reacted to it. The subject of reaction was not only the analytical or informative articles, blogs, comments, positions, but an active reaction was also caused by notifications about certain historical events or personalities, prepared with help from experts. Comprehending Georgian history has gained a special relevance after the fall of the Soviet Union. Because of this, groups produce discussions about history from their own interests and viewpoints. In such a situation, internet-space gave each indivi-

dual a unique chance to write his/her own views about the past or current events, and to present their own attitude and description of historical processes.

The arguments of opponents of changes in legislation linked with religion relied on notifications which influenced the symbols and emotions which were important for the online reader. On background of growing social activity and protest movements, all arguments were followed by a significant response within society. The scale of the problem was conditioned by the protest of an authoritative institute (the Patriarchy) and possible dangers. The arguments of opponents for the first time contained a possible threat towards the Muslim community for Georgia and its church, which could have been started in the case in which the interests of Muslim organizations were realized.

Members of the political regime appeared as the supporters of legislative changes. At the same time, the political opponents, as well as experts (lawyers) were talking about the procedural and organizational problems caused by the adoption of the draft law, when the supporters of legislative changes focused their attention on the ideological differences of their opponents. For supporters, the legislative change was considered as the condition for western development, religious freedom and equality; but opponents of the law thought that the existing social, political, ethnic and religious hierarchy could be maintained only if the law was defeated, and it was considered as the only way to defend the identity and independence of the country and nation. The main watershed of their conflict was the rights of Orthodoxy and the church. The opponents discussed national problems, the nation's self-determination and survival, prospects for the development of the state, and individual and collective choice by using traditional and modernistic ideologies.

როინ მაღაყმაძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის კომპლექსური მსაპედიცია ზავშეთ-იმერხევში

2013 წლის 5-11 სექტემბერს შავშეთ-იმერხევში (ართვინის ვილიაჟი) ჩატარდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის პირველი კომპლექსური ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ: ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი, ემერიტუს-პროფესორი შუშანა ფუტყარაძე, ამავე განყოფილების მეცნიერი თანამშრომლები ელზა ფუტყარაძე, ნარგიზ ახვლედიანი, ციალა ნარაკიძე; ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ემერიტუს-პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი სიმონ გოგიტიძე; ეთნოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომლები ჯემალ ვარშალომიძე, თამილა ლომთათიძე, ნაილა ჩელებაძე.

ექსპედიციამ მასალები შეკრიბა შემდეგ სოფლებში: შერთული, უსტამისი (წეფთა), სათლელი, ჩაქველთა, ჯვარები/ჯვარისხევი, ხევწვრილი //ხევ წრული, ზაქიეთი//ზეკიეთი, ბელტიეთი, ვაკიეთი, დოლისყანა, თეთრაკეთი, ზიოსი, ტბეთი, კოპიტატი, ჭედური, დენგეჯაური და სხვა. ექსპედიციის წევრებმა მოინახულეს მატერიალური კულტურის ამაჟამად არსებული და ნაშთების სახით მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლები. შესწავლისა და დაკვირვების ობიექტი იყო ჩაქველთას, უსტამისის (წეფთას), სათლელის, არტანუჯის ციხეთა ნაშთები, სათლელის დღემდე შეუსწავლელი ეკლესია, დოლისყანისა და ტბეთის ტაძრები. ფოტო ფირზე და ვიდეოზე გადაღებულ იქნა თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ეკლესიების ნანგრევები, ხიდები.

ინფორმატორთა დიდ ნაწილს ხანდაზმული ქალები წარმოადგენდნენ. შესწავლილი მხარეებიდან ქართული მეტყველებით განსაკუთრებით გამოირჩევა იმერხევის მოსახლეობა, რომელიც ექსპედიციის წევრთა მიმართ ყველაზე მეტად ღია, გახსნილი ბუნების აღმოჩნდა. დაუვიწყარია მათი სიტბო და ყურადღება „სტუმარი გურჯების“ მიმართ.

მუშაობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კულტურის ფენომენის - იმერხევის მოსახლეობის ენობრივი თავისებურებების შესწავლას. დადასტურდა არქაული კ (ხარ) ბგერის გავრცელება მთელ იმერხევში ისტორიული კლარჯეთის სოფლებამდე. გამოიკვეთა იმერხეული კილოს დამახასიათებელი ფონეტიკურ-ლექსიკური, მორფოლოგიურ-სინტაქსური

ნიშნები. დადასტურდა, რომ იმერხეული მეტყველება წარმოადგენს ქართული ენის დამოუკიდებელ დიალექტს (კილოს), რომლის შესახებ ადრე წერდა ნიკო მარი, შემდეგ მასზე საინტერესო დაკვირვებები ჩაატარა პროფესორმა შუშანა ფუტყარაძემ. ამით ქართული დიალექტოლოგია გამდიდრდა ახალი დიალექტური ფორმებით, რითაც ერთხელ კიდევ დადასტურდა ქართული ენის ფესვების სიძლიერე და სიცოცხლისუნარიანობა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ სარფის კარის გახსნამ და ურთიერთ კონტაქტებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული ენის გამოცოცხლების პროცესს, როგორც იმერხევეში, ისე ისტორიული საქართველოს სხვა მხარეებში. დღეს უფროსი და საშუალო თაობის ადამიანებმა საკმაოდ კარგად იციან ქართული და ამ ენაზე საუბრობენ ოჯახში. უმცროს თაობაში კი იშვიათად შეხედუბით ქართულის მცოდნეს.

მკვლევარებმა ჩაიწერეს დღემდე შემორჩენილი უძველესი ქართული გეოგრაფიული ადგილთა სახელები (ტოპონიმები). ასეთებია: ჯვარები (ჯვარის ხევი), ხევწერილი, შერთული, ცეცხლაური, დაბაწვრილი, ხევბნელა, მეგრელეთი, ქედაკლდე, ჩიტაური, ბოსელთა, აკვანაი, საცოხნელაი, ჭედლური, ვარდიყანა, თეთრაქედი, დოლისყანა, ანდრიაწმინდა, ლიგანი, ლაზიეთი, ნაბოსტანი, წყერიეთი, შარაბული, ბერიეთი, ინაწმინდა, წიწვეთი, გოჩიეთი, მიჰელეძიენთი, ცხადიეთი, ივანიეთი, ადები, თეთრამიწა, ქოქლიენთი, კროჭისასველთი და ა.შ.

თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ქართულ სოფლებს დღეს თურქული სახელები ჰქვია, თუმცა, აქაურებს კარგად ახსოვთ მათი ძველი ქართული სახელწოდებები და საუბარში სოფლებსა და უბნებს ამ სახელებით მოიხსენიებენ. ამასთანავე ზოგიერთი სოფელი ისევ ძველ ქართულ სახელს ატარებს (ადრიაწმინდა, თეთრაკეთი და სხვა). მათმა მეხსიერებამ კარგად შემოინახა ქართული ტოპონიმები და მასთან დაკავშირებული ბევრი თქმულება-გადმოცემა. იმერხეველებს ასევე კარგად ახსოვთ თავიანთი ძველი, ქართული გვარები და მათი წარმომავლობა. მათში კარგადაა შემონახული ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელი ქართული სახელები.

ექსპედიციის მუშაობის პერიოდი დაემთხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის იმ პერიოდს, როცა მიმდინარეობდა მთიდან ყიშლებსა და „ბარში ჩამობარგება“, მოსავლის აღება-დაბინავება, რასაც აქაურებიც თველს ეძახიან. ამ პერიოდში მზადდება თივა ზამთრისათვის და სხვა.

მოპოვებული მასალების საფუძველზე კარგად ვლინდება მეურნეობრივი ცხოვრების ის საერთო თავისებურებებიც, რაც მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზურ ფორმაში გამოიხატება. ჩაწერილია მასალები მთა-ბარულ ცხოვრებაზე, მევენახეობა-მეხილეობის ტრადიციებზე, ყურძნისა და ხილის პროდუქტების, დამზადება-გამოყენებაზე. როგორც გაირკვა, აქ განვითარებული ყოფილა მაღლარი მევენახეობა. მრავალ ადგილას მოპოვებული ქვევრების ნაშთები წარსულში მეურნეობის ამ დარგის და მასთან ერთად მეთუნეობის ხელოსნური წარმოების მაღალგანვითარებულობაზეც მეტყველებს.

მესაქონლეობა ძირითადად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებით გამოირჩევა. თუმცა, ადრე თხა-ცხვარიც მრავლად ჰყოლიათ. საქონელი ზამთრობით ბაგურ კვებაზეა იმყოფება, გაზაფხულიდან შემოდგომაამდე კი მთის საძოვრებზე-ალპურ ზონაში მიჰყავდათ, როგორც ეს ზემო აჭარის მაგალითზე ხდება. მემთევრეთა შრომა ძირითადად რძის პროდუქტების (ყველი, კარაქი, აირანი და სხვა) დამზადებით შემოიფარგლება. ზოგიერთ ოჯახს 8-10-მდე მეწველი ძროხა და ამდენივე ხო-მოზარდი თუ ბერწი ჰყავს, რაც მოსახლეობის საოჯახო მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ძველად უფრო მეტი საქონელი ჰყოლიათ. თანდათან შემცირდა ხარ-კამეჩის ანუ გამწვევი პირუტყვის მოშენება, რადგან მიწის დამუშავების საქმეს ჩაენაცვლა მცირე მექანიზაცია (მინი ტრაქტორი, მოტო-ბლოკები და სხვა ტექნიკა).

გამოიკვეთა მეფუტკრეობის დიდი როლი შავშეთ-იმერხეველთა საოჯახო ცხოვრებაში, ასევე სავაჭრო ურთიერთობაშიც. მდიდარია მეფუტკრეობასთან დაკავშირებული სამეურნეო გამოცდილებები და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. მართლია, მოსახლეობაში ნაკლები ადგილი უჭირავს აღებ-მიცემობას, ვაჭრობას, მაგრამ, ამ მხრივ, გამონაკლისია თაფლისა და ნივგზის პროდუქტები, რომლებზეც საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა ადგილობრივ ბაზარზე, რაც ოჯახის ბიუჯეტისათვის დამატებითი შემოსავლის წყაროც გახდა.

საინტერესო მასალები იქნა მოპოვებული საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა შესახებ, აქაური საკარმიდამო კომპლექსი, დასავლურქართული ტიპისაა და ხასიათდება საცხოვრებელთან ახლოს მდებარე ბაღჩა-ბაღებით. შავშეთ-იმერხევის მთიან ზონაში აქა-იქ შემორჩენილია ძველი სახლები. მათ გვერდით, განსაკუთრებით ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, მომრავლდა რკინა-ბეტონის კარკასულ კონსტრუქციებში აგურით ამოშენებული საცხოვრებელი შენობები, მათი ნაწილი ტრადიციული სახლების გეგმას იმეორებს. დამახასიათებელია ორქანობიანი სახურავი, მეტწილად თუნუქისა. პირუტყვის სადგომი „ახორი“ ამჟამად ცალკე ნაგებობას წარმოადგენს. ზემო აჭარული სახლისაგან განსხვავებით იმერხეველში საცხოვრებელ ნაგებობაზე ხშირად მიდგმულია სამეურნეო სათავსოები ე.წ. ბეღელი, ხულა და ა.შ.

დახრილი რელიეფის პირობებში „შედგმული“ სახლები გვხვდება, რომელიც ერთი მხრიდან ორსართულიანია, ხოლო მისი საპირისპირო მხრეს კი ერთსართულიანი, საცხოვრებელი სართულის გეგმა და შენობის შიდა სივრცის განაწილების წესი თითქმის მსგავსია ზემო აჭარულისა, განსხვავება გამოიხატება შიდა დერეფნის ოთახების სეგმენტაციაში. აქაური შიდა დერეფნები მეტწილად ჯვრისებურად ურთიერთგადამკვეთია და ამ ნაწილს „ეზოს“ უწოდებენ. საცხოვრებელის სამზადისი ოთახი ანუ „მუთვადი“ ბუხრიანია და დიდია. ამჟამად ბუხარი ბევრგან დაშლილია და მის ადგილს დიდი ლითონის ღუმელი იჭერს, თითოეულ საქორწინო წყვილს გააჩნია საძინებელი. ცალკე ოთახი უჭირავს ოჯახის უფ-

როსებს. განსაკუთრებულად არის მორთული სტუმრის ოთახი, რომლის კედლებსა და იატაკს ნოხები ამშვენებს.

ზოგიერთ სახლს შემორჩა მცირე სათავსო ე.წ. „მარანი“, რომელიც „სარძიეს“ ფუნქციას ასრულებს. მარანში ხდება რძის პროდუქტების გადამუშავება და შენახვა. ტერმინი „მარანი“ ამ ფუნქციით ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დღემდე უცნობია, რაც სათანადო კვლევას იმსახურებს.

ძველად იმერხევის სოფლებში „ბურჭულა“ წისქვილები ჰქონიათ, რომელთაგან განსხვავებული ჩანს სოფ. სირანისქოთის (დენგეჯაურის მეკელე) წისქვილი//დოლაბი. იგი ორი მბრუნავი ქვითაა აღჭურვილი და წარმოადგენს კრამიტით დახურულ ქვის შენობას (სიგრძე-სიგანე 9,57 9,76 მეტრი, სიმაღლე 2,90 მეტრი). წისქვილის ქვები 100–130 სმ-ის დიამეტრის მქონეა. მეწისქვილესათვის განკუთვნილ სამყოფში ბუხარი დღესაც არის შემორჩენილი. ძველათ წისქვილს ხის „ღურნე“ ჰქონია, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში ლითონის მილით შეუცვლიათ.

იმერხევის მატერიალური კულტურის ძეგლებიდან მეტად მნიშვნელოვანია მეღვინეობის ტრადიციების ამსახველი ქვის საწნახლები. ამათგან გამორჩეულია სოფ. კოპიტატში გზის გაყვანის დროს გამოვლენილი საწნახელი (მისი შიდა, ამოკვეთილი ნაწილის ზომებია: სიგრძე 244 სმ, სიგანე 97 სმ, სიღრმე 80 სმ). მეორე საწნახელი შედარებით მცირე ზომისაა (სიგრძე 150 სმ, სიგანე და სიღრმე 45–45 სმ-ია). იგი დაცულია ნური ბეგ ხიმშიაშვილის შთამომავლების „სასახლის“ კარიბჭესთან. შემდეგია გვერდებშემოტვრეული ქვის საწნახელი, რომელიც ძეგლივით დგას ქალაქ შავშეთის ადმინისტრაციული შენობის წინ, სკვერში. აქვე აწევია ქვევრების ნატეხები. საწნახელი დაღარული ფსკერის გამო ერთი შეხედვით გაშლილტოტებიან ხეს წააგავს.

საინტერესო მასალები იქნა ჩაწერილი სასოფლო სამეურნეო კულტურებზე, მათ ძველ ჯიშებზე, ბოსტნეულ-ბაღჩეულის მოყვანაზე, მარცვლეულის თესვასა და აღებასთან დაკავშირებულ წესებზე (თველობა, **კოტრობა, ხარმანობა-კალოობა**), კალენდარულ დღესასწაულებზე (ახალი წელი, საგაზაფხულო და საშემოდგომო რიტუალები, **მემხლიობა, მარიობა, შუამთობა, ხიზირეღეზი**), ამინდის მართვის რიტუალებზე (ჰაჯეთნამაზი, **ნაზარიკო, ქვაზეშელოცვა**), საბავშვო თამაშობებზე (ბილა, **კოჯო, ლეფიკი, ჩხნოლი, ხუთქვა**), ხალხურ კერძებზე. სახლის მშენებლობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებზე, მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებზე (ცეკვები-ქურთბარი, **ხელგაშლილაი, დართულაი, თაუქბარი**), მეურნალობის ხალხური წესებზე, მშობიარე ქალისა და ახალშობილის მოვლა-პატრონობაზე.

ექსპედიციის წევრებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი მასალების შეკრებას. განსაკუთრებით საყურადღებოა ბავშვთა დაბადება-აღზრდასთან, ქორწინებასა და განქორ-

წინებასთან, ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებასთან, ხალხურ დღეობებთან დაკავშირებული ძველქართული წეს-ჩვეულებები.

ფოლკლორული ნიმუშებიდან საინტერესოა თამარ მეფესა და სახალხო გმირის-მირის შესახებ დღემდე ხალხის მესიერებაში შემონახული თქმულებები—გადმოცემები, ზიარებებთან დაკავშირებული ლეგენდები. მოსახლეობა დღემდე წმინდა სალოცავ ადგილებად, ზიარებად მიიჩნევს მირის საფლავს ჯვარიხევში, აგრეთვე, ფორთის იაილაში და სოფელ იფხრეულში მდებარე სასწაულთმოქმედ საფლავებს, სხვა სალოცავ ადგილებს. მათი გადმოცემით, დღესაც სასწაულებს ახდენს ეს ზიარებები. კერძოდ: ავადმყოფებს ეხმარება განკურნებაში, უშვილო ადამიანებს შვილოსნობას ანიჭებს და ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში ეხმარება.

ჩაწერილია ახალი ლექს-სიმღერები, ადრე ჩაწერილი ტექსტების სხვადასხვა ვარიანტები, ჩაცმა-დახურვასთან, მატყლის დამუშავება-ქსოვასთან, ქორწილთან, გლოვა-ტირილთან, რელიგიურ დღესასწაულებთან, მეურნალობის ხალხურ საშუალებებთან, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებული ლექსიკა და თქმულება-გადმოცემები.

საგულისხმოა, რომ მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც ცუდად ან საერთოდ ვერ საუბრობს ქართულად, არ წაშლილა მათი ეროვნული ცნობიერება და კარგად ახსოვთ საკუთარი წარმომავლობა, რაც გამოიხატება გვარების სადაურობისა და ახლობლობა-ნათესაობის კარგ ცოდნაში. ქართული სოფლები კომპაქტურად მცხოვრები ქართველებით არის დასახლებულნი და ნათესაობით ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

საექსპედიციო ჩანაწერები რამდენიმე წინასწარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: თურქეთში მცხოვრებ ძირძველ ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი აგრარული კულტმსახურების ტრადიციული ელემენტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული რიტუალების იდენტურია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ერთიან კულტურულ სივრცეს წარმოადგენდა და შინაგანი სულიერი კავშირები, მიუხედავად ფიზიკური განშორებისა, არ გაწყვეტილა. თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს შორის ბევრი ისეთი რიტუალური ელემენტებია შემონახული, რომლებიც დღეს აჭარაში აღარ ფიქსირდება. ასეთებია, ბერობა, იგივე ბერიკაობა. აღსანიშნავია ხალხური დღესასწაულის „მარიობის“ შემონახულობა და მისი პარალელები ზემოაჭარული „შუამთობის“ ტრადიციებთან. აქ, აჭარისაგან განსხვავებით, შუამთობა და მემხლიანობა განსხვავებული რიტუალებია და სხვადასხვა დროს იმართება. შუამთობა დღეს ფესტივალის სახით ტარდება და დაკარგული აქვს პირვანდელი სახე და რიტუალური ელემენტები, რის გამოც აქაურები გულისტკივილს გამოთქვამენ. აქაურები კარგად ანსხვავებენ და გამიჯნავენ ტრადიციულ ქართულ და თურქულ წეს-ჩვეულებებს და ხაზს უსვამენ, რომ ამა თუ იმ რიტუალს „ქართველები იჯებიან, თურქები არა“. ამასთან წეს-ჩვეულებათა უმეტესობა მხოლოდ უფროსი თაობის მესიერებას აქვს შემონახული, უმ-

ცროს თაობას არ ახსოვს, რაც უფროსების გულისწერომას იწვევს. ამდენად, აქაურ ქართველთა ყოფაში შემონახული სულიერი კულტურის ელემენტები ასახავენ ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ძირძველ ტრადიციულ ასპექტებს, არქაულ პლასტებსა და ყოფის ისტორიული ტრანსფორმაციით გამოწვეულ ნაშრევებს, ამიტომაც, ეს მასალა მნიშვნელოვანი წყაროა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა სულიერი კულტურის შესწავლისათვის.

ექსპედიციისათვის განკუთვნილი დრო მცირე აღმოჩნდა უფრო საფუძვლიანი კვლევისათვის. ფაქტიურად, ეს იყო დაზვერვითი ექსპედიცია, რომელმაც ნათლად გამოკვეთა შემდეგი მუშაობის პერსპექტივები და შესასწავლი საკითხები. ამიტომ, კარგი იქნება, თუ მომავალში დაფინანსდება და ჩატარდება შედარებით ფართო მასშტაბიანი ექსპედიციები რაც საშუალებას მოგვცემს საფუძვლიანად იქნეს შესასწავლი შავშეთ-იმერხეთის სოფლები: ჩიხტა, შავთა, სხლობანი, თურმანიძე, კუჭენი, ანჩა, ანაკერტი, ბაცა, კლარჯეთი, გარყილობი, დავლათი, ივეთი, კორძული, მიქელეთი, ჯინალი, სინკოთი, ფორთა, ყვირაღა, შინდობანი, ღიგანი, ანდრიაწმინდა, შოლტიხევი, ჩართულეთი, ჩიხისხევი, ჩიხორი, წითვეთი, წყალსიმერი, ჯმერკი, სამწყარი და სხვა, რაც ნათლად წარმოაჩენს რეგიონის წარსულსა და თანამედროვეობას.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს აღნიშნულ სოფლებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება მომავალ წლებშიც აქვს განზრახული. შესწავლის შედეგები აისახება სპეციალურ გამოკვლევაში.

შავშური მარბალიტები
(2013 წლის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და
ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით)

სამხრული დიალექტების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის გარიჟრაჟზე მას ყურადღება მიაქცია აკად. ნ. მარმა (1911 წ.), რომელმაც გამოაქვეყნა შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიური. აქედან მოკიდებული სამხრულ მეტყველებას იკვლევდნენ: ა. შანიძე, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე, შ. ნიჟარაძე, ჯ. ნოღაიდელი, ი. სიხარულიძე, გ. ცოცანიძე, ბ. ჯორბენაძე, თ. უთურგაიძე, შ. ფუტყარაძე, ნ. ნორაკიძე, მ. ცინცაძე, მ. ფალავა, ნ. ცეცხლაძე და სხვები.

ვახუშტი ბაგრატიონი ასე შემოსაზღვრავდა შავშეთს: აღმოსავლეთით - „მთა არსიანი“, სამხრეთით - „კლდედ არტანუჯსა და შავშეთს შორისი“, დასავლეთით - „მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორისი“, ჩრდილოეთით - „მთა არსიანიდამ ჩამოსული დასავლეთ ჭოროხამდე“ (ქართლის ცხოვრება 1973: 679-680). ამ ისტორიულმა მხარემ არაერთი არქაული სიტყვა შემოგვინახა.

2013 წლის 5 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, ემიგრანტული ლიტერატურის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციის წევრები (პროფ. შ. ფუტყარაძე, პროფ. ბ. დიასამიძე, აკად. დოქტორები: რ. მაღაყმაძე, ს. გოგიტიძე, თ. ლომთათიძე, ნ. ახვლედიანი, ე. ფუტყარაძე, ნ. ჩელებაძე, მეცნიერი-თანამშრომელი: ც. ნარაკიძე) ვიმყოფებოდით შავშეთ-იმერხეში. დავაფიქსირეთ ამ კუთხის მეტყველებისთვის დამახასიათებელი თავისებურებების ამსახველი მასალები.

ექსპედიციის დროს სულ 30-მდე საგვარეულო სახელი ჩავიწერეთ. ესენია: რკინიშვილები (დემირ), ქურდიკიძე|ქურციკიძეები, თოდნაძეები, გამრეკლიძეები, დავლაძეები, ზაზაღაშვილები, ქათამაძეები, ნახშირიშვილები (ქომურჯები), ჩიმაგიძეები, მაღაყმაძეები, რევაზიშვილები (უნიალეები - ქუთაისიდან გადმოსულებად მიიჩნევენ საკუთარ თავს), ლაზოდლები, პაპიაოდლები, ბეჭიოდლები (ბარა), ბედინოდლები, მურადოდლები (მურადაშვილები), მამულაძეები, მახარაძეები, თეთრიშვილები, ჩაუშოდლები (ჩავლეიშვილები), ხარაზოები, სარაჯიშვილები, ბერიძეები, ველიოდლები, წითელიოდლები, თამაზოდლები, ფალაზოდლები, ომბაშოდლები, პალიშოდლები...

არანაკლებ საინტერესოა შავშეთ - იმერხევის ტოპონიმიაც. ამჯერად 100 ტოპონიმი იქნა ჩვენს მიერ დაფიქსირებული. ესენია: შარაბული, ჭედ-

ლური, მახრიენთი, ღრუდეთი, საკვერცხო, ვარდოხევი, აგარა, შუა მეჰელე, ზედავრები, ზედა მეჰელე, დადიენთ მეჰელე, სათრისთავი, ნაბოსტნი, ნაცერვალი, ღეჯაძირი, ბუჭე, ბერავლი, ინა წმინდა, ჩაქველთა, ჩიხორი, ბაწარაჩიხორი, ბერიეთი, ანდრიაწმინდა, ქვაბიხევი, ღიბანი, დიდი ჩიხორი, ბერიენთი, თეთრაქეთი|თეთრაკეთი, ზიოსი|ძიოსი, ბაზგირეთი ||ბაძგირეთი, შოლტიხევი, ხევწვრილი, ჩაქვრიეთი, ზაქიეთი, ბელტიეთი, ფექრიენთი, წიწვეთი, დაბაწვრილი, ცეცხლაური, მეგრელიენთი, გოჩიეთი, აბრამენთი, ჯიმუხენთი, მიეღუმენთი (რევაზოდლები), ჯამიმეჰელე, წყურიეთი, ცხადიეთი, ჭულიეთი|წულიეთი, ფურცელეთი, ივანიეთი, ჯვარისხევი, ჯვარები, ვაკე, ქვაბიკარი, ალე, სახელეთი, თეთრამიწა, აღმართი ძირი, ზედა ბახჩა, ახო, კაკლები, ადები, ჭალები, ფოხვეთი, დიდმერე, ოქუღბახჩი, უკანხევი, ახოთვაკე, ავაზანი, (გემრიელი წყალი), ვაკიეთი, ნაფურნევი, გაღმა მეჰელე, ფევი მეჰელე, ამოსადეგი, სამერცხლიათი, კროჭისასველთი, ძაღლისაფრინავი, სამთივრი ღელე, კვერცხვირითი, ჩაქველთა, უსტამისი (წეფთა), დოღის ყანა, ტბეთი, კოკოლა სერი, საბაური კონცხა, დოქლა ქვაბი, ხარიგათალი, ნაიღევი, დოკრაქვაბული, კონცხა, საფუზროფერდი, საქონდრიათსერი, დასამობი, რაბათი, ჭუტესი, ქოქლიენთი, წყალსიმერი, ივეთი, გორიეთი, დავლათი და ა.შ.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ზოგიერთ ტოპონიმზე, რომელიც შავშეთში დავაფიქსირეთ. ესენია: **სათლელი, ჩაქველთა, წეფთა.**

სათლელი - ციხე და ეკლესია შავშეთში, ადრე ხიმშიაშვილების რეზიდენცია იყო (ფუტყარაძე, 1993:184,190). შავშეთის მკვიდრი 71 წლის შამსედინ ყადირის ძე გუნეში იხსენებს: „აქ ადრე სახლები არ ყოფილა. სტუმარი მოსულა და მასპინძელს უთქვამს: ვინცხამ სათლელი მეიტაითო, ვერ გუგნიან და დანა მეიტაით გავთალოთო, მერე ამას დუუძახეს სათლელიო“. აქვე დავიმოწმებთ აჭარაში დაფიქსირებულ ჰიდრონიმ „ოთოლთა ღელეს“, რაც იგივე „სათლელ“-თან უნდა იყოს დაკავშირებული. ოთოლთა მდებარეობს შუახევის რაიონში სოფელ ცივაძეებსა და ტაკიძეებს შორის. ადგილობრივი ინფორმატორების მიქაელ ბერიძისა და ალექსანდრე ცივაძის ზეპირი გადმოცემით, რასაც სოფელ ჭვანის მკვიდრი 94 წლის ვალერიან ქარცივაძეც გვიდასტურებდა, ადრე სოფელ ტაკიძეებს „ოთოლთა“ ერქვა, ძველი სახელწოდება დღეს უკვე დავიწყებულია და ახლანდელი მოსახლეობა სოფელს ძველი სახელით აღარ მოიხსენიებს (ახვლედიანი, 2001:98).

ჰიდრონიმი „ოთოლთა“, ჩვენი ვარაუდით, კომპოზიტიური აგებულების უნდა იყოს. მისი ძირია „ოთლ“: მეგრ.: თოლ-უა – თლა, „ოთოლარი“ - სათლელს ნიშნავს (ჭარაია; 1997:107). კომპოზიტის მეორე ნაწილი: ქართული მთა →თა უნდა იყოს. (შდრ.: აჭარულში ხშირია ასეთი ორენოვანი გაფორმების ტოპონიმები, როგორიცაა: ჩამური ღელე, ონტოროთის ღელე, ოჭყვადურის წყარო, ღურჭა ღელე და სხვა).

გომის მთაზე ერთ-ერთმა ინფორმატორმა ენვერ ბერიძემ ასეთი ლეგენდაც გვიამბო: “ძველად თამარის მეფობის დროს, დანდალოს ხიდს აშენებდნენ და ხიდის ასაშენებლად იმ არემარეში შესაფერისი ქვა ვერ იპოვეს. ბოლოს სოფელ ოთოლთადან (ახლანდელი სოფ. ტაკიძეები) ხელიდან ხელში ჩამოუზიდავთ ქვები, რომლებიც ბუნებრივად თლილი ყოფილა”. ამ მიდამოებში აშენებული ხიდების თავისებურებაც სწორედ ის არის, რომ ისინი ბუნებრივად თლილი ქვებით არის აგებული, რაც დღესაც მნახველთა დიდ ყურადღებას იქცევს. ექსპედიციის დროს ზემოთ მოყვანილი ლეგენდა დაფიქსირდა შავშეთშიც, სათლელის ციხის ტერიტორიაზე. ისტორიულ შავშეთში დღეს სათლელის ციხის გრანდიოზული რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. ნიშანდობლივია, ისიც, რომ სათლელის ციხეც სწორედ თლილი ქვებით არის ნაგები. ისტორიული შავშეთი ადრე სათლელი უნდა ყოფილიყო, ხოლო რაც შეეხება შავშეთში დაფიქსირებულ სათლელის ციხეს და სათლელის წყალს, იგი აჭარაში დაფიქსირებული ზანური “ოთოლთა”-ს ქართული “სათლელი” ვარიანტი უნდა იყოს.

გ. ყაზბეგი თავის ნაშრომში “სამი თვე თურქეთის საქართველოში”, საუბრობს რა ტბეთის სახელგანთქმული ტაძრის გრანდიოზულობასა და მის აშენებაში გამოყენებულ მასალაზე, წერს: “სოფლის გარეუბნებში ამ ჯიშის ქვა არ მოიპოვება. ამიტომ ყურადღებას იმსახურებს ხალხური გადმოცემა იმის შესახებ, რომ მთელი სამშენებლო მასალა დაამზადეს ამ სოფლიდან ოცი ვერსის დაშორებით. ქვებს ხელიდან ხელში გადასცემდნენ აუარებელი მშენებლები, რომლებიც ერთ რიგად იყვნენ ჩამწკრივებული ქვის სამტეხლოდან სამშენებლო მოედნამდე. მსგავსი იგავები თურქეთის საქართველოს სხვა დიდი ტაძრების შესახებაც გავიგონე” (ყაზბეგი, 1995:79). სამშენებლო მასალის ხელიდან ხელში მიწოდების ამგვარ ხერხს თამარის ეპოქის მშენებლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ქართული თქმულება-გადმოცემა იცნობს, აღნიშნავს მკვლევარი თინა შიოშვილი. ერთ-ერთი მათგანია აჭარაში გავრცელებული ხირხათის ციხის მშენებლობასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემა, რომლის დასასრულსაც მოქმედი სიამაყით აღნიშნავს: „... დღეიდან ხირხათის ჭიშკრამდინ ხელიდან-ხელში აქვან ატანილი ქვები. იმდენი ხალხი ჰყავდა თამარ მეფეს. იმფერი ძალა ჰქონდა თამარ მეფეს” (შავშეთი, 2011:211). ამ ციკლის გადმოცემა დააფიქსირა მკვლევარმა რამაზ ხალვაშმა სოფელ უსტამისში 2005 წელს (მოქმედი ეუბ ალთუნი): “ამბობენ ქი ჯელიდან ჯელზე ქვიები ამუუტანიან ყალეზე...” (შავშეთი, 2011, იქვე).

საინტერესოა კიდევ ერთი ტოპონიმის ისტორია, რომელიც შავშეთში დაფიქსირეთ. ეს გახლავთ: “წაქველთა”. ახლა თურქეთში მას “ენოჯახს” ჰქვია. იქაური მცხოვრებლები ადგილის სახელწოდებას აჭარიდან წაღებულად მიიჩნევენ. ყოველი ენობრივი კოლექტივი გარკვეულ ტერიტორიაზეა განლაგებული. საგულისხმოა, ისიც რომ ზოგჯერ გადასახ-

ლებულთ თან მიაქვთ ძველი საცხოვრისი ადგილების სახელები და არ-
ქმევენ ახალ სამოსახლოს ცალკეულ უბნებს. ასე მაგალითად, საქარ-
თველოდან ფერეიდანში გადასახლებულ მოსახლეობას ახალი საცხოვ-
რისისათვის მშობლიური ქალაქისა თუ სოფლის სახელი დაურქმევია
(მარტყოფი, ვაშლოვანი, რუისპირი, ნინოწმინდა...) (ქართული ენა,
2008:477).

ჩაქვი - მდინარე და დაბაა ქობულეთის რაიონში. აზ. ახვლედიანის
ზეპირი ინფორმაციით, აჭარაში ჩაქი-ტანსაცმლის ნაირსახეობა იყო,
ფერდებზე შეჭრილი. ჩაქურა - “აჭარლების... ძველებური ტანსაცმელი
იყო-მოკლე წელზევითა ჩოხა და ვიწრო ტოტებიანი, თავგანიერი შარ-
ვლით” (ნიჟარაძე; 1971:397). ჩაქვის თავდაპირველ ფორმად ჩვენ “ჭაკვი”
მიგვაჩნია. “ჭაკვი” გამოიყენება დანის სინონიმად აჭარულში: ჩაქი დანა
// ჭაკვი დანა- ჯიბით სატარებელი პატარა დანა, ჯაყვა (ნიჟარაძე, იქვე).
რაც შეეხება “ჩაქვი”-ს ეტიმოლოგიას, ეს ადგილი, გახსნილი ჯაყვის
ფორმას თუ წარმოვიდგენთ, მართლაც ასეთი ფორმითაა შეჭრილი შავ
ზღვაში. აქ არაა მდინარის იმდენი ნაშალი, როგორც მდინარე ყოროლის
წყალში. აჭარაში ტოპონიმ “ჩაქვი”-ს ეტიმოლოგია სწორედ მისი მდებარე-
ობით შეიძლება აიხსნას.

ინტერესს იწვევს ერთი მთის სახელწოდებაც: წეფთა//წიფთა, რომე-
ლიც საუცხოო სანახევია და შორიდან უნაგირის ფორმა აქვს. შავშეთის
მკვიდრი 71 წლის შამსედინ ყადირის ძე გუნეში იხსენებს: „... წეფთაზეც
დუუპატიჟნია კაცი და რა გურიო? -უკითხავს – მოგწონდათ? – ფენა
ლამაზია, ფენა კაია, მარა წეფთავსო მაღლა და შეგცივდებაო.” წეფთა-
ში იქაური მკვიდრი 72 წლის ჯებრაილ მუსტაფის ძე ბექიროლდი (ბარა)
გვესაუბრება: “ეს ჩვენი უსტამისია, ძველი სახელი ესკი კალეა, ახლა
წეფთას ვერქვით. წეფთა მაღალია, თოვლი გათოვდა წეფთავს და ასე
დიერქვა წეფთა”.

სვანურ ლექსიკონში წიფხა (იშ-არ,ზს.ლნტ.,-არ,ლშხ) – წვეთს ნიშ-
ნავს. „ამ ზაუ წიფხ დეს მეშყედ” (ბზ) - წელს წვეთი (წვიმა) არ ჩამო-
ვარდნილა. წიფხარა (- რაშ, - ბზ. ლშხ. წიფხარა - რაშ, - ბქ, - რაიშ,
ლნტ.) – ცრა (წვიმისა), ჟინჟელა (ქაღდანი, თოფურია, 2000:854). ლენხუ-
მურ ლექსიკონში მ. ალაგიძე წიფხას ასე განმარტავს: ხის ქერქისგან გა-
კეთებული სასმისი, ჭურჭელი (ალაგიძე, 1938:161). რაც შეეხება წეფთა //
წიფთას ეტიმოლოგიას, ეს მთა თითქოს მართლაც ერთგვარ ჭურჭელს
მოგვაგონებს უნაგირის ფორმით, ხოლო კომპოზიტიის მეორე ნაწილი
წეფ-თა// წიფ-თა სავარაუდოდ წეფ მთა უნდა იყოს, ანუ წეფთის მთა
(შდრ; ოთოლთა).

ექსპედიციის დასასრულს, დამშვიდობებისას უსტამისის მკვიდრმა 72
წლის ჯებრაილ (ბარა) ბექიროლდმა ასე დაგვლოცა: “გზა-კვალი გიგირ-
ჩიოს ღმერთმა”, “ლამაზათ მიხვიდეთ თქვენს სახლში”, “სიცოცხლობა
თქვენს უკან!”-ო.

ჩვენს მიერ 2013 წლის სექტემბერში მოწოდებული ექსპედიციის დროს მოპოვებული და ჩაწერილი მასალა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის არქივის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ალაიძე მ., 1938** – მ. ალაიძე, ლენხუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, თბ., 1938.
2. **ახვლედიანი ნ., 2001** – ნ. ახვლედიანი, ზანიზმები აჭარის ტოპონიმიაში, ფილ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ხელნაწერის უფლებით, თბ., 2001.
3. **ნიჟარაძე შ., 1971** – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971.
4. **ფუტყარაძე შ., 1999** – შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1999.
5. **ქართლის ცხოვრება, 1973** – ვახუშტი ბატონიშვილის აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ტექსტები დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), თბ., 1973.
6. **ქართული ენა, 2008** – ქართული ენა, ენციკლოპედია, შემდგენელი: ი. ქობალავა, თბ., 2008.
7. **ქაღდანი მ., თოფურია გ., 2000** – მ. ქაღდანი, გ. თოფურია, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
8. **ყაზბეგი გ., 1995** – გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთი საქართველოში, თბ., 1995.
9. **შავშეთი, 2011** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტი “შავშეთი”, თბ., 2011.
10. **ჭარაია პ., 1997** – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

N. Akhvlediani

Shavshuri Pearls

(According to the Materials of Folklore-Dialectological-Ethnographic Expedition in 2013)

Summary

The study of southern dialects has a long time history. This historical part has preserved a number of archaic words. We are presenting some of them below. They are: “Satleli”, “Chakvelta”, “Tsepta”.

ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი

**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების (აჭარა)
ოთხტომეულის გამოცემის გამო**

2007–2012 წლებში მომზადდა და გამოიცა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების (აჭარა)“ ოთხტომეული, რომელიც მოიცავს პერიოდს ძვ. წ. V საუკუნიდან 1990-იან წლებამდე.

ნარკვევების მომზადება და გამოცემა განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1994 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით. ეს იმით იყო განპირობებული, რომ მანამდე არ არსებობდა ფუნდამენტური განმაზოგადებელი სამეცნიერო ნაშრომი აღნიშნული პერიოდის აჭარაზე. არსებული სამეცნიერო გამოცემები კი (მონოგრაფიები, ცალკეული სტატიები) სრულყოფილად და ობიექტურად ვერ ასახავდნენ საქართველოს ამ უძველესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის წარსულსა და თანამედროვეობას.

ნარკვევების მომზადებისა და გამოცემის საქმეს ხელმძღვანელობდა და კოორდინაციას უწევდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (2011 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი). იგი არის ამ გამოცემის მთავარი ინიციატორი და აქტიური მონაწილე. ინსტიტუტის სამეცნიერო ძალებით დაკომპლექტდა ნარკვევების სარედაქციო კოლეგია (მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ხახუტაიშვილი, მთავარი რედაქტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან კახიძე, პასუხისმგებელი მდივანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ კახიძე). მან შეიმუშავა ნარკვევების პროექტი, მასში შესატანი სტატიები და შეარჩია მისი ავტორები. ესენი არიან ცნობილი მეცნიერი ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოლოგები, მეცნიერების სხვა დარგის მკვლევარები ბათუმიდან და თბილისიდან. მათ წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას, რომელიც ნათლად აისახა ნარკვევებში წარმოდგენილ სტატიებში.

ნარკვევების პირველ ტომში („აჭარა. ძვ.წ. V საუკუნე – ახ.წ. V საუკუნემდე“, თბილისი, 2007. რედაქტორები: დავით ხახუტაიშვილი – პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ამირან კახიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი) არქეოლოგიური და სხვა მონაცემების საფუძველზე შესწავლილია აჭარის

ტერიტორიაზე გამოვლენილი ძველი ქვის ხანის, ენეოლით–ადრებრინჯაოს, შუა და ადრებრინჯაოს, ადრეკინის, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ძეგლები. კვლევებით დადგენილია, რომ აჭარა საქართველოს ის რეგიონია, სადაც ფეხს იდგამდა ადამიანის ფორმირების (ანთროპოგენეზის) პროცესი, ყალიბდებოდა მწარმოებლური მეურნეობის, საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების ადრინდელი საფეხურები, ადრეული რკინის წარმოება, იმპულსს რომ აძლევდა სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას. ტომს ერთვის აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს დახასიათება, აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა და ეტიმოლოგიური ძიებანი.

ნარკვევების მეორე ტომში („აჭარა. V საუკუნე – 1877 წელი“, ბათუმი, 2009. რედაქტორი ნოდარ კახიძე–ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი) გაშუქებულია აჭარის 15 საუკუნოვანი ისტორია V საუკუნიდან რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომამდე. კერძოდ, მასში შესწავლილია აჭარის ადრე, შუა და განვითარებული ფეოდალური ხანის უმთავრესი ეტაპები. მეორე ტომის ერთ-ერთი სიახლე ის არის, რომ იგი ვრცლად გვაცნობს აჭარაში ოსმალთა ბატონობის ისტორიის ახალ დეტალებს. დღემდე უცნობი ოსმალური წყაროების მოშველიებით დაზუსტებულია ოსმალთა მიერ აჭარის დაპყრობის თარიღი (XVI საუკუნის 50–60–იანი წლები), დახასიათებულია ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის, საგადასახადო სისტემის, მთლიანად ოსმალური რეჟიმის სპეციფიკური თავისებურებანი, აჭარის მოსახლეობის აქტიური და უწყვეტი ბრძოლის ეპიზოდები ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ.

მეორე ტომს ავსებს ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) მასალები, რაც ნათლად წარმოაჩენს აღნიშნული პერიოდის აჭარის სამეურნეო, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის ზოგად ქართულ ხასიათს. ამ მონაცემებით ცხადად დასტურდება, რომ ოსმალთა ბატონობის დროსაც აჭარამ შეინარჩუნა მშობლიური ქართული და თვითმყოფადი ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, მჭიდრო კავშირი დედასამშობლო საქართველოსთან.

მესამე ტომში („აჭარა. 1877–1920 წლები“, ბათუმი, 2008 წელი. რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: აბელ სურგულაძე, მალხაზ სიორიძე) დახასიათებულია რუსეთ–თურქეთის 1877–1878 წლების ომის მსვლელობა აჭარის ტერიტორიაზე. წარმოჩენილია აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების ისტორია, დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნება და მისი მნიშვნელობა, ქართველი მოწინავე საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება აჭარის შემდგომი განვითარებისა და აღორძინებისათვის. დახასიათებულია რუსული მმართველობის რეჟიმი. მოტანილია საინტერესო მასალები აჭარაში შექმნილ ვითარებაზე პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდებში. განხილულია გასაბჭოებამდელი აჭარის განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხები.

მეოთხე ტომში („აჭარა. 1921–1990 წლებში“, ბათუმი, 2012. რედაქტორი ოთარ თურმანიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი) ახლებურად არის წარმოდგენილი და შეფასებული აჭარის ისტორიის 70-წლიანი ისტორიის უმთავრესი პრობლემები: აჭარის ძალდატანებითი გასაბჭოება, აჭარის ავტონომიის შექმნა და საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება, სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები 1921–1925 და 1930–იან წლებში, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ანტისაბჭოთა გამოსვლები, პოლიტიკური რეპრესიები 20–30-იან და 50-იან წლებში. გაშუქებულია აჭარის მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში, დახასიათებულია ომის შემდგომი პერიოდების სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, დემოგრაფიული პროცესები, განათლების, კულტურის, მეცნიერების განვითარების საკითხები.

აჭარის ისტორიის ოთხტომეულში შესულია 170-მდე სტატია, რომელთა ავტორები არიან: აკადემიკოსები გიორგი მელიქიშვილი, დავით მუსხელიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები და პროფესორები: ნოდარ ლომოური, მიხეილ სვანიძე, ნოდარ შენგელია, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, მამია ჯიჯეიშვილი, ანრი ბოგვერაძე, იური სიხარულიძე, ფრიდონ სიხარულიძე, ნანუელი მაისურაძე (თბილისი), დამირ გურეშიძე (ქუთაისი); ბათუმიდან – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები დავით ხახუტაიშვილი, ვახტანგ შამილაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: ამირან კახიძე, ნოდარ კახიძე, ოთარ თურმანიძე, ბიჭიკო დიასამიძე, აბელ სურგულაძე, შოთა მამულაძე, თამაზ ფუტკარაძე, მურად ჩავლეიშვილი, ოთარ გოგოლიშვილი, ერმილე მესხია, თემურ კომახიძე, სერგო დუმბაძე; ისტორიის აკადემიური დოქტორები: ნანა ხახუტაიშვილი, ნინო ინაიშვილი, ნინელი ვაშაკიძე, ნაილა ჩელებაძე, მაია ჭიჭილეიშვილი, იზოლდა სამსონია, ნუგზარ ზოსიძე, მერაბ ხალვაში, უჩა ოქროპირიძე, როინ მაღაყმაძე, ჯემალ ვარშალომიძე, ჯემალ მიქელაძე, რევაზ უზუნაძე, გენადი მახარაძე; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: იური ბიბილეიშვილი, თინათინ შიოშვილი, მარინა გიორგაძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნანი გუგუნავა, ვახტანგ წულუკიძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვანო პაპუნძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი რამაზ სურმანიძე; მეცნიერი თანამშრომლები: ნანული ნოღაიდელი, ეთერ ზოიძე, ზაურ ლაზიშვილი (ბათუმი).

აჭარის ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულმა მაღალი შეფასება დაიმსახურა პრეზენტაციებზე, რომლებიც ჩატარდა ბათუმში (ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი, 2007, 2009 წლები), თბილისში (წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი (2010 წელი), საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (2013 წელი, IV ტომის პრეზენტაცია), აჭარის საარქივო სამმართველოში (2014 წელი, IV ტომის პრეზენტაცია).

პრეზენტაციებზე გამოითქვა აზრი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის აჭარის ოთხტომეულის წარდგენაზე საქართველოს სახელმწიფო პრემიაზე. ოთხტომეული, რომლის მომზადებაში ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტსა და სხვა ბათუმელ მეცნიერებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს თბილისში მომუშავე წამყვანმა ისტორიკოსებმა, მნიშვნელოვანი წვლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. აქ თავმოყრილია და განზოგადებულია უახლოესი მეცნიერული მიღწევები აჭარის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის, ეკონომიკის პრობლემების კვლევაში.

ოთხტომეული აჭარის, როგორც სამხრეთ-დასავლეთ და საერთოდ საქართველოს გამორჩეული რეგიონის, მეცნიერული შესწავლის წარმატებული ცდაა. ამავე დროს ნარკვევები პირველი ნაბიჯია საქართველოს ცალკეულ მხარეთა მეცნიერულ შესწავლაში. იგი ნიშნავს იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების ისტორია, რომლის გარეშე ნაკლული იქნებოდა ერთიანი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ჩვენი აზრით, სასურველი იყო, რომ ნარკვევების ყველა ტომს დართოდა საძიებლები. იგი მხოლოდ მეოთხე ტომს გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ტომი ათასიანი ტირაჟით გამოიცა, იგი ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა დაინტერესებული მკითხველისათვის, რადგან სავაჭრო ქსელში არ გაყიდულა. მოთხოვნილება ოთხტომეულზე ახლაც დიდია. სასურველი იქნება, თუ ოთხტომეული განმეორებით გამოიცემა.

ოთხტომეული მომზადდა და გამოიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერითა და დაფინანსებით.

„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ აჭარის ოთხტომეული, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი ხანიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე, თავისი აქტუალობით სავსებით იმსახურებს მაღალ შეფასებას და იგი შეიძლება წარდგენილი იქნეს საქართველოს სახელმწიფო პრემიაზე. ეს იქნება კარგი აღიარება ნარკვევების იმ მნიშვნელოვანი წვლილისა, რაც მან შეიტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ირაკლი ბარამიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე,
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ჯემალ კარაღიძე

უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

საჯირო ნაშრომი აჭარაში მცხოვრებ ახვლედიანთა საბგარეულოზე

რეცენზია ნარგიზ ახვლედიანის წიგნზე – „ახვლედიანნი აჭარაში“

გენეალოგია, როგორც დამხმარე ისტორიული მეცნიერება, მიზნად ისახავს გვარსახელთა წარმომავლობის, მათი სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბების დადგენას. გენეალოგიის ცოდნას განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა საქორწინო კავშირების დამყარებისას, მემკვიდრეობის საკითხების გარკვევისას. „გენეალოგიური კვლევა მრავალმხრივაა საჯირო. უპირველესად იგი საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ პოლიტიკურად აქტიურ ფეოდალთა კლასის ისტორიას, მის რაოდენობრივ თუ თვისებრივ ცვალებადობას, ცალკეულ ფეოდალურ სახლთა როლსა და ადგილს სახელმწიფოს ისტორიაში, მათ პოლიტიკურ პოზიციას. გარდა ამისა, გენეალოგიური კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავათარილოთ უთარილო ისტორიული დოკუმენტები...“ (ზ. ჭუმბურიძე, თ. ჩხატარაიშვილი. გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, თბ., 1993, გვ. 8).

ქართულ გვარსახელთა კვლევა საქართველოში იწყება ვახუშტი ბატონიშვილისა და იოანე ბაგრატიონის საისტორიო-გეოგრაფიული თხზულებებით. გასული საუკუნის პირველ ნახევარში ამ მიმართულებით სათანადო კვლევა-ძიებას ეწეოდნენ ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ს. კაკაბაძე, ო. სოსელია. ხოლო გასული საუკუნის ბოლო ათწლეულსა და XXI საუკუნეში ქართველ თავად-აზნაურთა გვარების ისტორიის შესწავლაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ო. სოსელიამ, რ. თოფჩიშვილმა, მ. კეხევაძემ, ნ. ჯავახიშვილმა, გ. აღასანიაშვილმა, მ. ბახტაძემ. გამოიცა მნიშვნელოვანი წყაროები – ქართული სამართლის ძეგლები, გურიის, იმერეთისა და კახეთის თავად-აზნაურთა ოჯახების ცნობარები, პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ეპიგრაფიკული ძეგლები, სხვადასხვა სახის საარქივო მასალები.

როგორც ცნობილია, გვარსახელთა კვლევა-ძიება ორასპექტიანია: ენობრივი (გრამატიკულ-სემანტიკური) და გარეენობრივი (სოციალურ-ისტორიული). ნარგიზ ახვლედიანის „ახვლედიანნი აჭარაში“ (თბ., 2012) სწორედ გვარსახელ „ახვლედიანის“ ენობრივი ანალიზით იწყება. მკვლევარი ამჟღავნებს ონომასტიკური სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა და შემოქმედებით ცოდნას. სემანტიკური თვალსაზრისით ქართულ გვარსახელთა ოთხი ჯგუფი გამოიყოფა: ეპონიმიური, ეთნონიმიური, ტოპონიმიური და პროფესიული. დიდი ხანია, ცნობილია, ქართულ გვარსახელთა მწარმოებელი სუფიქსები და სუფიქსოიდები. ქართველურ ენებში გვართა უმრავლესობა წარმოქმნილია მამაშვილობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულებით, რომლებიც საბოლოოდ მორფემოიდებად ქცეულან: -ძე, -

შვილი, -სკირი, -ში, -ჭკორი. ასევე ფართოდაა გავრცელებული წარმომავლობისა თუ საქმიანობა-მოხელეობის აღმნიშვნელი -ელ, -ურ, -ეთ სუფიქსები (სხვათაშორის, ოდენ საგვარსახელო სუფიქსი –ა მხოლოდ მეგრულს ახასიათებს). საინტერესოა, რომ ქართულ სინამდვილეში არის შემთხვევები, როცა სათავადო გვარსახელს მოეპოვება „საგლეხო“ ვარიანტი: წერეთელი (თავადი) წერეთელა (გლეხი), აფაქიძე (თავადი) აფაქელა (გლეხი) და სხვ.

ნ. ახვლედიანი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას გვარსახელთა -იან დაბოლოებაზე, რაც საერთოქართველური წარმომავლობისა ჩანს, მაგრამ ძირითადად სვანეთსა და ლეჩხუმს შემორჩა (შდრ: მეგრული საგვარსახელო სუფიქსი -ია -იან). საისტორიო წყაროებში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთსა და იმავე ეპონიმისაგან გვარსახელი იწარმოება როგორც -შვილი, ისე -იან სუფიქსით. მაგ., დედაბრიანი// დედაბრიშვილი (რ. თოფჩიშვილი, ეთნოგრაფიული ეტიუდები, წ. I, თბ., 2005, გვ. 280).

სვანეთიდან და ლეჩხუმიდან -იან დაბოლოებიანი მრავალი გვარსახელია განსახლებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მათ შორისაა თავადური გვარი ახვლედიანი. კერძოდ, სოფ. მახინჯაურში. დღემდე შემორჩენილი გადმოცემით, ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილე ერთ-ერთი ჯვაროსანი, გვარად ახვლედიანი, სწორედ აქ დამკვიდრებულა. სხვა გადმოცემით, ახვლედიანი ძლიერ ფეოდალს „ნეფე ქვაბულიძეს“ ჩასიძებია და გამრავლებულა.

ლეჩხუმელი ახვლედიანები არაერთგზის არიან მოხსენიებულნი XVIII-XIX საუკუნეების წყალობისა თუ განჩინების საბუთებში. გადმოცემით, ახვლედიანთა შორის პირველი სახელად ყოფილა ალხამუში, რომელიც დამკვიდრებულა მახინჯაურში და იქვეა დაკრძალული. „ცნობილია, რომ ახვლედიანები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოსახლეობენ. ეს გვარი პირველად იხსენიება მე-15 საუკუნეში, მაგრამ უეჭველია, რომ მას უფრო ძველი ისტორია აქვს“, – აღნიშნავს წიგნის ავტორი. საერთოდ კი ითვლება, რომ გვარსახელი ახვლედიანი სვანური წარმომავლობისაა. XX ს-ის დამლევს საქართველოში აღინუსხა ამ გვარის მატარებელი 4531 სული.

აჭარელ ახვლედიანებს მახინჯაურში ჰქონიათ ციხე-სიმაგრე „ჯიხური“ (მეგრ. „საციხური“). ჰყოლიათ ჯარი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში საბრძოლველად გაჰყავდათ. მახინჯაურშივე არის ახვლედიანთა საგვარეული სასაფლაო.

აჭარაში თურქთა ბატონობის პერიოდში ახვლედიანებსაც მიუღიათ თურქული „ოღლი“ (-ძე, -შვილი). მათ შორის პირველი ყოფილა კირისი-ლოღლი, რაც, როგორც ვარაუდობენ, აბჯაროსნის, ჯავშნოსნის შთამომავალს აღნიშნავს. ხოლო მოლაშქრეობა თავადთა სალაშქრო რაზმისათვის არა მარტო მოქალაქეობრივი მოვალეობა იყო, არამედ საპატიო უფლებად ითვლებოდა.

ნარგიზ ახვლედიანს დეტალურად შეუსწავლია საარქივო მასალები, რომლებშიც მრავალგზის არის მოხსენიებული გვარი ახვლედიანი. რუსეთის მიერ აჭარის განთავისუფლების შემდეგ უკვე აღარ იყო აუცილებელი გვარსახელის „ოდლით“ დაბოლოება. ნ. ახვლედიანს მოუძიებია და საგულდაგულოდ გაუანალიზებია XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის დამდეგის საგვარეულო არქივებში დაცული მასალები – მიწის ყიდვა-გაყიდვისა და მფლობელობის საბუთები. აღმოჩნდა, რომ XIX ს-ის მეორე ნახევარში მახინჯაურელი ახვლედიანების სამფლობელო მიწების ერთი ნაწილი ბათუმის მიმართულებით რკინიგზის მშენებლობას შეეწირა, მეორე ნაწილი კი იყიდეს რუსმა და გერმანელმა ჩინოვნიკებმა, ხოლო რაც დარჩა, კოლექტივიზაციას ემსხვერპლა.

სარეცენზიო წიგნის მეორე ნაწილი ეძღვნება აჭარაში მცხოვრებ ახვლედიანთა ცნობილ წარმომადგენლებს, მათს საზოგადოებრივ საქმიანობას, პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას დაწყებული ახმედ აღა ახვლედიანით (კირისილოდლით), რომელიც გარდაიცვალა 1947 წელს 90 წლის ასაკში და დაბოლოებული არმაზ ახვლედიანით – ცნობილი ახალგაზრდა მკვლევართა და საზოგადო მოღვაწით.

ნარგიზ ახვლედიანის ნაშრომი ამ სიტყვებით მთავრდება: „ასეთი ისტორიის მქონე გვარს, რომლის შთამომავლებმაც შვიდი თაობის წინანდელი წინაპრის სახელი და საქმენი იციან, გადაშენება არ უწერია, უფლის სადიდებლად“. ჭეშმარიტად ასეა! ოღონდ, როგორც „ახვლედიანნი აჭარაში“ ცხადყოფს, მკვლევარს ძალუძს, საქართველოს ყველა კუთხის ახვლედიანთა შესახებ ასეთივე საჭირო გამოკვლევა აჩუქოს მკითხველს.

პაატა ცხადია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის
უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

წიგნი – პოემა, რომელსაც ნოდარ ტაბიძის ბარბა ვერავინ დაწერდა

გამოჩენილი ადამიანის ნათესაობა, მით უმეტეს, თუ იგი გენიოსია, ბუნების უაღრესი ჯილდო და იმავდროულად უმძიმესი ტვირთია. გენიალური გალაკტიონის ძმისწული ნოდარ ტაბიძე ორივე შემთხვევაში ბედნიერი გამონაკლისია. იგი ღირსეულად ატარებს ამ ღვთისმირ რეგალიას. კიდევ მეტიც, მას ბედმა არგუნა, არცთუ ისე მცირე ხნით, გენიოსი ბიძის გვერდით, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. მას შემდეგ ოთხი ათეული წელი გავიდა. გალაკტიონი რომ გარდაიცვალა, მაშინ ბატონი ნოდარი ოცდაცხრა წლის იყო. ეს ის ასაკია, როცა ადამიანი ეთხოვება ყმაწვილკაცობას. იმ დღიდან ბატონმა ნოდარმა განვლო მღელვარე ცხოვრება, რომელიც მთლიანად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდება. ახლა იგი მისი დეაწმოსილი პროფესორია, არაერთი თაობის აღმზრდელი, არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, უნივერსიტეტის კედლებში აღზრდილ ჟურნალისტთა პატრიარქი და ჭირისუფალი. მე თუ ვინმე მკითხავს, ვეტყვი, რომ დედაუნივერსიტეტის პროფესორობა ყველაზე უფრო მაღალი და საპატიო თანამდებობაა.

ახლახან ბატონმა ნოდარმა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ ფურცლებზე გალაკტიონის უკანასკნელი სურათი შემოგვთავაზა. სურათიდან საკრალური სიმშვიდით შემოგვეყურებს ბიძა-ძმისწული. გალაკტიონს ცალი ხელი ნოდარისათვის მხარზე გადაუხვევია და სევდიანი თვალებით აფიქსირებს გარემოს, თითქოს გრძნობს მოახლოებულ ტრაგიკულ აღსასრულს, სურს გულში ჩაიკრას თავისი სისხლი და ხორცი. ბატონი ნოდარი კარგად აღწერს ამ სურათის გადაღების ისტორიას, ამიტომ აქ აღარ შევჩერდები. მხოლოდ ერთს დავამატებ: ორმოც წელიწადს იღო ეს სურათი ძმისწულის გულის ჯიბეში. რომელი გაზეთი ან ჟურნალი ეტყოდა უარს მის გამოქვეყნებაზე, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. ჩემი ინტუიციით, იგი გამოსაქვეყნებლად ვერ გაიმეტა. ვერ გაიმეტა მანამ, ვიდრე ასაკით არ დაეწია სახელოვან ბიძას. ამ ფაქტში მე მის უდიდეს სიდარბაისლეს ვხედავ, ისეთს, როგორც თავად გალაკტიონი იტყოდა – „სავსე ქართული პატიოსნებით“.

გალაკტიონზე არა ერთი და ორი წიგნი დაიწერა, როგორც მის სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგ. თითქოს გუშინ იყო, მიხეილ კვესელავას „პოეტური ინტეგრალები“ რომ გამოვიდა. ვახტანგ ჯავახიძის „უცნობი“ და სხვა წიგნებიც დაისტამბა. რაც შეეხება ნოდარ ტაბიძის „გალაკტიონს“, ვერ მივიჩნევთ სიურპრიზად, რადგან იგი ჩვენთვის მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. მოხდენილად წერდა ნარგიზა მგელაძე, დიდხანს ველოდიო ამ წიგნის გამოცემას, ამით თითქოს ჩემი სათქმელიც თქვა. უფრო მართალი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ ამ წიგნს მთე-

ლი საქართველო ელოდა. ცხადია, აქ არ იგულისხმებიან ის ქართველები, რომლებსაც არ ეპიტნავენათ „სოფლელი ბიჭების“ ღექსები.

ჩემთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ავტორი ამ წიგნს დის – ლიანასა და ძმის – ვასილის ხსოვნას უძღვნის. ეს არ არის ჩვეულებრივი მიძღვნა. ვთვლი, რომ ამით მან და-ძმა ავტორობაში შეიზიარა, სიყვარული გაუნაწილა, რომელიც სიყვარულზე მეტია.

„წიგნში გაშუქებულია საქართველოს სახალხო პოეტის, აკადემიკოს გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ადრეული პერიოდი. გამოვლენილია არაერთი უცნობი ნაწარმოები და ბიოგრაფიული ფაქტი. განსხვავებულად არის კვალიფიცირებული ბევრი რამ. ავტორი გალაკტიონის ხასიათისა და პოეტური განწყობილების საიდუმლო კუნძულების აღმოჩენას ესწრაფვის, ყურადღებას ამახვილებს შემოქმედის ფორმირების განმსაზღვრელ პირობებსა და მიზეზებზე, არკვევს პოეტისა და საზოგადოების ურთიერთობას, აანალიზებს ლირიკულ შედევრებს“.

ამ ძუნწი ანოტაციის იქით ბობოქრობს ზღვა ვნებათაღელვა, რომელშიც მეოცე საუკუნის უდიდესი (არამარტო ქართველი) პოეტის სულიერი იმპულსებია დაფიქსირებული. მის მნიშვნელობას ისიც აორკეცებს, რომ ავტორი ნათელს ჰფენს პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის არაერთ ბურუსით მოცულ ფაქტსა თუ მოვლენას.

დღემდე განსჯის საგანია პოეტის დაბადების თარიღი. ისეთ გამოცემაშიც კი, როგორც ჩვენი ენციკლოპედიაა, გაორებული ინფორმაციაა მოწოდებული. კერძოდ: „დაიბადა 5 (17). XI. 1891 ან 6 (18). XII. 1892“. წიგნის ავტორი აანალიზებს ამ გაორების მიზეზებს, იკვლევს პოეტის ბიოგრაფიულ ჩანაწერებს, სოფელ ჭყვიშის წმინდა გიორგის ეკლესიის „მეტრიჩესკი წიგნის“ მასალებს. 1892 წლის 21 მარტს „ივერიაში“ დაბეჭდილ ვასილის ძმის კორესპონდენციას, რითაც დასტურდება, რომ პოეტის მამა ვასილი გარდაიცვალა 1891 წლის 26 თებერვალს. ყოველივე ამის საფუძველზე ასკვნის, რომ გალაკტიონი „ვერ დაიბადებოდა 1892 წელს, არათუ ნოემბერში, არამედ იანვარშიც კი“. ამიტომ პოეტის დაბადების თარიღად მართებულად მიიჩნევს 1891 წელს.

გალაკტიონის ბიოგრაფიაში არის კიდევ ერთი ბურუსით მოცული დეტალი, თითქოს 1911 წელს მცირე ხნით აჭარის ერთ-ერთ სოფელში, კერძოდ, ყოროლისთავში მასწავლებლობდა, რაც ძირშივე მცდარია. ავტორი გარკვევით გვისაბუთებს, თუ როგორ დაედო სათავე ამ შეცდომას. იმაზეც გარკვევით მიგვანიშნა, რომ პოეტის ლირიკული ბუნება ყოველთვის არ ემთხვევა მის ბიოგრაფიას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რასაც ანგარიში უნდა გაუწიოს ყველა მკვლევარმა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ წიგნის ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობს იმ ფაქტებსა და სიტუაციებს, ოჯახს, სოფელს, ახლო ნათესავეებს, მოწაფეობის წლებს, რამაც განსაზღვრა გალაკტიონის ფენომენი და გადამჭრელი როლი შეასრულა მისი მხატვრულ-ესთეტიკური სამყაროს ფორ-

მირებაში. უთუოდ მნიშვნელოვანია პოეტის შეგირდობის წლების ავტორისეული შეფასებები. ეს არის დიდი გზაჯვარედინი, ილია ჭავჭავაძის ეპოქის („წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია“) დასასრულისა და ახლის დაბადებისა. გალაკტიონმა დროულად განჭვრიტა, რომ ილიას სიკვდილით დასრულდა თერგდალეულთა ეპოქა, მაგრამ ძნელი სათქმელია, თუ როგორ წარმოედგინა ახალი ეპოქა მას, ვინც ძალუმად გრძნობდა ნაწარმოებში „სისხლის ჩანთხევის“ აუცილებლობას, ძნელი სათქმელია, თვლიდა თუ არა „არტისტულ ყვავილებს“ ახალ ეპოქის დასაწყისად.

ახალგაზრდა გალაკტიონი კარგად ფლობს რუსულ ენას, ეცნობა რუსეთის გამოჩენილი მწერლების წიგნებს, კითხულობს ფრანგი სიმბოლისტების ლექსებს. ეს არის პერიოდი, როცა რუსულ კულტურაზე ძალიან დიდია ფრანგული ენისა და ლიტერატურის გავლენა. გამოჩენილი ვიქტორ შკლოვსკი თავის წიგნში („Энергия заблуждения“) შენიშნავს, რომ თვით გენიალური ტოლსტოიც სიზმრებს ფრანგულად ნახულობდა. გალაკტიონი 1917 წლის მაისიდან 1918 წლის ივნისამდე მოსკოვშია, მაგრამ აქაც მისი სიზმრები მშობლიური და ქართულია. მიუხედავად ამისა, მაინც ამ გავლენით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ პოეტმა თავისი გენიალური „არტისტული ყვავილები“ ფრანგულად დაასათაურა და „Crâne aux Fleurs Artistiques“ უწოდა.

მკითხველისათვის, ლიტერატურის ისტორიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია გენიოსი პოეტის ასპარეზზე გამოსვლის ყოველი დეტალი, წერილმანიც კი. ნოდარ ტაბიძემ ყოველივე ამას თავი ფრიადზე გაართვა და შესანიშნავი წიგნი შემოგვთავაზა. მასში შესაშურადაა გაანალიზებული ჭყვიშისა და ქუთაისის პერიოდი, თბილისში გადასვლა, სამსახურებრივი გოდგოთა, ნათესაებთან, ახლო მეგობრებთან, მშობლებთან, ძმებთან, ბიძაშვილებთან ურთიერთობა, დამოკიდებულება კოლეგებთან და ხელისუფლებასთან. ეს ყველაფერი წარმოდგენილია ობიექტური რეალისტურობით, ყოველგვარი მიკერძოებისა თუ შელამაზების გარეშე.

მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი გალაკტიონის მიწიერ ცხოვრებას რომანტიკულ ფერებში წარმოსახავდა. ყოველ შემთხვევაში მე ასე ვიყავი დარწმუნებული, მაგრამ სურათი სრულიად საპირისპიროა, კიდევ მეტიც, მეჩვენება, რომ იგი ზოგჯერ ზედმეტად მკაცრია. მაგალითად, როცა პირველ მსოფლიო ომთან პოეტის დამოკიდებულებას გვისურათებს, აღნიშნავს, რომ „მის ლირიკაში ამ უზარმაზარმა მოვლენამ პირდაპირ – ხაზგასმითი ასახვა ვერ ჰპოვა“. მას თავისუფლად შეეძლო ამ საკამათო ფრაზის გარეშე ფონს გასვლა, ისე, რომ წიგნს არაფერი დააკლდებოდა. და კიდევ: „გალაკტიონისათვის უცხო როდია თარიღებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, თუმცა ხმამაღლა აცხადებს: ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქისა და სივრცის გარეთ, მაგრამ პრაქტიკაში ამ თეზისის განუყრელი დამცველი არ ყოფილა. იქნებ ლაბორატორიული მუშაობის ზოგიერთი დეტალი არ ექვემდებარება გამომზეურებას. ამიტომაც შევნიშნე, ავტორი ზომაზე მეტად მკაცრია-მეტქი. უთუოდ

ზედმეტ გარჯად მესახება „მე და ღამის“ ასოციაციის ძეგნა ილია ჭავჭავაძესთან. მით უმეტეს, თავად შენიშნავს, რომ „გალაქტიონის ღამე არ არის ილიას „ბნელი ღამე“. იგი მოკამკამეა, მტრედისფერი და საიმედო შუქით სავსეა“. მე პირადად ვერ ვხედავ მათ შორის „ასოციაციებისა და ხიდის გადების შესაძლებლობას“.

არის შემთხვევები, როცა მკვლევრები ცალკეულ კონკრეტულ-ცხოვრებისეულ ეპიზოდებს ირეალურ ბურუსში ხვევენ. მხედველობაში მაქვს ლექსი „მზეო თიბათვისა“. ბატონმა ნოდარმა გაფანტა ბურუსი და მარტივად დაასაბუთა, რომ იგი „ლონგრიინიდან“ მიღებული შთაბეჭდილებით არ შექმნილა. ამ ლექსით პოეტმა თავისი საყვარელი არსება – ოლია ოკუჯავა გააცილა რუსეთს. გალაქტიონი წერს: „ეს ლექსი ხომ მას შეეხება“.

მღელვარების გარეშე ვერ წავიკითხე „ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი“. მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდება იმაში, რომ გალაქტიონის ლირიკაში მერი არარეალური სახეა. ოლია ოკუჯავას სახე 1912 წლიდან შეიჭრა გალაქტიონის სამყაროში. „რომანი 1912 წელს იწვება. იწვება და არ მთავრდება, რადგან გალაქტიონმა თქვა – მე შენ მიყვარხარ. ეს კი ნიშნავს: ოლია მარად იცოცხლებს. მათი გრძნობა არ გახუნდება“. ბატონი ნოდარი ნათლად მიგვანიშნებს, რომ ქართული პოეზიის ეს უკვდავი მუზა 1941 წლის 11 სექტემბერსაც გალაქტიონზე ფიქრობდა, როცა 156 პატიმართან ერთად (იგი პატიმრებს შორის 87-ე ნომერია) ორიოლიდან ათი კილომეტრით დაშორებულ მდევდევის ტყეში დასახვრეტად მიჰყავდათ. ბატონი ნოდარი წერს: „30-იანი წლების ავბედითმა ქარიშხალმა მეუღლენი საბოლოოდ დააშორა. გავიხსენოთ ამ ფაქტით უკიდურესად გაწამებული გალაქტიონის პოეტური ამოცხვრა:

„ცხოვრების ეტლის სადარბეული, საცაა გავა მატარებელი.
მიემგზავრება იმედი ჩემი, ბედის ვარსკვლავის სადარბეული.
აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები, მივდეგ ვაგონებს,
მასრჩობს გრძნობები, გემშვიდობები სამარადისოდ,
სამარადისოდ გემშვიდობები“.

ეს სტრიქონები ოლია ოკუჯავას ეძღვნება. ბატონი ნოდარი დაბეჯითებით ამბობს: „გალაქტიონი სამარის კარამდე ოლიას უერთგულეს და ფიცხელ რაინდად დარჩა“.

მაშ, როგორ დაიწერა „მერი“? ვინ იყო მერი შერვაშიძე. იცნობდა თუ არა მას გალაქტიონი? ამ კითხვებს წიგნის ავტორმა ლოგიკურად უპასუხა, ისე, რომ ეჭვის ნატამალსაც აღარ ტოვებს ჩვენში.

„მერი“ 1915 წელს დაიწერა. წიგნის ავტორის თქმით, ეს ლექსი „სიყვარულის ტრაგიკული განცდის“ გამოწვევითაა. „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი, მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კრთომა, სანდომიან ცის ელვა და ფერი, მწუხარე იყო, ვით შემოდგომა“.

არსებული წყაროების მიხედვით, ნიკოლოზ მეორის ფლიგელადიუტანტმა გიგუშა ერისთავმა და რუსეთის ღუმის წევრის, გენერალ-მაიორ

პროკოფი შერვაშიძის ასულმა, იმპერატორის დედის მარია ფიოდოროვნას ფრეილინამ მერი შერვაშიძემ 1918 წლის 20 სექტემბერს დაიწერეს ჯვარი ქუთაისში, მთავარანგელოზის ეკლესიაში. ამიტომ 1915 წელს დაწერილ ლექსში 1918 წელს მომხდარი ჯვრისწერა ვერ აისახებოდა. პირველი გენიალური პოეტის შთაგონების ნაყოფია. „ექვგვარეშეა, გალაკტიონს ბევრი რამ ექნებოდა გაგონილი მერი შერვაშიძეზე, შეიძლება თვალშიც მოუკრავს, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ იძლევა უფლებას, იგი ლექსის პერსონაჟის პროტოტიპად გამოვაცხადოთ“. ბატონი ნოდარი სამართლიანად მიგვანიშნებს, რომ მერი „ლიტერატურული სახელია. იგი გვხვდება ბაირონთან, შელისთან, ლერმონტოვთან, ბლოკთან და ა. შ. ამდენად, პერსონაჟი ასოციაციების გამოწვევის გზით „ვეროპეიზმის“ იერს და ამაღლებულობას იძენს. შემთხვევითი არ არის, რომ ლექსის სათაური ლათინური ტრანსკრიფციით დაიბეჭდა (MERI). ამრიგად, ლექსის მერი არ არის კონკრეტული პიროვნება, არამედ პოეტის ფანტაზიით შექმნილი სახეა“. კიდევ უფრო მეტიც: ახლახან პრესაში გაჩნდა სტატია, რომელშიაც ფიგურირებს აზრი, რომ გალაკტიონს თავისი უკვდავი „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“ ისე დაუწერია შოვში ყოფნისას, ეს ტაძარი თვალთაყვარელად არ უნახავს. იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლებოდა ტაძარი ენახა და „ქებათა-ქება“ არ გამოსვლოდა ისეთი, როგორიც არის. ხშირად პოეტური წარმოსახვა უფრო ძლიერია, ვიდრე ობიექტური სინამდვილე. ამჯერადაც სწორედ, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის ეს ფაქტორი დაფიქსირდა.

უთუოდ მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტია ნოდარ ტაბიძის კომენტარები გალაკტიონის ერთი უცნობი ნაწარმოების შესახებ. პოეტს 1913 წელს დაუწერია პოემა „შუანეთა“, რომელიც გაზეთ „აზრის“ ცნობით (№14, 1914 წ.) ჭიათურის სტამბაში დარჩენია და დაკარგულა. ზოგი მკვლევარი დაკარგული პოემის სახელწოდების გამო, მის სიუჟეტს ფრანგი ანა დრანსეს წიგნსა და შამილის მეუღლეს უკავშირებს. ბატონი ნოდარი წერს, რომ „არავითარი კავკასიის ბრძოლები და შამილი, არც ლეკენდარული იმამის ცოლი და არც ანა დრანსეს წიგნზე დაფუძნებული სიუჟეტი“. საილუსტრაციოდ წარმოგვიდგენს ფრაგმენტებს პოემიდან უადრესად მნიშვნელოვანი კომენტარებით. იგი წერს: „ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ „შუანეთაში“ „მესაფლავის“ ნოტები შეიცნობა. უფრო მეტიც...“ ან კიდევ: „ეს მესაფლავის ერთი ადგილის ასოციაციასაც იწვევს“ და ა. შ. ჩემი აზრით, მართებული შენიშვნაა. პოემის ფრაგმენტების გაცნობამ დამარწმუნა, რომ გალაკტიონმა სწორედ ამ მოტივით, „მესაფლავის“ შემდეგ აღარ ჩათვალა საჭიროდ მისი აღდგენა, თუ გნებავთ მოძიება და გამოქვეყნება.

„გალაკტიონი“ მრავალმხრივ საყურადღებო წიგნია. იგი მოემსახურება არა მარტო პოეტის შემოქმედებით დაინტერესებულ პირებს, არამედ აწ უკვე გასული საუკუნის ათიანი, ოციანი და ოცდაათიანი წლების, მთლიანად საუკუნის პირველი ნახევრის ეპოქალური მოვლენების

მკვლევრებსაც, რადგან ავტორი დიდ ადგილს უთმობს მაშინდელ სოციალურ-პოლიტიკურ და სულიერ კლიმატს, პროფესიულად აშუქებს ქართული მწერლობის უმთავრეს მომენტებსა და ეპოქის კონფლიქტურ სიტუაციებს.

1918 წელს (ივლისამდე) გალაკტიონი მოსკოვშია. ეს არის დრო, როცა საქართველო დამოუკიდებლობის გზაზე დგება. მოსკოვში მყოფი გალაკტიონი მიიღო იოსებ სტალინმა. იგი სთავაზობს თავის თანამემამულეს წავიდეს შუა აზიაში და სათავეში ჩაუდგეს ბასმაჩების წინააღმდეგ მოძრაობას. ეს ის დროა, როცა სტალინი ჯერ კიდევ არ არის სტალინი, ანუ ბელადი, ხოლო გალაკტიონი უკვე „არტისტული ყვავილების“ ავტორია, რომელსაც გამოსაცემად ამზადებს და რომლითაც ფიქრობს „საქართველოს აყირავებას“. თუმცა მათი სახელები ჯერ კიდევ არ ქუხს, აღიარება ცოტათი გვიან მოვიდა, გალაკტიონისა ქართული პოეზიის არხით – მსოფლიო ლიტერატურაში, სტალინისა – რუსული არხით მსოფლიო პოლიტიკაში. თანაც ორივე მათგანი გენიოსის რანგში ამალდდა. ძნელი სათქმელია, მაშინ იცნობდა თუ არა გალაკტიონი სოსელოს „დილას“. გვიან, 1954 წელს, ძმისწულისათვის უთქვამს, – რომ დაეთანხმებოდი და წავსულიყავი შუა აზიაში, ნეტავი ახლა თუ ეყოლებოდა საქართველოს სახალხო პოეტიო.

დღესაც და სოციალისტური რეჟიმის წლებშიც, ჩვენშიც და რუსეთშიც, ცალმხრივად განიხილავდნენ გამოჩენილი მწერლების დამოკიდებულებას რევოლუციასთან. მაშინ მწერალს რევოლუციის მიღება აქტივად ეთვლებოდა, ხოლო არმიღება – პასივად. ახლა პირიქით ხდება. ჩემი აზრით, ამგვარი მიდგომა ორივე შემთხვევაში მცდარია.

არც ის იყო მართებული, რომ გენიალური პოეტის შემოქმედებას ორ პერიოდად ჰყოფდნენ, რაც თვით გალაკტიონს ძალიან აღიზიანებდა. ნოდარ ტაბიძე გერმანული სიზუსტით წარმოადგენს გალაკტიონის დამოკიდებულებას რევოლუციასთან. გალაკტიონი მაშინ ჩავიდა რუსეთში, როცა იგი რევოლუციის ცეცხლში იყო გახვეული. დასრულებულია თებერვლის რევოლუცია და მზადდება ოქტომბრის აჯანყება. მართალია, გალაკტიონი მიესალმა „რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს“... რადგან „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა“... მიუხედავად ამისა, იგი არ არის რევოლუციის მეხოტბე პოეტი. ახლა წიგნის ავტორს მოვუსმინოთ: „ამ თემაზე საუბარი შემდეგი მოსაზრებით უნდა დავამთავროთ: პირველ ხანებში გალაკტიონი ერთმანეთისაგან ნაკლებად ან საერთოდ არ მიჯნავს რევოლუციას, როგორც ასეთს, კონკრეტული რევოლუციისაგან. მისი გაგებით, რევოლუცია საერთოდ გულისხმობს ძველის დამხობას და ახალი, პროგრესული წყობილების დამყარებას. ამიტომაც ესაღმება თებერვლის გადატრიალებას, თუმცა მრავალმხრივ არ აქვს გაცნობიერებული ამ აქტის ასპექტები, მისთვის ამჯერად ისიც საკმარისია, რომ ძველი დაემხო.

რაც შეეხება ოქტომბრის აჯანყებას, თავდაპირველად მისი სპეციფიკაც ნაკლებ ჰქონდა შეცნობილი და მასაც ზოგადი თვალსაზრისიდან გამომდინარე უდგებოდა. თუმცა ისიც შეინიშნება, რომ ამდენმა სისხლისღვრამ და ქაოსმა დააფიქრა, ნაწილობრივ დააბნია კიდეც, მაგრამ გადამწყვეტი რადიკალური დასკვნა არ გამოუტანია“.

ძალიან ძნელია მცირე ფორმატის რეცენზიაში ამომწურავად გააანალიზო ხუთასგვერდიანი ნაშრომის თუნდაც მთავარი ღირსებები. ერთგან ამ წიგნს პოემა ვუწოდე. ნამდვილად მშურს მისი ავტორის, როცა იგი ამბობს: „იმ წლებში, როცა მე უშუალოდ გალაკტიონთან ვიზრდებოდი, ბევრი რამ მსმენია ბიძაჩემისაგან“... ბოლო სინტაგმა („მსმენია ბიძაჩემისაგან“) ყველაფერს ამბობს. მკითხველი უამრავ „საიდუმლო კუნძულს“ აღმოაჩენს, იმის იმედით, რომ მალე იხილავს მეორე წიგნსაც. პირველი წიგნი დასრულდა იმით, რომ გალაკტიონს ხელთ აქვს სკიპტრა საქართველოს პოეტების მეფისა.

შოთა ზოიძე,

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ღვაწლმოსილი მეცნიერი და ამაგდარი პედაგოგი
(პროფესორ ოთარ თურმანიძის დაბადების 80 წლისთავის გამო)**

80 წელი შესრულდა ღვაწლმოსილი მეცნიერისა და ამაგდარი პედაგოგის – ოთარ თურმანიძის დაბადებიდან. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ახალგაზრდობის აღზრდასა და სწავლებას, მეცნიერებას, ხალხის სამსახურს შეაღწია.

ოთარ თურმანიძე დაიბადა 1934 წლის 15 ნოემბერს ხულოს (ამჟამად შუახევის) რაიონის უჩამბის საკრებულოს სოფელ სამოლეთში.



ბავშვობა და ჭაბუკობა მძიმე წლებში გაატარა. მეორე მსოფლიო ომი, ომისშემდგომი აღდგენითი წლები მაშინდელი ახალგაზრდობისათვის უმძიმესი აღმოჩნდა. ოთარ თურმანიძისთვის ეს წლები განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან მამა 1942 წელს გარდაეცვალა და ობლობაში გაატარა ბავშვობა და ჭაბუკობა. დედამ, გაუსაძლის პირობებში, ნათესავების თანადგომით შეძლო სამი შვილის გამოზრდა და ყველა მათგანი ცხოვრებაში სწორ გზაზე დააყენა. უფროსმა ძმამ ზაქრომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და ოჯახისა და სამშობლოს წინაშე ვალმოსხილი წავიდა ამქვეყნიდან. უმცროსმა ძმამ ზურაბმა – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და წლების განმავლობაში მუშაობდა შუახევის რაიონის, თბილისისა და ბათუმის სამედიცინო დაწესებულებებში.

ოთარ თურმანიძემ 1953 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა უჩამბის საშუალო სკოლა, ხოლო 1957 წელს – წარჩინებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტი) ისტორიის ფაკულტეტი. 1957–1960 წლებში მუშაობდა შუახევის რაიონის წაბლანის რვაწლიან და უჩამბის საშუალო სკოლებში ისტორიისა და უცხო ენის (გერმანული) მასწავლებლად. 1960 წელს დააწინაურეს შუახევის რაიონის ცინარეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორად, სადაც 1972 წლის ოქტომბრამდე მუშაობდა.

სკოლის დირექტორად მუშაობისას გამოვლინდა ოთარ თურმანიძის, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტის, ორგანიზატორული ნიჭი, საქმისადმი ნოვატორული მიდგომა, ადამიანებთან ურთიერთობის არაჩვეულებრივი უნარი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა პედაგოგიური კოლექტივი, აშენდა სკოლის ახალი შენობა, შეიქმნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თვისებრივად გარდაიქმნა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ცინარეთის რეაწლინი სკოლა აჭარაში ერთ-ერთი მოწინავე იყო, რაც არაერთხელ აღინიშნა აჭარის განათლების სამინისტროსა და რაიონის განათლების განყოფილების მიერ ინსპექტირების დროს. წარმატებული მუშაობისათვის ოთარ თურმანიძე 1962 წელს დააჯილდოვეს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, ხოლო 1970 წელს – მედლით შრომითი მამაცობისათვის. მიღებული აქვს არაერთი ქების სიგელი და შეტანილია მაშინდელი სახელმწიფო ხელისუფლების საპატიო წიგნებში. საამაყოა, რომ მის მიერ აღზრდილები არიან ცნობილი მეცნიერები, ექიმები, ინჟინრები, ეკონომისტები, მასწავლებლები და სხვა დარგის სპეციალისტები.

ოთარ თურმანიძის შინაგანი ბუნებრივი მოწოდება მეცნიერება იყო. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოვლინდა ოთარ თურმანიძის მეცნიერული კვლევა-ძიების უნარი. იგი სისტემატურად გამოდიოდა მოხსენებით სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე, რამაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა მის მომავალ მეცნიერულ მუშაობას. სკოლაში მუშაობის დროს ეს ინტერესი არ განელებულა. პროფესორ იური სიხარულიძის რჩევით დაწერა რეფერატი „შერიფ ხიმშიაშვილი“, რომელიც დადებითად შეაფასეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში და მის ავტორს საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარების უფლება მიეცა.

სკოლაში მუშაობის პარალელურად, ოთარ თურმანიძემ წარმატებით ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმი, დაწერა საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება აჭარის სოფლის მეურნეობაში (1878–1920 წწ.)“. შრომა მაღალ დონეზე შეაფასეს და მის ავტორს 1972 წელს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭეს.

ოთარ თურმანიძე 1972 წელს საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. ბათუმში და მუშაობა დაიწყო შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მიჰყავდა სალექციო კურსები ისეთ საგნებში როგორცაა „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ და „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა“. 1991 წლიდან, როდესაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა, მას მიჰყავდა საქართველოს ისტორიის სალექციო კურსი. 1972 წლიდან პარალელურად მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმისა და ფოთის ფაკულტეტებზე.

1974 წელს ოთარ თურმანიძე დანიშნეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროს მასწავლებლად, 1975 წელს აირჩიეს დოცენტის თანამდებობაზე, ხოლო 1977 წელს მიანიჭეს დოცენტის წოდება. იგი წლების განმავლობაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს პოლიტიკურ დისციპლინებში, საქართველოს ისტორიაში. მისი ლექციები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი აკადემიურობით, სტუდენტებისათვის მისაწვდომი, არგუმენტირებული და ადვილად გასაგები ენით.

ოთარ თურმანიძემ ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დაწერა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ომისშემდგომ პერიოდში (1945–1965 წწ.)“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1988 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე. ამ ნაშრომისათვის მას ერთხმად მიანიჭეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1990 წელს აირჩიეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის ფაკულტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის პროფესორის თანამდებობაზე, ხოლო 1991 წელს მიანიჭეს პროფესორის სამეცნიერო წოდება. ოთარ თურმანიძის, როგორც მეცნიერის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სამეცნიერო ხელმძღვანელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ ავთანდილ იოსელიანს, აკადემიკოს იური კაჭარავას, პროფესორებს ალექსანდრე ბენდიანიშვილს, გრიგოლ ბრეგაძეს, გრიგოლ მარგიანსა და იური სიხარულიძეს.

პროფესორი ოთარ თურმანიძე 1990–2006 წლებში ხელმძღვანელობდა ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას, 1993–2009 წლებში პარალელურად იყო სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრის გამგე და ასწავლიდა საქართველოს ისტორიას. ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ოთარ თურმანიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა საბაკალავრო და სამაგისტრო დონის ახალი სპეციალობები: სახელმწიფო მართვის თეორია და პრაქტიკა, საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტები, მთარგმნელ-რეფერენტის სპეციალობა. მისი უშუალო მეცადინეობით კათედრა უზრუნველყოფილი იყო ამ სპეციალობათა კვალიფიციური კადრებით. ოთარ თურმანიძის ხელმძღვანელობით რამდენიმე მაგისტრანტმა დაიცვა სამაგისტრო ხარისხი.

ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრირების შემდეგ, ოთარ თურმანიძეს მიჰყავდა სალექციო კურსები შემდეგ დისციპლინებში: „სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის თეორია“, „კადრების მენეჯმენტი“ და „საქართველოს ისტორია“. მან პედაგოგიური მუშაობის დიდი გამოცდილება დააგროვა, რომელთა განზოგადება დიდად წაადგა ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმეს.

პროფესორი ოთარ თურმანიძე 1994 წელს სამუშაოდ მიიწვიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში, რაც განპირობებული იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეულის მომზადება-გამოცევასთან. ამჟამად პროფესორი ოთარ თურმანიძე ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია.

დიდია პროფესორ ოთარ თურმანიძის დამსახურება მეცნიერებაში. ბატონ ოთარს, როგორც მის თანატოლებს, მუშაობა მოუხდა ორი თვისებრივად განსხვავებული წყობის დროს. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა რეჟიმი ჩანასახშივე ახშობდა კომუნისტური იდეოლოგიისაგან განსხვავებულ შეხედულებას. ცხადია, საბჭოთა წყობილების დროს გამოცემული ნაშრომებისათვის შესაძენებია კონიუქტურის გავლენა. ამის მიუხედავად, ბატონმა ოთარმა შეძლო საკვლევი საკითხების ორიგინალური მეცნიერული ანალიზი, განავითარა გაბედული დებულებები, გამოიჩინა პრობლემებისადმი ახლებური მიდგომა.

პროფესორ ოთარ თურმანიძეს დღემდე გამოქვეყნებული აქვს 150 ნაშრომი, მათ შორის, 9 მონოგრაფია და ათეულობით საგაზეთო სტატია. მისი მეცნიერული კვლევის ინტერესებში შედის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურის ისტორია. ოთარ თურმანიძის შრომების მეშვეობით სამეცნიერო სფეროში შემოვიდა ახალი, მანამდე უცნობი საარქივო წყაროები, არაერთი დოკუმენტური მასალა. ისინი ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გამოვლენილია მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის (ლენინგრადის), თბილისის, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ არქივებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში მუშაობის დროს. იგი აჭარის სახელმწიფო ცენტრალური სახელმწიფო არქივის მუდმივმოქმედი მკვლევარია. შემთხვევით არ არის, რომ ხსენებული არქივის თანამშრომლები ოთარ თურმანიძეს შტატგარეშე მუშაკად თვლიან და დიდი პატივისცემით უწევენ მომსახურებას.

პროფესორ ოთარ თურმანიძის წიგნების შესახებ გამოქვეყნებულ რეცენზიებში (პროფესორები პ. ცქვიტარია, ა. სონდულაშვილი, ო. გოგოლიშვილი, დოცენტები ს. ქუთათელაძე, დ. დიასამიძე და სხვები) ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ავტორი ავლენს ნოვატორულ მიდგომას შესასწავლი თემის მიმართ, კარგად ფლობს ისტორიის მონათესავე დისციპლინებს. ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ ოთარ თურმანიძე წლების განმავლობაში უმაღლეს სკოლაში ასწავლიდა ისტორიის ისეთ მომიჯნავე დისციპლინებს, როგორიც არის თეორიული ეკონომიკა, პოლიტოლოგია, კონფლიქტოლოგია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, სახელმწიფო და კომუნალური მართვის თეორია, კადრების მენეჯმენტი და სხვა.

პროფესორ ოთარ თურმანიძის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მონოგრაფიები და სტატიები. მან ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა სამ-

ხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კვლევის მიმართულებას. საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში, კონიუნქტურის გაელენის მიუხედავად, მის მიერ სიღრმისეულადაა შესწავლილი აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1878–1920 წლებში: სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება, გლეხთა მდგომარეობა და სოციალური მოძრაობა. ეს შრომები დღესაც ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში განსაკუთრებით საყურადღებოა ის მონოგრაფიები და სტატიები, რომლებიც ოთარ თურმანიძემ გამოაქვეყნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. 2001 წელს ოთარ თურმანიძემ გამოსცა წიგნი „საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში“. ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული ოსმალური დოკუმენტების გულდასმით გაანალიზების შედეგად ნაშრომში შესწავლილია მიწისმფლობელობა-მიწათსარგებლობის ოსმალური ფორმები, დადგენილია მიწის მესაკუთრეთა კატეგორიები, დახასიათებულია ოსმალური საგადასახადო სისტემა და გადასახადების სახეები, ნაჩვენებია ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალურ-ეკონომიკური მოძრაობის მასშტაბი და ბრძოლის ფორმები.

პროფესორმა ოთარ თურმანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 1878–1928 წლების საადგილმამულო ურთიერთობის, აგრარული მოძრაობისა და სოფლის მეურნეობის ისტორიის შესწავლაში. ამ თემას ბატონმა ოთარმა არაერთი ნაშრომი, მათ შორის ორი სქელტანიანი მონოგრაფია მიუძღვნა. ამ ნაშრომებში ახალი ხედვითაა გაშუქებული ცარიზმის აგრარული პოლიტიკის თავისებურებანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რუსული კოლონიური ახალშენები, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ფორმები, რუსეთის საგადასახადო სისტემა და გადასახადების სახეები, აგრარული მოძრაობა. შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი და შრომითი რესურსები, განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო ზონები, სამიწათმოქმედო იარაღები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხალხური წესები, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გავრცელების მასშტაბები, განხილულია სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები, წარმოების კაპიტალისტური სექტორის თავისებურებანი.

ბატონი ოთარი საქართველოს უახლესი ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარია. მან ახალი ხედვით ფუნდამენტურად შეისწავლა 1921–1940 და 1946–1990 წლების აჭარის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორია. მაღალ მეცნიერულ დონეზე დაახასიათა ეკონომიკური რეფორმები აჭარაში, წარმოების ძირითადი დარგები 1921–1940 წლებში. საბჭოთა ისტორიოგრაფიისაგან განსხვავებით მან მოგვცა ამ პროცესების ახლებური შეფასება. პროფესორ ოთარ თურმანიძის სამართლიანი შეფასებით ამ რეფორმებმა ქვეყანა, კერძოდ, აჭარა ააცდინა ბუნებრივი განვი-

თარების გზას, განაპირობა სახელმწიფოებრივი მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების დანერგვა, შეამზადა მასობრივი რეპრესიების პოლიტიკური და იდეოლოგიური საფუძვლები. მდიდარი საარქივო და სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით მის მიერ შესწავლილია ომისშემდგომი პერიოდის (1946–1990) სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედება. მონოგრაფიაში დახასიათებულია აჭარის დემოგრაფიული ვითარება, სოციალური ურთიერთობები, შესწავლილია მოსახლეობის ცხოვრების პირობები და სხვა საკითხები.

პროფესორ ოთარ თურმანიძის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიებიდან, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურ თემას ეხება, აღსანიშნავია ბათუმის მუნიციპალური მეურნეობა, რომელშიც შესწავლილია ქალაქის წყალმომარაგება 1878–2000 წლებში. არანაკლებ საინტერესოა პუბლიკაციები ბათუმის გემოსაშენი, ელექტრომექანიკური და ტრანსფორმატორების ქარხნების ისტორიის შესახებ. მართალია, აღნიშნული საწარმოები ამჟამად ისტორიული კუთვნილებათ, მაგრამ მათი შემეცნებითი და პრაქტიკულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა ყოველთვის აქტუალური იქნება.

ბატონი ოთარი წარმატებით იკვლევს აჭარის პოლიტიკური და კულტურის ისტორიის საკითხებს. მან განავითარა ორიგინალური შეხედულება აჭარის ავტონომიის შექმნის მართლზომიერებისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ, რითაც სიცხადე შეიტანა დღემდე საკამათო პრობლემის კვლევაში. მის შრომებში დახასიათებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა, გაშუქებულია მასობრივი რეპრესიები და სხვა აქტუალური საკითხები. მასობრივი პოლიტიკური რეპრესიების შესახებ 1997 წლიდან მუშაობს და დღემდე 4 სამეცნიერო ნაშრომი და ათობით საგაზეთო სტატია გამოაქვეყნა.

გაზეთი „აჭარა“ 2014 წლის აგვისტოდან პერიოდულად აქვეყნებს ოთარ თურმანიძის წერილებს 1937–1938 წლებში პოლიტიკურ რეპრესირებულთა შესახებ, რომელსაც მკითხველი საზოგადოება დიდი ინტერესით ხვდება.

მნიშვნელოვანია პროფესორ ოთარ თურმანიძის წვლილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეულის შექმნაში. იგი არის ოთხტომეულის მესამე და მეოთხე ტომების ერთ-ერთი წამყვანი ავტორი. მისი რედაქტორობით 2012 წელს გამოვიდა ამ ოთხტომეულის მეოთხე ტომი, რომელიც ქრონოლოგიურად 1921–1990 წლებს მოიცავს.

პროფესორი ოთარ თურმანიძე არის აგრეთვე არაერთი ნაშრომის რეცენზენტი და რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წევრი.

პროფესორი ოთარ თურმანიძე ოჯახსაც არ აკლებს მზრუნველობას. მას ჰყავს 3 შვილი, 6 შვილიშვილი, 2 შვილთაშვილი. მეუღლე, პროფესიით პედაგოგი, წლების განმავლობაში სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, ამჟამად დამსახურებულ პენსიაზეა. ქალიშვილმა ნინომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი დაამთავრა და ამჟამად ბათუმში აფთიაქის დირექტორად მუშაობს. მომდევნო ვაჟმა მერაბმა სანქტ-პეტერბურგში მიიღო საინჟინრო განათლება და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზეა. უმცროსი ვაჟი თემური, ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია.

პროფესორი ოთარ თურმანიძე, ასაკის მიუხედავად, კვლავაც მუხლჩაუხრელად მუშაობს. გამოსაცემად მომზადებული აქვს ახალი წიგნები – „საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921–1951)“ და „მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებითი მრეწველობის განვითარება აჭარაში (1921–2000)“.

ეულოცავთ ბატონ ოთარს დაბადების 80 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა კვლავაც ჩვეული ენერგიით ემრომოს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ალიოშა ბაკურიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

როინ მაღაყმაძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
დირექტორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი

ნოდარ კახიძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბიჭიკო დიასამიძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**მეცნიერისა და პედაგოგის სახელოვანი გზა
(პროფესორ ნოდარ კახიძის დაბადების 85 წლისთავის გამო)**

დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო მეცნიერ-ეთნოლოგს, უმაღლესი სკოლის დეაწლმოსილ პედაგოგს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსს, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ კახიძეს.



ნოდარ კახიძე დაიბადა 1929 წლის 25 დეკემბერს ბათუმის (ამჟამად ხელვაჩაურის) რაიონის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში. 1941 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ჩხუტუნეთის არასრული საშუალო სკოლა, 1950 წელს – აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, 1954 წელს კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. იგი სტუდენტობის წლებში ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. 1953-1954 წლებში მონაწილეობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის IX-X და საქართველოს პედინსტიტუტების სტუდენტთა V-VI რესპუბლიკურ კონფერენციებში, რომლებიც ჩატარდა გორსა და ქუთაისში, ხელმძღვანელობდა ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო წრეს, არჩეული იყო ინსტიტუტის პროფკომიტეტის შემადგენლობაში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1954-1962 წლებში, მუშაობდა ჩხუტუნეთის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ. პარალელურად ასრულებდა საზოგადოებრივ და სხვა სახის დავალებებს. ხელმძღვანელობდა ბათუმის რაიონის ისტორიის მასწავლებელთა სექციას. 1962 წელს მონაწილეობდა სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე თბილისში, სადაც წაიკითხა მოხსენება მერვე კლასში ისტორიის სწავლების საკითხებზე.

ბატონი ნოდარ კახიძე 1962-1965 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ეთნოგრაფიის განხრით. ამ საინტერესო სპეციალობას იგი ეუფლებოდა თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას და მისი მოწაფის, პროფესორ მიხეილ გეგეშიძის ხელმძღვანელობით, პროფესორების – ვერა ბარდაველიძისა და ალექსი რობაქიძის კონსულტაციებით.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1965 წელს, ნოდარ კახიძე ხელშეკრულებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში. მას დავალებული ჰქონდა აჭარაზე არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის დამუშავება და მასალების კარტოთეკებზე გადატანა, რომელიც განკუთვნილი იყო საქართველოს ეთნოგრაფიული ატლასისათვის.

1966 წლის სექტემბრიდან დღემდე მუშაობს 1958 წელს დაარსებულ ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ – უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1979 წლიდან ეთნოლოგიის განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელია. 2011 წლიდან, როდესაც ინსტიტუტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადავიდა, განყოფილებას ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება ეწოდება.

1967 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ნოდარ კახიძემ წარმატებით დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი თემაზე „აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი ყოფა და კულტურა (მაჭახლის ხეობა)“. სადისერტაციო თემაზე მუშაობისათვის მას რეკომენდაცია მისცა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, რომელსაც მაშინ ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა. ნ.კახიძის აღნიშნულ საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომს სამეცნიერო საბჭომ დისერტაციის რეცენზენტთა დასკვნის საფუძველზე მაღალი შეფასება მისცა. მთავარი რეცენზენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების მაშინდელი ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ჩიტაია წერდა: „ნოდარ კახიძის ნაშრომი „მაჭახლის ხეობა“ სოლიდური წიგნია, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი შინაარსით, ახალი მასალებისა და საკითხების ახლებურად დასმით... დისერტანტი უნარიანი და გამჭვრიადი, დაკვირვებული საველე მუშაკია, რომელმაც ბევრი ახალი და საინტერესო მასალა გამოავლინა და მეცნიერებას შესძინა“ (გ.ჩიტაია, შრომები, V, თბილისი, 2001, გვ. 353, 356).

ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის დღიდან იწყება ნოდარ კახიძის ინტენსიური და ნაყოფიერი მეცნიერული საქმიანობა. გამოქვეყნებული აქვს 130-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი. მათ შორის ოთხი მონოგრაფია („მაჭახლის ხეობა“ (ბათუმი, 1974); „ხელოსნობა აჭარაში“ (თბილისი, 1990); „ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“ (ბათუმი, 2004); „ეტირატზე ამეცხველებული ისტორია“ (ბათუმი, 2013), მეცნიერული და სხვა ხასიათის მრავალი საგაზეთო სტატია. მეც-



ნიერმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია საინსტიტუტო ეთნოლოგიური კრებულების („აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები“, „აჭარის სოფელი“, „აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები“, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“) მომზადებისა და გამოცემის საქმეში. დღემდე გამოცემულია ამ სერიის 24 კრებული, რომელთაგან ნახევარი მომზადდა და გამოიცა პროფესორ ალ. რობაქიძესთან მისი თანამონაწილეობით. ხოლო უშუალოდ მისივე რედაქტორობით მომზადდა და გამოიცა სამი ეთნოლოგიური კრებული („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები“), ინსტიტუტის შრომების მეათე ტომი, ჟურნალ „მაჭახელის“ 8 ნომერი, რომლებიც მიეძღვნა მაჭახლობის ყოველწლიურ სახალხო დღესასწაულს. არის 20-მდე სხვა ავტორის მიერ გამოცემული ნაშრომის რედაქტორი და რეცენზენტი, აგრეთვე რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის რეცენზენტი.

პროფესორმა ნოდარ კახიძემ, როგორც რედაქტორმა, ნაყოფიერი მუშაობა გასწია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეულის მეორე ტომის (მოიცავს პერიოდს მეხუთე საუკუნიდან რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე) მომზადება-გამოცემაში (გამოიცა 2010 წელს). პირადად მან ათი სტატია მოამზადა ამ ტომისათვის. იგი არის აღნიშნული ოთხტომეულის სარედაქციო და საგამომცემლო საბჭოების წევრი და პასუხისმგებელი მდივანი. მისი აქტიური მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე ფერადი ფოტოალბომი „აჭარა“ (2009) და ბუკლეტი „აჭარის ალბური დასახლება“ (2010). დასაბეჭდად გადაცემულია ალბომი „ეთნოგრაფიული აჭარა“.

ნ.კახიძე სისტემატურად კითხულობდა მოხსენებებს საქართველოს ეთნოგრაფთა სამეცნიერო ფორუმებზე (სესიები, კონფერენციები), რომლებიც იმართებოდა თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ზუგდიდში, ახალციხეში. იგი იყო ინიციატორი 1981 წელს ბათუმში ჩატარებული საქართველოს ეთნოგრაფთა მორიგი სამეცნიერო კონფერენციისა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ინსტიტუტის ეთნოგრაფთა ოცზე მეტი ექსპედიცია აჭარაში, საქართველოს სხვა რეგიონებში (გურია, სამეგრელო, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი). ასპირანტურის წლებში (1963-1964) მონაწილეობდა დიდ კომპლექსურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, რომლებიც გიორგი ჩიტაიას, ვერა ბარდაველიძის, მიხეილ გეგეშიძის ხელმძღვანელობით ტარდებოდა ფშავესურეთსა და იმერეთში. 2010 წელს ხელმძღვანელობდა პირველ



ეთნოგრაფიულ ექსპედიციას თურქეთის საზღვრებში მოქცეული მაჭახლის ხეობის (ზედა მაჭახელი) სოფლებში, რომელმაც დღემდე უცნობი საინტერესო მასალები გამოავლინა.



ნოდარ კახიძემ, როგორც მაჭახლის ხეობის მკვლევარი, პირველმა შეისწავლა ისტორიულ-ეთნოგრაფიულად მაჭახლის ხეობა, რომელმაც წარსულში ფართოდ გაითქვა სახელი საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში ხელოსნობით, კერძოდ, ცეცხლსასროლი (კაჟ-ჩახმახიანი თოფები და დამბაჩები),

აგრეთვე ცივი საბრძოლო იარაღების დამზადებით. პირველმა ფართოდ აჩვენა მაჭახლის ხეობის როლი და მნიშვნელობა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებაში. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასა და პროფესორ მიხეილ გეგეშიძის რჩევით ბატონმა ნოდარ კახიძემ ასევე პირველად

შეისწავლა ხელოსნობის პრობლემური საკითხები ჯერ აჭარის, შემდეგ კი მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. 1990 წელს თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებაში“ გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „ხელოსნობა აჭარაში“, ხოლო 2004 წელს გამომცემლობა



„აჭარაში“ დაიბეჭდა შემცირებული ვარიანტი სადოქტორო დისერტაციისა („ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა)“, რომელიც 2001 წლის 16 ნოემბერს დაიცვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. მასში შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული პრობლემები. ნაშრომი მნიშვნელოვანი წვლილია მრავალდარგოვანი ქართული ხელოსნობის ისტორიულ-ეთნოლოგიურ შესწავლაში. ნაშრომი დარგის სპეციალისტთა მიერ აღიარებულ იქნა ქართული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენად, რომელშიც პირველად განხორ-

ციელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის ტრადიციების ისტორიულ-ეთნოგრაფიული კომპლექსური შესწავლა.

XII-XVII საუკუნეების წერილობითი ძეგლის „ტბეთის სულთა მატინეს“ საფუძველზე მკვლევარმა შექმნა საყურადღებო გამოკვლევა „ეტრატზე ამეტყველებული ისტორია“. ავტორმა ამ წიგნით მკითხველს გააცნო მატინის მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეული რეგიონების, მათ შორის მაჭახლის ხეობის „ისტორიული წარსულის, საეკლესიო ცხოვრების, საგვარეულოთა ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, მიგრაციული პროცესების, ყოფისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტების შესწავლაში. წიგნი მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა აღნიშნული პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიურ ჭრილში შესწავლისათვის.

პროფესორ ნოდარ კახიძის სამეცნიერო კვლევა-ძიებაში ხელოსნობის საკითხები მთავარი საკვლევი პრობლემა იყო, რომელსაც სამ ათეულ წელზე მეტხანს სწავლობდა. მაგრამ იგი სხვა ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხების შესწავლითაცაა დაინტერესებული. გამოქვეყნებული აქვს საჟურნალო და საგაზეთო სტატიები აჭარაში გავრცელებულ ხალხურ დღესასწაულებზე, გვარსახელებზე, ტოპონიმიკაზე, ისტორიული ეთნოგრაფიის საკითხებზე, მუჰაჯირობაზე, აჭარაში მოგზაურ ქართველ და უცხოელ მკვლევარებზე და ა.შ. მან ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი და შეიმუშავა წინადადება-რეკომენდაციები აჭარაში გავრცელებული ტრადიციული ხალხური დღესასწაულის – შუამთობის აღდგენისა და მისი განახლებული სახით ჩატარებაზე, ტბელობის სახალხო დღესასწაულის დაწესებაზე (1978 წელი), ხალხური ხელოსნობისა და შინამრეწველობის საკითხებზე, რამაც თავის დროზე ასევე დადებითი გამოხმაურება და შეფასება ჰპოვა.

ნოდარ კახიძე მუდამ სიახლის ძიებაშია და ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს საინსტიტუტო თუ სხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებში. არის სიახლის მაძიებელი, შემოქმედი და ინიციატივიანი. უშუალოდ მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის (1933 წელი) 70 და 80 წლებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები. ამ პირველ ექსპედიციას, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისისა და ბათუმში მოღვაწე მეცნიერები, ხელმძღვანელობდა შემდეგში საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია. ნოდარ კახიძის თაოსნობით მოეწყო 2009 წელს ინსტიტუტში პირველი მოძრავი ეთნოგრაფიული გამოფენა, რომელშიც წარმოდგენილია ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების ფონდებში ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუნჯებული ფოტო და სხვა საილუსტრაციო მასალები. როგორც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსმა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო

სხდომის მომზადებასა და ჩატარებაში, რომელიც 2013 წლის 2-3 დეკემბერს გაიმართა. იგი იყო საიუბილეო კომისიის წევრი, მისი ხელმძღვანელობით საიუბილეო სხდომისათვის მოეწყო ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა ნაშრომებისა და საილუსტრაციო მასალების გამოფენა. მისივე ხელმძღვანელობით გამოსაცემად მომზადდა საიუბილეო ილუსტრირებული კრებული ინსტიტუტის შრომების X ტომის სახით.

ნოდარ კახიძე სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ ეთნოგრაფიულ კომისიაში, ამავე პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანი რეგიონების კომპლექსური შესწავლის კომისიის აჭარის ქვეკომისიის სწავლულ მდივნად, საქართველოს საისტორიო საზოგადოების ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარედ. იყო ამ საზოგადოების რამდენიმე რესპუბლიკური ყრილობის დელეგატი. სისტემატურად კითხულობდა ლექციებს საზოგადოება „ცოდნის“ სახით.

პროფესორ ნოდარ კახიძის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით (1983), ხოლო დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით მრავალწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით (2000). ნაშრომისათვის „ხელოსნობა აჭარაში“ მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დაწესებული თედო სახოკიას სახელმწიფო პრემია (1995). 80 წლისთავთან დაკავშირებით კი დაჯილდოვდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საპატიო სიგელით.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ნოდარ კახიძის მოღვაწეობა, ინსტიტუტში მეცნიერული მუშაობის პარალელურად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1990 წლიდან უნივერსიტეტი). 1970 წლიდან დროგამოშვებით 1990 წლამდე ინსტიტუტის რექტორატის მიწვევით, ხელშეკრულებით ლექციებს კითხულობდა ისტორიის ფაკულტეტზე შუა საუკუნეებისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. 1975 წელს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ („ვაკი“) ისტორიის კათედრის წარდგენით მიანიჭა დოცენტის წოდება შუა საუკუნეების ისტორიაში. 1990 წლიდან 2010 წლის ჩათვლით ძირითად შტატში ლექციებს და სპეცკურსებს კითხულობდა ზოგად, ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ეთნოლოგიაში, ისტორიულ მხარეთმცოდნეობაში, ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხებზე. უშუალოდ ბატონ ნოდარ კახიძის სახელს უკავშირდება უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე 1990-იანი წლებიდან ლექციების კურსის შემოღება ზოგად და საქართველოს ეთნოლოგიაში. ამავე საგნებში კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. აგრეთვე, აჭარის (გონიოს) კოოპერაციულ ინსტიტუტში. 2004 წელს არჩეული იქნა პრო-

ფესორად, 2009 წელს კი სრულ პროფესორად. ნოდარ კახიძე 1970-1980-იან წლებში სისტემატურად მონაწილეობდა მისაღებ გამოცდებზე ისტორიაში. 2005 წელს იყო საქართველოს ისტორიაში მისაღები საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. ეს იყო ბოლო გამოცდები უნივერსიტეტში, რომელიც შემდეგ საქართველოს ეროვნულმა გამოცდებმა შეცვალა. ნოდარ კახიძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის, უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო ცენტრის საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ორი საკანდიდატო დისერტაცია, სტუდენტთა ორმოცამდე საკურსო და ათი საკონფერენციო, რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი. იგი სტუდენტებს არა მარტო ასწავლიდა, არამედ პირადი მაგალითით ზრდიდა და აყალიბებდა მოქალაქეებად.

პროფესორი ნოდარ კახიძე, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში დღესაც საგსე ენერგიით განაგრძობს მუშაობას. მის მიერ მრავალი ათეული წლის მანძილზე გაწეული სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა სამაგალითოა მისი უმცროსი კოლეგებისათვის, ყველა იმათთვის, ვინც სამეცნიერო სარბიელზე მუშაობს. არის საღად მოაზროვნე, ადამიანური ხიბლითა და პატიოსნებით გამორჩეული პიროვნება. ამიტომაც სიყვარულითა და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს თავის კოლექტივში, კოლეგებში, სამეცნიერო საზოგადოებაში.

ბატონი ნოდარ კახიძე არა მარტო კარგი მეცნიერ-მკვლევარია, არამედ არის შესანიშნავი ოჯახის მამა და ბაბუა. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და სამი შვილიშვილი. მსურველედ ვულოცავთ მას დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავს. გუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, ოჯახურ სიხარულს და ბედნიერებას, წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

როინ მაღაყმაძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
დირექტორი, ისტორიის დოქტორი

ბიჭიკო დიასამიძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი,
ემერიტუს-პროფესორი

თამაზ ფუტყარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

15.XII.2014

**ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე
(საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის –
პროფესორ დავით ხახუტაიშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო)**



გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ისტორიკოსს და არქეოლოგს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ დავით ხახუტა-

იშვილს 2014 წელს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.

დავით ხახუტაიშვილი დაიბადა 1924 წელს ქობულეთის რაიონის სოფ. ალაშხარში. მამა ადრე გარდაეცვალა ემიგრაციაში, დედამ გაზარდა ხუთი შვილი. ალაშხრის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა ქობულეთის ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელში, საიდანაც, 1941 წელს, 16 წლის ახალგაზრდა მოხალისედ წავიდა არმიაში და მეტყვიამფრქვევედ ჩაეწერა. კავკასიის ფრონტზე დაიჭრა და დემობილიზებულ იქნა. 1943-46 წლებში ეწეოდა სამეურნეო და პედაგოგიურ საქმიანობას. 1948 წელს წარჩინებით დაამთავრა ქობულეთის პედსასწავლებელი, ხოლო 1951 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იყო სიმონ ჯანაშიას სახელობის სტიპენდიატი. 1949 წელს მან სამეცნიერო ნაშრომიც გამოაქვეყნა.

სწორედ ამ პერიოდში მიიქცია დავით ხახუტაიშვილმა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ყურადღება, რომლის ხელმძღვანელობით ნიჭიერი ახალგაზრდა აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში. ცნობილი მეცნიერის მითითებით, 1949 წლიდან მან დაიწყო სპეციალური მზადება არქეოლოგიაში და მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში.

არქეოლოგიაში დასპეციალდება, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის აზრით, საჭირო იყო იმისთვის, რომ დავით ხახუტაიშვილი საქართვე-

ლოს ძველი ისტორიის მაღალკვალიფიციური მკვლევარი დამდგარიყო. ეს ასეც მოხდა. ბატონი დავითი საქართველოს ძველი ისტორიის საუკეთესო სპეციალისტად არის აღიარებული.

1951-1954 წლებში დავით ხახუტაიშვილი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში, რომელსაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი ხელმძღვანელობდა.

1955 წელს დავით ხახუტაიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით“, ხოლო 1967 წელს – სადოქტორო დისერტაცია „უფლისციხე და იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები“. სადოქტორო დისერტაციას საფუძვლად დაედო კომპლექსური ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ ლინგვისტური კვლევა-ძიებს შედეგად შექმნილი 2 მონოგრაფია („უფლისციხე“, თბილისი, 1964; „იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1966).

1977 წლიდან პროფ. დავით ხახუტაიშვილი, საკვლევ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, სამეცნიერო-ორგანიზაციულ საქმიანობასაც ეწევა. ამ წელს იგი დაინიშნა ახლად შექმნილი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილედ და არქეოლოგიაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენების განყოფილების გამგედ. 1978 წლიდან ბატონი დავითი დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. ამიერიდან მის მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობაში ფართო პერსპექტივები დაისახა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემებზე მუშაობისათვის, რასაც მან ადრევე ჩაუყარა საფუძველი.

ნახევარ საუკუნეზე მეტხანს მუშაობდა ბატონი დავითი საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემებზე. ამ ხნის მანძილზე მკვლევარმა საქართველოს, ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე გამოაქვეყნა 120-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის, 10-ზე მეტი მონოგრაფია. ეს ნაშრომები ფართოდაა აღიარებული და მოწონებული სამეცნიერო წრეებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

პროფესორ დავით ხახუტაიშვილის სამეცნიერო კვლევა-ძიებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოში ქალაქებისა და ქალაქური ცივილიზაციის გენეზისის საკითხებს, რომელთაც ოცზე მეტი ნაშრომი მიუძღვნა. მათ რიგს ეკუთვნის „უფლისციხე I“ (თბილისი, 1964), „კლდეში ნაკვეთი ქალაქი“ (თბილისი, 1965), „იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები“ (თბილისი, 1966), „უფლისციხე II“ (თბილისი, 1970) და სხვა, რომლებიც პალეოურბანისტიკის მნიშვნელოვანი შენაძენია. ამ ნაშრომებში შესწავლილია ადრეკლასობრივი ქალაქების წარმოშობისა და

განვითარების პრობლემები, საქალაქო ხელოსნობა და ვაჭრობა, ეკონომიკური კავშირები, საგზაო კომუნიკაციები და საფორტიფიკაციო სისტემა, ისტორიული ტოპოგრაფია და გეოგრაფია, ქალაქების სოციალური ცხოვრება და ა.შ.

მკვლევარმა ახლებურად დასვა და გადაწვეიტა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების წარმოშობისა და განვითარების ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა. მანამდე არსებული თეორიების საპირისპიროდ, მან დაასაბუთა, რომ იბერიისა და კოლხეთის უძველესი ქალაქები, როგორიცაა მცხეთა, უფლისციხე, დიოსკურია, ფაზისი, ფიჭვნარ-ქობულეთი და სხვები, აღმოცენდა და განვითარდა წინაკლასობრივი ხანის მსხვილი სამოსახლოების შემდგომი განვითარებით და არა ადმინისტრაციული ცენტრების და სავაჭრო გზების საფუძველზე. ამასთან, მკვლევარი არ გამოირიცხავს, რომ შეიძლებოდა ადმინისტრაციული ცენტრიც გარდაქმნილიყო ქალაქად ან ქალაქური ტიპის დასახლებად, მაგრამ ეს მეორადი პროცესი უნდა ყოფილიყო.

ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების აღნიშნულ ჭრილში საფუძვლიანი შესწავლა იმანაც განაპირობა, რომ მეცნიერი ზედმიწევნით კარგად იცნობდა და იყენებდა არქეოლოგიურ, ისტორიულ და მომიჯნავე მეცნიერებათა მონაცემებს. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ქალაქების „ქვეყნების“ კომპლექსურ ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლას.

პროფესორ დავით ხახუტაიშვილის წვლილი დიდია საქართველო-კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების პრობლემების კვლევაში. ამ პრობლემების შესწავლას მან სამ ათეულ წელზე მეტი მოანდომა და საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოჩენებით გაამდიდრა. მისი ხელმძღვანელობით გამოვლენილია 400-ზე მეტი არქეოლოგიური ობიექტი რკინის სადნობი სახელოსნოების ნაშთების სახით, რომლებიც ხუთ ძირითად საწარმოო კერაში – ჭოროხის, ჩაქვისწყლის, ჩოლოქ-ოჩხამურის, სუფსა-გუბაზეულის, ხობი-ოჩხომურის ხეობებში – ერთიანდება. არქეოლოგიური, არქეომაგნიტური, რადიოკარბონული თუ სხვა გეოფიზიკური მონაცემების საფუძველზე, მკვლევარმა დაადგინა ჩამოთვლილი საწარმოო კერების ჩასახვა-ფუნქციონირების ქრონოლოგია, სტრუქტურა, სანედლეულო ბაზები, რკინის დნობის ტექნოლოგიური თავისებურებანი და ისინი განიხილა მსოფლიოს სხვა კერებთან და მხარეებთან მიმართებაში. მან რკინის მომპოვებელი კერების ადრეული ჯგუფი ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით, ხოლო გვიანდელი – ძვ. წ. VII-VI საუკუნეებით დაათარიდა. მკვლევრის ძირითადი დასკვნები შემდგომად: ძველ კოლხეთს (აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი) ეჭირა წამყვანი ადგილი რკინის ადრეული მეტალურგიის ჩასახვა-განვითარებაში. ეს ის რეგიონია, სადაც, მისი აზრით, განსახლებულნი იყვნენ ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის მატარებელი ტომები, მათ შორის, ხალიბები – რკინის მეტალურგიის პიონერები, რომლებმაც, ძველი ბერძ-

ნების წარმოდგენით, საფუძველი ჩაუყარეს რკინის მეტალურგიასა და ფოლადის წარმოებას. უფრო ადრე ამ ტომებმა ითამაშეს წამყვანი როლი სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ჩასახვა-განვითარებაში. საბოლოო ანგარიშით, ამ ტომებმა შექმნეს კოლხური სამეფო და სახელგანთქმული კოლხური კულტურა. კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერმა აჩვენა, რომ სახელდობრ ძველი კოლხეთი იყო რკინის მთავარი მწარმოებელი და ექსპორტიორი მთელ დასავლეთ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ეგეოსის სამყაროს მოწინავე ქვეყნებში.

ბატონი დავითი ისტორიკოს-არქეოლოგთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ძველი კოლხეთის რკინის მეტალურგიის პრობლემები კომპლექსურად შეისწავლა და მას მიუჩინა კუთვნილი ადგილი რკინის მეტალურგიის ისტორიაში საერთაშორისო მასშტაბით. ამიტომაც არის, რომ მისმა ნაშრომებმა რკინის მეტალურგიის საკითხებზე ფართო აღიარება დაიმსახურა საზღვარგარეთის შესაბამის სამეცნიერო წრეებში. მეცნიერი არაერთხელ გამოსულა საერთაშორისო, ყოფილ საკავშირო თუ სხვა სახის რეგიონულ სიმპოზიუმებზე, რომლებიც რკინის მეტალურგიის პრობლემებს ეძღვნებოდა. 1987 წელს გამომცემლობა „მეცნიერებაში“ თბილისში რუსულ ენაზე გამოსცა მისი შემაჯამებელი ნაშრომი „რკინის წარმოება ძველ კოლხეთში“. იგივე პრობლემებს ეძღვნება მეცნიერის მიერ მომზადებული მეორე ნაშრომი: „რკინის წარმოების ადრეული ცენტრი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში“.

პროფესორმა დავით ხახუტაიშვილმა ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის ისეთი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაში, როგორიცაა პეტრა-ციხისძირი, „ბათუმის ციხე“, ისპანის ნამოსახლარი, ფიჭვნარის ნამჭედური, ხინოწმინდის კათედრალის ტერიტორია, გონიო-აფსაროსი, აგრეთვე, მთიანი აჭარის ტერიტორიაზე არსებული ნამოსახლარები და სხვა ძეგლები. ამ ძეგლების შესწავლას პირადად და თავის კოლეგებთან ერთად არაერთი ნაშრომი მიუძღვნა, რომლებშიც დახასიათებულია დღევანდელი აჭარის მთისა და ბარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ეთნოგენეზის, მათი ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ადრეული ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემები. აღნიშნულ პრობლემებს ეძღვნება ისტორიკოს-არქეოლოგის შემაჯამებელი ნაშრომები „ქობულეთის ქვეყანა“ (I-III), რომლის I ნაკვეთი 1995 წელს გამოიცა. ამ წიგნის გამოცემით (იწერება დანარჩენი ტომებიც) ბატონმა დავითმა თავისეული პატივი მიაგო თავის სამეცნიერო ხელმძღვანელს, გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს, რომლის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის დებულება „ქვეყნის“ შესახებ, გულისხმობს „ისტორიულ ტერიტორიას“, „ისტორიულ ქვეყანას“, „ადამიანთა საზოგადოების შემოქმედებით არეს“ და არა ფიზიკურ-გეოგრაფიულ ტერიტორიას.

პროფესორ დავით ხახუტაიშვილის მიერ შემოთავაზებული „ქობულეთის ქვეყანა“ პირობითი სახელდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ მიკრორეგიონისა, რომელიც კინტრიშ-ხოლოქის ორმდინარეთის ტერიტორიას მოიცავს თავისი მთითა და ბარით. ნაშრომში შესწავლილია ქობულეთის „ქვეყნის“ წარსული ქვის ხანიდან, ანუ ნეოლითიდან მოყოლებული, ადრეკლასობრივი და ადრეკლასკური ცივილიზაციის შექმნამდე.

აღნიშნული ნაშრომი საქართველოს „ქვეყნების“ ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლაში მნიშვნელოვანი შენაძენია. ქობულეთის „ქვეყანა“ კოლხური სამყაროს ორგანული ნაწილია, რაც კიდევ უფრო ზრდის ნაშრომის მეცნიერულ მნიშვნელობას. ნაშრომში ახლებურადაა გაანალიზებული ქობულეთის მხარის ისტორიული წარსული უძველესი პერიოდიდან ადრეკლასობრივ ხანამდე.

პარალელურად, ბატონი დავითი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი ისტორიის სხვა პრობლემებზეც მუშაობდა. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემები“ – ასეთი იყო მისი მომავალი მეცნიერული კვლევა-ძიების ერთ-ერთი სფერო.

პროფესორმა დავით ხახუტაიშვილმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწავია „აჭარის ისტორიის ნარკვევების“ ოთხტომეულის მომზადებასა და გამოცემაში, როგორც მთავარმა რედაქტორმა და წამყვანმა ავტორმა.

ბატონი დავითი ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ხელმძღვანელობდა ასპირანტა სამეცნიერო კადრების მომზადებას, კითხულობდა ლექციებს ძველი ისტორიის საკითხებზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულ იქნა არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად მისი მუშაობის პერიოდში ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის, ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევის მიმართულებით. მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ მოწინავე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად გადაიქცა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით ხახუტაიშვილის მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი და მისი აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. 1983 წლის იანვარში ის არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიების (მეცნიერებასა და ტექნიკაში) და აჭარის სახელმწიფო პრემიების კომიტეტების, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის წევრი; არის ბათუმის საპატიო მოქალაქე, დაჯილდოებულია მაღალი ჯილდოებით, მათ შორის, ღირსების ორდენით, საქართველოს უმაღლესი და აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ბატონ დავითს – გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს – ყოველთვის ღირსეულ პატივს მიაგებენ მისი მშობლიური ინსტიტუტის კოლექტივი, მრავალრიცხოვანი კოლეგები და აღზრდილები, საყვარელი ოჯახი და მისი შთამომავლობა. ისევე, როგორც უკვდავია ქართული მეცნიერება, უკვდავი იქნება დავით ხახუტაიშვილის სახელი, მისი ღვაწლი და ამაგი ამ მეცნიერებისა და მისი მშობელი ერის წინაშე.

ნანა ხახუტაიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ნოდარ კახიძე

ნიკო ბერძენიშვილი ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შრომები გამოდის წელიწადში ერთხელ

სარედაქციო საბჭო ხელმძღვანელობს კანონით თავისუფალი პრესის
შესახებ და კრებულში გამოქვეყნებული მასალების შინაარსსა და სიზუსტეზე
პასუხს არ აგებს. სრული პასუხისმგებლობა ავტორებს ეკისრებათ.

მისამართი:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
6010, ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის ქ. № 35

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე

ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.12.2013

ქაღალდის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 17

ტირაჟი 100

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35